Some scientists believe that political activity generally comes down to linguistic activity [11: 137]. Politicians need a language to inform, give instructions, legislate, persuade, manipulate, etc. Political discourse is not only about putting forward policy proposals. We are talking about a certain use of words and language in general. They are used in a given discourse to influence listeners and therefore political direction.

Lexical units in the organization of political speeches by their authors can be specifically selected not only because of the political correctness of some terms and compliance with universal criteria of decency, but also because they effectively emphasize political views and opinions, manipulate public opinion, help conclude agreements and compromises, and establish legal political power [16: 705].

Currently, there is a trend in political discourse that is anti-intellectual [15: 2008]. This phenomenon is known as populism, a tactic of directly flirting with the broad masses of the people, in which there is a departure from the idea of leadership of a predetermined politically elite group [14: 2016] and in which populists prefer to use the discourse of the lower class and the discourse of ordinary people, and not the official language [13: 2000]. To compose political speeches, as a rule, fairly clear and simple language is used so that the ideas put forward are easily perceived by the target audience and other people who may subsequently read or hear this or that speech by the politician in the media. In addition, political texts are written by a group of professional speechwriters who are trained to use specific strategies and structures to make the speech sound convincing from the speaker's mouth.

Convention is the main feature of political speech, which distinguishes it from other existing genres of speech. A political speech is almost always preceded by an event that gives rise to the creation of a political text. For this reason, the authors of political speeches are maximally involved in the content of their texts, which focus on presenting a reasoned and correct version of events as a commentary on the original event that gives rise to the speech.

The purpose of political language is to present reality as a platform for the realization of political interests. For this aim different means are used, for instance, facial expression, gestures, intonation, emotional words, new words, and even slang. Political language is flexible and precise, which makes it ambivalent. With the help of flexibility, you can create ideological images, puns, use jargon, and make hints. On the other hand, its precision imposes a logical structure with the help of which speech is constructed.

In his work on the role of language in the English politics, Epstein wrote that “the struggle over whose voices and what forms of political language possess authority within the public sphere of discourse is essential to the reproduction of relationships of dominance and subordination in modern society” [12: 28]. This statement is equally important in the context of political contestation in any country where the conflict between officials and the opposition is ultimately a struggle for power based on a common set of linguistic idioms. This rivalry is necessary because of the incompatible views of society offered by these competing groups, each seeking to justify their actions against the other by articulating their policies through the construction of a discourse that would provide legitimacy to their cause.

Thus, issues related to political discourse are the subject of active scientific debate, and any contribution to the development of the study of the language of politics becomes important and necessary. The mechanisms of political language and its characteristics as a means of influence also require coverage; consideration of this topic is also dictated by the need for the audience to understand the true intentions and hidden techniques of linguistic manipulation on the part of politicians and how professional activities distinguish political leaders from ordinary citizens.

References:

1. Арутюнова Н.Д. Метафора и дискурс // Теория метафоры. – М.: Наука, 1990. – С. 5-33.
2. Ахманова О.С. Словарь лингвистических терминов. – М.: Издательство «Советская энциклопедия», 1969.
3. Ван Дейк Т.А. Язык. Познание. Коммуникация. – М., 1989.
4. Водак Р. Язык. Дискурс. Политика. – Волгоград: Перемена, 1997.
5. Дейк Т.А., Кинч В. Стратегии понимания связного текста // Новое в зарубежной лингвистике. Вып.23. Когнитивные аспекты языка. – М.: Прогресс, 1988. – С. 25-41.
6. Зигманн Ж.В. Структура современного политического дискурса: речевые жанры и речевые стратегии. Автореф. дис. ... канд. филол. наук. – М., 2003.
7. Карасик В.И. Языковой округ: личность, концепты, дискурс. – М.: Гнозис, 2004.
8. Чудинов А.П. Политическая лингвистика. – М.: Флинта, Наука, 2006.
9. Шейгал Е.И. Семиотика политического дискурса. – М.: Гнозис, 2004.
10. Шейгал Е.И. Театральность политического дискурса // Единицы языка в их функционировании. – Саратов, 2000. – С. 92-96.
11. Edelman M. Constructing the Political Spectacle. Chicago: University of Chicago Press, 1988.
12. Epstein J. Radical Expression: Political Language, Ritual, and Symbol in England, 1790–1850. – Oxford: University Press, 1994.
13. Grey A. A breath of fresh air: tackling smoking through the media / A. Grey, L. Owen, K. Bolling. – Health Development Agency, 2000.
14. Inglehart R.F. Trump, Brexit, and the rise of populism: Economic have-nots and cultural backlash / R. F. Inglehart, P. Norris. – Cambridge University Pr., 2016.

15.Lim E.T. The anti-intellectual presidency: The decline of presidential rhetoric from George Washington to George W. Bush / E. T. Lim. – Oxford University Press, 2008.

16.Safwat S. Speech Acts in Political Speeches. Journal of Modern Education Review, USA July 2015, Volume 5, No. 7, pp. 699-706.

Ирина Зубина

Южный федеральный университет, Ростов-на-Дону

Политический дискурс как предмет исследования в лингвистике

Аннотация

В статье рассматривается политический дискурс в качестве объекта изучения в лингвистике. В связи с этим даются различные определения политического дискурса и анализ его основных функций, что приводит к рассмотрению данного понятия с позиции узкого и широкого понимания. При узком понимании политического дискурса предполагается актуализация речевой деятельности исключительно политика в политической ситуации. При широком понимании политический дискурс включает широкий спектр субъектов и объектов, связанных с политической сферой. При таком толковании или адресант, или адресат, или тема коммуникации связаны с политикой. При этом речь идет не только об официальной политической коммуникации, но и о сообщениях на политические темы в СМИ, различных интернет-ресурсах, связанных с политикой (блогах, сайтах, комментариях), это могут быть и научные статьи о политике и т.д. Такое понимание политического дискурса связано с процессами глобализации и все большим влиянием различных видов медиа сферы на человека. Уделено внимание отличительным чертам политического дискурса как особого типа общения, поскольку решение политических проблем во многом зависит от того, как эти проблемы отражаются в языке.

Ключевые слова: коммуникация, политический дискурс, функция, политический язык.

Рецензент: профессор Тамар Ломтадзе

თვისების გამომხატველი ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში¹

თამარ მახარობლიძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
email:tamar.makharoblidze@iliauni.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac>

ზოგადად თვისების გადმოცემის უნარი გააჩნიათ ზედსართავსა და მიმღეობებს. ქართული ჟესტური ენა ზედსართავი სახლების განსაკუთრებული დიდი სიუხვით არ გამოირჩევა, თუმცა, ცხადია, ამ ენაში არის ძირითადი ზედსართავი სახელები, რომელთა ანალიზისას მნიშვნელოვანია კლასის კატეგორიის გააზრება. უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორია მსოფლიოს თითქმის ყველა ჟესტურ ენაში აქტიურია ზედსართავებთან.

ზედსართავთან ერთად წარსული დროის მიმღეობები ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია თვისების გადმოსაცემად. აქ წარმოდგენილია დერივაციული აფიქსი 'უკვე', რომელიც დაერთვის ძირითად ლექსიკურ ნაწილს. ამდაგვარი ფორმები ომონიმურია ზმნის პერფექტულ ფორმებთან. ენობრივი ანალიზისას რთულდება კონკრეტული დეფინიცია და მხელი სათქმელია, ესა თუ ის ფორმა მიმღეობაა თუ ზმნის პერფექტული ფორმა. ეს საკითხი უკავშირდება ამ ზემოთხსენებული დერივანტის ('უკვე') ფართო სემანტიკურ ველს, რომლის ძირითადი სემანტიკური არსი არის უკვე მომხდარი, ანუ წარსული დროის მოქმედების გადმოცემა. თავისთავად, წარსული დროის მიმღეობაც არის უკვე ჩადენილი აქტი. მხოლოდ წინადადების სრული კონსტრუქციის ანალიზი იძლევა პასუხს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზმნასთან გვაქვს საქმე თუ მიმღეობასთან. ეს გარემოება (სხვა ამდაგვარ მოვლენებთან ერთად) განაპირობებს ჟესტური ენების მორფოლოგიურ თავისებურებებს და კიდევ ერთხელ უსავეს ხაზს მეტყველების ნაწილების გამიჯვნის პრობლემებს ჟესტურ ენებში.

სტატიაში ასევე წარმოდგენილია უარყოფითი თვისების სისტემა და მაგალითები.

საკვანძო სიტყვები: ქართული ჟესტური ენა, მორფოლოგიური თავისებურებები, თვისების გამომხატველი ფორმები.

¹ კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მხარდაჭერით [FR-22-254. ქართული ჟესტური ენის სახელთა მორფოლოგია]

ზოგადად თვისების გადმოცემის უნარი გააჩნიათ ზედსართავსა და მიმღებებს. ქართული ჟესტური ენა ზედსართავი სახლების განსაკუთრებული დიდი სიუხვით არ გამოირჩევა, თუმცა, ცხადია, ამ ენაში არის ძირითადი ზედსართავი სახელები [5: 510-576]. ზედსართავი სახელის ანალიზისას მნიშვნელოვანია კლასის კატეგორიის გააზრება. უნდა ითქვას, რომ ეს კატეგორია მსოფლიოს თითქმის ყველა ჟესტურ ენაში აქტიურია ზედსართავებთან. მაგალითად, იხილეთ ფორმები *გამხდარი ცხოველი* და *გამხდარი ადამიანი*:



გამხდარი – მჭლე, სუსტი აღნაგობის ცხოველი




გამხდარი – მჭლე, სუსტი აღნაგობის ადამიანი

კლასის მიხედვით ასევე განსხვავებულია ფორმა 'შალაღი' [5: 529-530]. წარსული დროის მიმღებები ყველაზე უფრო გავრცელებული ფორმებია თვისების გადმოსაცემად ზედსართავებთან ერთად. საგულისხმოა ის გარემოება, რომ წარსული დროის მიმღებებს ძირითადად აწარმოებს დერივაციული აფიქსი 'უკვე', რომელიც დაერთვის ძირითად ლექსიკურ ნაწილს. მაგ., *გატეხილი* = *გატეხვა+უკვე*, *შეღებილი* = *შეღებვა+უკვე*, *გაყვითლებული* = *გაყვითლება//ყვითელი +უკვე* და ა.შ. თავისთავად, ეს ძალიან საინტერესო საკითხია, რადგანაც ამდაგვარი ფორმები (როდესაც ისინი ზმნურ ნაწილს შეიცავენ) ომონიმურია ზმნის პერფექტულ ფორმებთან. *შეღებვა+უკვე* 'შეღებილის' პარალელურად ასევე ნიშნავს ფორმას 'შეღებ(ვ)ა' ფორმის პერფექტულ ვერსიას. ენობრივი ანალიზისას რთულდება კონკრეტული დეფინიცია და ძნელი სათქმელია, ესა თუ ის ფორმა მიმღებთა თუ ზმნის პერფექტული ფორმა. ეს საკითხი


უკავშირდება ამ ზემოთ ხსენებული დერივანტის ('უკვე') ფართო სემანტიკურ ველს, რომლის ძირითადი სემანტიკური არსი არის უკვე მომხდარი, ანუ წარსული დროის მოქმედების გადმოცემა. თავისთავად, წარსული დროის მიმღეობაც არის უკვე ჩადენილი აქტი. მხოლოდ წინადადების სრული კონსტრუქციის ანალიზი იძლევა პასუხს ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ზმნასთან გვაქვს საქმე თუ მიმღეობასთან. ეს გარემოება (სხვა ამდაგვარ მოვლენებთან ერთად) განაპირობებს ჟესტური ენების მორფოლოგიურ თავისებურებებს და კიდევ ერთხელ უსაგმს ხაზს მეტყველების ნაწილების გამიჯვნის პრობლემებს ჟესტურ ენებში. ჩვენ ადრე ვისაუბრეთ იმ სირთულეზე, რაც ზოგადად ახლავს ზმნისა და სახელის გამიჯვნას ჟესტურ ენათა მორფოლოგიებში [6].

სახელთა უარყოფითი ფორმები ძირითადად უქონლობის ფორმებია და ესენი იწარმოება უარყოფითი სუფიქსებით 'გარეშე' და 'ცარიელი':



უგულო – ვისაც გული არა აქვს, გულქვა, გულცივი, უგრძობელი

ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ერთხელიანი, სტატიკური, მითითებითი სიტყვა-ჟესტი „გული“ – ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია სხეულისკენ, ქვევით ჩაწეული შუა თითი ეხება მკერდს; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „სიცარიელე“ / „არა“ – ქვევით მიმართულია ხელისგული გაშლილი და ქვევით მიმართული თითებით, სრულდება განმეორებადი, წრიული მოძრაობა. ჟესტი წარმოდგენილია მკერდის დონეზე.



უნიჭო – ვისაც ნიჭი არა აქვს


ორნაწილიანი ჟესტის პირველი ნაწილია ორხელიანი, სიმეტრიული, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „გარეშე“ – მარცხენა ხელისგული გაშლილი თითებით მიმართულია მარჯვნივ, მარჯვენა ხელისგული იმავე კონფიგურაციით მიმართულია მარცხნივ და წინ, მარჯვენა ხელი ეხება მარცხენა ხელისგულს და ქვევით მოძრაობს რკალური ტრაექტორიით; ჟესტის მეორე ნაწილია ერთხელიანი, დინამიკური სიტყვა-ჟესტი „ნიჭი“ – სხეულისკენ მიმართულია თავთან განთავსებული ხელისგული გაშლილი თითებით, სრულდება განმეორებადი მოძრაობა წინ და უკან, ხელი ეხება თავს. ჟესტი წარმოდგენილია მკერდისა და სახის დონეზე.

ბოლო ორ მაგალითში უარყოფითი მაწარმოებელი პირველ ადგილზეა წარმოდგენილი. ეს გამოწვეულია ენის სტანდარტიზაციის უქნაობის გამო. აღსანიშნავია, რომ ზმნებში გვხვდება უარყოფითი ნაწილაკები ‘არ(ა)’ და ‘ვერ(ა)’, ხოლო სახელებში ზემოთ წარმოდგენილი ნეგაციის დერივაციული აფიქსებით ხდება უარყოფითი ფორმების წარმოება.

რაც შეეხება ზედსართავი სახელის ხარისხის ფორმებს, ქართულ ჟესტურ ენაში არ არის ხარისხის მაწარმოებელი აფიქსები და შესაბამისად, არ გვაქვს ხარისხის მორფოლოგიური კატეგორია, თუმცა, ცხადია ენაში არის წარმოდგენილი ლექსიკური ხარისხი, რასაც აწარმოებს სიტყვა-ჟესტები ‘ოდნავ’ და ‘ძალიან’ [5: 559-560].



ცოტა, ოდნავ



ძალიან

ზემოთ წარმოდგენილი ორი შესტი 'ოდნავ' და 'ძალიან' დაერთვის ზედსართავ სახელს და (მსგავსად ბევრი შესტური და სამეტყველო ენისა) ლექსიკური საშუალებით აწარმოებს ხარისხის ფორმებს. აღსანიშნავია, რომ ზედსართავის ხარისხის წარმოების თვალსაზრისით, ქართული შესტური ენა არ არის რაიმე სახის გამონაკლისი, სამეტყველო ენების დიდ რაოდენობას აქვს ასეთი დეფიციტი და უჭირს ხარისხის დერივაციული მორფოლოგიური კატეგორიის წარმოება. ამიტომ ეს ენებიც, ქართული შესტური ენის მსგავსად, მიმართავენ ლექსიკურ საშუალებებს.

ლიტერატურა:

1. *ემორეი 2003* : Emmorey, K. (Ed.). *Perspectives on classifier constructions in sign languages*. Mahwah: Lawrence Erlbaum Associates.
2. *ემორეი, გრაბოვსკი, მაკულუოუფი, დამასიო, პონტო, ჰიჩვა, ბელუგი 2004* Emmorey, K., Grabowski, T., McCullough, S., Damasio, H., Ponto, L., Hichwa, R., & Bellugi, U. (2004). Motor-iconicity of sign language does not alter the neural systems underlying tool and action naming. *Brain and Language*, 89, 27–37.
3. *თაუბი 2001*: Taub, S. (2001). *Language from the Body: Iconicity and Metaphor in American Sign Language*. Cambridge: Cambridge University Press.
4. *მახაროზლიძე 2015*: ქართული შესტური ენის ლექსიკონი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-16-225-5 1368 გვ
5. *მახაროზლიძე 2012*: ქართული შესტური ენა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. USIAD, Save The Children International. თბილისი 610-გვ.
6. *მახაროზლიძე 2019*: ქართული შესტური ენის ზმნის მორფოლოგია. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი. თბილისი. ISBN 978-9941-18-331-7. 248გვ.
7. *მახაროზლიძე 2009*: ლინგვისტური წერილები - I. საქართველოს საპატრიარქოს წმ. ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი. თბილისი. ISBN 978-9941-404-50-4 173 გვ.
8. *მახაროზლიძე 2022*: ქართული შესტური ენის წარმოშობის შესახებ, ჟურნალი „ენა და კულტურა # 28, ქუთაისი, 2022, გვ. 43-47
9. *მეირი 2010* : Meir, I. (2010). Iconicity and metaphor: Constraints on metaphoric extension of iconic forms. *Language*, 86. 865–986.
10. *პერნისი, ლუ, მორგანი, ვიგლიოკო 2019* : Perniss, P., Lu, J. C., Morgan, G., & Vigliocco, G. (2017). Mapping language to the world: The role of iconicity in the sign language input. *Developmental Science*, 21(2), e12551.

Tamar Makharoblidze

Ilia State University

Expressive forms of quality in Georgian Sign Language (GESL)¹

In general, adjectives and adverbs have the ability to convey a quality. Georgian sign language (GESL) is not distinguished by a particularly large abundance of adjectives; however, it is clear that there are basic adjectives in this language, in the analysis of which it is important to understand the class-category. Actually, it should be said that this category is active with adjectives in almost all sign languages of the world.

The past tense participles are the most common forms to convey the quality of nouns along with adjectives. The derivational affix '*already*' is presented in these participles, which usually follows the main lexical part of a sign. Such forms are homonymous with the perfect forms of the verb. In linguistic analysis, a concrete definition becomes difficult and it is not easy to say whether this or that form is the participle or the perfect form of the verb. This issue is related to the wide semantic field of the above-mentioned derivative ('*already*'), the main semantic essence of which is to convey an action that has already happened, that is, in the past. Past tense participles refer to an action that has already been done, and have the same semantic content of perfect action. Only the analysis of the complete construction of the sentence gives an answer in all specific cases whether we are dealing with a verb or a participle. This circumstance (along with other such phenomena) determines the morphological features of sign languages and once again emphasizes the problems of identifying parts of speech in these languages.

This paper also presents the quality-negation system and examples.

რეცენზენტი: პროფესორი ნაზია ჟანპეისოვა

¹ This work was supported by Shota Rustaveli National Scientific Foundation of Georgia (SRNSFN) 0FR-22-254. The Georgian Sign language nominal morphology

კორონავირუსის მულტიმოდალური ანალიზის შესახებ

რამაზ სვანიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: ,ramaz.svanidze@atsu.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac>

კორონავირუსმა მთელი მსოფლიოს ქვეყნები დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. ამ პერიოდს არაერთი საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის, ენათმეცნიერულიც. ნაშრომები თემატური მრავალფეროვნებით გამოირჩევა. საშინელი ტრაგედიის მიუხედავად კორონავირუსთან დაკავშირებით ბევრი ხუმრობა გავრცელდა როგორც გერმანულენოვან, ასევე ქართულენოვან მედიასივრცეში. თუმცა, აღნიშნული სტატიის ფარგლებში შემოვიფარგლებით ქართული იუმორის ნიმუშებით. იუმორი თერაპიისა და პრობლემური სიტუაციის დაძლევის კარგი საშუალებაა, რასაც რეციპიენტთა მიერ გაკეთებული კომენტარებიც მოწმობს. ამავდროულად ხუმრობები დიდი კრეატიულობით გამოირჩევა სხვადასხვა დონეზე. შემოქმედებითი მიდგომა მკითხველსაც და მსმენელსაც ესაჭიროება, რათა ამოიცნოს იმპლიციტური შინაარსი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იუმორი პანდემიის დროს მულტიმოდალური თვალსაზრისით დღემდის ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. სტატიაში გაანალიზებულია, რომელი საშუალებებით მიიღწევა ქვეტექსტური კავშირები და კვანძის გახსნა. კვლევის საგანია ვერბალურ და არავერბალურ კომპონენტთა ურთიერთშემოქმედება, ნაცნობი ინფორმაციის ახალ კონტექსტში გადატანა, რეფერენციალური ოპოზიციები, ინტერტექსტუალური მიმართებები. საინტერესოა ასევე, რა ხერხებს მიმართავენ ხუმრობათა ავტორები ლექსიკური თვალსაზრისით იუმორის ეფექტის გასაძლიერებლად, რა ნიშნითაა ეს სიტყვები მარკირებული, გვხვდება თუ არა ინგლისურენოვანი ფრაზები და რა ფუნქციური დატვითვა გააჩნიათ მათ, როგორ ახდენენ ადრესანტები უარყოფითი გამოცდილებისგან დისტანცირებას. თვისობრივი ანალიზის საშუალებით გამოვლინდა, რომელ მულტიმოდალურ საშუალებებს ანიჭებენ ავტორები უპირატესობას ხუმრობებში.

საკვანძო სიტყვები: ხუმრობა, ქართული იუმორი.

კორონავირუსმა მთელი მსოფლიოს ქვეყნები დიდი გამოწვევების წინაშე დააყენა და უამრავი ადამიანი იმსხვერპლა. ამ პერიოდს არაერთი გამოკვლევა მიეძღვნა, მათ შორის, ენათმეცნიერულიც. პანდემიასთან დაკავშირებული ნაშრომები თემატური მრავალფეროვნებით

გამორჩევა: მაგალითად, ჰაბშიდმა და ფრიდმანმა გაანალიზეს მერების კრიზისული კომუნიკაცია [Habscheid/Vogel 2021]. კოხმა და ტიორლემ შეისწავლეს ანგარიშები ინტერკულტურულ ჭრილში [Koch/Thörle 2021]. შპისი დაინტერესდა პოლიტიკური კომუნიკაციის საკითხით. [Spieß 2021]. პირადად ვიკვლიე გერმანულენოვან დისკურსში კორონავირუსის პანდემიის მარკერები ლექსიკოგრაფიული და კორპუსლინგვისტური მეთოდების საშუალებით [Svanidze 2021]. გუემ განიხილა შვეიცარიის ფედერალური საბჭოს პრესკონფერენციები და დაასკვნა, რომ იუმორს სხვადასხვა ფაქტორი განაპირობებს [Guhe 2023: 84-85]:

Die humoristischen Momente in den Medienkonferenzen zeigen, dass die Kontrastierung zwischen der Form und den Inhalten, die absurden Themen [...] die humoristische Situationen erzeugen. Diese werden in den unterschiedlichen Beispielen auch durch Lachpartikeln von den Sprecher:innen und/oder dem Publikum initiiert und/oder unterstützt. Auffällig bei der Untersuchung der Konferenzen ist außerdem, dass das Humoristische punktuell, intentional und in der Interaktion mit den Journalist:innen entsteht. Nichtsdestotrotz erzeugen Politiker:innen ebenfalls humoristische Momente, bspw. durch die Thematisierung von Absurditäten. Zusätzlich entsteht, ebenfalls auf der thematischen Ebene, Humor durch den Vergleich mit der epidemiologischen Situation in anderen Ländern. Interessant ist zusätzlich, dass sprachliche Modulationen wie Übertreibungen oder Fiktionalisierungen nicht verwendet werden. Sprechaktivitäten wie Necken, Verspotten, Scherzen auf eigene Kosten oder spaßige Provokationen zeigen sich durchaus in meinen Daten und bestätigen das humoristische und scherzhafte Potenzial.

საშინელი ტრაგედიის მიუხედავად კორონავირუსთან დაკავშირებით ბევრი ხუმრობა გავრცელდა როგორც გერმანულენოვან, ასევე ქართულენოვან მედიასივრცეში. თუმცა, აღნიშნული სტატიის ფარგლებში შემოვიფარგლებით ქართული იუმორის ნიმუშებით. როგორც ჩვენთვის ცნობილია, იუმორი პანდემიის დროს მულტიმოდალური თვალსაზრისით დღემდის ნაკლებადაა შესწავლილი ქართულ საენათმეცნიერო ლიტერატურაში. ამ მხრივ, საინტერესოა ლარიბაშვილის სტატია, რომელშიც ის ინგლისურენოვანი ფეისბუკ-პოსტების ლინგვისტურ მახასიათებლებს განიხილავს [ლარიბაშვილი 2020: 84-85]. შეუძლებელია არ დავეთანხმოთ მკვლევრებს, რომ სიცილს აქვს დადებითი ზემოქმედების ძალა [Kotthoff 2011; შავლაძე 2021] ასევე, საყურადღებოა რეციპიენტთა მიერ გაკეთებული კომენტარებიც.

შემდეგში განვიხილავთ ქართული იუმორის ნიმუშებს ფეისბუკიდან, რომლებიც თავმოყრილია ერთ-ერთ ვებგვერდზე:¹ საქართველოში ყველასთვის ცნობილი სტრიქონები „მძულს უგულო სიყვარული, ხვევნა, კოცნა, მტლამა-მტლუმი“ კომბინირებულია შოთა

¹ ხუმრობები ამოღებულია შემდეგი ვებგვერდიდან https://www.kvirispalitra.ge/mozaika/61520-qkoronasi-ra-githkhrath-da-es-khelebis-dabana-qvafsheq-ar-yofila-sashishi-qkorona-margalitebiq-qarthveli-qfeisbukelebisganq.html?all=1&add_new=0&reply=0#comments, მოძიებულია 2023 წლის 26 ივნისს. ენობრივი ნიმუშები კურსივითაა გამოყოფილი.

რუსთაველის პორტრეტთან. პირბადიან პოეტსა და მის სიტყვებს შორის ქვეტექსტური კავშირია გაბმული. ახალ კონტექსტში გადატანით ახალი აზრი იქმნება, რომელიც მიუთითებს სოციალური დისტანციის დაცვისა და პირბადის გამოყენების აუცილებლობაზე. სხვადასხვა ვიზუალური და ვერბალური კომპონენტი ორგანულად ერწყმის ერთმანეთს, რაც რეციპიენტზე ეფექტურ ზემოქმედებას უწყობს ხელს. ერთი და იგივე სახელი მიემართება ორ სხვადასხვა ობიექტს, შავი შოკოლადის ფილა „კორონასა“ და კორონავირუსის ბაქტერიას, რაც რეფერენციალურ ოპოზიციას ქმნის. ვერბალური (*შეკვეთა-ჩამოსვლა*) და ვიზუალური დაპირისპირება კომიკურ ეფექტს აძლიერებს. ქართული ხალხური ანდაზა „ზოგი ჭირი მარგებელია“ დიდი სუპერმარკეტებისა და ავთიჯექების სლოგანადაა გამოცხადებული. 6 წითელი ფერის ძახილის ნიშანი და მწუხარების, სიბრაზისა და მძაფრი გამონათქვამების გამომხატველი სამი ემოტიკონი ხაზს უსვამს ემოციურ დონეზე მდგომარეობის დრამატიზმს. იისფერ ფონზე წარმოდგენილი თავის ქალები სიცოცხლის სასრულობაზე მიანიშნებს და ქვეტექსტის ზემოქმედებას კიდევ უფრო ამძაფრებს. ბარბარიზმი *მარშუტკა*, ჟარგონული ზმნა *ვიჩალიჩო*, *ირანი-ინფექციური* ქმნის იუმორისტულ სემანტიკურ ქარგას. ამ ხუმრობამ 125 ბოროტი გაღიმება დაიმსახურა. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის ჩინეთის შემდგომ კორონავირუსის გავრცელების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ირანის ისლამურ რესპუბლიკაში დაფიქსირდა. საქართველოში კორონავირუსის პირველი შემთხვევაც საქართველოს მოქალაქე მამაკაცს უკავშირდება, რომელიც ქვეყანაში ირანიდან აზერბაიჯანის გავლით შემოვიდა.¹ სოციალური დისტანცირების ეფექტურ საშუალებად მიჩნეულია *ნიორი*. სხვათა სიტყვის ნაწილაკი ო-ს გამოყენებით *მარა ხუთ მეტრზე არავინ მოგეკარებათო* ავტორი მიანიშნებს, რომ აღნიშნული გამოცდილება მესამე პირის ნათქვამს ეყრდნობა. კუთხური სიტყვა *მარა* სასაუბრო მეტყველების მარკერია. კითხვაზე *როგორ მივესალმობთ ამხანაგებს* პასუხი გაცემულია ინტერტექსტუალობის საშუალებით. ბრეჟნევისა და ჰონეკერის ძმური კოცნის საკულტო ფოტო უარყოფილია, ლენინის დისტანციური მისალმება კი - მიღებული. ხუმრობის ინგლისურენოვანი ტექსტი ხაზს უსვამს პრობლემის ზოგადსაკაცობრიო ხასიათს. აქ აღნიშნულია, რომ ფეისბუქის მომხმარებლის, სახელად კორონა, მიერ გაგზავნილია *მეგობრობის შემოთავაზება*. პროფილის ფოტოდ დადებულია კორონავირუსის ბაქტერია, დადასტურების დილაკი კი გამუქებულია. აღნიშნული მარკერები იმპლიციტურად მოიაზრებს, რომ შეტყობინების მიმღები დაინფიცირების საფრთხის წინაშეა. ჟარგონული სიტყვა *ვაფშე* ხაზს უსვამს სიტუაციის სარკაზმულობას, რაც კორონასა და პირად ჰიგიენას შორის აბამს სემანტიკურ კავშირებს: *კორონასი რა ვითხართ და აეს ხელების დაბანა, ვაფშე არა ყოფილა საშიში*. აღნიშნულმა ხუმრობამ 145 მოწონება დაიმსახურა. ხუმრობის *მტერი ალყაშია, კორონა დაგვნებდა* კვანძის გასახსნელად აუცილებელია როგორც ვერბალური, ასევე ვიზუალური კომპონენტების მთლიანობაში განხილვა. მისაღებ ოთახში განთავსებულ

¹ <https://civil.ge/ka/archives/340253>, მოძიებულია 2023 წლის 29 ივნისს.

მაგიდაზე შავი შოკოლადის ფილა „კორონა“ წრეზე შემოწყობილ ნივრის ალყაშია, გვერდით დევს ქართული (Jimsher) და უცხოური (ირლანდიური Tullamore D.E.W.) წარმოშობის ალკოჰოლური სასმელები, ასევე წყალი. იუმორს ამბავებს ისტერიული სიცილის ემოტიკონი, რომელიც იატაკზე გორავს. შემოთავაზებული ტურისტული მოგზაურობის არსი გაუგებარი იქნებოდა, რომ არ იყოს კონტექსტი გათვალისწინებული. ნაწილისა და მთელის ორმაგი მიმართებით (Pars pro toto/ Totum pro parte) მიღწეულია იუმორისტული ეფექტი: სინექდოხით გადმოცემულია, რომ იტალიაში მოგზაურობა პირდაპირპროპორციულია ინფექციურ საავადმყოფოში განთავსებასთან. ინგლისურენოვანი ფრაზის სემანტიკა *Buy one, get one free!* ფარდას ხდის თითქოსდა მომხიბვლელი შემოთავაზების შეფარულ სემანტიკურ დატვირთვას და რეციპიენტზე ზეგავლენის ძალას უფრო მეტად აძლიერებს. ამ ხუმრობამ 174 მოწონება დაიმსახურა, რითაც აღნიშნული გვერდის რეკორდი დაამყარა. ვერბალური ფრაზის *როცა გაიგე [sic!] რომ კორონავირუსი ბავშვებს არ ემართება* კვანძის გახსნა გადმოცემულია ფოტოთი, რომელიც აღებულია მხატვრული ფილმიდან „პატარა კაცი“ („Little Man“). აქ ნაჩვენებია ბავშვის ტანსაცმელში გამოწყობილი ერთ-ერთი მთავარი გმირი, რაც ნათელს ჰფენს არავერბალურ სიმბოლურ პასუხს. ტაქსის მძღოლი ქართული იუმორისტული დისკურსის საყვარელი პერსონაჟია. ამჯერად ის მგზავრს შემდეგი არჩევანის წინაშე აყენებს: *ლარს დაამატებ თუ დავაფცხიკო?* სიტუაციის დრამატულობიდან გამომდინარე პასუხი ადვილად ამოსაცნობია. რთულ მდგომარეობაზე მიუთითებს ისიც, რომ *სარვამართოდ* ყველაზე სანუკვარ *საჩუქრად პირბადეა* მიჩნეული. კითხვის *ინფექციურთან ბინების ფასი უკვე დაეცა?* ქვეტექსტი მიანიშნებს პანდემიის ზეგავლენას უძრავი ქონების მდგომარეობაზე. თელავისა და გურჯაანის სახუმარო ურთიერთობა გადმოცემულია *საზღვრის ჩაკეტვით*, რაც პანდემიური სიტუაციითა განპირობებული. თეთრი შრიფტით წითელ ფონზე დატანილი ვერბალური ტექსტი, ასევე ძახილის ნიშანი ქვეტექსტურად ხაზს უსვამს პაექრობას. ხუმრობა ეკუთვნის ანონიმურ ავტორს *მე [გული] თელავი*. მომხმარებლის სტატუსის *სუ [sic!] თელავია [sic!] ძმაო [sic!]* ლექსიკური სტრუქტურა მიუთითებს თელავის დომინანტურ როლზე. ფარმაცევტის დახმარება ამ ძნელბედობის ჟამს ყველასთვის აუცილებელია: აღნიშნულ ვერბალურ ტექსტს *ფარმაცევტს ამდენი ნათესავი ჯერ არ ყოლია...* მოსდევს ხუთი პირბადიანი ემოტიკონი. ამ ხუმრობამ 56 მოწონება დაიმსახურა. ადრესანტს მიაჩნია, რომ პრობლემის ახლებური სახელდებით, კერძოდ, თარგმანით *გვირგვინ-სახადი* შესაძლებელია კორონავირუსის დაძლევა. კითხვითი წინადადება ამ იმედს ერთგვარ ჩრდილს აყენებს. უნდა აღინიშნოს, რომ კომენტარებში დადებითი ემოციებია დაფიქსირებული.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ იუმორი თერაპიისა და პრობლემური სიტუაციის დაძლევის კარგი საშუალებაა, რასაც რეციპიენტთა მიერ გაკეთებული კომენტარებიც მოწმობს. ამავდროულად ხუმრობები დიდი კრეატიულობით გამოირჩევა სხვადასხვა დონეზე. შემოქმედებითი მიდგომა მკითხველსაც და მსმენელსაც ესაჭიროება, რათა ამოიცნოს

იმპლიციტური შინაარსი. სტატიაში გაანალიზებულია, რომელი საშუალებებით მიიღწევა ქვეტექსტური კავშირები და კვანძის გახსნა. კვლევის საგანს წარმოადგენდა ვერბალურ და არავერბალურ კომპონენტთა ურთიერთზემოქმედება, ნაცნობი ინფორმაციის ახალ კონტექსტში გადატანა, რეფერენციალური ოპოზიციები, ინტერტექსტუალური მიმართებები. განხილული იყო ასევე, რა ხერხებს მიმართავენ ხუმრობათა ავტორები ლექსიკური თვალსაზრისით იუმორის ეფექტის გასამდიერებლად, რა ნიშნითაა ეს სიტყვები მარკირებული, გვხვდება თუ არა ინგლისურენოვანი ფრაზები და რა ფუნქციური დატვითვა გააჩნიათ მათ, როგორ ახდენენ ადრესანტები უარყოფითი გამოცდილებისგან დისტანცირებას. თვისებრივი ანალიზის საშუალებით გამოვლინდა, რომელ მულტიმოდალურ საშუალებებს ანიჭებენ ავტორები უპირატესობას ხუმრობებში. სამომავლოდ საინტერესო იქნება აღნიშნული საკითხის ინტერკულტურულ ჭრილში გაანალიზება.

ლიტერატურა:

1. დარიბაშვილი, მანანა: სოციალური იუმორის ლინგვისტური გააზრებისათვის. იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო შრომების კრებული. თბილისი: უნივერსალი, 2020. გვ. 80-86.
2. არჩვაძე ეკატერინე: ქვეტექსტი, როგორც მეტყველი სუბიექტის მიზანდასახულობის გამოხატვის საშუალება, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, 2020, #24, გვ.15-23.
3. სვანიძე რამაზ: სატელევიზიო ტექსტის სახეობის კონტრასტული ანალიზის შესახებ, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, 2021, #25, გვ.57-60.
4. შავლაძე, თეა: კორონა ვირუსის თემაზე შექმნილი მოკლე ხუმრობები და კორონა მიმები - კორონა ვირუსი და იუმორი. 2021. <https://www.bsu.edu.ge/sub-56/page/14932/index.html>, მოძიებულია 2023 წლის 12 ოქტომბერს.
5. Guhe, Sabrina: So witzig wie möglich, so ernst wie nötig: Humor in den Medienkonferenzen des Schweizer Bundesrates im Jahr 2020. In: Linguistik Online 120/2, 2023. S. 65-87.
6. Habscheid, Stephan; Vogel, Friedemann: Eine Krise in der Krise: Corona-Krisenkommunikation von Bürgermeister*innen in Deutschland. In: Zeitschrift für Literaturwissenschaft und Linguistik 51/3, 2021. S. 505-528.
7. Koch, Christian; Thörle, Britta: Vermessung und Vermittlung der Krise in den frühen Lageberichten zur Corona-Pandemie: ein deutsch-französischer Vergleich. In: Zeitschrift für Literaturwissenschaft und Linguistik 51/3, 2021. S. 529-559.
8. Kotthoff, Helga: Alles nur ein Scherz? Über humoristische Diskriminierung. In: Der Deutschunterricht 6, 2011. S. 74-85.

9. Spieß, Constanze: „Dieser Fehler ist einzig und allein mein Fehler“ – Politische Kommunikation im Zeichen der Corona-Pandemie. In: Zeitschrift für Literaturwissenschaft und Linguistik 51/3, 2021. S. 451-475.
10. Svanidze, Ramaz: Zur lexikografischen und korpuslinguistischen Analyse der Corona-Pandemie. In: N. Kakauridse, M. Bornmann (Hrsg.): „Goethe Tage 2021“. Kutaissi. Band 14. Kutaissi: ATSU, 2021. S. 174-183.

Ramaz Svanidze

Akaki Tsereteli State University

On the multimodal analysis of corona humor

Abstract

Due to the coronavirus countries in all over the world faced great challenges. Moreover, it led to huge death toll. A number of interesting studies, including linguistic ones, were devoted to this period. The works are distinguished by thematic diversity. Despite the terrible tragedy, many jokes related to the coronavirus spread both in the German and Georgian media. However, within the mentioned article, we will limit ourselves to samples of Georgian humor. Humor is a good way of therapy and overcoming a problematic situation, as evidenced by the comments made by the recipients. At the same time, the jokes are very creative on different levels. A creative approach is required for both readers and listeners to recognize implicit content. As we know, humor during the pandemic from a multimodal point of view is still little studied in the Georgian linguistic literature. The article analyzes the means by which subtext connections and node opening are achieved. The subject of research is the interaction of verbal and non-verbal components, the transfer of familiar information to a new context, referential oppositions, intertextual relations. It is also interesting to see what methods the authors of jokes use to enhance the effect of humor from a lexical point of view, what signs these words are marked with, whether English phrases are found and what function they have, how addressees distance themselves from negative experiences. Qualitative analysis revealed which multimodal means authors prefer in jokes.

რეცენზენტი: პროფესორი მანანა ღარიბაშვილი

წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირების სინტაქსური საშუალებები პოლიტიკურ დისკურსში

ნინო ფხაკაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nino.pkhakadze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac>

სოციუმი და ენა ურთიერთდაკავშირებული ცნებებია. ენის საზოგადოებრივი დანიშნულება სოციუმის წევრთა შორის აზრთა ურთიერთგაცვლის საჭიროებამ განსაზღვრა. კომუნიკაცია ორმხრივია და თავისთავად გულისხმობს საკომუნიკაციო ინსტრუმენტის იმგვარ მოდელირებას, რომელიც კომუნიკაციის შინაარსს გახდის გასაგებს. ინფორმაცია გარესამყაროს საგნებისა და მოვლენების, მათი ურთიერთკავშირების შესახებ მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. მათი ლინგვისტური გარდაქმნა არის არა ქაოსური, არამედ მოწესრიგებული. ინფორმაციის ლინგვისტური გარდასახვა ენის მეშვეობით არის შესაძლებელი. ენა მამოდელირებელი სისტემაა.

საკვანძო სიტყვები: ინფორმაციის ლინგვისტური გარდასახვა, ენა, მამოდელირებელი სისტემა.

ინფორმაციის რეალიზების ენობრივი დიაპაზონი ფართოა. წინადადება ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანი სტრუქტურული ერთეულია. ეს მნიშვნელობა იზრდება ტექსტის ფარგლებში, რადგან ეს უკანასკნელი ენობრივი სეგმენტების მიმართებებს საერთო შინაარსობრივ-სტრუქტურულ ჩარჩოში წარმოაჩენს.

სამეცნიერო ხედვა ლინგვისტური ანალიზის ფუნქციური პარადიგმით წარმართვის შესახებ ენათმეცნიერული აზროვნების განვითარების წინაპირობად იქცა. ცნობილია, რომ სტრუქტურალისტური მიდგომით წინადადება ლინგვისტური ანალიზის უმაღლეს დონედ განიხილებოდა. სტრუქტურული ლინგვისტიკა (ამერიკული დესკრიპტივიზმი - ე. სეპირი, ლ. ბლუმფილდი; დანიური გლოსემატიკა - ლ. იელმსლევ; პრალის ლინგვისტური წრე - რ. იაკობსონი) იკვლევდა სისტემას - ენობრივ ელემენტებს (ფონემები, მორფემები, სიტყვები, წინადადებები), რის საფუძველზეც შესაძლებელი ხდებოდა ენის შინაგანი კანონების დადგენა „სტრუქტურული მთლიანობის“ მიხედვით. ფუნქციურმა ლინგვისტიკამ შეცვალა მიდგომა. აქ უპირატესობა მიენიჭა არა სისტემის ელემენტების შესწავლას, არამედ ენობრივი ერთეულის როლის ანალიზს. ამგვარი მიდგომა თავდაპირველად წინადადების ფარგლებში გამოიკვეთა,

შემდეგ ენობრივი ერთეულების რეალიზების დიაპაზონი გაიზარდა და წინადადების მიღმა - ტექსტის დონეზე - წარმოჩნდა. ასე „დაიბადა“ ბ. პალეკის ჰიპერსინტაქსი, ვან დეიკის მაკროსინტაქსი (1980), ვ. დრესლერის ტექსტის სინტაქსი (1978), რომელთათვისაც ტექსტმა გააერთიანა ენობრივი ერთეულების ფუნქციობა ერთ სტრუქტურულ-შინაარსობრივ მთლიანობაში.

ვერბალიზებული სტრუქტურა სათანადო შინაარსით ქმნის ტექსტის კონცეპტუალურ ჩარჩოს, რომლის ფორმირებაც „გარკვეულ წესებს“ ემორჩილება (Tannen...2015). სინტაქსური მექანიზმი ინფორმაციის სტრუქტურირების საშუალებაა სხვა ენობრივ ერთეულებთან ერთად (van Dijk 2016).

ტექსტები განსხვავებულია ჟანრობრივად, ქრონოლოგიურად, ავტორების მიხედვით. მნიშვნელოვანია დისკურსული განზომილებების ანალიზი. ენის რეალიზება კონტექსტურ გარემოში ენობრივი ინსტრუმენტების მიზნობრიობას გულისხმობს. ისეთი ტექსტები, რომლებიც საზოგადოებაზე ზეგავლენის ფუნქციის მატარებელია, ენობრივი მექანიზმის ანალიზისათვის განსაკუთრებით საინტერესოა. კომუნიკაციის მთავარი ფუნქცია ინფორმაციის გადაცემაა. ინფორმაციის ყველა ელემენტი ერთნაირად ღირებული არ არის. ლინგვისტური მიდგომა ამიტომაც საჭიროებს ენის პრაგმატიკული ასპექტის გათვალისწინებას. პრაგმატიკულად მთავარი ღირებულების მქონე ცენტრალური ელემენტი აქტუალიზდება სხვადასხვა ლინგვისტური ხერხით. აქტუალიზებული ელემენტის ფორმალური მარკირებით ხდება ინფორმაციის მოდელირება.

ამჯერად განვიხილავთ საქართველოს პრეზიდენტთა (ზვიად გამსახურდიას, ედუარდ შევარდნაძის, მიხეილ სააკაშვილის, გიორგი მარგველაშვილის) პოლიტიკურ სიტყვებს, კონკრეტულად იმ მონაკვეთებს, რომლებშიც ლიდერები იყენებენ სხვადასხვა არგუმენტაციულ სტრატეგიას, კერძოდ, აპელირებენ ფასეულობის არგუმენტზე.

ქართველი პრეზიდენტების პოლიტიკური გამოსვლების ანალიზი ფასეულობის სტრატეგიის მიხედვით წარმოაჩენს შემდეგ ფასეულობებს: **დემოკრატია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სახელწიფო, საზოგადოება, ეროვნულობა, კანონი, ეკონომიკა, კონსტიტუცია, მშვიდობა, სტაბილურობა, ინსტიტუტები, შვილები, უსაფრთხოება, სკოლა, წინსვლა, სიახლე, უნიკალურობა, ტოლერანტულობა...**

წინადადების მოდელირებისათვის გამოყენებულია საინფორმაციო სტრუქტურის ორგანიზების სხვადასხვა სინტაქსური საშუალება: ფუნქციონალური აქტუალიზება, სიტყვათა რიგი, ლოკატივები, სინტაქსურად ჭარბი ერთეულები, ე.წ. CLEFT კონსტრუქციები, მეშველზმნიანი კლიტიკური კონსტრუქციები.

ქართულ ენაში აფიქსების სიმრავლე განაპირობებს სიტყვათა რიგის თავისუფლებას (შანიძე 1948; დავითიანი 1973; აფრიდონიძე 1986....), თუმცა ეს თავისუფლება აბსოლუტური არ არის. ზედსართავი - სახელის წინ, ზმნიზედები და დამატებები - სახელზმნის წინ, კითხვითი სიტყვა - ზმნის წინ (აფრიდონიძე 1986) განსაზღვრავენ სიტყვათა არამარკირებულ რიგს ამგვარი სახით:

SOV (უმეტესად სამწერლობო ენაში)/SVO (უმეტესად სამეტყველო სტილში). სხვაგვარი შემთხვევები განიხილება სიტყვათა მარკირებულ რიგად (ასათიანი 2009). ინფორმაციის სასურველი მონაკვეთების ხაზგასასმელად წინადადების საწყისი პოზიცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. პოლიტიკურ დისკურსში გვხვდება ლოკატიური ფრაზების არამარკირებული პოზიციიდან (წინადადების ბოლოდან) მარკირებულ პოზიციაში (წინადადების დასაწყისში) გადანაცვლება.

ზვიად გამსახურდიასთვის პრიორიტეტულია შემდეგი **ფასეულობები: დემოკრატია, თავისუფლება, დამოუკიდებლობა, სახელმწიფო, საზოგადოება, ეროვნულობა** და სხვა. ზვიად გამსახურდიას ნარატივში წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირების პროდუქტიული ხერხია ლოკატიური ფრაზების საწყის პოზიციაზე წარმოდგენა, ისინი ხშირად უსწრებენ სახელს, რომლის ლოკალიზებაც ხდება. ასეთი მარკირებული სიტყვათა რიგი მიზანმიმართულად გამოიყენება და ხაზს უსვამს გადმოსაცემ შინაარსში ადგილის კონცეპტუალურ მნიშვნელობას პოლიტიკური სიტუაციების ანალიზისას: „...საბჭოთა საქართველოში დაიწყო საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟი და **ეროვნულ-სახელმწიფოებრივი** აღმშენებლობის პროცესი“; „...პროსაბჭოური **იმპერიული სინამდვილიდან საქართველო** დაადგა **დემოკრატიული** განვითარების გზას“; „**არჩევისთანავე** ახალი **ხელისუფლება** ურთულესი პრობლემების წინაშე აღმოჩნდა.“

ზვიად გამსახურდიასთან გამოიყენება ასევე მიმართვის ფორმები, როგორც ფილერები : „...ჩვენი ბრძოლა, **ძვირფასო მეგობრებო, საქართველოს დამოუკიდებლობისთვის, თავისუფლებისთვის** საბოლოო ფაზაში შედის...“. მიმართვის ფორმა ტოპიკის მომდევნო პოზიციაში საერთოობის განცდას ზრდის და ფილერის პრაგმატიკულ ფუნქციას წარმოაჩენს.

ედუარდ შევარდნაძისთვის აქტუალური ფასეულობებია: **სახელმწიფო, დამოუკიდებლობა, საზოგადოება, კანონი, დემოკრატია, ეკონომიკა, უმუშევრობა, კონსტიტუცია** და სხვა. იგი ძველი და ახალი რეალობის დაპირისპირებით ცდილობს შთაბეჭდილების მოხდენას. კონტრასტის შესაქმნელად გამოყენებულია სინონიმური ზმნები მტკიცებით და უარყოფით ფორმაში პარალელურ წინადადებებში. მაგ., „სამი წლის წინათ, პრაქტიკულად, ლეგიტიმური **ხელისუფლება არც გვექონდა. გვექონდა სახელმწიფო საბჭო**, მაგრამ **სახელმწიფო არ გაგვაჩნდა.** დღეს **სახელმწიფო**, ასე თუ ისე, **გვაქვს.** მართალია, ის სრულყოფას მოითხოვს, მაგრამ ლეგიტიმური **ხელისუფლება** და **სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფო** ფაქტობრივად **არსებობს.**“

დაპირისპირებულ მონაცემთა შედარების გასამმაფრებლად აქაც გამოყენებულია სიტყვათა მარკირებული რიგი, გვხვდება გარემოებითი სიტყვები საწყის პოზიციაში, მათი მიმართება ანტონიმურია: „...**სამი წლის წინათ** ჩვენ გვექონდა მხოლოდ **კანონი** ხელისუფლების შესახებ. **დღეს** გვაქვს **დემოკრატიული კონსტიტუცია**, რომელიც მსოფლიო კონსტიტუციონალიზმის თანამედროვე მიღწევების დონეზეა შექმნილი“; „...**სამი წლის წინათ** საერთოდ არ ფუნქციონირებდა საქართველოს **მოშლილი ეკონომიკა**“; „...**სამი წლის წინათ** მძვინვარებდა

სამოქალაქო ომი, **საზოგადოება** დახლეჩილი იყო მტრულ ბანაკებად. *დღეს მშვიდობა, სტაბილურობა* ქვეყნის აღმშენებლობის განმსაზღვრელი ფაქტორი გახდა“.

მიხეილ სააკაშვილთან აქტუალური ფასეულობებია: **სახელმწიფო, სახლი, საზოგადოება, დემოკრატია, ინსტიტუტები, შვილები, უსაფრთხოება, სკოლა, წინსვლა, სიახლე** და ა.შ. მიხეილ სააკაშვილის ნარატივში ფასეულობის სტრატეგიის რეალიზებისთვის გამოყენებულია ფუნქციონალური აქტუალიზების ხერხი. პაციენსი აქტუალიზდება პასიური კონსტრუქციით: „მთლიანად დავუთმოთ გზა **სიახლეს**. ეს ცარიელი *სივრცე უნდა შეივსოს სიახლით*, ახალი მენტალიტეტით, ახალი აზროვნებით, ახალი **სახელმწიფოებრიობის** განცდით“. აქ საყურადღებოა საერთო ფუძის მქონე ლექსიკური ერთეულების (სიახლე, ახალი) რეკურენციაც, რაც პოლიტიკური სიტყვის ზეგავლენის ძალას ზრდის.

მიხეილ სააკაშვილი წინადადების შინაარსობრივ აქცენტს ზოგიერთ შემთხვევაში მორგებულად ქმნის ნეიტრალური, არამარკირებული სიტყვათა რიგით (SOV): „**საზოგადოება ყველაფერს გააკეთებს** გამჭირვალეობის, **თავისუფლების** პირობებში.“

გიორგი მარგველაშვილის პოლიტიკური სიტყვის განსაკუთრებული მახასიათებელია აპელირება ამომრჩევლის (როგორც საერთო ისტორიული და კულტურული გამოცდილების მქონე საზოგადოების) ეროვნულ პროფილზე, ნაციონალური სპეციფიკის აქცენტირებით. კონტექსტური ანტონიმური დაპირისპირება ვერბალიზდება ერთეულებით: „პოლიტიკოსი“ – „ქართველი კაცი“, ნაციონალური სპეციფიკის წარმომჩენია მსაზღვრელი „საკუთარი“, რომლის გამეორებაც განსაკუთრებული ლინგვისტური საშუალებაა: „პოლიტიკურმა წყობამ ქართველ ადამიანს უნდა მისცეს **საკუთარი ნიჭის, საკუთარი განსაკუთრებულობის, საკუთარი უნიკალურობის** გამოვლინების შესაძლებლობა და არ შეცვალოს მისი ბუნება.“

გიორგი მარგველაშვილი იყენებს ე.წ. CLEFT კონსტრუქციებს, რომლის პირველი კომპონენტი ყოფნა მეშველზმნიანი ფორმით არის წარმოდგენილი, აქ მთავარი წინადადების ნაცვალსახელი ზმნის კლიტიკასთან ერთად ქმნის შედგენილ შემასმენელს, ხოლო მეორე კომპონენტი, დაქვემდებარებული წინადადება არის კომენტარი პირველი კომპონენტის ტოპიკურ სახელზე: „*ესაა დემოკრატიული ქვეყანა*, სადაც დაცულია ყველა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, უფლება..“, „*ესაა ქვეყანა*, რომელიც **საიმედო** პარტნიორია მსოფლიოს თანამეგობრობისათვის, სადაც სამოქალაქო **საზოგადოება** ხელისუფლებისაგან დამოუკიდებლად ვითარდება, მაგრამ მუდმივად ქმედითად აკონტროლებს მას...“

ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსურ საშუალებათაგან გიორგი მარგველაშვილთან სინტაქსურად ჭარბი ერთეულების გამოყენების შემთხვევებსაც ვხვდებით. ქართული ზმნის მორფოლოგიური სტრუქტურა სუბიექტსა და ობიექტს მარკირებით ასახავს, რაც გამორიცხავს წინადადებაში პირის ნაცვალსახელთა წარმოდგენის საჭიროებას. თუ პირის ნაცვალსახელები მაინც არის გამოყენებული, ისინი სინტაქსურად ჭარბი ერთეულებია, თუმცა ინფორმაციის სტრუქტურირებაში მათ განსაკუთრებული როლი აქვთ, ისინი სუბიექტისა და ობიექტის ტოპიკალიზებას უზრუნველყოფენ, წარმოაჩენენ შესაბამისი პირის როლს გადმოსაცემ

შინაარსში: „...პირველ რიგში მე მინდა ვთქვა იმის თაობაზე, რომ ქართველი კაცი პოლიტიკოსმა არ უნდა შეცვალოს“. აქ ჭარბია პირველი პირის ნაცვალსახელი. ამ ერთეულით ხდება მე-ს აქცენტირება.

ამდენად, პოლიტიკურ დისკურსში წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირებისათვის გამოყენებულია სხვადასხვა სინტაქსური საშუალება. მათი მეშვეობით უზრუნველყოფილია შინაარსის სოციალური ფუნქციის ვერბალიზება და ინფორმაციის პრაგმატიკული ღირებულების წრმოჩენა.

ლიტერატურა:

1. აფრიდონიძე, შ., 1986. სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში. თბილისი: მეცნიერება.
2. აფრიდონიძე შ. 1986. სიტყვათგანლაგება ახალ ქართულში. თბილისი: მეცნიერება.
3. ასათიანი რ., 2009. ინფორმაციის სტრუქტურირების სინტაქსური მოდელები ქართულში, ინფორმაციის სტრუქტურირების ძირითადი მოდელები ქართველურ ენებში, თბილისი: მაცნე.
4. დავითიანი აკ. 1973. ქართული ენის სინტაქსი. I. მარტივი წინადადება. თბილისი: განათლება.
5. შანიძე აკ. 1973. ქართული ენის გრამატიკის საფუძვლები. თბილისი: თსუ გამომცემლობა.
6. Дресслер В. 1978 . «Синтаксис текста». Новое в зарубежной лингвистике. VIII. М., «Прогресс».
7. van Dijk Teun A. 1980. MACROSTRUCTURES. An Interdisciplinary Study of Global Structures in Discourse, Interaction, and Cognition. LAWRENCE ERLBAUM ASSOCIATES, PUBLISHERS, Hillsdale, New Jersey.
8. van Dijk Teun A. 2016. Sociocognitive Discourse Studies, Chapter to appear in Handbook of Discourse Analysis (to be published by Routledge. John Richardson & John Flowerdew, Eds.).
9. Tannen D., Hamilton H. E., & Schiffrin D. (Eds.). 2015. The handbook of discourse analysis. Malden, MA: John Wiley & Sons, Inc, 2015.

ზვიად გამსახურდია

https://www.youtube.com/watch?v=x_tAIrLH1XM&ab_channel=DanielSavaneli

https://www.youtube.com/watch?v=LOSXbmUyZR0&ab_channel=MananaArchvadze-Gamsakhurdia

https://www.youtube.com/watch?v=wsFFS-u8F60&ab_channel=MananaArchvadze-Gamsakhurdia ედუარდ

შევარდნაძე:

გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“ |N161-162(2078).

მიხეილ სააკაშვილი:

<https://myvideo.ge/v/3131576>

<https://www.youtube.com/watch?v=R92A7LRVf4>

გიორგი მარგველაშვილი

<https://youtube.com/watch?v=ZCLRMu1-7-Q>

<https://www.youtube.com/watch?v=aDQU1UMkDN0>

<https://www.youtube.com/watch?v=X-3Yif2teBQ>

Nino Pkhakadze

Syntactic Means of sNtence Information Structure Formation in Political Discourse

Abstract

Information about objects and events of the outside world, their interrelationships is diverse and multifaceted. Their linguistic transformation is not chaotic but orderly. Linguistic transformation of information is, of course, possible through language. Language is a modeling system.

The difference of languages is related to the world view of the respective language groups, cultural stereotypes, the existence of linguistic mechanisms and the possibilities of their realization.

The linguistic range of information realization is wide. The sentence is an important structural unit in this regard. This value increases within the text, because the latter presents the relations of language segments in a common content-structural framework.

The main function of communication is transfer of information. Not all pieces of information are equally valuable. The central element of main pragmatic value is actualized in various linguistic ways. Information is modeled by formally labeling the actualized element. In order to model a sentence in political discourse, various syntactic means of organizing the information structure are used: functional actualization, word order, locatives, syntactically redundant units, the so-called CLEFT - constructions, clitic constructions with multiple verbs.

Through them, the verbalization of the social function of the content and the presentation of the pragmatic value of the information are ensured.

Key words: Linguistic transformation of information, language, modeling system.

რეგენზენტი: აკადემიკოსი ავთანდილ არაბული

სიღრმისეული კონტამინაცია - პერსონაჟის შინაგანი მეტყველების მხატვრული ტრანსფორმაციის აუცილებელი პირობა¹

მარიამ ჩიქოვანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mai: mariam.chikovani.@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac>

სტატიაში განხილულია სიღრმისეული კონტამინაცია - მოვლენა, რომელიც პერსონაჟის შინაგანი მეტყველების მხატვრული ტრანსფორმაციისას ტექსტის სიღრმისეულ განზომილებებს მოიცავს, ადგილი აქვს ავტორის- მთხრობელის - პერსონაჟის სახეთა პერსპექტივების (პოზიციათა) კონტამინაციას, რაც იწვევს მათი ინდივიდუალური სივრცის და სხვადასხვა სახის ინფორმაციის კონტამინაციას: 1) ფაქტუალური, 2) სუბიექტურ-შემფასებლური, 3) სუპერ-სემანტიკური ინფორმაცია. ტექსტში ინდივიდუალური სივრცეების ურთიერთქმედების ხასიათი განსაზღვრავს ნაწარმოების მხატვრულ სპეციფიკას.

საკვანძო სიტყვები: შინაგანი მეტყველება, კონტამინაცია, პერსპექტივა.

მხატვრულ ნაწარმოებში (ისევე როგორც მეტყველებაში) გამოყოფენ ორ ძირითად მეტყველებით ფენას: 1. მთხრობელისეული ნომინალურ-გამომსახველობითი მეტყველება და 2. სხვათა სიტყვა (პერსონაჟის ან პერსონაჟთა მეტყველება). ორივე სამეტყველო პლანი ხასიათდება ინფორმაციულობით. სხვათა სიტყვაში ინფორმაციის ობიექტად გვევლინება პერსონაჟის გამონათქვამი - არა უშუალოდ მისი გარემომცველი სინამდვილე, არამედ ის, თუ როგორ გადატყდა ეს გარემომცველი სინამდვილე პერსონაჟის ცნობიერებაში: როგორ აღიქვა მან საგანთა და მოვლენათა რეალური ვითარება, რა გრძნობები, აზრები, ასოციაციები გაუჩნდა მასთან მიმართებაში. აქ საქმე გვაქვს ორმაგ (საფეხურებრივ) ასახვასთან: 1. მხატვრული სინამდვილის ასახვა პერსონაჟის ცნობიერებაში, რაც ვერბალიზაციის გზით ფორმდება როგორც შინაგანი ან გარეგანი მეტყველება. 2. ამ შინაგანი ან გარეგანი მეტყველების ასახვა მხატვრულ ტექსტში. პირველი საფეხური შეიძლება მოვიაზროთ, როგორც პირველადი მეტყველების დონე, ხოლო მეორე საფეხური, როგორც ამ დონის "მხატვრული ტრანსფორმაცია".

¹ წაკითხულია მოხსენებად ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდისა და აწსუ-ს ერთობლივ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაზე „ენა და კულტურა“, VIII, 2023.

სხვათა სიტყვა მხატვრულ ტექსტში გადმოიცემა სამი სტრუქტურული ფორმის საშუალებით: პირდაპირი ნათქვამი, ირიბი ნათქვამი და არასაკუთრივ პირდაპირი ნათქვამი. პირდაპირი და ირიბი ნათქვამისაგან განსხვავებით, სხვათა სიტყვის მხატვრული ტრანსფორმაციისას კონტამინაცია

მოიცავს აღნიშნული მოვლენის ყველა ასპექტს: კომუნიკაციურს, სინტაქსურს, მორფოლოგიურს და სტილისტურს. კონტამინაცია აპნ-ისკატეგორიული ხასიათის ნიშანია. მისი კატეგორიული ბუნება დასტურდება ინგლისურსა და ქართულ ენებში, იქ, სადაც სახეზეა ერთი პირის მეტყველების (გარეგანი ან შინაგანი) ან კიდევ მისი თვალსაზრისით, საგანთა და მოვლენათა მისეული ხედვის “გადანერგვა” მეორე პირის მეტყველებაში. “გადანერგვის” შედეგად მიღებულ გამონათქვამში ერთმანეთს შეერწყმის ორი პერსპექტივა (“პირველადი მეტყველების” სუბიექტისა და მთხრობელის პერსპექტივა). მთხრობელის სამეტყველო პლანი არ აღიქმება აბსოლუტურ დომინანტად (როგორც ეს ხდება წმინდა საავტორო თხრობაში) და არც გაბატონებულ, წარმმართველ მოვლენად (როგორც ირიბი მეტყველების დროს). “სხვათა სიტყვა” (პერსონაჟის ფაქტიური მეტყველება, ხილვა, განცდა) ასეთ გამონათქვამში შეიცავს როგორც ავტორის სამეტყველო პლანისადმი დაქვემდებარების მარკერებს, ისე მარკერებს, რომლებიც გამოავლენენ სუბიექტური აზროვნების, მეტყველების, აღქმის, შეგრძნების და სხვ. ინდივიდუალურ ნიშნებს. როცა სხვათა სიტყვის გადმოტანა ხდება ჩვენს მეტყველებაში, ის გარადაუვალად იძენს ტავის თავში ახალ, ჩვენეულ გაგებას და შეფასებას, ანუ ხდება ორხმიანი. განსხვავებული შეიძლება იყოს ამ ორი ხმის ურთიერთმიმართება [მ. ბახტინი 1979].

“She recollected the words of Theodore! The impact of these words whose truth she no longer doubted again alarmed her. Why did he trouble himself to come from the chateau on purpose to hint her danger, if he didn't wish to preserve her... That some evil hovered over her she couldn't disbelieve, but what it might be she was unable to guess. Monseur and Madame La Motte were her friends and who else beyond the reach of her father could injure her? But why did Theodore say she was deceived? She found it impossible to extricate herself from the labyrinth of conjecture, but endeavored to command her anxiety till the following day.”

Ann Redcliffe

ნაწყვეტში მხოლოდ პირველი და ბოლო წინადადება შეიცავს წმინდა საავტორო თხრობას. პირველი წინადადება ჩამბმელი რემარკის როლში გვევლინება და ტრანსფორმირებული გამონათქვამის ნამდვილ სუბიექტზე მიუთითებს She recollected the words of Theodore. მომდევნო წინადადებაში იგრძნობა პერსონაჟის შინაგანი ფიქრის რეპროდუცირება. მთხრობელის ხმა თითქოს მიჩუმდება. პერსონაჟის ხმის ინდივიდუალობის შენარჩუნებას ხელს უწყობს კითხვითი კონსტრუქციების გამოყენება. დანარჩენი წინადადებები შეიცავს ცალკეულ ლექსიკურ ფრაგმენტებს, რომლებშიც იგრძნობა ეჭვით შეპყრობილი გმირის განცდების სუბიექტური შეფასება the impact of these words, what it might be, the labyrinth of conjecture. ამავე წინადადებებში ფიქსირებულია მთხრობელის სამეტყველო პლანიც. სეგმენტში გამოიყოფა გრამატიკული

ნიშნები, რომლებიც მიანიშნებენ პირველადი მეტყველების მთხრობელის სამეტყველო პლანისადმი დაქვემდებარებას. გრამატიკის დონეზე გვაქვს ნაცვალსახელისა და ზმნის მე-3 პირის ტრანსპოზიციური ფორმა, დროის გადაწევა. მთხრობელის პლანი შეიგრძნობა არა მარტო მატერიალურ (ექსპლიციტურ) პლანში, არამედ მას ინფორმაციული და კომუნიკაციური დატვირთვა აქვს. ფაქტუალური ინფორმაციის დონეზე მკითხველი ღებულობს ინფორმაციას პერსონაჟის ცხოვრებაში მოახლოებულ საფრთხეზე, რაც მის შიშსა და გაოცებას იწვევს. ის ცდილობს ამოიცნოს თეოდორის სიტყვების საიდუმლო. აქ ჩნდება პერსონაჟის მეტყველება, რომლის პროცესშიც ხდება რეფერენტული სიტუაციის თავისებური (გრძნობადი) განმარტება. ფორმდება პირველადი მეტყველება. ტექსტის დონეზე პირველადი მეტყველება “გადანერგება” მთხრობელისეულ მეტყველებაში და ადგილი აქვს მეორად ნომინაციას, რომლის მიზანია, აღადგინოს არა მარტო ის, რას ფიქრობდა გმირი, არამედ როგორ თქვა ეს საბოლოოდ. შედეგად იქმნება გმირის სულიერი მდგომარეობის ამსახველი ადეკვატური სურათი - (ინფორმაცია ტექსტის დონეზე).

ამგვარად, ნაწყვეტში შეიმჩნევა სხვადასხვა დონის ინფორმაციისა და სხვადასხვა კომუნიკაციური მიმართულების ”გადაჯაჭვა”. თუ პირველადი ნომინაციის დონეზე იგრძნობა პერსონაჟის (Adeline) მისწრაფება, რომ ახსნას მეორე პერსონაჟის (Theodore) სიტყვების საიდუმლო, მოსალოდნელი საფრთხის მასშტაბები და ხასიათი, მეორადი ნომინაციის დონეზე მხატვრული ტექსტის დონეზე იკვეთება ავტორის მისწრაფება - შექმნას მის მიერ დახატული გმირის (Adeline) გრძნობების უტყუარობის ილუზია.

“დარეჯანი იმედს მაინც არ ჰკარგავდა, იმდენი სხვადასხვა ფერის და სხვადასხვანაირად შელოცვილი ქვები შეიბა და კაბის უბეზეც დაიკერა, რომ მართლა იმედი უნდა ჰქონოდა და ჰქონდა კიდევ. თუ აქამდინ არ ეყოლა, ეს იმიტომ, რომ ლუარსაბმა ხატს დაამუნათა და წააყვედრა - “შორს არისო”, თორემ ეს დამუნათება და წაყვედრება არა ყოფილიყო, ეხლა შვილი ეყოლებოდა დარეჯანს კალთაში. “ **ი. ჭავჭავაძე**

ერთი შეხედვით ეს ტექსტი შეიძლება მთლიანად მოვაქციოთ ავტორისეული მეტყველების ფარგლებში, მაგრამ დაკვირვებული წაკითხვა ცხადყოფს, რომ აქ დომინირებს პერსონაჟის ხმა: ნაწყვეტის აზრი, ლექსიკა დარეჯანის გონებრივი განვითარების დონეს შეესატყვისება - მისი შინაგანი რწმენით არის გამსჭვალული. აქვე რეალიზებულია ავტორისეული სამეტყველო პლანიც (იმავე ენობრივი მასალით, რითაც პერსონაჟისა). პერსონაჟი მსჯელობს სერიოზულად, ავტორი კი დასცინის მის სერიოზულობას და სიბეცეს (ორი პოზიციის სინთეზი) - პერსონაჟის რწმენა და ავტორის ირონია ერთი გამონათქვამის ფარგლებშია მოცემული.

ორივე მაგალითში კონტამინაცია საკომუნიკაციო დონეზე გულისხმობს გამონათქვამის პირველადი სუბიექტისა და მოსაუბრის სამეტყველო პლანთა ურთიერთმედწევადობას.

გრამატიკულ დონეზე კონტამინაცია მოიცავს პირდაპირი და ირიბი ნათქვამის სტრუქტურულ ფორმათა მახასიათებლებს (ხდება ამ ორი ფორმის ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური ნიშნების შერწყმა). სახეზეა როგორც მოსაუბრის სამეტყველო ნაკადისადმი დაქვემდებარების მარკერები (ზმნისა და ნაცვალსახელთა ტრანსფორმაციული ფორმები, დროის გადაწევა), რაც ირიბი ნათქვამის სტრუქტურის არსებით ნიშნთა რიგში დგას, ასევე მეტყველების ინდივიდუალურობის, თვითმყოფადობის მაჩვენებელი მარკერები (პირველადი მეტყველების ლექსიკა, სინტაქსური კონსტრუქციები, ინტონაცია). ჩვენი დაკვირვებით, ეს არის კონტამინაცია სტრუქტურის დონეზე, რომელიც წარმოაჩენს სიღრმისეულ კონტამინაციას - სუბიექტურ-ობიექტურ პლანთა და პერსპექტივათა შერწყმას. იქმნება ერთგვარი პოლიფონია: ყოველი სიტყვა, ყოველი ფრაზა იძენს ახლებურ შეფერილობას, ხდება სამმაგი ინფორმაციის მატარებელი. პირველადი მეტყველების დონეზე იგი შეიცავს ინფორმაციას სინამდვილის ფაქტებისა და მოვლენების შესახებ, ნაწარმოების დონეზე კი გარდაიქმნება ინფორმაციად თვით პერსონაჟის პიროვნების შესახებ. ორივე ერთად გვამღევეს ინფორმაციას ავტორის “პოზიციის” შესახებ.

მაშასადამე, შეიმჩნევა სამი სახის ინფორმაციის კონტამინაცია: 1. ფაქტობრივი, 2. სუბიექტურ-შემფასებლური, 3. სუპერ-სემანტური ინფორმაცია.

ამ მოვლენას ჩვენ ვუწოდებთ სიღრმისეულ კონტამინაციას, კონტამინაციას სტრუქტურის დონეზე კი, შესაბამისად ზედაპირულ კონტამინაციას.

სიღრმისეული კონტამინაცია ახდენს პერსონაჟის როგორც უშუალო სამეტყველო რეაქციების, ისე პერსონაჟის პერცეფციული და ვიზუალური აქტების (ხედვა, აღქმა, ბუნდოვანი განცდა, ასოციაციათა და ხილვათა ფრაგმენტები) რეპრეზენტირებას.

სიღრმისეული კონტამინაცია ამოტივტივდება ტექსტის ზედაპირზე სუბიექტურად შეფერილი ლექსიკის საშუალებით - გამოიყენება ცალკეული სიტყვები და სიტყვათშეთანხმებები, რომელთა აზრობრივი დატვირთვა ღებულობს კონცეპტუალურ მასშტაბებს, რომელიც ხშირად ცნობიერდება მაკრო კონტექსტურ ჭრილში (ზოგჯერ მიკრო კონტექსტშიც):

“Aching, fighting the ache, she struggled up, wrapped about her a shabby cloak, which one of the maids had abandoned in flight, and in the darkness staggered out to find help. As she came to the highway she stumbled and lay under the hedge unmoving like a hurt animal, on hands and knees. She crawled back into the lodge and between times, as her brain went dark, she nearly forgot the pain in her lodging for Martin. She was bewildered. She was lonely. She dared not start on her long journey without his hand to comfort her. She listened to him – listened – tense with listening.” **S. Lewis**

მოცემულ ნაწყვეტში შეიმჩნევა ორი პროცესი: ა) პერსონაჟის შინაგანი განცდების ობიექტიზაცია, ბ) ამ განცდების შესახებ ავტორისეული მონათხრობის სუბიექტიზაცია.

ავტორისეული “სიტყვის” სუბიექტიზაცია მიღწეულია ემოციური სინტაქსის, ემოციურად შეფერილი ლექსიკის გამოყენებით. პირველადი მეტყველების დონეზე პერსონაჟის სულიერი მდგომარეობა ვერბალიზაციას არ ემორჩილება. იგი ერთდროულად, გლობალურად შეიგრძნობს ფიზიკურ ტკივილსა და სულიერ ღელვას, მხოლოდ ცალკეული ფრაგმენტი გაივლის ცნობიერებას *one of the maids; like a hurt animal*.

ნაწყვეტის მეორე ნაწილში უკვე ფიქსირდება შინაგანი მეტყველება. წინადადებები ხასიათდება ერთგვაროვანი სინტაქსური აგებულებითა და ძლიერ საგრძნობი შინაგანი კავშირით, რომელიც იგება კომუნიკაციური პროგრესიის გამჭოლი რემის მოდელით (T1 – R1 T1 – R2 T1 – R3). იგი ქმნის პერსონაჟის შინაგანი განცდების გრადუალური გახსნის, მისი მდგომარეობის და მისწრაფებების გაცნობიერების ეფექტს.

ნაწყვეტში განსაკუთრებული ინფორმაციული დატვირთვით ხასიათდება ფრაზები *like a hurt animal; she dared not start on her long journey*. პირველი ფრაზა ახდენს პერსონაჟის სუბიექტური შეფასების რეალიზაციას თავისი კონკრეტული ფიზიკური მდგომარეობის შესახებ - *Lying under the hedge unmoving* – (პერსონაჟის სუბიექტური პერსპექტივა). იგივე ფრაზა აღიქმება, როგორც პერსონაჟის ცხოვრების ავორისეული შეფასება (ავტორისეული პერსპექტივა). მეორე ფრაზა, თავის მხრივ, წარმოადგენს ევფემურ პერიფრაზას *to start on her long journey = to die*. პერსონაჟის ნააზრევის ასეთი გადმოცემა ხელს უწყობს სიღრმისეული კონტამინაციის გამოვლენას.

“ ბოლოს გამოერკვა ქალი, თავი გაინთავისუფლა. მცირე ხანს გარინდებული იჯდა და დასჩერებოდა ნიადაგს. ლელვის ტოტებს ქარი ატოკებდა ოდნავ. მათი აჩრდილი ფოფინებდა მიწაზე, როგორც ათასი ბანჯგვლიანი თათი რომელიღაც ზღაპრული დათვისა.” **კ. გამსახურდია**

ნაწყვეტში აღწერილია პერსონაჟის კონკრეტული ქმედება მოცემულ სიტუაციაში (1 წინდადება) და ამ ქმედების ფონის აღწერა (მე-2,3 წინდადება). აღწერა ხდება პერსონაჟის პოზიციიდან, ეს არის დეტალის (ლელვის ხე) მისეული ხედვა და განცდა. ამ რაკურსში (მე-2,3) წინდადების ყოველი სიტყვა კონცეპტუალურ მასშტაბებს იძენს. განსაკუთრებული “პოლიინფრმაციულობით” გამოირჩევა დეტალები “ლელვის ტოტების როკვა” და აჩრდილთა ფოფინი”. მათ ზედაპირზე ამოაქვთ ურთიერთმიმართების სიღრმე (ობიექტ-სუბიექტური ურთიერთმიმართება), რომელიც გაიაზრება ორი თვალსაზრისით: ა) პერსონაჟის და მთხრობელის პერსპექტივათა ურთიერთმიმართება, ბ) პერსონაჟის გარე სამყაროსა და შინაგანი სამყაროს პერსპექტივათა ურთიერთმიმართება. წინადადებათა სემანტიკურ ჭრილში ამოტივტივდება რამდენიმე პარალელი, რომელიც ქვეტექსტის დონეზე მოცემულ სიტუაციაში ხატავს პერსონაჟის სულიერ მდგომარეობას (ტოტების ტოკვა - დედისიმედის შემკრთალი სულის ტოკვა, ტოტების აჩრდილთა ფოფინი მიწაზე - შიშის აჩრდილთა ფოფინი დედისიმედის სულში). ნაწყვეტში ასევე ფიქსირებულია ასოციაციური ხილვის ფრაგმენტი, რომელიც წამით გაიელვებს პერსონაჟის ცნობიერებაში (ათასი ბანჯგვლიანი თათი რომელიღაც ზღაპრული დათვისა) და ტექსტში აღიქმება როგორც მიგნებული შედარება, რომელიც პერსონაჟის პოეტური

ხედვის უნარზე მეტყველებს. კონტექსტის დონეზე ხაზს უსვამს მოცემული სიტუაციის უჩვეულობას პერსონაჟისათვის (ასოციაცია: ზღაპრული/უჩვეულო). კონცეპტუალური ინფორმაციის დონეზე ეს არის პერსონაჟის ცხოვრების მეტაფორული გააზრება (ავტორის პერსპექტივა): ბედისწერა-ზღაპრული დათვი - რომელიც ათასი ბანჯგვლიანი თათით ჩასჭიდებია პერსონაჟის არსებობას - ფიზიკურს, სულიერს, სოციალურს - და თავის ნებაზე წარმარავს მას. როგორც ვხედავთ და როგორც ამას ანალიზი ცხადყოფს, მოცემულ ნაწყვეტში კონტამინაცია ღრმა და მასშტაბურია, მაგრამ ზედაპირზე იგი მხოლოდ ლექსიკის დონეზე მჟღავნდება. გრამატიკის დონეზე აქ წმინდა საავტორო თხრობაა - არ შეიმჩნევა ორი სტრუქტურის, პირდაპირი და ირიბი ნათქვამის ინტერფერენცია.

მოყვანილი მაგალითების ანალიზმა გვიჩვენა, რომ სიღრმისეული კონტამინაციის არსებობა ყოველთვის არ გულისხმობს ზედაპირული კონტამინაციის არსებობას. მოცემულ მაგალითებში აშკარაა სიღრმისეული კონტამინაცია - ორი პერსპექტივის, ორი პოზიციის (პერსონაჟისა და მთხრობელის) შერწყმა, რომელსაც მივყავართ სხვადასხვა დონის ინფორმაციის “გადაჯაჭვამდე”. იგი ზედაპირზე ამოტივტივდება მხოლოდ ცალკეული სიტყვებისა და სიტყვათშეთანხმებების საშუალებით. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ სწორედ სიღრმისეული კონტამინაცია - ორი პერსპექტივის, ორი პოზიციის (პერსონაჟისა და მთხრობელის) შერწყმა განაპირობებს ნაწარმოების შინაარსობრივ-კონცეპტუალური ინფორმაციის წვდომას მკითხველის მიერ, ორივე, ინგლისურ და ქართულ ენებში.

ლიტერატურა:

1. ნათაძე მ. (1965): *შექსპირის ხელოვნება*. გამომცემლობა „ლიტერატურა და ხელოვნება“. თბილისი.
2. მეგრელიშვილი მ. 1986: ზმნის ფუნქციურ სემანტიკური კატეგორიები ინგლისურ ენაში. გვ. 119. გამომცემლობა “განათლება”. თბილისი,
3. საყვარელიძე ნ. (1972): მონოლოგურ მეტყველებაში კითხვითი სტრუქტურების ექსპრესიული ხასიათი. “უცხოური ენები სკოლაში”, #3. თბილისი.
4. საყვარელიძე ნ. (1975): მხატვრულად ტრანსფორმირებული შინაგანი მეტყველების ასახვის სტრუქტურულ-კომპოზიციური ფორმები (ინგლისური და ამერიკული ლიტერატურის მასალაზე). საკანდიდატო დისერტაცია (ხელნაწერი). თბილისი.
5. ახვლედიანი ც., ყუფარაძე გ., გაბუნია ქ., პიროვნების მახასიათებელი ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური ასპექტები თანამედროვე ფრანგული და ინგლისური ენების იდიომატურ გამონათქვამებში, მიხედვით, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა: №25, 2021, გვ. 9-16, <https://enadakultura.com>
5. Wierzbicka A. (1974): The Semantics of Direct and Indirect Discourse. Papers in Linguistics. Vol. 7.

6. Андриевская А. А. (1967): Несобственно-прямая речь в худ. прозе Луи Арагона. Гос. Университет им. Т. Г. Шевченко, 170с. Киев.
7. Бахтин М. М. (1979): Проблемы поэтики Достоевского Москва Советская Россия.
8. Виноградов В. В. (1981): О теории художественной речи. Высшая школа. Москва.
9. Гончарова Е. А. (1984): Пути лингвистического выражения категории автор-персонаж в художественном тексте. Изд. Томск. ун-та. 147с. Томск.
10. Полташевская, Е. С. (1969): Особенности употребления видо-временных глагольных форм в несобственно-прямой речи в современном английском языке. Вопросы передачи чужой речи. Львов.

Chikovani Mariam

Akaki Tsereteli State University

Deep contamination – an ideal vehicle for the artistic transformation of character’s inner speech

Abstract

In this article special emphasis is placed on the process of deep contamination as a means of artistic transformation of character’s inner speech in a literary text. Contamination occurs when the narrator’s speech merges with that of a character. Contamination of author-narrator-character perspectives embodies the contamination of their individual spaces and various types of information: 1) factual; 2) subjective-assertive; 3) super semantic information. Consequently, deep contamination determines an extremely true value of a literary text.

რეგენზენტი: პროფესორი მანანა ღარიბაშვილი

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია
Literature and Literary Theory

ჰექსამეტრული სურათ-ხატი ლიტერატურაში
(ინგა ბახტაძის „თვალთა მიღმა“)

გურანდა გობიანი

ქუთაისის უნივერსიტეტი
ელ. ფოსტა :gobianiguranda78@gmail.com
<https://doi.org/10.52340/lac>

სულიერი არისტოკრატიზმი, ლირიკული ნაკადის სიჭარბე, თხრობის მუსიკალურობა, სიტყვაკაზმულობა, ფორმისა და იდეის მაქსიმალური სრულყოფილი თანხვედრა - ასეთი გახლავთ ევროპული ორენტაციის მწერალისა და ხელოვნებათმცოდნის - ინგა ბახტაძის შემოქმედებითი სამყარო, რომელში შეხწევის მოკრძალებულ მცდელობასაც წარმოადგენს წინამდებარე კვლევა. მის ტექსტებში, განსაკუთრებით ესეებსა და ნოველებში, სიტყვა და მუსიკა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ინტონაცია, რიტმულობა, ტემპი, რითმა, დინამიკა, პაუზები - უაღრესად მრავალხმოვანსა და მელოდიურს ხდის მის ღრმააზრობრივ ნარატივს, რომელშიც თანაბრად არის ჩართული მაკრო და მიკროსამყარო, მარადისობა და წარმავლობა, ადამიანური და ღვთაებრივი, ეგო და ალტერ ეგო, რაც მძაფრ ზემოქმედებას ახდენს მკითხველის როგორც გონებაზე, ასევე გრძნობებზე. რიტმული პროზის თვალსაზრისით განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ესე - „თვალთა მიღმა (Ego-სა და alter ego-ს გათამაშება)“, ეს არის ლიტერატურული ნარკვევი, ეტიუდი, „პოეზიაში გადასული ხილული ფილოსოფია“, რომელიც აგებულია ჰექსამეტრული ლექსწყობის მსგავსი სტრუქტურით, რომელსაც ავტორი იყენებს როგორც ერთგვარ ინსტრუმენტს, სურათ-ხატს, იმაგოს გამოსახულების შესაქმნელად.

საკვანძო სიტყვები: ჰექსამეტრული ელემენტები, იმაგო, რიტმული პროზა, პოეტურ-მუსიკალური მედიტაციები, დინამიური ნარატივი, ანტითეზი და ოქსიმორონი.

მწერალი მკითხველზე ზემოქმედებას სწორად შერჩეული თხრობის ტექნიკის საშუალებით აღწევს, რასაც შესანიშნავად ახერხებს კულტუროლოგი, ხელოვნებათმცოდნე, მუსიკათმცოდნე, ისტორიკოსი, პედაგოგი და მწერალი ინგა ბახტაძე. მისი ტექნიკა, უპირველესად, პროზისა და პოეზიის სინთეზის მრავალფეროვან ვარიაციებს გულისხმობს, სადაც ღრმა ფილოსოფიურ-ზეაზრობრივი საკითხები პოეტურ-მუსიკალური მედიტაციების

გზით ესთეტიკურ ღირებულებას იძენენ. სულიერი არისტოკრატიზმი, ლირიკული ნაკადის სიჭარბე, თხრობის მუსიკალურობა, სიტყვაკაზმულობა, ფორმისა და იდეის მაქსიმალური სრულყოფილი თანხვედრა - ასეთი გახლავთ ევროპული ორენტაციის მწერლისა და ხელოვნებათმცოდნის შემოქმედებითი სამყარო. როგორც პროფესორი დალი ბახტაძე აღნიშნავს, მის შრომებს აქვთ: „გამორჩეული შინაარსი, აზრის გადმოცემის დიდი სიღმისეული დიაპაზონი, დამაჯერებელი, უაღრესად დამარწმუნებელი, თითქოსდა უმნიშვნელო, მაგრამ მეტად საჭირო დეტალებით გაჯერებული ფორმა”, რომელიც ცოცხალ სიტყვად, ნათელ და გამომეტყველ აზრად იქცევა [ბახტაძე დ, 2023:11]. ინგა ბახტაძის ტექსტებში, განსაკუთრებით ესეებსა და ნოველებში, სიტყვა და მუსიკა ჰარმონიულად ერწყმის ერთმანეთს, ინტონაცია, რიტმულობა, ტემპი, რითმა, დინამიკა, პაუზები - უაღრესად მრავალხმოვანს და მელოდიურს ხდის მის ღრმააზრობრივ ნარატივს. პერსონაჟები მკითხველთან ერთად მიიკვლევენ გზას იდუმალი სამყაროს ლაბირინთებში ეგზისტენციალურ კითხვებზე პასუხების მოსაძიებლად.

მუსიკის ძლიერი შემოჭრა შემოქმედებით პროცესებში, განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა XX საუკუნის დასაწყისიდან. „შემოქმედებმა განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ირაციონალურს, არაცნობიერს, ტრანსცენდენტალურს, მეტაფიზიკურს ...ქართულ პროზაში მომრავლდა ექსპერიმენტები, რომლებიც პროზისა და პოეზიის „შეჯვარებას“ ისახავდა მიზნად“ [ჯალიაშვილი მ, 2020]. ასეთი „შეჯვარებები“ საკმაოდ ხშირია ი.ბახტაძის მხატვრულ ტექსტებში. რიტმული პროზის თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს ესე - „თვალთა მიღმა (Ego-სა და alter ego-გათამაშება)“, „მეს“ და „ხანდაზმული მეს“, ცხოვრებისეული სიბრძნისა და ახალგაზრდული სიახლის „გათამაშება“. ესე შესულია ავტორის ნოველებისა და ესეების უახლეს კრებულში „თალხი პერანგი“ (თბილისი, 2023). ეს არის ლიტერატურული ნარკვევი, ეტიუდი, „პოეზიაში გადასული ხილული ფილოსოფია“ [დ. ბახტაძე], რომელიც აგებულია ჰექსამეტრული ლექსთწყობის მსგავსი სტრუქტურით.

ქართული მარცვალდამთვლელი ენაა, „ლექსთწყობის რეგულირებული სილაბიზმის ენა“ [აკ. ურუშაძე], ამდენად კლასიკური გაგებით ჰექსამეტრის, როგორც ლექსის მეტრული და რიტმული ფორმის გამოყენება ქართულისთვის უცხოა. მიუხედავად იმისა, რომ ძველი ქართული მწერლობის ძეგლებში („ახალი აღთქმის“ წიგნებში, „პროკოპის მარტილობაში“, არეოპაგიტული ტრაქტატის სქოლიონის თარგმანსა და „ელინთა ზღაპრებში“) დღემდე მიგნებულია ანტიკური ეპოქის თხზულებებიდან მომდინარე ხუთი ჰექსამეტრული კარედის თარგმანები, ამათ დაემატა აკ. ურუშაძის მიერ მიგნებული ხუთი ჰეგზამეტრული კარედის თარგმანები, დარგის სპეციალისტებს ნათარგმნ კარედებზე დაკვირვება არწმუნებთ, რომ ძველ ქართველ მთარგმნელებს კარგად ჰქონდათ შეგნებული ერთი ენის ლექსთწყობის პირდაპირი გადმოღების შეუძლებლობა სხვა სისტემის ენის ვერსიფიკაციით, ამიტომ საჭირო იყო შესაბამისი ქართული საზომების შერჩევა. როგორც ლიტერატურათმცოდნე აკაკი ურუშაძე აღნიშნავს: „ეტყობა, ქართულმა ლექსმა, რომლის საფუძველიც რეგულირებული სილაბიზმია, ვერა და ვერ შეიგუა მისთვის უცხო კლასიკური მეტრული საზომები“ [ურუშაძე აკ, 1980:5].

ჰექსამეტრი უძველესი დროიდან ცნობილი ლექსის ფორმაა, ძველ ბერძნულ ლექსთწყობაში - ექვსმუხლიანი დაქტილური ტაეპი, რომელიც ყველაზე გავრცელებული მეტრი იყო კლასიკურ პოეზიაში. სწორედ ამ საზომითაა დაწერილი ჰომეროსის „ოდისეა“ და „ილიადა“, ამიტომ მას ეპიკურ და გმირულ ლექსსაც უწოდებენ. არსებობს რამდენიმე ვარაუდი მის წარმოშობაზე. მითებით, ლექსის ეს ფორმა შექმნა ძველმა ბერძენმა ღმერთმა აპოლონმა, სინათლისა და ხელოვნების ღვთაებამ და დედამიწაზე გაავრცელა ღმერთი ფემონოეს ქალიშვილმა, დელფურმა პიტია. მითიური წარმომავლობიდან გამომდინარე, გასაკვირი არ არის, რომ თავდა-პირველად ჰექსამეტრი გამოიყენებოდა მხოლოდ წმინდა ტექსტებში, ხოლო მოგვიანებით, ის გადავიდა გმირულ პოეზიასა და ლექსების სხვა ტიპებში. რაც შეეხება რომაულ პოეზიას, იქ ჰექსამეტრი პირველად კვინტუს ენიუსმა [დ. ძვ. წ. 239 - გ. ძვ. წ. 169] შემოიტანა.

ზოგადად, თავისი ბუნებით, ეს პოეტური ფორმა შესაფერისია ისეთი ენებისთვის, როგორცაა ლათინური და ძველი ბერძნული, სადაც ხმოვანთა სიგრძეს ფონოლოგიური მნიშვნელობა აქვს. ინდოევროპული ენები მახვილმთვლელი ენებია, ყოველ ანბანურ ენას განასხვავებს მახვილი. ასეთ ენებში უმახვილო მარცვალი ცვალებადია, რაც ქართულისათვის არ არის დამახასიათებელი, რადგან ქართული ლექსი იზომება არა მახვილიანი გრძელი და მოკლე ხმოვნებით და უმახვილო მარცვალში ხმოვანთა გარდასახვით, არამედ მარცვალთა თანაბარი რაოდენობით და მარცვლის სრულყოფილი წაკითხვით, რაც ნიშნავს, რომ ყოველი ბგერა სიტყვაში სრულად წარმოითქმის, არ ხდება გარდასახვები. მახვილი არსებობს ენაში, მაგრამ არა დინამიური, არამედ შედარებით სუსტი, მას აქცენტი (AKZENT) ცვლის, ანუ ხმის ტონალობით (აღმავალი, დაღმავალი, მელოდიური) ხდება შინაარსობრივად და აზრობრივად მნიშველოვანის აღნიშვნა და გამოკვეთა.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ხალხს რიტმის თავისებური შეგრძნება აქვს, რაც გამოვლინებას პოულობს შემოქმედების თითქმის ყველა სფეროში: ენაში, მუსიკაში, ქორეოგრაფიაში, ლიტერატურაში. მაგალითად, დაქტილური ჰექსამეტრის წარმოშობის ისტორია პანტელეიმონ ბერადემ ქართული ცეკვისა და სიმღერის რიტმსაც კი დაუკავშირა, რითაც ქართული ლექსის ბერძნულთან მჭიდრო კავშირზე მიანიშნა. ტემპერამენტი, კეთილხმოვანება, მუსიკალურობა, ინტონაციურობა ძალიან მკვეთრად და ძალუმად იკვეთება ინგა ბახტაძის ღრმააზრობრივ შემოქმედებით ნაკადში, განსაკუთრებით მის ფილოსოფიურ ესეში - „თვალთა მიღმა (Ego-სა და alter ego -ს გათამაშება)“, რომელიც დაწერილია, სწორედ, დაქტილური ჰექსამეტრული ლექსწყობის მსგავსი სტრუქტურით. ბუნებრივია, ეს საზომი კლასიკური ფრომით არ არის გამოყენებული. ბახტაძეს ინდოევროპული ჰექსამეტრის მხოლოდ ელემენტები აქვს აღებული და შერწყმული ქართულთან, რითაც აღწევს შესაშურ ეფექტს, როგორც ფორმის, ასევე შინაარსით. ჰექსამეტრს ავტორი იყენებს როგორც ინსტრუმენტს გამოსახულების შესაქმნელად. ნაწარმოები იყოფა ფრაგმენტებად, სცენებად (სულ სამი სცენაა) და სრულდება ეპილოგი-ეპიტაფიით. აზრი, მნიშვნელობა გადადის ერთი სტრიქონიდან მეორეზე, რაც,

ზოგადად, დამახასიათებელია ჰექსამეტრული ლექსწყობისთვის და ქმნის ერთგვარ დინამიურ ნარატივს:

„Alter ego - მრუმე სივრცეში დაინახავდი ტენატოს -სახეს
სიკვდილის.“

„Alter ego - სიცოცხლით სავსე საჭურჭლე ამდენსავე სიკვდილს
დაიტევს“

„ Ego - სილამაზეს ვეთაყვანები, ყოველისშემძლე ძეგლებს
ავუგებ !

Alter ego - სიმახინჯეს ნუ აწყენინებ, შურს იძიებს, ძეგლებს
დაგინგრევს [ზახტაძე,2023:327-328]

ი. ზახტაძეს ლექსწყობის სტრუქტურით გაწყობილ ესეში მახვილების მაგივრად გამოყენებული აქვს გარკვეული ტონალობები, ინტონაციები, რომლებიც უახლოვდება ჰექსამეტრული ცენზურის დატვირთვას კლასიკურ ინდოევროპულ ენებში, რაც გულისხმობს შესვენებას სიტყვებს შორს. თუმცა, ი. ზახტაძესთან „შესვენება“ უფრო მეტად „სულის მოთქმას“ ნიშნავს და არა პაუზას, რომელიც გარკვეული გრძნობების, განცდების, ემოციების აქცენტირებას ახდენს და ღრმა შინაარსობრივ და აზრობრივი დატვირთვას ატარებს ტექსტში. დაქტილური ჰექსამეტრის რიტმის გადმოსაცემად მწერალი იყენებს სხვადასხვა მარცვლიან ლექსებს. პაექრობა Ego-სა და Alter ego-ს შორის მიმდინარეობს 10, 12, 14, 16,18 და 20-მარცვლიანი სტრიქონების „გათამაშებით“, რაც შთამბეჭდავს და დინამიურს ხდის თხრობას. ტაეპებსა და სტროფებს შორის მარცვალთა რაოდენობის მონაცვლეობა მეტ გამომსახველობას და დამაჯერებლობას სძენს დიალოგს და ფილოსოფიურ ჭრილში გადაჰყავს დისკურსი. მაგალითისთვის:

„ Ego - მაგრამ ზენიტი ხომ ყოფილა, უარჰყოფ განა?
2 3 1 3 3 2
Alter ego-ჰო, მხოლოდ ერთხელ, რადგან ზენიტზე ორჯერ ვერ
1 2 2 2 3 2 1
ახვალ
2
პირველის შემდეგ ჩამოვარდნილი, დაილუპები. და თუ
3 2 5 5 1 1
არა,
2

ხეიბარი ხომ მაინც იქნები!
4 1 2 3
ხეიბარი კი ღოდვით სად წავა? “
4 1 2 1 2 [ზახტაძე ი. 2023: 329]

არისტოკრატიული სტილის შესანარჩუნებლად, გარდა დაქტილური ჰექსამეტრის ელემენტებისა, ინგა ზახტაძე იყენებს აგრეთვე კლასიკური ბერძნული სტილისტიკისთვის დამახასიათებელ ისეთ რიტორიკულ ხერხებს, სტილურ ფიგურებს, როგორცაა ოქსიმორონი (oxymoron) და ანტითეზი (antithesis). მთლიანი ტექსტი აგებულია წინააღმდეგობის პრინციპზე: ეროსი vs ტონატო; სიკვდილის ინსტიქტი vs სახე სიკვდილის; სიყვარული vs სიძულივი;

სილამაზე vs სიმახინჯე; მზე vs მთვარე - ეს მარტივი ანტონიმური წინააღმდეგობა არ არის. რიტორიკული ფიგურა ანტითეზი ორ წინააღმდეგობრივ ერთეულს ლოგიკურად უპირისპირებს ერთმანეთს, ისე, რომ იქმნება ზეაზრობრივი, დაუსახელებელი ცნებითი სურათ-ხატი. მეორე რიტორიკული ფიგურა - ოქსიმორონი ემყარება ერთმანეთთან „შეუთავსებელ“, ურთიერთგამომრიცხავ ცნებათა დაკავშირებას, კონტრასტული ნიშნის გადატანას, რითაც ახალი ცნება ან ახალი წარმოდგენა იქმნება (მაგ: ლარნაკი დაუმსხვრეველი). ადამიანის „თვალთა მიღმა“ არსებული ეგოსა და ალტერ ეგოს, როგორც თეზასა და ანტითეზას შორის მარადიული დაპირისპირება, წარმოქმნის ერთგვარ სინთეზს, რომელიც გამოხატავს, სწორედ, ავტორის ფილოსოფიურ მრწამს ტრანსცენდენტური, მიღმიური სამყაროს არსებობაზე, სადაც მუდმივი ჭიდილია ცნობიერსა და არაცნობიერს, იდეალურს და მატერიალურს, სიყვარულსა და სიძულვილს, სილამაზესა და სიმახინჯეს შორის. სწორედ ამ ჭიდილის და ჭეშმარიტების გზის ძიების დინამიკაა მოცემული ლექსწყობის სისტემით გაწყობილ მხატვრულ-ფილოსოფიურ ესეში - „თვალთა მიღმა (Ego-სა და alter ego -ს გათამაშება)“. ყოველი პიროვნება მესა და გარესამყაროზე ორიენტირებული და ეს ის კონტინუუმი (ეგოს მუდმივი განვითარებაა), რომლის გასწვრივაც ლაგდება ღირებულებათა სისტემა და მოქმედების ძირითადი ჩარჩო. ეგოს განვითარების პროცესში გარკვეული პერიოდულობით, ხდება თვისებრივი ცვლილებები. ინდივიდი მუდმივად ეჯახება საკუთარ ღირებულებათა სისტემასთან არათავსებად ფენომენებს, შესაბამისად, შეუსაბამობებს შეუძლიათ წონასწორობის რღვევა და წინააღმდეგობების გაჩენა საკუთარ მესთან, რაც ხელს უწყობს ეგოს განვითარების შედარებით მაღალ დონეებზე გადანაცვლებას. „მეს“ დარღვეული წონასწორობა და დისბალანსი „მეორე მესთან“ ძალიან კარგად იკვეთება სტილისტური ხერხის, ანტითეზით ესეს პირველ სცენაში, სადაც ერთმანეთს ენაცვლებიან საპირისპირო შინაარსის ცნებები, ფრაზები, პოზიციები, დამოკიდებულებები, ემოციები. მათი კონტრასტი, საბოლოო ჯამში, ქმნის გარკვეულ ექსპრესიულ სიუჟეტურ რკალს.

Ego - მე დავთვლი სიკვდილს!

Alter ego - მაშინ სიცოცხლეს გადაითვალე, რადგან

სიცოცხლით სავსე საჭურჭლე ამდენსავე სიკვდილს
დაიტევს.

Ego - სიყვარულის დიად მეჯლისს სტროფებს მივუძღვნი!

Alter ego - სიძულვილს უხმე, მიმალულს იქვე,

სიყვარულთან რომ მოსწონს ფერხული.

Ego - სილამაზეს ვეთაყვანები, ყოვლისშემძლე ძეგლებს

ავუგებ!

Alter ego - სიმახინჯებს ნუ აწყენინებ, შურს იძიებს, ძეგლებს

დაგინგრევს.

მეორე სცენაში, როგორც ესეს განმავითარებელ ნაწილში, ორივე მხარე ცდილობს არგუმენტირებული მსჯელობით და მტკიცებულებების მოშველიებით დაასაბუთონ თავიანთი

პოზიციები და კითხვა-პასუხის რეჟიმით მივიდნენ ჭეშმარიტებამდე: Alter ego - ნეტა ხანგრძლივად ზენიტზე დგომა თუ შეძლება

ოდესმე ვინმეს?

Ego - მაგრამ ზენიტი ხომ ყოფილა უარყოფ განა?

Alter ego - ჰო, მხოლოდ ერთხელ, რადგან ზენიტზე ორჯერ ვერ
ახვალ.

Ego - ვითომ ის ერთიც არ კმარა ჩვენთვის?

დედამიწას რომ გადმოხედო ღრუბლებიდან თუნდაც
ერთხელ

უზენაეს ნეტარებად არ ღირს განა?

Alter ego - სიმაღლეს ვერ გრძნობ ვიდრე ძირს არ დაეშვები

ხელმოცარული, მარტოდშეთენილი, აპოთეოზზე

ფეხშედგმული.

აზრთა ჭიდილში იბადება მთავარი კითხვა კაცობრიობის არსებობის, „მამ სადღაა გამოსავალ, რა გზაა იგი?“, რა არის ის ძალა, რომელსაც ძალუმს „თვალთა მიღმა მიჩქმალულის“ დანახვა. იდუმალი, მეორეული ხმის პასუხი ერთია - იმას, რასაც ადამიანის თვალი, გული და გონება ვერ წვდება, სული წვდება. მხოლოდ მას შესწევს უნარი შეიგრძნოს მთელი არსებით სამყაროს მთლიანობა, „ნების თავისუფლება“ (ნიკოლაი ლოსკი), „არსებულის საპირისპირო, რაიც არა ჩანს, მაგრამ თან ერწყმის ყოველივეს თვალთა საჩინოს“ [ბახტაძე ი. 2023:330]. მაგრამ ადამიანის ცნობიერ არსს მაინც არ სურს გაურკვევლობაში დარჩენა და ორი კერპის მსახურება, ის ხილულ სამყაროს, სიცოცხლეს ირჩევს, ამქვეყნიურ დიდებას: „მზე, სილამაზე, სიხარული, აღტაცება კერპად დამითქვამს“ და მზად არის ამისთვის „იმ გრძნეულმა სულმა“ თუნდაც დაბეჩავება აღუთქვას.

ტექსტი მთავრდება ეპილოგი-ეპიტაფიით. როგორც ფილოსოფოსი და პოეტი ზურაბ ხასაია აღნიშნავს: „შემეცნებანი თავიდან აშფოეთებს და აფორიაქებს სულს. მაგრამ მერე და მერე ამშვიდებს მას მაღალი, ინტელექტუალური სიმშვიდით“ (ბახტაძე ი. 2023:15). სწორედ ეს პროცესია გადმოცემული ესეში. შემეცნება, ჭეშმარიტების არსში წვდომა, „მეს“ ტრანსფორმაცია, სულის დისჰარმონია და უნივერსალური ჰარმონია და სინანული. ავტორი, ჩვეული მოქნილი, დახვეწილი, ოსტატურად გამართული ენით, ინტონაციით, რიტმით, შინაგანი რითმებითა და კლასიკური არისტოკრატიული სტილით გაწყობილი ლექსით/სიტყვით, მიმართავს სულიერებისგან დაცლილ ადამიანთა მოდგმას, „კაენისებრ მოწრიალე კაცისშობილთ“ და არგუმენტების დაპირისპირებისა და აზრთა ჭიდილის გზით მიდის კონკრეტულ დასკვნამდე:

„ - ჰოი მხევალო სიცოცხლისა, კაენისებრ მოწრიალე

კაცისშობილო,

შენ განარისხე ჭეშმარიტება, როს არ შეიცან საპირისპირო,

და როს უარჰყავს თვალთა მიღმა არსებული, გადასროლილი,

ზიარების მადლს მოკლებულსა, გოლგოთად გექცა

წუთისოფელი“ [ბახტაძე ი. 2023:331].

ლექსწყობის სისტემით დაწერილ ამ მხატვრულ-ფილოსოფიურ ესეში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ჰექსამეტრი არ არის გამოყენებული კლასიკური ფორმით. ის ხელოვნურად არის შექმნილი და იმიტირებული ავტორის მიერ და წარმოადგენს ერთგვარ სურათ-ხატს, იმაგოს, რომელსაც ოსტატურად იყენებს მწერალი მხატვრული ეფექტისა და გამოხატულების შესაქმნელად. ინგა ბახტაძე, როგორც ევროპული ორიენტაციის მწერალი და ხელოვნებათმცოდნე, შესანიშნავად ახერხებს კლასიკური ევროპული სალიტერატურო სკოლის ესთეტიკური პრინციპებისა და მეთოდების მორგებასა და შერწყმას ქართული ენის უძველეს ლექსიკასა და ენობრივ წყობასთან. ამიტომაც არის, რომ მის შემოქმედებაში განსაკუთრებული ძალით შეიგრძნობა ქართული ენის თვითმყოფადობა და უნიკალურობა, რაც აუცილებლად განსაზღვრავს მომვალში ინგა ბახტაძის კუთვნილ როლსა და ადგილს ქართულ, და არა მხოლოდ ქართულ, კულტურაში, ხელოვნებასა და ლიტერატურაში. მოხარული ვიქნებით თუ ჩვენი მოკრძალებული ნაშორმით მცირედ წვლილს მაინც შევიტანთ ამ დიდი და საპასუხისმგებლო საქმეში.

ლიტერატურა :

1. ბერაძე პ., -ჰეგზამეტრი და გრძელი შაირის ლექსი, გაზ. „ლიტერატურული საქართველო. თბილისი. N20, 16 მაისი, 1942
2. ბერაძე პ., - ძველბერძნული და ქართული ლექსწყობის საკითხები. თსუ გამომცემლობა. თბილისი, 1969
3. ბერაძე პ.,- ჰეგზამეტრის გენეზისისათვის, ჟურნალი „მნათობი“. თბილისი. N7. 1948
4. ბახტაძე ი., - თალხი პერანგი, ნოველები , ესეები. 2023. 351გვ.
5. ბახტაძე დ., - სამაგალითო ერუდიტი, ჟურნალი „ქართველოლოგია“, 2023 , გვ. 13
6. ურუშაძე ავ., - ბერძნულ რომაული და ქართული მეტრიკის საკითხები. თბილისი. 1980, 142 გვ.
7. ჯალიაშვილი მ., - პროზის მუსიკა . 2020 (<https://mastsavlebeli.ge/?p=28171>)
8. ლექსიკონი-ცნობარი სოციალურ მეცნიერებებში <http://dictionary.css.ge/content/ego>

Guranda Gobiani
Kutaisi University

Hexametric Images in Literature ("Behind the Eyes" by Inga Bakhtadze)

Abstract

Spiritual aristocracy, excess of lyrical flow, musicality of narration, 'fine' writing, ultimately perfect harmony of form and idea – this is the creative world of Inga Bakhtadze, a writer and art critic of the European orientation, which the present study is a modest attempt to penetrate into. In her texts, especially in the essays and novels, words and music are harmoniously combined, intonation, rhythm, tempo, rhythm, dynamics, and pauses - make her profound narrative extremely polyphonic and melodious, in which the macro and micro world, the eternity and transience, the human and divine, the ego and alter ego are equally included, which have a profound effect on both the mind and the senses of the reader. From the point of view of rhythmic prose, the essay "Behind the Eyes (Playing of Ego and

Alter Ego)” particularly attracts our attention, which is included in the author's latest collection of novels and essays, “A Dark Shirt” (Tbilisi, 2023). It is a literary essay, etude, “visible philosophy passed into poetry”, which is built with a structure similar to hexameter verse. Georgian is a syllabic language, so the use of hexameter in the classical sense as a metrical and rhythmic form of verse is foreign to Georgian. In general, by its very nature, this poetic form is suitable for languages such as Latin and Ancient Greek, where vowel length has phonological significance. Indo-European languages are stress-timed languages, each alphabetic language is distinguished by a stress. In such languages, unstressed syllables are variable, which is not typical of Georgian, since Georgian verse is measured not by long and short stressed syllables, but by an equal number of syllables, which means that every sound in the language is fully pronounced, there are no transitions. The stress exists in the language, but it is not dynamic, but relatively weak, it is replaced by the accent, i.e. the tone of the voice (ascending, descending, melodic) is used to mark and outline something significant in terms of content and meaning.

Naturally, this measure in its classical form is not found in Bakhtadze's work, either. She has only taken elements of the Indo-European hexameter and combined them with the Georgian one, thus achieving a truly enviable effect, both in terms of form and content. The author uses a hexameter as a tool to create an image. The work is divided into fragments, scenes (there are three scenes in total) and ends with an epilogue-epitaph. The meaning, the content passes from one line to another, which is generally characteristic of hexameter verse and creates a kind of dynamic narrative:

In I. Bakhtadze's essay outlined with a rhyming structure, certain tones, intonations are used instead of stress, which are close to the load of hexametric caesura in classical Indo-European languages, which implies a break between words. The writer uses verses with different syllables to convey the rhythm of the dactylic hexameter. The debate between the Ego and the Alter ego takes place with a “playing” of 10, 12, 14, 16, 18 and 20-syllable lines, which makes the narrative impressive and dynamic.

In order to preserve the aristocratic style, in addition to the elements of dactylic hexameter, Inga Bakhtadze also uses such rhetorical techniques characteristic of classical Greek stylistics and literary figures as oxymoron and antithesis. The whole text is built on the principle of contradiction. The eternal confrontation between the ego and the alter ego, which exists “behind the eyes” of a person, as a thesis and an antithesis, creates a kind of synthesis, which expresses the author's philosophical belief about the existence of a transcendental world, where there is a constant struggle between the conscious and the unconscious, the ideal and the material, between love and hate, beauty and ugliness. It is the dynamics of this struggle and the search for the path of truth that is given in the artistic-philosophical essay– “Behind the Eyes (Playing of Ego and Alter Ego)” outlined with a rhyming system.

The hexametric verse meter is artificially created and imitated by the author and represents a kind of image, an imago, skilfully used by the writer to create artistic effect and expression. Inga Bakhtadze, as a writer and art critic of the European orientation, can perfectly adapt and combine the aesthetic principles and methods of the classical European literary school with the ancient vocabulary and linguistic structure of the Georgian language. That is why in her work one can vividly feel the individuality and uniqueness of the Georgian language, which will definitely determine the future role and place of Inga Bakhtadze in Georgian culture, art and literature, and not only here. We will be happy if we can make at least a small contribution to this great deed.

Fiktives und Faktisches im Roman von Robert Menasse „Die Hauptstadt“

Yelena Etaryan

Staatliche W.-Brjussow-Universität Jerewan
etaryan@mail.ru, yelenaetaryan@gmail.com
<https://doi.org/10.52340/lac>

Für seinen Brüssel-Roman „Die Hauptstadt“ erhielt der österreichische Schriftsteller Robert Menasse im Jahre 2017 den Deutschen Buchpreis. Im elf Kapitel und 459-Seiten starken Roman geht es hauptsächlich um ein Projekt der Kulturabteilung der Europäischen Kommission, welches das Image dieser Organisation steigern sollte. Die Verantwortliche des besagten Projekts ist eine Beamtin in der Generaldirektion Kultur, die Fenia Xenopoulou heißt. In ihrem Auftrag entwickelt der Referent Martin Susman die Idee, anlässlich des Jubiläums der Europäischen Kommission die letzten Überlebenden aus den Konzentrationslagern auftreten zu lassen, um damit die ideellen Prinzipien heraufzubeschwören, die bei der Gründung der EU bzw. EK (Europäische Kommission) zugrunde gelegt wurden. Die Chiffre, auf die es ankommen soll, heißt: „Nie wieder Auschwitz!“ Auschwitz sollte dabei als Geburtsort der Europäischen Union erscheinen. Das „Jubilee Project“ stößt dennoch auf Hindernisse in einigen EU-Institutionen und scheitert letztendlich.

Der Prolog fängt an mit dem Satz „Da läuft ein Schwein!“, und es ist „tatsächlich“ [1: 9] von einem Schwein die Rede, das „mitten in Brüssel, in Sainte-Catherine“ läuft. Dabei hatte das Schwein „etwas Lächerliches, zugleich doch Bedrohliches“ [1: 12]. Dieses wurde von einem der Protagonisten des Romans, dem letzten belgischen Auschwitz-Überlebenden David de Vriend, vom Fenster seines Wohnzimmers beobachtet. Wie es im Klappentext des Romans schön prägnant heißt: „In Brüssel laufen die Fäden zusammen – und ein Schwein durch die Straßen“ [1: 2]. In der Tat lässt der anonyme Romanerzähler alle Protagonisten-Fäden zum Schluss zusammenlaufen und der hermeneutische Kreis schließt sich eben da, wo alles anfing.

Der Roman „Die Hauptstadt“ hat recht viele inhaltliche Schwerpunkte, auf die man im Einzelnen eingehen könnte, wie z.B. das Geschichtsverständnis, die Frage der Multiperspektivität, Sprachreflexionen im Roman“ usw. Mein wissenschaftlicher Aufsatz beschäftigt sich jedoch mit der Frage des Verhältnisses von Fiktion und Fakten, was hauptsächlich anhand einer der Hauptfiguren, der besagten Fenia Xenopoulou dargestellt wird, sowie der Funktion der Lektüre für verschiedene Figuren und einigen damit verbundenen intertextuellen Anspielungen.

Fenia versinnbildlicht das Beamtentum der Europäischen Kommission, das im Werk typisiert wird. Die Vierzigjährige hatte in der Generaldirektion für Wettbewerb gearbeitet, wo sie stark auffiel. Fenia, eine griechische Zypriotin, ließ sich für ihre Karriere scheiden, denn „sie hatte weder Zeit noch Lust, jedes zweite oder später jedes dritte oder vierte Wochenende einen Mann in ihrem Brüsseler Apartment sitzen zu haben oder in Athen zu besuchen.“ [1: 32]. Danach hatte sie einen „Stارانwalt geheiratet und warf einen

Provinzialadvokaten aus der Wohnung!“ [1: 32] Nun hatte sie eine Affäre mit dem Kabinettchef der Generaldirektion für Handel, Kai-Uwe Frigge, den sie privat „Fridsch“ nannte. Somit brachte sie es in ihrem Privatleben zu einem gewünschten Zustand: „Es gab nun für sie kein Privatleben mehr, keine Fesseln, es gab nur den freien Welthandel.“ [1: 32]. Sie hatte Wirtschaft an der London School of Economics studiert, war Postgraduate an der Stanford University gewesen und war nun gewillt, nach den europäischen Wahlen bei der Neukonstituierung der Kommission weiter aufzusteigen. Nichtsdestotrotz empfand sie ihre Beförderung „als Rückstufung“ [1: 33], wenn nicht als „Abschiebung“ [1: 33], denn sie wurde Leiterin der Direktion C („Kommunikation“) in der Generaldirektion für Kultur [1: 33]. Die Kultur war nämlich „ein bedeutungsloses Ressort, ohne Budget, ohne Gewicht, in der Kommission, ohne Einfluss und Macht“ [1: 33]. So war es ihr weiterer Wunsch, von Fridsch, sprich von der Abteilung Handel angefordert zu werden, weil sie, ihrer Meinung nach, in der Kultur ersticken würde [1: 34]. Das ist eine aussagekräftige Formulierung: in einem Bereich zu „ersticken“, wo man eigentlich frei atmen sollte.

Der Erzähler wählt ganz gezielt Ausdrücke, die sowohl Fenia als auch Fridsch als mechanische Rädchen im Apparat der Europäischen Kommission erscheinen lassen: So stellt Kai-Uwe Frigge nach einem Abendessen in einem Restaurant fest, dass sowohl er als auch Fenia morgen früh rausgehen sollen, was bedeutete, dass man bald ins Bett müsste. Der Gedankengang, der dahintersteht, ist: man müsste *funktionieren* [1: 35]. Aus diesem Grund schluckt er eine Viagra-Tablette, worauf er später ein Begehren und sie einen Orgasmus *vortäuschten* [1: 35]. Die Wortwahl an dieser Stelle bezeugt, dass das Leben beider Beamten zu einem Funktionieren verkommen ist, bei dem es mehr auf Vortäuschen als wahres Erleben ankommt. Und es ist kein Zufall, wenn der Erzähler gleich nach dem Geschlechtsakt das Blaulicht der Leuchtreklame in das Zimmer eindringen sieht, denn ihr Leben ähnelt einer Leuchtreklame, deren Funktion es ist, Licht nach Außen auszustrahlen und dadurch aufzufallen.

Im Sprachgebrauch des Romans fallen ebenso eingedeutschte Anglizismen auf, mit denen der Erzähler die Hauptprotagonistin wiederum ins semantische Feld des „Mechanismus“ rückt, indem er den Schlaf von Fenia beschreibt: „Für sie war Schlaf ein Teil der Körperbeherrschung, der Selbstdisziplin. Sie dockte sich an den Schlaf an wie an ein Ladegerät.“ [1: 48]. Selbstverständlich war sie nicht die einzige pragmatische Beamtin in der EK, die mehr ein Schein als ein Sein war. Sie verfügte nur in besonderem Maße über die stereotypen Eigenschaften, die einem abverlangt wurden, um ein Teil des großen Apparats zu sein. Sie versinnbildlichte den Zeitgeist schlechthin. Von diesem Zeitgeist zeigt sich ebenso ihr Mitarbeiter Martin Susman negativ beeinflusst, der selten Metro fuhr, da ein bestimmtes Bild ihn traurig stimmte. Er sah da nichts anderes außer „müden, grauen Gesichtern“ [1: 49] und wunderte sich über die „aufgesetzte Bereitschaft der Menschen mit ihren Trolleys und Aktenkoffern, immer dynamisch und kompetent und wettbewerbsfähig zu wirken“ [1: 49], oder, wie es kurz darauf heißt: die Menschen hätten „schlecht sitzende Masken, unter denen die wahren Gesichter verfaulten“ [1: 49]. An anderer Stelle heißt es, mit einem verwandten Bild: Selbst ihre Blicke waren ins Leere gerichtet [1: 49].

Fenia Xenopoulou konnte ihre Beförderung nicht ablehnen, weil „Mobilité“ neben „Visibilité“ unabdingbar für den Aufstieg bei der EK waren, und diese Phrasen hatte sich Xenia sehr gut eingeprägt. Der Erzähler stellt bildhaft Xenias Durchsetzungsvermögen dar, indem er dieses mit Schlüsseln vergleicht, an denen sie „geduldig zu feilen“ [1: 48] bereit wäre, „damit endlich einer passte, aber irgendwann kam der Moment, wo sie eine Axt nahm und die Tür zertrümmerte.“ [1: 48]. So wurde die Axt „schließlich zu ihrem Universalschlüssel.“ [1: 48]. Und dies merkten ihre Mitarbeiter, vor allem Martin Susman, der seine Chefin

nicht ausstehen konnte. Man sah mit unbewaffnetem Auge, dass ihre Abteilungsleiterin ihre Arbeit verachtete [1: 48].

An dieser Stelle ist es hilfreich, einen kurzen Blick auf das Interview von Geschwistern Robert und Eva Menasse zu werfen, dass sie am 9. Januar 2018 dem „Spiegel“ gegeben haben. Darin lässt Robert Menasse einen wichtigen Gedanken anklingen, den der Schriftsteller Menasse in seinem Roman künstlerisch umsetzt. Rückblickend auf die Grundthese des Romans formuliert der „Spiegel“ [2] diese folgenderweise: „Europa ist unter die Pragmatiker gefallen. Die Pragmatiker haben die Krise verursacht, und sie werden sie nicht lösen. Sondern wir brauchen Träumer und Utopisten“, woraufhin Robert Menasse die angesprochene These lediglich bejaht und feststellt, dass man das Träumerische wiederbräuchte. Es ist folglich kein Zufall, dass als Motto des Romans ein Zitat von Victor Hugo gesetzt ist, das buchstäblich übersetzt wie folgt klingt: „Träumen ist das Glück, Warten ist das Leben“.

Aus eben diesem Gesichtspunkt wird die Hauptprotagonistin Xenia in den Mittelpunkt gerückt, nämlich als ein Beispiel für eine totale Abwesenheit des Träumerischen und der Phantasie. Lektüre von literarischen Werken und ihre Rezeption ist im Roman ein markantes Zeichen für die Personencharakteristik, und im Falle von Fenia Xenopoulou wird das in einer der zentralen Passagen des Romans dargestellt. Als die Mitarbeiterinnen von „Xeno“, wie sie genannt wird, erfahren, dass ihre Chefin ein Buch liest, halten sie es zunächst einmal für eine Phantasie: „Xeno liest? Komm, Sandra, du phantasierst!“ [1: 52]. Der Grund für die Lektüre ist, dass Xeno sich seit Tagen auf das Gespräch mit dem Präsidenten der EK vorbereitet und deswegen alles über seine Gewohnheiten wissen will: „[...] von seinen Seilschaften bis zu seinem Lieblingsessen, alles, sogar sein Lieblingsbuch“ [1: 52], wobei hier das Wort *sogar* mit einem besonderen Akzent versehen wird. Als Grund für die Lektüre erweist sich bei Xenia die Tatsache, dass sich im *Smalltalk* mit dem Präsidenten ihr Wissen als hilfreich erweisen könnte. Nicht weniger erstaunt sind ihre Mitarbeiter, dass *sogar* der Präsident ein Lieblingsbuch hat. Und es ist kein anderer als Martin Susman, der auf die Idee kommt, dass es sich um den Roman von Robert Musil „Der Mann ohne Eigenschaften“ handeln könnte, womit er Recht hat. In vielerlei Hinsicht tritt Martin Susman als Gegenpol zu seiner Chefin Fenia auf; er merkt hinsichtlich ihrer Lektüre kritisch an, dass sie für ihre Karriere *sogar* bereit wäre, einen Roman zu lesen [1: 53]. Das Wort *sogar* signalisiert abermals, dass die schöne Literatur unter den Pragmatikern und Karrieristen zu etwas Sekundärem, zu einem Attribut, etwas Nebensächlichem herabgestuft wird, das neben die „Essgewohnheiten“ gestellt wird.

Es ist freilich kein Zufall, dass das Jahrhundertwerk Robert Musils „Der Mann ohne Eigenschaften“ gelesen wird, denn er greift ein ebenso großes Jubiläum auf, und zwar die siebzigjährige Thronbesteigung des Kaisers Franz Joseph I., die im Jahre 1918 festlich begangen werden sollte. Die „Parallelaktion“ im Roman, in die der Hauptprotagonist Ulrich involviert ist, dient der Planung des 30. Thronjubiläums des Deutschen Kaisers Wilhelm II., bei dem es keineswegs an Glanz und Pomposität fehlen durfte. Übrigens scheitert die Parallelaktion bei Musil ja auch.

Als erstes wird bei der Wiedergabe von Fenias Leseerfahrung erzählt, dass sie für die Lektüre der schöngestigen Texte Xenia „kein Raster hatte.“ [1: 53]. So fragte sie sich, was dieser wildfremde Mensch [der Hauptprotagonist] sie angehen sollte [1: 53]. Als bald stellt sie fest, dass so heute niemand mehr denke und handle [1: 53]. Bei Fenia fehlt jegliche Bereitschaft, im Gegensatz zu Martin Susman, sich mit der Vergangenheit auseinanderzusetzen und somit Lehren aus der Geschichte zu ziehen.

Die nächste Frage, die sie sich bei der Lektüre des Romans stellt, ist, ob die Informationen im Text sich als brauchbar erweisen könnten. Damit sucht sie selbst bei der Lektüre der schönen Literatur nach derer

Brauchbarkeit; mit der Fiktion selbst kann sie gar nichts anfangen. Es kommt bei ihr nämlich die Frage auf, ob die literarische Gestalt wirklich gelebt hatte, oder ob das alles nur erfunden sei. Daraufhin googelt sie nach dem Romanhelden. Nach ihrer Suchaktion schlussfolgert sie, dass er aber ganz so bedeutend auch nicht gewesen sein konnte, „denn sonst hätte sie doch von ihm in der Schule gehört“ [1: 53]. Der schulische Lehrplan dient Fenia zum Kriterium für die Bewertung der schönen Literatur, und die missverstandenen Kapitel werden von ihr schlichtweg übersprungen. Sie sucht gezielt nach politischen Entscheidungen, die hier aus ihrer Sicht fehlen, und stößt stattdessen auf Liebe. In einem Wikipedia-Eintrag sucht sie den Namen der Frau, die die besagte historische Persönlichkeit liebte und findet dieses bedauerlicherweise nicht. Noch wichtiger erscheint ihr die Frage, ob die Romanheldin den Helden „wirklich“ liebte. Wie es sich deutlich herausstellt, hält Xenia Xenopoulou die Fakten und Fiktion keineswegs auseinander, denn sie fragt sich einfach: „Wenn die Autorin zeigen wollte, wie eine Frau Macht über mächtige Männer gewinnen kann, warum hat sie nicht einen Ratgeber geschrieben?“ [1: 54] Außerdem grübelt sie darüber nach, woher die Autorin das wissen sollte, was sie [die Romanheldin] oder was er [der Romanheld] dachten: „Wenn es diesen Mann wirklich gegeben hatte, dann gab es zweifellos Quellen in Archiven, Dokumente, Verträge, Urkunden, aber Gedanken? [...] Wer bei Sinnen ist, vermeidet doch alles, was dazu führen könnte, dass seine Gedanken gelesen werden können.“ [1: 54].

Die nächste Erkenntnis, die sie aus dem Buch schöpft, macht sie schließlich „verrückt“ [1: 54], denn „letztlich lief es auf die Liebe hinaus, beziehungsweise darauf, wie bedeutungslos politische Macht wurde, wenn es um die Macht der Liebe ging.“ [1: 54]. Und dies ruft in ihr eine Reaktion hervor, dass das doch verrückt sei. Nein, Romane seien einfach verrückt! [1: 54], so Fenia. Und da das gelesene Buch ihr ganzes Lebenskonzept auf den Kopf stößt, schließt sie daraus, dass ebenso der Präsident der Europäischen Kommission ein Verrückter sei.

Die Übertragung des Gehalts des Gelesenen hat aber immerhin eine Wirkung auf sie, denn nach der Lektüre schließt sie die Augen und denkt auf einmal an den gestrigen Abend mit ihrem Lebensabschnittsgefährten, und nicht zuletzt an die Nacht mit ihm. Jedoch kommt sie bald wieder zu sich mit der Frage: „Hatte sie *wirklich* gedacht, dass er – hatte er gedacht, dass sie –“ [1: 55]. Die Aussparung hier deutet darauf hin, dass sie beinahe daran war, sich mit den Romanhelden zu identifizieren, was aber dennoch *wirklich* nicht passieren konnte bzw. durfte.

Ein anderer intertextueller Hinweis im Roman ist die Anspielung auf Kafkas „Verwandlung“, und zwar dargestellt an der Gestalt des Bruders von Martin Susman, der Florian hieß. Der Erzähler spielt wiederum kunstvoll mit dem Wort *wirklich*, der von Florian kommt. Nach einem schlimmen Autounfall kommt dieser nämlich in einen Zustand, den er aus der Kindheitslektüre seines Bruders kannte. Er stellt fest, nachdem er ans Bett gefesselt ist: „Das gab es also *wirklich*. Dass ein Mann in einen Käfer verwandelt werden konnte.“ [1: 428]. Er erlebt die Verwandlung am eigenen Leibe, so „dass der starke und robuste Florian Susman plötzlich ein anderer war: geschockt, hilflos, verzweifelt.“ [1: 428]. Literatur tritt plötzlich in das Leben ein, und zwar nicht „von einem Zauberer“ herbeiverzaubert, sondern „einfach so. Ganz plötzlich. Er wacht auf und ist ein Käfer.“ [1: 428]. Bettlägerig erinnert er sich daran, „wie verrückt er damals seinen Bruder gefunden hat“ [1: 429] allein aus dem Grund, weil dieser seine Zeit mit solch seltsamen Büchern verschwendete. Von daher galt Martin damals als ein „Weichei“ [1: 429], wurde als „schwach“ und „verträumt“ [1: 429] von der Umgebung empfunden. Florian war jedoch anders: Dieser war ein Vaterssohn und sollte später den Schlachthof seines Vaters übernehmen. Sein Bruder Martin wurde dagegen für sein permanentes Lesen in den Stall geschickt, stand oft den anderen im Wege, durfte manchmal am Küchentisch lesen, aber nur bis die „Männer zum Essen

kamen [...]“ [1: 430]. Auch in dieser Textpassage wird subtil mit der Sprache umgegangen, und zwar gezielt mit den Antithesen gearbeitet: Die Literatur wird zum Kriterium erklärt, anhand dessen ironisch gemessen wird, wer ein „Mann“ und wer ein „Weichei“ ist, wer die eigentliche Arbeit im „wirklichen“ Leben verrichtet und wer „im Wege steht“, wer einen „strengen Geruch hat“ und wer nur beim Kochen in der Küche helfen darf, wer ein Vaters- und wer ein Müttersöhnchen ist. (es fehlen mehrere Zitatnachweise in der Passage)

Nach dem Unfall von Florian schien die Konstellation jedoch vertauscht worden zu sein: Er brauchte Zuwendung von Martin. Er hatte *sogar* angefangen, Bücher zu lesen, die Martin für ihn brachte. Wenn das Lesen ihn jedoch anstrengte, „döste er, grübelte vor sich hin, *träumte*“ [1: 430]. „Inzwischen kümmerte sich der kleine Bruder um eine Reihe von Dingen, die anfielen und erledigt werden mussten, während Florian hilflos auf dem Rücken lag.“ [1: 430]. Hier wird betont mit dem Wort „plötzlich“ gearbeitet, das immer wieder auf den „Rollentausch“ hinweist: „Ein verblüffender Rollentausch, einfach so, plötzlich, ganz ohne Zauberer.“ [1: 431] Zu Florians Lektüre wird an einer späteren Stelle vermerkt, dass er sich langsam erholte und nicht mehr lesen wollte: Er kehrte nämlich zum Leben zurück. Dennoch stellt er dabei mit Erstaunen folgendes fest: „Und – das war seltsam: Er begann zugleich, auf eine gewisse Weise mit seinem Leben abzuschließen.“ [1: 434]. Ganz so vergeblich war also seine Beschäftigung mit der Literatur doch nicht, denn sie brachte ihn zum Nachdenken über sein eigenes Leben und schuf den Rahmen für einen reflektierten Umgang mit den eigenen Lebensplänen, wie es später im Leben von Florian auch ersichtlich wird: Sein Leben ändert sich nach der Krankheit und er bekommt den Wertewechsel zu spüren, der sich bei ihm offensichtlich durch die Lektüre vollzogen hat.

Fazit

Generell wird im Werk alles, was mit Literatur zu tun hat, sei es die Thematisierung von Liebe, die Macht der Fiktion, das jeweilige Gedankengut, das Ideelle, die Entblößung der Seele von Heuchlern und Karrieristen als etwas Verrücktes angesehen und zu den unnützen Dingen des Lebens degradiert. Demgegenüber macht der Roman darauf aufmerksam, dass Literatur zwar die Welt nicht retten kann, aber jedenfalls, dem Gedankengang von Robert Menasse folgend, die Leser und Leserinnen zur Toleranz, Empathie, dem reflektierten Umgang mit der Gegenwart und Vergangenheit zu erziehen vermag. Und was den Romanautor angeht, so ist dieser allemal „Meister der Sprache“ [3], wie es am 18. Januar 2019 bei der Verleihung der Karl-Zuckmayer-Medaille zu Recht hieß.

Literatur:

1. Menasse, Robert. Die Hauptstadt. Berlin: Suhrkamp Verlag 2017.
2. <https://www.spiegel.de/spiegel/eva-und-robert-menasse-im-ersten-geschwisterinterview-a-1186705.html>, abgerufen am 26.10.2023.
3. <https://www.spiegel.de/kultur/literatur/robert-menasse-bekommt-carl-zuckmayer-medaille-und-gibt-sich-reumuetig-a-1248864.html>, abgerufen am 26.10.2023.
4. Թորերտ Մենասե, «Մայրաքաղաք», Անտարես 2021.

Helen Etaryan

Brusov State University of Linguistic, Yerevan, Armenia

Fact and fiction in Robert Menasse's novel "The Capital City"**Abstract**

Austrian writer Robert Menasse received the "German Book Award" in 2017 for his Brussels novel "The Capital City". The novel is mainly about a project of the European Commission's culture department, which was supposed to improve the image of the given organization. There are quite a lot of content knots in the novel "The Capital City" that could have been analyzed in more details, such as the understanding of history, the issue of multiperspectivity, the linguistic reflexions in the novel etc. However, our research paper deals with the issue of the relation between fiction and fact, which is mainly illustrated through the example of one of the main characters, the mentioned Fenia Xenopoulou, as well as the function of reading for different characters and some intertextual allusions related to it.

Рецензент: профессор Софио Муджири

ლირიკული თანხვედრანი მსოფლიო პოეზიაში

ეკა ვარდოშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
E-mail: eka.vardoshvili@tsu.ge
<https://doi.org/10.52340/lac>

ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, გათვალისწინება პარალელური მოტივებისა. ამით ჩვენ გავარკვევთ ნაციონალური მწერლობის ზოგიერთ წყაროსაც.

1828 წელს დაწერა მიცკევიჩმა „ფარისი“. მიჩნეულია, რომ „ფარისი“ იყო ბარათაშვილისათვის შთაგონების ერთ-ერთი წყარო, როდესაც იგი თავის „მერანს“ წერდა. გარდა საერთო კულტურული ისტორიული ფონისა, კონკრეტული ფაქტებისა და მწერალთა განწყობისა, ამ ორ ლექსს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით. „ფარისის“ გავლენითაა ასევე დაწერილი ცნობილი უნგრელი პოეტის შანდორ პეტეფის პოეტური ქმნილება „მერანი“ „ფარისის“ თემაზე შექმნილ ლირიკულ ნიმუშებად შეგვძლია ასევე მივიჩნიოთ რენე ფრანსუა არმან სიული პრიუდომის „ჭენება“, ვაჟა-ფშაველას „ლურჯა“ და ჰაინრიხ ჰაინეს უსათაურო ლექსი *** „კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი“.

ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას სიკეთისა, თავისუფლებისა და უსაზღვროებისაკენ. ყველა ავტორისათვის პოეტური ხატი მერანის სახეა, ისინი მსგავსი მხატვრული გრძნობით ქმნიან თავიანთ შედეგებს.

აღსანიშნავია, რომ ადამ მიცკევიჩის „ფარისის“ ლიტერატურული პარადიგმა ვლინდება მსოფლიო პოეზიის ნიმუშებში. ამ იდეის მატარებელი პოეტური ქმნილებები შეიძლება ჩავთვალოთ ერთი ციკლის ლექსებად და მათ ვუწოდოთ „ფარისის“ ციკლის ლექსები.

ნაშრომში ვსაუბრობთ იმის შესახებაც, თუ რომელი პოეტური ნიმუში შეგვიძლია, მივიჩნიოთ „ფარისის“ ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად. „ფარისის“ ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად შეგვიძლია, მივიჩნიოთ გოეთეს ლექსი „მეეტლე კრონოსს“, რომელიც მან 1774 წელს დაწერა. ლექსი გოეთეს ფილოსოფიური ლირიკის საუკეთესო ნიმუშია.

საკვანძო სიტყვები: პარალელური მოტივებისა, ლირიკული თანხვედრა.

ლიტერატურათმცოდნეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა, პარალელური მოტივების გათვალისწინება, რითაც ირკვევა ნაციონალური მწერლობის ზოგიერთი წყარო.

1827 წელს ეკერმანთან საუბრისას გოეთემ პირველმა დასვა მსოფლიო ლიტერატურის არსებობის საკითხი. გოეთემ შენიშნა, „მე გულმოდგინედ ვეცნობი სხვა ერების მონაპოვარს და სხვასაც ვურჩევ ასე მოიქცეს. დღეს ეროვნული ლიტერატურა ბევრს ვერაფერს ამბობს. დღის წესრიგში დგება მსოფლიო ლიტერატურა და ყველას ვაღიანა დააჩქაროს ამ ლიტერატურის მეუფების ეპოქა“ [გოეთე, 1988:125]. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ისიც, რომ იმავე 1827 წელს გოეთე წერს ლექსს სათაურით „მსოფლიო ლიტერატურა“. გოეთე მოუწოდებს პოეტებს:

„თქვენც ერთი ცის ქვეშ ხალხებისთვის აჟღერეთ ჩანგი,

ერთი საჩუქრით ახარეთ და ეფარეთ ფარად“ [გოეთე, 1972: 231].

ამდენად, საერთო ტენდენციები შეიძლება ახასიათებდეს სხვადასხვა ხალხის ლიტერატურულ პროცესებს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად ან გავლენით, რომლებსაც საერთო ფასეულობები აქვთ და ამასთანავე, ერთი პოეტური სახე შეიძლება იქცეს ლიტერატურულ პარადიგმად.

ევროპული ლიტერატურული და სააზროვნო ტრადიციები არაერთგზის აისახა XIX საუკუნის ქართულ მწერლობაში, საკმაოდ ჭარბად დაიძებნება ლიტერატურული პარალელებიც. ხშირად ავლებენ პარალელს ქართველი რომანტიკოსი პოეტის ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანსა“ და ადამ მიცკევიჩის „ფარისს“ შორის.

მიუხედავად იმისა, რომ ბარათაშვილი უაღრესად ეროვნული პოეტია, თავისი შემოქმედების არსით იგი დგას ევროპულ მწერალთა გვერდით. „ამ ორი ნაწარმოების საერთო კულტურულ-ისტორიული ფონისა და შექმნის წინაპირობათა შესწავლა, მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს, როგორც ქართული, ისე პოლონური ლიტერატურათმცოდნეობისა და ისტორიისათვის“ [ვარდოშვილი, 2018: 59].

საქართველოში მიცკევიჩის „ფარისს“ პოეტის სიცოცხლეშივე იცნობდნენ. ამას შეუწყობ ხელი იმ გარემოებამ, რომ 1830 წლის პოლონეთის შეთქმულების დამარცხების შემდეგ საქართველოში გადმოასახლეს პოლონელი მწერლები და საზოგადო მოღვაწეები. საქართველოში 1832 წლის შეთქმულების კრებებზე ხშირად კითხულობდნენ სოლომონ რაზმაძის მიერ რუსულიდან ქართულად შესრულებულ „ფარისის“ თარგმანს.

1829 წელს საქართველოში უკვე არსებობდა „ფარისის“ ორი რუსული თარგმანი მანასეინის და შჩსატნისა. გიმნაზიაში სწავლის პერიოდში ბარათაშვილს რუსული ენის მასწავლებელი დემენტევი ხშირად უკითხავდა მიცკევიჩის „ფარისის“ რუსულ თარგმანებს.

მიჩნეულია, რომ „ფარისი“ იყო ბარათაშვილისათვის შთაგონების ერთ-ერთი წყარო, როდესაც იგი „მერანს“ წერდა. გარდა საერთო კულტურული ისტორიული ფონისა, კონკრეტული ფაქტებისა და მწერალთა განწყობისა, ამ ორ ლექსს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით. მაგალითად, ფარისი არაბულ ენაზე ნიშნავს მხედარს, ბარათაშვილის ერთ-ერთ

ავტობიოგრაფიულ ხელნაწერში შემონახულია „მერანის“ თავდაპირველი სათაური „თავგანწირული მხედარი“. „ბარათაშვილის „მერანი“ და მიცკევიჩის „ფარისი“ ქართულ და ევროპულ ლიტერატურაში შეიძლება დავუკავშიროთ „წმინდა მხედრის“ საკითხსაც, რომლის პირველსახეა წმ. გიორგი, რომელიც ევროპული კულტურიდან შემოდის ქართულ ქრისტიანობაში და რომელიც „წმინდა მხედრის“ უმაღლესი იდეალია, ხოლო შუა საუკუნეების რაინდულ იდეალებთან მიმართებაში შეგვიძლია, გარკვეული კუთხით, გავიხსენოთ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ან სენკევიჩის „ჯვაროსნები“ [ვარდოშვილი, 2018: 63].

„ფარისის“ ფილოსოფიური იდეა ასეთია: თავგანწირული მხედარი მიაქროლებს რაშს. გზად უამრავი წინააღმდეგობა ელობება, მაგრამ იგი ბედს არ ნებდება. მხედარი შეუერთდა მარადიულს და თვითონაც გაჰქრა მასში. აზრმა შეიცნო არსი, საბოლოოდ მან ჰპოვა ბედნიერება. ლექსს მიცკევიჩი ასე ასრულებს:

„რა კარგი არის მხრები ლაღად რომ გაშლილია!
სამყაროს მკლავნი გავუწოდე ალერსიანად,
ვგონებ, ჩავიკრა დედამიწა მკერდში მთლიანად!
ცისფერ სივრცეში ფიქრი ჩემი მიექანება,
სულ ზევით, ზევით - ცის გუმბათის თაღს ეტანება.
ვით ფუტკრის ნესტარს გადაჰყვება თან მისი გული,
მეც ლაჟვარდ ცაში ფიქრთან ერთად ჩავძირე სული“ [მიცკევიჩი, 1986: 170].

„მერანშიც“ თავგანწირული მხედარი მიაჭენებს რაშს. მისი მიზანია შთამომავლობისათვის უვალი გზის გაკვალვა. „ლექსი მუსიკალურია არა მარტო ალიტერაციით, მასში ისეთი აზრებია გადმოცემული, რომელსაც სიტყვა ვერ სწვდება. შავი ყორანი ბოროტი სულის სიმბოლოა, რომელიც მუდამ თან სდევს ბოროტ ზრახვებს. ბოროტ სულს პოეტმა შავი ფერი შეურჩია, მერანს კი ფერი არ აქვს, რადგან მისი წარმოდგენა არსებითი საგნის სახით შეუძლებელია. მისი ფერი სულის ფერია, ეთეროვანი, გამჭვირვალე“ [ვარდოშვილი, 2018: 65]. „მერანის“ ლოგიკური დასკვნა ასეთია:

„ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს, განწირულის სულის-კვეთება,
და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება;
და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიმძნელე გზისა გაუადვილდეს,
და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს! [ბარათაშვილი, 1972: 52].

„მერანს“ აქვს მეორე მეტალოგიკური დასკვნაც, რომელიც უსასრულობის შეგრძნებას გვიტოვებს, პოეტი ლექსს ლაიტმოტივით ასრულებს.

„გასწი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამძღვარი
და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი, შავად მღელვარი“ [ბარათაშვილი, 1972: 52].

„ფარისის“ ლაიტმოტივი კი მიცკევიჩის ლექსში ასე იკითხება:

„მივქრი, უმიშრად ბილიკი ვკვალე,

თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე!“ [მიცკევიჩი, 1986: 169].

1828 წელს დაწერა მიცკევიჩმა „ფარისი“, 1842 წელს დაიწერა ბარათაშვილის „მერანი“. მკვლევარი გ. ჯიბლაძე შენიშნავს, რომ „რენე ფრანსუა არმანმა „მერანის“ დაწერიდან ორი ათეული წლის შემდეგ დაწერა თავისი სახელგანთქმული „ჭენება“, რომელიც ძლიერ უახლოვდება ბარათაშვილის გენიალურ ლექსს. გვგონია, რომ სიული პრიუდომის ლექსი დაწერილია იმავე მოარულ თემაზე, როგორც ბარათაშვილისა“. [ჯიბლაძე, 1968: 407]. შეგვძლია ვიფიქროთ, რომ ფრანგი პოეტი იცნობდა მიცკევიჩის შედეგს, ან სხვა მის მსგავს პოეტურ ქმნილებას.

რენე ფრანსუა არმან პრიუდომის „ჭენებაში“ მხედარი მოუწოდებს თავის მერანს გააქროლოს იგი უსასრულობისაკენ, რათა მთელი ძალით შეიგრძნოს თავისუფლება. მხედარი მზადაა, რომ მერანის ქროლვასაც კი გაუსწროს მისმა ოცნებამ. ამიტომ, მოუწოდებს თავის მერანს, გადალახოს ყველა წინააღმდეგობა, რათა ეწვიოს უცნობ მხარეს. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რენე ფრანსუა არმან პრიუდომის „ჭენება“ დიდ მსგავსებას ავლენს არა მხოლოდ ბარათაშვილის „მერანთან“, არამედ მიცკევიჩის „ფარისთანაც“.

მსოფლიო პოეზიიდან ჩვენი ყურადღება მიიპყრო ცნობილი უნგრელი ავტორის შანდორ პეტეფის ლექსმა „მერანი“ („Az En Pegazusom“). პეტეფი, როგორც პოეტი და მოქალაქე გამოირჩეოდა მეზრძოლი სულისკვეთებით. იგი უნგრეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი სულისჩამდგმელი იყო. 1848 წელს უნგრეთის რევოლუციაში მონაწილეობას ღებულობდნენ პოლონელი პატრიოტებიც, რომლებიც 1830 წელს პოლონეთის აჯანყებაში აქტიურად იყვნენ ჩართულნი. ყურადღება უნდა მივაქციოთ იმასაც, რომ პეტეფი კარგად იცნობდა მიცკევიჩის პოეზიას.

1847 წელს დაწერა შანდორ პეტეფმა თავისი „მერანი“. „უნგრულ“ სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ მესიანიზმის მოტივი მიცკევიჩისა და პეტეფის პოეტურ ქმნილებებში იმდენად მსგავსია, რომ გავლენის წყარო აუცილებლად მიცკევიჩის „ფარისი“ უნდა ყოფილიყო“ [ვარდოშვილი, 2022: 81]. ამას ადასტურებს ისიც, რომ ცნობილი უნგრელი მწერალი ანტალ ჰიდაში წერს: „1848 წლის ივლისში, პოლონურ გაზეთში „Demokrata polska“ სტანისლავ ვორცელმა დაბეჭდა წერილების სერია სათაურით: „უნგრეთი და პოლონეთი“, რომლებშიც მოუწოდებდა პოლონელებსა და უნგრელებს ერთად ეზრძოლათ თავისუფლების მოსაპოვებლად. უნგრელებს მისასალმებელი მოწოდებით მიმართა აგრეთვე დიდმა პოლონელმა პოეტმა ადამ მიცკევიჩმა“ [ჰიდაში, 1961: 278].

შანდორ პეტეფის მერანი თვალუწვდენელ ლამაზ ტრამალებში მიაქროლებს თავის მხედარს. ელვასაც კი უსწრებს მისი სიჩქარე, რადგან პუშტისაკენ ისწრაფვის, სადაც მისი სამშობლოა. მერანი მიჰქრის და ერთი ნიშანიც კმარა, რომ ქვეყნის კიდე გადაატაროს, უსასრულობაში დაინთქას, ირეალურში გადავიდეს. ჭენებით არ იღლება მერანი, რადგან წინ დიდი გზა აქვს გასავლელი მიზნის მისაღწევად. პეტეფი მოუწოდებს თავის მერანს:

„გასწი,
 ნაპრაღზე გადამატარე,
 ვერ მოგეწიოს
 ქროღვით ვერავინ.
 და თუ გზად მტერი
 გადაგეღობოს,
 მტერი არ დაგრჩეს
 გაღუთქერავი“ [პეტეფი, 1978: 52].

თავისი შინაარსით, მხატვრული სახეებით, სიმბოღური დატვირთვით აღნიშნულ ლექსებს შორის არაერთ პოეტურ თანხვედრას ვხვდებით.

მიცკევიჩი: „თეთრფეხა რაშო, წინ გასწი მალე [მიცკევიჩი, 1986: 167].

ბარათაშვილი: „გასწი, გაფრინდი, ჩემო მერანო“ [ბარათაშვილი, 1972: 51].

პეტეფი: „ გასწი, ნაპრაღზე გადამატარე“ [პეტეფი, 1973: 52].

საზოგადოდ, მერანის სახე პიროვნული და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლის სიმბოღოდ შეგვიძლია მივიჩნიოთ, როგორც ჩვენს მიერ განხილულ ლირიკულ შედევერებში, ასევე ზოგადად, მსოფლიო პოეზიაში. ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას თავისუფლებისა და უსაზღვროებისაკენ, ავტორთათვის პოეტური ხატი მერანი სახეა, ისინი მსგავსი მხატვრული გრძნობით ქმნიან თავიანთ შედევერებს.

მკვლევარი ი. კენჭოშვილი შენიშნავს, „რომ ევროპული ლიტერატურის ახალი ეპოქის დასაწყისს მოასწავებდა ლირო-ეპიური პოემის წარმოქმნა. ეპოქის ისტორიული შინაარსი ამ ჟანრულ სახეობაში გატარებულია პიროვნულ პრიზმაში: ხდება პოეტის პიროვნების ახალი აღმოჩენა. მკითხველის წინაშე, კლასიკური პოემის ობიექტური სურათის ნავლად, დადგა არა ერთი, არამედ ორი ობიექტი: ეპოქის შინაარსი და პოეტის პიროვნება.“ [კენჭოშვილი, 1974: 100].

აღსანიშნავია, რომ მქროღავი რაშის სახეს ვხვდებით ლერმონტოვის „ჰაკი-აბრეკში“. „ფარისის“ ლიტერატურულ პარადიგმას ვხვდებით ასევე ქართველი რეალისტი მწერლის ვაჟა-ფშაველას ლექსში „ღურჯა“. პოეტი მიმართავს თავის მერანს, რომ მასაც ადამიანივით ჰქონია გრძნობა. ნიავს ჰგავს მისი ქროღვა, როდესაც ბარიდან მთებისაკენ მიჰქრის. კლდეებზეც მიჰქრის პოეტის რაში, უგზო გზას ჰკვლავს. პოეტს გულიდან დარდსა და ვარამს აშორებს. არწივის ფრთებს ასხამს პოეტის ფიქრებს მისი ქროღვა. უდაბურ ადგილს აყვარებს პოეტს. შეუცნობ მხარეში მიაქროღებს მერანი თავის მხედარს, უმთვარო და უმზეო სივრცისაკენ.

„კლდეზედაც კარგა მიჰფრინავ,
 უგზო გზასა ჰქმნი გზიანსა,
 გულით მაშორებ ვარამსა,
 ვარამსა ათასფრიანსა
 არწივის ფრთეებს შეასხამ

ჩემს ფიქრსა მრავალ-ფრთიანსა.

მაყვარებ უდაბურს ადგილს.

ადგილს უმთვაროს, უმზეოს,

ჩვენ რომ ვეძახით მზიანსა“ [ვაჟა-ფშაველა, 1960: 56].

აქ სამყაროს შეცნობის ფაუსტური პარადიგმაც იკვეთება, რომ ადამიანის გონებას არ შეუძლია ბოლომდე ჩასწვდეს ბუნების კანონზომიერებებს. ლექსი, რა თქმა უნდა, ეხმიანება ბარათაშვილის „მერანსაც“, დაწერილია 1890 წელს და მასში სიკეთისა და უსაზღვროებისკენ სწრაფვის იდეაა წარმოდგენილი, როგორც „ფარისი“ ციკლის“ სხვა ლექსებში.

ერთ-ერთ უსათაურო ლექსში *** „კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი“ ჰაინრიხ ჰაინე წერს:

„კვლავ დამიბრუნდა ჯეელის ჯანი,

კვლავ მიმაქროლებს ჩემი მერანი;

თითქოს ამ სატრფოს ცეცხლიცა ვცანი,

სატრფოს ციხე და გულის ძგერანი,

კვლავ დამეუფლა ჯეელის ჯანი,

კვლავ მიმაქროლებს ჩემი მერანი,

კვლავ ბრძოლის ჟინი მომიცავს მძლავრი,

მესმის მეგობრის გულის ძგერანი“ [ჰაინე, 1978: 509].

ამ შემთხვევაში პოეტის რომანტიკული განცდა და სატრფოს ხატება ერწყმის ბრძოლის სურვილსა და ჟინს. ეს ლექსში შეიძლება გარკვეული კუთხით მივაკუთვნოთ „ფარისის“ თემაზე შექმნილ ლექსთა რიგს.

ზოგ შემთხვევაში მერანის სახე დაკავშირებულია არა ზოგადსაკაცობრიო ტენდენციებთან, არამედ პოეტის პირად, რომანტიკულ განწყობასთან. ამ მხრივ საინტერესოა გოეთეს ლექსი „შეხვედრა და განშორება“.

„ათრთოლდა გული, ვთქვი: ცხენი ჩქარა!

და გავაქროლე დაუზოგავად,

მიწას საღამოს ბინდი ეფარა,

ლურჯ მთებს წყვდიადი ჰღებავდა შავად...

წაველ, დაგტოვე, შენ შემომხედე,

ცრემლით აგვესო თვალი ვნებული,

ღმერთებო, აი ბედნიერება -

გიყვარდეს, იყო შეყვარებული“ [გოეთე, 1952: 22].

ყველა ლექსი გამოხატავს ადამიანის სწრაფვას სიკეთისა, თავისუფლებისა და უსაზღვროებისაკენ. მართებული იქნება, თუ აღნიშნულ პოეტურ ქმნილებებს გავაერთიანებთ და ვუწოდებთ მათ „ფარისის“ ციკლი“ ლექსებს.

როგორც აღვნიშნეთ, მიცკევიჩმა „ფარისი“ დაწერა 1828 წელს. 1829 წელს გოეთესთან სტუმრად მყოფი მიცკევიჩი დიდ მოაზროვნეს მოუთხოვს „ფარისის“ შეთხზვის ამბავს. „ერთხელ პეტერბურგში წვეულებიდან შინ მიმავალ პოეტს თავს დასტყდომია ავდარი. იგი შემხტარა ეტლში და მეეტლისათვის შეუძახნია, რაც შეიძლება ჩქარა გაერეკა ცხენები. სწრაფმა ჭენებამ, ქარის ქროლვამ, ფლოქვების თქარა-თქურმა აღძრა თურმე მის არსებაში „ფარისის“ იდეა. სახლში დაბრუნებული კალმოსანი მისჯდომია მაგიდას და მთელი დამე უმუშავია. მიცკევიჩს გამთენიის ხანს დაუსრულებია „ფარისის“ წერა“ [გიორგაძე, 1996: 12]. უდავოა, რომ მიცკევიჩი გოეთეს თავის შედევრსაც გააცნობდა. პირველი, მნიშვნელოვანია, რომ მიცკევიჩმა მოუყვა გოეთეს „ფარისის“ შეთხზვის ამბავი და მეორე, 1830 წელს, ეკერმანთან საუბრისას გოეთე აღნიშნავს, „კლასიკური და რომანტიკული პოეზიის გაგება, რაც ამჟამად მთელს ქვეყანას მოედო და ამდენ დავას, აზრთა სხვადასხვაობას იწვევს, თავდაპირველად ჩემი და შილერის თვალსაზრისში იღებს სათავეს“ [გოეთე, 1988: 213].

კონკრეტულ ნიმუშებზე საუბრისას ეს ფაქტი ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მითუმეტეს, თუ გავიხსენებთ 1774 წლის 10 ოქტომბერს გოეთეს მიერ დაწერილ ფილოსოფიური ლირიკის ნიმუშს „მეეტლე კრონოსს“. გოეთემ ლექსი დაწერა, როდესაც საფოსტო ეტლით ბრუნდებოდა მაინის ფრანკფურტში, საიდანაც ორი კვირის წინ კარლსრუემდე გააცილა მასთან სტუმრად ჩამოსული ფრიდრიჰ გოტლიბ კლოპშტოკი. „ჭაბუკ გოეთეს ეს „უმშვენიერესი ლექსი“, როგორც მას კორფი მიიჩნევს, - მე ვიტყვოდი მისი „მერანი“ - გარკვეული თვალსაზრისით, გოეთეს მთელი ლირიკის კლასიკურად ტიპიურ ნიმუშად ჩაითვლება“ [ჯინორია, 1981: 77].

ლოგიკური იქნება, თუ „ფარისის“ ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად მივიჩნევთ გოეთეს ლექსს „მეეტლე კრონოსს“. ეტლში მჯდომი პოეტი მიმართავს მეეტლეს იჩქაროს, მოემვას ჩორთით რახრახს, ზანტად სიარულს, გასწიოს სწრაფად და ეტლი შიგ ცხოვრების შუაგულში შეაგრილოს. ნუ შეუშინდება წინააღმდეგობასა და აღმართს. ასულის ცხოველმყოფელი მზერა იპყრობს პოეტის ყურადღებას. პოეტს სურს, ქალმა მასაც არგუნოს გულითადი მზერა. ეტლი თავქვე ეშვება. მზე ჩადის. პოეტი მიმართავს მეეტლეს „მიმაგდე ქვესკნელს, ჯოჯოხეთის უკან კარიბჭეს“. პოეტი მოუწოდებს მეეტლეს ჩაჰბეროს თავის საყვირს, ჯირითით გასწიოს, რომ მძლეთამძლენი ფეხზე წარმოუდგენს მას.

ლექსის ძირითადი იდეა ვფიქრობთ, ამ სტროფებშია გადმოცემული:

„აბა უჩქარე, ჰა, ნუ მოეშვი!

იმედით გასწი, ხალისიანად.

ლაღად შორს მალა თვალი მოავლე

მთიდან მთამდე

ცხოვრებას ირგვლივ.

სუფევს იქ გონი დაუსაზამო,

უკვდავ სიცოცხლის წინათმგრძნობელი“ [ჯინორია, 1981: 23].

პოეტს სურს, რომ მეეტლემ ლაღად მოავლოს მთიდან მთამდე ცხოვრებას თვალი, სადაც დაუსაბამო გონი სუფევს, უკვდავი სიცოცხლის წინამგრძნობელი. ამ სიტყვებში ჩანს, როგორ აღიქვამს გოეთე სამყაროს. ამასთანავე, აღიარებს სულის მარადიულობასა და უკვდავებას.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ მიცკევიჩის „ფარისის“ ლიტერატურული პარადიგმები ვლინდება მსოფლიო პოეზიის ნიმუშებში. შეგვიძლია ისინი გავაერთიანოთ ერთი სათაურის ქვეშ და ვუწოდოთ მათ „ფარისის“ ციკლის“ ლექსები. „ფარისის“ ციკლის ლექსების ლიტერატურულ საფუძვლად კი მივიჩნით გოეთეს ლექსი „მეეტლე კრონოსს“. საკითხისადმი ასეთი მიდგომა, ვფიქრობთ, სიახლეა ლიტერატურათმცოდნეობისათვის.

ლიტერატურა:

1. **ბარათაშვილი ნ.**, - თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1972. 235გვ.
2. **გიორგაძე ე.**, - როგორ დაიწერა „მერანი“. გამომცემლობა „ინტელექტუალური თაობა“. თბილისი. 1996. 16 გვ.
3. **გოეთე ი.**, - გოეთეს საუბრები ეკერმანთან. გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“. ბათუმი. 1988. 268 გვ.
4. **გოეთე ი.**, - ლექსები. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 267 გვ.
5. **გოეთე ი.**, - რჩეული ლირიკა. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 1972. 300 გვ.
6. **ვარდოშვილი ე.**, - ახალი ქართული ლიტერატურა და ევროპული მწერლობა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2018. 202 გვ.
7. **ვარდოშვილი ე.**, - ქართულ - ევროპულ ლიტერატურულ ურთიერთობათა ისტორიიდან. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2022. 202 გვ.
8. **ვაჟა-ფშაველა,** - თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა მწერალი“. თბილისი. 1960. 906 გვ.
9. **კენჭოშვილი ი.**, - ქართულ - ევროპული პოემების პარალელები. ლიტერატურული ურთიერთობები. ტ. V. გვ. 89-102 . გამომცემლობა „მეცნიერება“. თბილისი. 1974.
10. **მიქაძე მ.**, ლიტერატურული ალუზიები და ენობრივი პარალელები ბარათაშვილის „მერანისა“ და მიცკევიჩის „ფარისის“ მიხედვით, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, №24, 2020, გვ. 64-71, <https://enadakultura.com>
11. **მიცკევიჩი ა.**, რჩეული თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 731 გვ.
12. **პეტეფი შ.**, - რჩეული. გამომცემლობა „მერანი“. თბილისი. 219 გვ.
13. **ჯიბლაძე გ.**, - ბარათაშვილის პოეტური გენია. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1968 487 გვ.

14. ჯინორია ო., - გერმანული ფილოსოფიური ლირიკა. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 1981. 122 გვ.
15. ჰაინე ჰ., - რჩეული თხზულებანი. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“. თბილისი. 1978. 974 გვ.
16. ჰიდაში ა., - შანდორ პეტეფი. გამომცემლობა „ნაკადული“. თბილისი. 1961. 318 გვ.

Eka Vardoshvili

Tbilisi Iv. JavakhiSvili State university

Lyrical coincidences in the world poetry

Abstract

One of the important tasks of the literary studies is to take parallel motives into account. Thus, we will also find out some sources of national literature.

In 1828, Mickiewicz wrote “Faris”. It is believed that “Faris” was one of the sources of inspiration for Baratashvili when he wrote his “Merani”. Except for common cultural and historic background, concrete facts and attitude of the writers, these two poems have a number of poetic coincidences. “Pegasus” by the famous Hungarian poet Sandor Petofi is written directly under the influence of “Faris”. We can also consider “Gallop” by Sully-Prudhomme, “Blue Horse” by Vazha-Pshavela and an untitled poem by Heinrich Heine ***“My young health has returned to me” as lyrical examples created on the theme of “Faris”.

All poems express man’s aspiration for goodness, freedom and infinity. Merani’s face is a poetic icon for all authors, they create their masterpieces with a similar artistic sense.

It should be noted that the literary paradigm of “Faris” by Adam Mickiewicz is revealed in the example of the world poetry. Poetic creations carrying this idea can be considered as poems of one Cycle and they can be named “Faris” Cycle poems.

In the paper, we will also review which poetic sample can be considered as the literary basis of the “Faris” Cycle poems. We can consider the poem by Goethe “To Coachman Chronos”, which he wrote in 1774, as the literary basis of “Faris” Cycle poems.

We think that such an approach to the matter is a novelty for literary studies.

რეცენზენტი: პროფესორი ლუდმილა დაცევიჩი

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი „გოჩი“

ნანა კუპრაძე

საქართველოს უნივერსიტეტი
e-mail: nanakupradze43@mail.ru
<https://doi.org/10.52340/lac>

ვაჟა-ფშაველამ ლიტერატურულ ზღაპარშიც, ისევე როგორც სხვა ჟანრში, მრავალმხრივი ინტერესები გამოავლინა. „გოჩი“ კეთილისა და ბოროტის დაპირისპირების კლასიკურ თემას მეტად ორიგინალურად და ექსპრესიულად გადმოგვცემს.

დაკონკრეტებულია. მართალია, ამბავი გამოქვაბულის ეპოქაში ხდება, მაგრამ თვალსაჩინოა, რომ ავტორი თანამედროვეობას ეხმიანება, უფრო მეტიც, პირდაპირ ავლებს პარალელს XIX საუკუნის ქართულ სინამდვილესთან. ერთგვარი მორალისტური ტენდენციის დართვით, ვაჟა-ფშაველა ხაზს უსვამს საზოგადოების გულგრილობასა და გაუკუღმართებას.

გოჩი ბოროტების ხორცშესხმული სახეა. მწერლის მხატვრული კონცეფციიდან გამომდინარე, მას სიკეთე უნდა დაპირისპირებოდა.

მაშინ, როცა სულის ტკივილი იგრძნო, გოჩმა ღმერთს სთხოვა დახმარება, მან კი ჩიტის სახით სიყვარული გამოუგზავნა. ნაწარმოებში შესანიშნავად არის წარმოჩენილი ინიციაციის პროცესი.

ახალ აღთქმაში მტრედი სულიწმინდის სახეა. ნათლისღების შემდეგ სულიწმინდა სწორედ მტრედის სახით გადმოვიდა, თუმცა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეკლესია მტრედში გულისხმობს გვრიტსაც. ბიბლიის ადრეულ კომენტარებში წმინდა იერონიმე აღნიშნავს, რომ მტრედში ეკლესია მოიაზრებს არა ჩვეულებრივ მტრედს, არამედ გვრიტს. ამდენად, ფრინველი, ჩიტი, სულიწმინდად შეიძლება მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში არწივიც ღვთის სიმბოლოა და მიჩნეული.

ლიტერატურულ ზღაპარში თანმიმდევრობით სრულდება ეგზორციზმის რიტუალი, რომელიც რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: ყოფნა, გატეხვა, შეჯახება და განდევნა. ცხადია, ღვთის ნების ტრიუმფით სრულდება პროცესი, თუმცა გოჩი ვერ შეძლებს მოპოვებული მდგომარეობის შენარჩუნებას და დაეცემა.

გაუმადლობის დაუოკებელი სურვილით შეპყრობილი ადამიანი თვით ღმერთს უპირისპირდება. ზღაპარში დიდი ჭადრისა და უსურვაზის (ვაზია ჯიშია) ჩრდილქვეშ მყოფი დედა - გულზე ახუტებული ყრმით, თავად ღვთისმშობელი უნდა იყოს, ყრმა იესოსთან ერთად.

ღვთის პირისპირ დარჩენილი ცოდვით დაცემული, გადაგვარებული ადამიანი ვერ ახერხებს დემონური ინსტინქტების დათრგუნვას. ის პირდაპირ ესხმის თავს სიკეთეს და მისი განადგურების შემდეგ თავსაც ილუპავს, რადგან ყოფნაში აზრს ვეღარ ხედავს. საგულისხმოა

ისიც, რომ კლდიდან გადავარდნილი გოჩის სხეულიც ისევე დანაწევრდება, როგორც მაცხოვრის გამყიდველის, იუდა ისკარიოტელისა.

*ფოლკლორული ზღაპრისაგან განსხვავებით, ნაწარმოები ტრაგიკულად სრულდება.
ადამიანმა ვერ შეძლო იმ მადლის შენარჩუნება, რომელიც ღვთისგან ებოძა.*

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, „გოჩი“, ფოლკლორული ზღაპარი

ლიტერატურული ზღაპარი თავისი ბუნებით არის ჟანრი, რომელსაც შეიძლება ჰქონდეს ჯადოსნურ-ფანტასტიკური სიუჟეტი, ჰყავდეს რეალური ან გამოგონილი გმირები, გადმოსცემდეს ნამდვილ ან ზღაპრულ ამბავს, რომელშიც ავტორი წამოჭრის ეროვნულ, სოციალურ, ესთეტიკურ ან მორალურ-ზნეობრივ პრობლემებს.

ფოლკლორულისაგან განსხვავებით, ლიტერატურული ზღაპარი მეტად გამომსახველობითია. ავტორი არ იფარგლება ზოგადი მსჯელობით; ის აღწერს ყველა ნიუანსს: მოქმედების ადგილს, მოვლენებს, საგნებს; ცდილობს პერსონაჟთა შინაგანი სამყაროს სიღრმისეულ წვდომას, წარმოსახავს მათ ემოციებს.

წერილში „კრიტიკა ბ. ივ. ვართაგავასი“ ვაჟა-ფშაველა წერს: „ბევრი ამბავი და ზღაპარი მე შევექმენ და იოტის ოდენი იმათში ხალხის თქმულებისა არაფერი ურევია, თუმცა ფრჩხილებში ვსვამდი „ძველისძველი ამბავი“, „ზღაპარიო, „თქმულებაო“ იმ მოსაზრებით, რომ დაბეჭვდის დროს დაბრკოლება არ ჰქონიყო...“ (ვაჟა-ფშაველა, 1964: 362). ლიტერატურული ზღაპრის ჟანრი ავტორმა თავად განსაზღვრა და მას ლეგენდა უწოდა, თუმცა ის ფომით, სტრუქტურითა და სპეციფიკით ლიტერატურულ ზღაპარს წარმოადგენს.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი თითქმის შეუსწავლელია. რასაკვირველია, დაიწერა ბევრი შესანიშნავი სტატია, თუმცა მონოგრაფიულად ჯერ არ შესწავლილა.

ამჯერად, ვაჟა-ფშაველას მხატვრული მემკვიდრეობიდან გამოვყოფთ ლიტერატურულ ზღაპარ „გოჩს“, რომელშიც კეთილისა და ბოროტის დაპირისპირების კლასიკური თემა მეტად ორიგინალურად და ემოციურად არის ხორცშესხმული.

მართალია, ზღაპარი იწყება ტრადიციული ფრაზით „იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა,“ თუმცა დასასრულით მწერალი გაემიჯნა ფოლკლორულ ზღაპარს და თხრობა გოჩის თვითმკვლელობით დაასრულა. მწერალს ასეთი ცვლილებით შესაძლებლობა ეძლევა ხორცი შეასხას თავის სათქმელს.

ლიტერატურული ზღაპრის შემქმნელი მწერალი ხშირად არ იცავს ფოლკლორული ზღაპრის წესებს. შეხედულებისამებრ ავითარებს სიუჟეტს, კომპოზიციას, აკონკრეტებს დროს. აღნიშნულ ზღაპარში მართალია, „გამოქვაბულის ეპოქაში“ ხდება ამბავი, მაგრამ ავტორი მიგვანიშნებს, რომ გოჩის ცხოვრების ველური წესი თანამედროვეთათვისაც არაა უცხო. „იმ დროის კაცი თავისფერის კაცის ხორცს დაუზარავად შეექცეოდა. შაჭმის ნება იმასა ჰქონდა, ვინც ვის მოერეოდა; მკვლეელი თავის მსხვერპლს კაცს სულ წინ-წინ გულს ამოარიდებდა და შასჭამდა, რა არის, ერთიორად გულადი გავხდეთ, თვალებსაც ზედ დააყოლებდა, იქნება, ერთიორად შორს დავინახოვო. ეხლაც თუმც ეს ჩვეულება არის, მაგრამ სხვა სახით მოქმედობს: გულს იმიტომ

ამოვარიდებთ ხოლმე ერთიმეორეს ამ მეცხრამეტე საუკუნეში, რომ იგი გული სამავნებლოდ მიგვაჩნია ჩვენის მშვიდობიანობის და მყუდროებისთვის; თვალეზსაც დავთხრით ხოლმე კაცნი ერთმანერთს, მაგრამ საჭმელად კი არა, არამედ იმიტომ რომ ერთმა მეორე დავაბრმავოთ, – სხვისი სიბრმავე გვიყვარს“. ასეთ მორალისტურ ტენდენციას ურთავს ავტორი ზღაპრს და პირდაპირ მიანიშნებს ადამიანთა გაუკუღმართებაზე.

გოჩი ამ „განადირებული“ საზოგადოების წევრია, მისი ნაწილია, მრავალთაგან ერთ-ერთია. ის ზღვის პირას ცხოვრობს, მარტოდმარტო, გამოქვაბულში. მისი გარეგნობა მისივე შინაგანი სამყაროს განსხეულებაა. „უზარმაზარი, ხშირის ბაღნით დაფარულის ტანისა, თავდიდი, კბილდიდი, ცხვირდიდი იყო გოჩი; მისი გაწეწილი თმა-წვერი, კაცის გამხმარი სისხლით მორთული, შავს დიდრონს ხელებზედ დიდრონი ბრჩხილები, ადამიანის სისხლში ნათრევი, კაცს შეჰზარავდა.“ის ბოროტი ძალის განსახიერებაა.

მწერლის მხატვრული ამოცანიდან გამომდინარე, ამ ძალას უნდა დაპირისპირებოდა სიკეთე.

სიბერის ჟამს გოჩმა, რომელსაც არასოდეს არაფერს შეუწუხებია, ტკივილი იგრძნო, მაგრამ არა ხორცის, არამედ – სულის. მოსვენება დაკარგა, ადგილს ვეღარსად პოულობდა. პირველად სიცოცხლეში ღმერთს შეევედრა შველას. „ხორცი არ სტკიოდა, არამედ სული რაღაცას ითხოვდა გაბეზრებული; იგი წამოვარდებოდა გიჟივით, მოედებოდა ტყეს, ჩავარდებოდა ზღვის პირად, დარბოდა და დიდრონის ფეხებით ქვიშას აქეთ-იქით ისროდა, აწყვეტდა კლდეს თავს, კვნესოდა და ხვნეშოდა საზარლად; გოჩი დაიქანცა და გაიშხლართა დაბლა, დედამიწაზე: ღმერთო! – დაიძახა იმან პირველად, – დამასვენე, მომეცი, რაც მაკლიაო“ [ვაჟა-ფშაველა, 2012].

ზოგადად, ლიტერატურულ კრიტიკაში აღნიშნულია, რომ ვაჟა-ფშაველას პროზისათვის დამახასიათებელია არა „განივი“, არამედ სიღრმისეული ზრდა [კიკნაძე, 1989:224]. გარკვეული საკითხის ირგვლივ ტრიალი და პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობის ღრმა შრეების წვდომა. აქედან გამომდინარე, ლიტერატურული ზღაპრის პერსონაჟები ფოლკლორული ზღაპრის განზოგადებულ ტიპებს კი არ ჰგვანან, არამედ განუმეორებელ ინდივიდუალურ სახეებს ქმნიან.

ღმერთმა გოჩს ჩიტის სახით სიყვარული გამოუგზავნა.,, სიყვარული პირველად მაშინ ჩამოვიდა ქვეყნად. სიყვარული წამოვიდა ციდამ პატარა, ნაზი, ნიბლია ჩიტის ტოლა, ჩიტის სახით; ნაცრის ფერი ჰქონდა და უმანკო იყო. დაჯდა გოჩის პირდაპირ ერთის კლდის თავზედ და მოჰყვა მღერას“ [ვაჟა-ფშაველა, 2012].

ციდან ჩიტის სახით მოსული უმანკო ფრინველის სახით, უფლის მაღლი გადმოვიდა გოჩზე. ახალ აღთქმაში მტრედი სულიწმინდის სახეა. ნათლისღების შემდეგ სულიწმინდა სწორედ მტრედის სახით გადმოვიდა [მათე 3.16; მკოზი 1.10; ლუკა 3. 22; იოანე.1.32], თუმცა საღვთისმეტყველო ლიტერატურაში აღნიშნულია, რომ ეკლესია მტრედში მოიაზრებს გვრიტსაც. „ბიბლიის ადრეულ კომენტარებში წმინდა იერონიმე წერს, რომ მტრედში ეკლესია მოიაზრებს არა ჩვეულებრივ მტრედს, არამედ გვრიტს, რომელიც წმინდა ფრინველია.“ ამდენად, ფრინველი, ჩიტი, სულიწმინდად შეიძლება მივიჩნიოთ. აღსანიშნავია, რომ ვაჟა-ფშაველას შემოქმედებაში ღვთის სიმბოლოდაა მიჩნეული არწივიც. „ვფიქრობთ, კიდევ ერთი ორიგინალური სახე-ხატით გამოიხატება უფალი ვაჟას პოეზიაში. ჩვენი აზრით, ვაჟას ლექსში „მარტოობა“ არწივი

განასახიერებს სულიწმინდის მადლით მონიჭებულ აღმაფრენას, რომელიც გონებას უხსნის პოეტს, ფანდურს ხელში აღებინებს და სამეფო ტახტზე სვამს“ [შარაბიძე თ., 2023]. იგივე სიმბოლური დატვირთვით გვხვდება უფლის სახე მოთხრობაში „ნაპრალნი“, პოემაში „ბახტიონი“ და სხვა.

ცხადია, რომ ზევით აღწერილი შემთხვევა ინიციაციის პროცესს განასახიერებს, გოჩის საოცარი ცვლილება და გაკეთილშობილება ამის შედეგია. ტრანსფორმაციის შემდეგ გოჩმა სხვა სამყარო აღმოაჩინა, მაგრამ ეს გარდასახვა მეტად მტკივნეული აღმოჩნდა.

ლიტერატურულ ზღაპარში აღწერილია პროცესი, რომელიც ძალიან ჰგავს ეგზორციზმის რიტუალს, რომელიც რამდენიმე ეტაპისაგან შედგება: ყოფნა (დასწრება), როცა ეგზორციზტი (უფალი, სულიწმინდის სახით, ჩიტი) პირისპირ რჩება დემონის წინაშე და ყველა ღონისძიება, რომელსაც იგი იღებს ბოროტი ძალის წინააღმდეგ, გამოიხატება მსხვერპლის უშუალო ქმედებაში.

დავაკვირდეთ ტექსტს. „გოჩს სიყვარული ტყვიასავით მოჰხვდა. გოჩი გაყვითლდა, დაიწყო ღმეჭა და გრეხა, ბორგვნა;“ შემდეგი ეტაპია გატეხვა - პროცესი, როდესაც დემონი აშკარავდება. ამ დროს იწყება მსხვერპლის პანიკა, ისტერია, რომელიც გამოიხატება მსხვერპლის არაადამიანური ყვირილთა და ღრიალით.

დემონი უშუალოდ მსხვერპლთან საუბრობს და თავს არიდებს ეგზორციზტთან (უფალთან) კონტაქტს. დემონი გამოსცემს ენით აუწერელ, ადამიანისთვის ყოვლად აუტანელს ხმას. ზღაპარში ვკითხულობთ. „მისი ტანჯვა ეხლანდელი წინანდელს ბევრით აღემატებოდა: ღრიალებდა საშინლად, მისი და ზღვის ტალღების ბობოქრობა, ერთმანერთში არეული, მთა-ბარსა სძრავდა, ტყის ნადირი და ფრინველები გაფრთხნენ და გადიკარგნენ“ [ვაჟა-ფშაველა, 2012].

შემდეგი ეტაპია - შეჯახება - მომენტი, როდესაც დემონი ჩუმდება, რაც, ფაქტობრივად, ღვთის ძალის გამარჯვებას ნიშნავს. დემონს სჭირდება ასპარეზი არსებობისათვის, დამკვიდრებისათვის, რომ არ მოუწიოს ქვესკნელში დაბრუნება. ბოლო ეტაპია განდევნა: ეს არის ღვთის ნების გამარჯვების ტრიუმფი, როცა დემონი სხეულს ტოვებს უფლის ძალით.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ მსხვერპლს შეიძლება საერთოდ არ ახსოვდეს მომხდარი. „გოჩი მისუსტებული ეგდო ერთი წელი, პირიდან დორბლი და ქაფი სდიოდა. გოჩი ერთის წლის შემდეგ მორჩა და გადახალისებულად იგრძნო თავისი თავი. მიიხედ-მოიხედა და, რა კაცის ძვლები დახრული დაინახა, შესწუხდა. გაეღვიძა გულში სიბრალული, სინიდისი და ცრემლი მოსქდა თვალებიდან, - დაიწყო ტირილი“ [ვაჟა-ფშაველა, 2012].

გოჩი კი გაკეთილშობილდა, მაგრამ დიდხანს ვერ შემლო ამ სიმაღლეზე დგომა. „ერთხელ ის თავის სადგურის ახლო დადიოდა, დაინახა, რომ ერთის ჭანდრის ძირში, რომელსაც უსურვაზი აჰხვეოდა წვერამდის და სადაც ათასს ფრინველს დაესაბუდრა, წყაროს პირზე, ხშირს, მაღალს ბალახებში, დედაკაცი იჯდა, პატარა ბალღი გულზე მიჰხუტებოდა და მუძუსა სწოვდა“ [ვაჟა-ფშაველა, 2012].

გოჩმა მსხვერპლს თვალი მოჰკრა თუ არა, ცხოველურმა ინსტინქტმა გაიღვიძა მასში. ჯერ დედა შეჭამა. როცა შვილზე მიდგა საქმე, სინდისმა შეახსენა თავი, გულიდან ხმა ეძახდა, ბავშვი შეებრალეხინა. ერთხანს თითქოს გადაიფიქრა, მაგრამ ბოროტმა სძლია და დაეცა.

„მოტრიალდა გაიარა ცოტად, შესდგა; ბაღის ხორცის გემო მოაგონდა, დაბრუნდა უკან; მივიდა, ბაღი ხელში აიყვანა. – „ჰაა, ციცო!“ – მოესმა კიდეც ხმა. გოჩმა დასვა ბაღი ისევ ბაღახეზე და გამობრუნდა: გეგონებოდათ, გადასწყვიტა, ეგ არი, აღარ შესჭამსო. მაგრამ უცებ მოტრიალდა, დაიღრიალა თავისებურად, ბევრი ფიქრი აღარ ეწადა, დაავლო ბაღს ხელი და სწრაფად გაგლიჯა შუაზე. გოჩმა ბაღი შაჭამა და სინანული დაიწყო.“

ჩვენი აზრით, დედა გულზე ახუტებული ბავშვით, ღვთისმშობელია ყრმა იესოსთან ერთად. ღვთის პირისპირ დარჩენილი ცოდვით დაცემული, გადაგვარებული ადამიანი ვერ ახერხებს დემონური ინსტინქტების დათრგუნვას. ის პირდაპირ ესხმის თავს სიკეთეს და მისი განადგურების შემდეგ თავსაც იკლავს, რადგან ყოფნაში აზრს ვეღარ ხედავს. საგულისხმოა ისიც, რომ კლდიდან გადავარდნილი გოჩის სხეულიც ისევე დანაწევრდება, როგორც მაცხოვრის გამყიდველის, იუდა ისკარიოტელისა. „– ესეთი სიცოცხლეც ღმერთმა შარცხვინოსო. ადგა, მოძებნა ერთი მაღალი კლდე, შედგა იმაზედ და გადიჩეხა, ძირს ქვებზე ბღარტანი წაუვიდა. დაიმსხვრა გოჩი: ფეხები ცალკე გადაცვივდა, თავი ცალკე, ხელები ცალკე“ [ვაჟა-ფშაველა, 2012].

ასევე საგულისხმოა, ის უჩვეულო გარემო, სადაც დედა-შვილი იმყოფებოდა. დიდი ჭადრის ძირში, რომელსაც უსურვაზი შემოჭხვეოდა. ჩრდილო კავკასიური მითოსის თანახმად (ადილეური) ჭადარი სიცოცხლის ხეა. ვაზი კი ქართველთა როგორც წარმართული, ასევე ქრისტიანული რელიგიის უდიდესი სიმბოლოა. „მე ვარ ვენახი ჭემმარიტი და მამაჩემი მოქმედი არს. ყოველმან რტომან , ჩემ თანა არს და არა მოილოს ნაყოფი , აღილოს იგი და ყოველმან, რომელმან მოილოს ნაყოფი, განიწმინდის იგი, რათა უფროსი ნაყოფი გამოილოს. მე ვარ ვენახი და თქვენ რტონი. რომელი დაადგრეს ჩემ თანა, ამან მოილოს ნაყოფი კეთილი“ [იოანე 15] [ვაზი-სიცოცხლის ხე, 2023]. არა მხოლოდ ქრისტე, არამედ მოკვდავი ადამიანებიც ხშირად გაიგივებული იყვნენ ვაზთან „დანერგულიცა ვართ, ვითარცა ვენახნი საყურძნესსა ქრისტესა, რამეთუ იგი თავად არის ვენახი ჭემმარიტი“ [ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი, 2023]. ამდენად დედისა და ჩვილი ყრმის უსურვაზის (ვაზის ერთ-ერთი სახეობა) ჩრდილქვეშ ყოფნა უფლის წიაღს შეიძლება განასახიერებდეს.

ზღაპარი გოჩის თვითმკვლელობით მთავრდება. ღმერთმა მას სასჯელად „გაუმაძღრობა“ გამოუგზავნა. ამიერიდან ის ვეღარ იგებდა ძღმას. ვეღარ გაუძლო გოჩმა ცხოვრების ასეთ წესს.

ფერიცვალების შემდეგ სიყვარულთან ერთად, სინდისმა გაიღვიძა გოჩის სულში და დაიწყო უმთავრესი გამოცდა - ჭიდილი სულისა და ხორცისა. ვერ გაუძლო ადამიანმა ამ ბრძოლას და ცოდვით დაეცა, ამიტომ დასასრულიც ლოგიკურია.

ლიტერატურა:

1. ვაჟა-ფშაველა, IX ტომი, გვ. 362. თბილისი. 1964.
2. კიკნაძე გ., „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“, გვ.224. თბილისი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1989.

3. ლეთოდანი ა., „გვრიტის, მტრედისა და ორბის სიმბოლიკა „გიორგი მთაწმინდელის“ ცხოვრების“ მიხედვით.“ „ლიტერატურული ძიებანი“, # XXXIV, გვ.141. თბილისი. შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი, 2013.
4. ქურდოვანიძე თ., „ვაჟა-ფშაველა და ქართული ფოლკლორი“, გვ.262. თბილისი. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

გამოყენებული ბმულები:

ვაზი- სიცოცხლის ხე https://www.press.tsu.ge/data/file_db/nashromebi/vazi.pdf 29.10.2023

შარაბიძე თ. [file:///C:/Users/user/Downloads/litresearch,+DZIEBANI+39-35-48%20\(4\).pdf](file:///C:/Users/user/Downloads/litresearch,+DZIEBANI+39-35-48%20(4).pdf) 1.11.2023

ქართული მატერიალური კულტურის ეთნოგრაფიული ლექსიკონი <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=39&t=1323>) 27.10.2023.

ვაჟა-ფშაველა <https://tagiweb.wordpress.com/2012/03/19/gochi/> 25.10.2023

Nana Kupradze

University of Georgia

Vazha-Pshavela's literary fairy tale "Gochi"

(Abstract)

Vazha-Pshavela showed multifaced interests in the literary fairy tale, as well as in other genres. "Gochi" conveys the classical theme of the conflict between kindness and evil uniquely and expressively.

Unlike folk fairy tales that often exist in a timeless and spaceless setting, "Gochi" has specific references to time and space. The story is indeed set in the "age of the cave", but it is obvious that the author responds to the modernity and directly draws a parallel with the Georgian reality of the 19th century. By adding a kind of moralistic tendency, Vazha-Pshavela emphasizes the indifference and perversion of society.

Gochi is the personification of evil. Based on the artistic concept of the writer, kindness had to confront him.

When he felt the pain of his soul, Gochi asked God for help and He sent him love in the form of a bird. The process of initiation is perfectly presented in the work.

The dove is directly associated with the Holy Spirit in the New Testament. After baptism, the Holy Spirit descended upon him in the form of a dove. Though, the theological literature indicates, that the church also means a turtle dove in a dove. In the early commentaries of the Bible, St Jerome notes that the church does not mean an ordinary dove, but a turtle dove. Thus, we can consider a bird as the Holy Spirit. It should be noted that in the works of Vazha-Pshavela, the eagle is also considered a symbol of God.

The ritual of exorcism is performed in sequence in the literary fairy tale, which consists of several stages: Being, breaking, colliding and banishing. It is obvious, that the process is completed with the triumph of God's will, but Gochi cannot maintain the obtained state and falls.

A person obsessed with an insatiable desire for greed confronts Gog himself. The mother under the shadows of a large tree and wild grapevine (grape variety) with a child in her heart, must be the virgin and a child ,the Jesus. Fallen and the degenerated man left face to face with God is unable to suppress his demonic instincts. He directly attacks kindness and after destroying it ,he also kills himself, because he no longer sees the point in being. It is also noteworthy that the body of Gochi, who fell from the cliff ,will become dismembered too in the same way as the body of Judas Iscariot, the betrayer of our Savior.

Unlike the folk fairy tale, the work ends tragically.

The man could not maintain the grace that was granted by God.

რეცენზენტი: პროფესორი იან აიდუკოვიჩი

ლექსების გარდა . . .

ნიშნინიძე რუსუდან

ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: rusudann@yahoo.com
<https://doi.org/10.52340/lac>

სიმონ ბერეჟიანი ქართული ემიგრანტული მწერლობის საინტერესო წარმომადგენელია. ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების არეალში მოექცა მისი როგორც გერმანიაში, ასევე, საფრანგეთში გამოცემული პოეტური კრებულები. თუმცა, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც არაერთი საგულისხმო ტექსტია გამოქვეყნებული.

ამჯერად ყურადღება მინდა მივაქციოთ იმ საქმიანობას უცხოეთში, რამაც დიდი კვალი დააჩნია მის ცხოვრებას, თუმცა ვფიქრობ, მისი ტრაგიკული ბიოგრაფიაც საბედისწეროდ განსაზღვრა.

სიმონ ბერეჟიანი წერდა ლექსებს, პოემას, აქვს დაუმთავრებელი რომანი „ნიკოლა“. მთელი არსებით იხარჯებოდა შემოქმედებითად: სხვადასხვა თემით, ასპექტით, გამომსახველობის საშუალებების ძიებით. მისი პოეზია საგულისხმოა არაერთი ეროვნული კოდიტაც, რომელიც არაერთ ტექსტში გამოვლინდა როგორც მხატვრული გამომსახველობის მეტაფორული საშუალება. როგორც ვთქვით, სტატიაში ყურადღებას გავამახვილებთ იმ მოქალაქეობრივ აქტივობაზე, რომელსაც ახალგაზრდა „თეთრი გიორგის“ მოძრაობის წევრი ავლენდა.

ის კარიკატურებსაც ხატავდა; ოღონდ პოლიტიკურ კარიკატურებს, რომლებშიც თავის იდეოლოგიას დებდა. ისინი შემორჩენილია, მაგრამ დაკარგულია ფერწერული ტილო, რომელზეც მოგონებებში იწერებოდა. წერდა პოლიტიკურ პამფლეტებსაც.

სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფიიდან არაერთი ფაქტია ცნობილი, როცა ის არა მხოლოდ შემოქმედებითად, (ანუ, როცა თავად წერს) იხარჯება და ეს ერთი სათქმელი და საფიქრალი საქართველოა, საზღვარს იქით დარჩენილი ქვეყანა, არამედ მაშინაც, როცა აკაკი წერეთელს ანსახიერებს სცენაზე, შოთა რუსთაველსაც. ილიას „მგზავრის წერილების“ ინსცენირებაშიც იღებს მონაწილეობას და ალექსანდრე ბატონიშვილისადმი მიძღვნილ თეატრალიზებულ საღამოზე საკუთარ ლექსსაც („ბატონიშვილს“) წაიკითხავს.

თამარ პაპავას წიგნის - „დიდი სახეები პატარა ჩარჩოებში“ მომზადების საქმეში არაერთმა მნიშვნელოვანმა ქართველმა სხვადასხვა ფორმით და დანიშნულებით მიიღო მონაწილეობა. სიმონ ბერეჟიანი წიგნის კორექტორი გახლდათ.

კარგი მთხრობელიც იყო, გაიხსენებენ ემიგრაციაში მისი მეგობრები. ამბებსაც უამბობენ მკითხველებს. საქართველოში მეორე ინტერნაციონალის დელეგაციის ჩამოსვლასთან დაკავშირებით სახალისო ამბავს მოყვება. მის ამ უნარს სხვებიც ხაზგასმით აღნიშნავენ.

სიმონ ბერეჟიანის ბიოგრაფია და შემოქმედება ერთ მთლიანობაშია საინტერესოც და საგულისხმოც.

საკვანძო სიტყვები: სიმონ ბერეჟიანი, ქართული ემიგრანტული მწერლობა

ქართველი მეცნიერი დიმიტრი უზნაძე ერთ თავის ფუნდამენტურ ნაშრომში განიხილავდა რა შემოქმედებით პროცესსა და ცხოვრებისეულ რეალობაში მეხსიერების სხვადასხვა ფორმაზე ფანტაზიის გავლენას, ასეთ დასკვნას აკეთებდა: „ფანტაზია მეხსიერების არა მარტო ერთ ფორმაზე - მოგონებაზე ახდენს გავლენას. არა, იგი მეტად თუ ნაკლებად მეხსიერების მთელი მუშაობის გასწვრივ შეიძლება დადასტურდეს. თუმცა უნდა ითქვას, რომ მეხსიერების მუშაობის არცერთი ფორმა არ უქმნის მას ეგოდენ ხელსაყრელ პირობებს, როგორც მოგონება. ცოდნა... უფრო ნაკლებ პიროვნულია, უფრო ობიექტური, შედარებით უფრო ინდიფერენტული, ვიდრე მოგონება. ამიტომაც ფანტაზია არსად ისეთს გამანადგურებელ გავლენას არ ახდენს, როგორც ისტორიული მეხსიერების სფეროში“ [უზნაძე, 1940:466].

„გამანადგურებელი გავლენა“ - ფსიქოლოგიაში ამგვარი ფორმულირება თუ დიაგნოზი ალბათ, ყველაზე მძიმეა. თავის მხრივ, სრულიად დამოუკიდებლად მეორე მეცნიერიც - იუნგი, სწორედ ამგვარივე შედეგს წინასწარმეტყველებდა: „ისტორიულ სიზმრებს, - წერდა ის, ისევე, როგორც ყველა სიზმარს კომპენსატორული ფუნქცია აკისრია: ისინი მითითებია... რომ ესა თუ ის პირი თანხმობაში ვერაა თავის არაცნობიერ სიტუაციასთან, რომ სადღაც მან თავის ბუნებრივ გზას გადაუხვია... და საქმეს თუ არ მიხედა, უფსკრული გაღრმავდება... [და] შიგ გადაიჩეხება“ [იუნგი, 1995:290].

სიმონ ბერეჟიანი ქართული ემიგრანტული მწერლობის საინტერესო წარმომადგენელია. მასზე ბოლო წლებში არაერთგზის დაიწერა. ლიტერატურათმცოდნეების ყურადღების არეალში მოექცა მისი როგორც გერმანიაში, ასევე, საფრანგეთში გამოცემული პოეტური კრებულები. თუმცა, ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზეც არაერთი საგულისხმო ტექსტია გამოქვეყნებული.

აკაკი თვლის, რომ *Затерянный*-ის ტიპის ადამიანებთან არაფრის გარკვევა არ ღირს, ამიტომ მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს გაზეთის რედაქტორს; მოითხოვს, მან პირადად გადაამოწმოს გაზ. „ხუმარას“ ნომერი და თუკი დადასტურდება კორესპონდენტის სიტყვები, პოეტი მზადაა ნებისმიერი სასჯელი მიიღოს; წინააღმდეგ შემთხვევაში, მოითხოვს გაზეთში შეცდომის გასწორებას და ეს რედაქტორის სინდისისა და ღირსების საქმედ მიაჩნია. თუკი ასე არ მოხდება, აკაკი აპირებს ღირსების სასამართლოს მიმართოს იმ პირობით, რომ მედიატორული გადაწყვეტილება უსათუოდ იქნება გამოქვეყნებული პრესაში.

ამ ეტაპზე ჩვენ არ ვიცით, როგორ განვითარდა მოვლენები; დაბეჭდა თუ არა რაიმე ამ საკითხთან დაკავშირებით სუვორინმა თავის გაზეთში, მაგრამ საყურადღებო სხვა რამაა: როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, *Затерянный* -ის სტატიაში იმ ტექსტის ავტორად, რომელშიც შავროვია ნახსენები, აკაკი წერეთელი მოიაზრება.

ხსენებული ტექსტი საკმაოდ ვრცელი (ოთხნაწილიანი) ლექსია, რომელშიც არჩევნების პროცესში შემჩნეულ უკანონობასა და კონკრეტული პარტიების არაკეთილსინდისიერ ქმედებაზეა საუბარი. ეპიზოდი კი, სადაც შავროვია მოხსენიებული, ასე ჟღერს:

„გათენდა დილა კენჭაობისა.
ცერებზე შედგა ქალაქი მთელი..
თოვლის სუდარამ გახვია არე,
ქუჩას მოედო რაზმი „დამცველი“.

კვლავ შეიტაკნენ მებრძოლთ რაზმები,
მაგრამ არსად სჩანს ზოგი მათგანი
და მიცვალებულთ მაგიერობას
ეწევა „ლომი“ დაშნაკ ცაკანი.

ხულიგანებიც მამაცათ სცემენ,
შავროვისაგან დაკურთხებული,
მარტო კადეტებს და ჰანჩაკისტებს
სისუსტისაგან წაუხდათ გული.“

მართალია, ლექსში შავროვი მხილებულია, როგორც იმ კრიმინალური ელემენტების მხარდამჭერი და წამქეზებელი, რომლებიც სახელმწიფო დუმაში გასაგზავნი დეპუტატების არჩევნების სამართლიანად ჩატარებას უშლიდნენ ხელს, მაგრამ არანაირი მინიშნება არ არის მისი ფიზიკურად განადგურების მართებულებაზე. შავროვი ამ საკმაოდ ვრცელ ტექსტში მეტი აღარსადაა ნახსენები. რეალურად, ეს სატირა მიმართულია იმ პოლიტიკური პარტიების წინააღმდეგ, რომლებიც არაკეთილსინდისიერი მიზნებითა და საშუალებებით ცდილობდნენ „დუმაში“ მოხვედრას. კერძოდ, ფედრალისტების, რადიკალების, კადეტების, სოციალ-დემოკრატებისა და ე.წ. დაშნაკცაკანების წინააღმდეგ (დავაზუსტებთ: დაშნაკცაკანი არის 1890 წელს შექმნილი სომეხთა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ კონტრრევოლუციური პარტიის, დაშნაკცუთუნის [სომხ. dasnakcutjun] წევრი; ჰანჩაკისტები კი გაზ. „ჰანჩაკის“ (სომხ. ნობათი) ირგვლივ დარაზმული სომეხი ემიგრანტები არიან, რომელთა დიდ ნაწილს ოსმალეთიდან დევნილები წარმოადგენდნენ - ნ.ფ.).

რაც შეეხება აკაკი წერეთლის ავტორობის საკითხს, აქ რამდენიმე საკითხია საყურადღებო: პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ ტექსტი ხელმოუწერელია. თუმცა აქვე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ამავე გაზეთში ხელმოუწერლადვეა გამოქვეყნებული ის ტექსტები, რომელთა ავტორი ნამდვილად აკაკი წერეთელია. მაგ.: რაუშ ფონ ტრაუბენბერგის კარიკატურის ლექსი („დიდყურაანთ ყროყინას...“) და „ბენია და ბემტია“.

საინტერესოა ლექსის სათაური: „Се лев, а не собака“. ამ ფრთიანი გამონათქვამის ისტორია ასეთია: ერთმა მხატვარმა რელიგიური შინაარსის ლითოგრაფიებისათვის ლომის დახატვა იკისრა. საკუთარ ნამუშევარს რომ შეხედა, საფუძვლიანი ეჭვი გაუჩნდა, რომ მნახველები ლომს

ვერ ამოიცივდნენ და მიაწერა: „ეს ლომია და არა ძაღლი“. ამგვარი სათაურის შერჩევა - ირონიულისა და მახვილგონივრულის - აკაკისთვის დამახასიათებელია. მით უფრო, რომ ლექსის წაკითხვის შემდეგ ეს გამოთქმა კიდევ უფრო მეტ დატვირთვას იძენს - „ლომი“ სინამდვილეში გაქუცული ძაღლი აღმოჩნდება.

შინაარსობრივი თვალსაზრით ლექსი წინააღმდეგობაში არ მოდის ამავე თემაზე შექმნილ აკაკის სხვა ნაწარმოებებთან. ფორმოზივი კუთხითაც არის აშკარა მსგავსება, თუმცა საკითხი გაცილებით უფრო სერიოზულ კვლევას ითხოვს.

დაბოლოს, არანაკლებ საგულისხმოა კიდევ ერთი ფაქტი: Затерянный ფსევდონიმია გრიგოლ ალექსანდრეს ძე პალმისა, რომელიც გაზ. „Черноморский вестник“-ის რედაქტორი იყო (წყარო: პოეტ - აკადემიკოს ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა - მუზეუმის კატალოგი. ტ. 1. ნაკვ. 3. თბ., 1980. გვ. 603; Масанов И.Ф. Словарь псевдонимов русских писателей, ученых и общественных деятелей: В 4 т. Т. 4. М., 1960. — С. 358). შეიძლება დავუშვათ, რომ მის ხელთ არსებული ინფორმაცია ნაწილობრივ სწორია და ლექსის ავტორი მართლაც აკაკი წერეთელია; მით უფრო, რომ პოეტი თავის პასუხში ამ ფაქტს არ აპროტესტებს.

ლიტერატურა:

ნინიძე მ., -აკაკი წერეთლის უცნობი რუსულენოვანი სტატიები (ტექტოლოგიური მიმოხილვა), ჟ. „ლიტერატურული მიეზანი“ XXXV, 2014.

ფრუიძე ნ., - ზოგიერთი რამ აკაკი წერეთლის ახლად გამოვლენილი თხზულებების შესახებ, აკაკის კრებული II, თსუ გამომცემლობა, 2005.

წერეთელი ა., - თხზულებათა სრული კრებული თხუთმეტ ტომად, ტ. VIII, გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბ.: საბჭოთა საქართველო, 1958.

„ხუმარა“, 1907, #1.

„Закавказье“, 1907, # 65, 21.II,I ст.3.

„Новое Время“, 1907, # 11122,12.III, ст. 5.

Nana Pruidze
University of Georgia

One more unknown writing of Akaki Tsereteli

Abstract

On 21st march of 1907 in newspaper “Закавказье” was published an article „Ответ газете „Новое Время“ signed by Akaki Tsereteli. More particularly, it was about an article „Охота на русских людей“ published on 21st march in 11122st edition of the newspaper „Новое Время“, which is also known as a pseudonym of “Затерянный”.

The summary of an article is very provocative. If we trust the author, Russian people are brutally persecuted in Georgia. For example, article tells a story about an assault on a founder of a silk factory N. Shavrov.

An author of an article thinks that there is a connection between an assault and a publication in a humoristic newspaper “Joker” (Khumara). As he says that is the main reason that governor shut down the newspaper and put the editor Akaki Tsereteli in jail.

In reality, the reason for shutting down the newspaper and arresting the poet was insulting Governor Raush von Traubenberg and not an assault on Shavrov. But in his article Затерянный says: „...Черезъ нѣсколько дней послѣ появления подлой клеветы, **оглашенной авторитетнымъ княземъ, убилицы уже подкараулили Шаврова...**“ So the correspondent thinks, that the author of the material which provoked assault is Akaki Tsereteli.

The above-mentioned text published in newspaper “Khumara” is a long poem, which consists of four parts. It is about lawlessness during elections and unfair practice from political parties. The text is not signed, but we need to mention that there are other published and unsigned texts, which definitely belong to Akaki Tsereteli, i.e. caricature poem about Raush von Traubenberg and “Benia and Beshtia”.

If we consider the fact that Затерянный is a pseudonym of G. Palm, who was an editor of newspaper „Черноморский вестник“, we can assume that the information which he had is partially correct and the author of the poem is Akaki Tsereteli. In addition, the poet did not protest this fact in his answer. It is clear that for now nothing can be proven, but future research may prove the authorship of Akaki.

რეცენზენტი: პროფესორი სვეტლანა კოროტკაია

სწავლების მეთოდოლოგია Methodology of Teaching

პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლების თანამედროვე მიდგომები და მეთოდური გზამკვლევების ანალიზი

ნინო გაბეჩავა

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: n.gabechava28@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac>

პარატაქსი (თანწყობა) და ჰიპოტაქსი (ქვეწყობა) წარმოადგენს ძირითად სინტაქსურ სტრუქტურებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ დასრულებული აზრის გადმოცემაში როგორც წერილობით, ისე ზეპირ დისკურსში. პარატაქსისა და ჰიპოტაქსის ეფექტური სწავლებისათვის მნიშვნელოვანია თეორიული გაგებისა და პრაქტიკული გამოყენების ერთიანობის უზრუნველყოფა, თანადროულობა. მოცემულ სტატიაში შესწავლილია პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლების საკითხი, მეთოდურ გზამკვლევებში ასახული თანამედროვე მიდგომების გათვალისწინებით, ხაზი გაესმება მათი სწავლების მნიშვნელობას ენობრივი კომპეტენციებისა და უნარების განვითარებაში.

საკვანძო სიტყვები: პარატაქსი, ჰიპოტაქსი, სინტაქსური კონსტრუქციის სწავლება.

პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციების სწავლება ქართული ენის გრამატიკის სწავლების ერთ-ერთი საყურადღებო საკითხია, რომელიც დაკავშირებულია რთული წინადადების სინტაქსის ისტორიასთან. ეს ნათლად ჩანს ძველი ქართული გრამატიკებიდანაც, რომელშიც სინტაქსისა და სინტაქსური ერთეულების (წინადადება, წინადადების წევრი, სინტაქსური წყვილი) სწავლების საკითხებს იმთავითვე დიდი ყურადღება ექცეოდა. სინტაქსი ძველი ქართული ენის გრამატიკებში (ლექსთხზულებაში) ჩნდება XVII საუკუნიდან, როგორც გრამატიკის დამოუკიდებელი დარგი, რომელიც ისწავლებოდა მორფოლოგიისაგან გამიჯნულად. ძველ გრამატიკებში ყურადღება ექცეოდა როგორც წინადადების წევრების, ისე მთლიანი წინადადებების სწავლებას. XVIII საუკუნეში ანტონ პირველის „ქართული ღრამატიკა“ ასახავდა წინადადების წევრებს შორის ურთიერთმიმართების საკითხებს, როგორცაა: მართვა

და შეთანხმება. გაიოზ რექტორის სინტაქსიც ორიენტირებული იყო სიტყვათა შეკავშირების საკითხის სწავლებაზე [შავრეშიანი, 2022:89].

XIX საუკუნის 30-40-იანი წლებიდან სინტაქსის სწავლებისას აქცენტი გადაიტანეს წინადადებაზე, როგორც დასრულებული აზრის გამომხატველ შესიტყვებაზე. სასკოლო გრამატიკებში სინტაგმების სტრუქტურულ-სემანტიკური შესწავლის ნაცვლად მნიშვნელოვანი ხდება წინადადების ფუნქციურ-სემანტიკური ანალიზი. შესაბამისად, სინტაქსი ლექსთთხზულებიდან გახდა წინადადების შემსწავლელი დისციპლინა და განსაკუთრებული აქტუალურობა შეიძინა პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლების საკითხმა. ლეო კვაჭაძის მიერ 1977 წელს გამოცემულ სასკოლო გრამატიკაში სინტაქსის შესწავლის მთავარ საგნად გამოიკვეთა რთული წინადადების ტიპები (თანწყობილი და ქვეწყობილი), პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციები [შავრეშიანი, 2022:93].

ქართული გრამატიკის სწავლების ისტორიის ანალიზი ადასტურებს, რომ პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებას მეცნიერები ჯერ კიდევ ტრადიციული, ძველი განათლების პერიოდიდან ანიჭებდნენ დიდ მნიშვნელობას, თუმცა მიდგომები თანდათან იცვლებოდა, რამდენადაც რთული წინადადების სინტაქსი მოსწავლეებისათვის მარტივი გასაგები სულაც არ არის.

პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას წარმოიქმნება გარკვეული სიძნელეები, რაც უკავშირდება რთული წინადადების ტიპებისა და მათი მახასიათებლების ერთმანეთისაგან განსხვავების საჭიროებას. რთული წინადადების ტიპების, მათი თავისებურებების გაგებისათვის, პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას, ეფექტური თანამედროვე მიდგომების გამოყენება მეტად მნიშვნელოვანია და შესაბამისად, საკითხის კვლევა უდავოდ აქტუალური. მოცემული სტატია ემსახურება აღნიშნული საკითხის მეთოდური გზამკვლევების ანალიზს და პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლების გაუმჯობესებისათვის ეფექტური თანამედროვე მიდგომების გამოკვეთას.

საკითხის შესწავლისათვის მეთოდოლოგიად გამოყენებული იქნება კორპუსული კვლევა, რომლის საფუძველზეც გამოვლინდება პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლების თანამედროვე მიდგომების ტრადიციულისაგან განმსხვავებელი ნიშნები და უპირატესობები, ახალ გრამატიკებში შესული ცვლილებები. ემპირიულ მასალად აღებულია მეთოდური გზამკვლევები.

სტატიის სიახლეს წარმოადგენს სწორედ პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლების თანამედროვე მიდგომების მეთოდური გზამკვლევების დონეზე შესწავლა. ამ მხრივ საყურადღებოა 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე შემუშავებული VII-XII კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი გზამკვლევი (2013 წ.) და ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის მეთოდური გზამკვლევი, მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით (2022 წ.).

ტრადიციული განათლება, ძველი ქართული გრამატიკები, ითვალისწინებდა ენის იზოლირებულად სწავლებას, რაც ნიშნავს, რომ პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციები, სინტაქსი ისწავლებოდა არა ტექსტთა კორპუსის საფუძველზე, არამედ უმთავრესად ერთი წინადადების დონეზე. განსხვავებით ტრადიციული განათლებისაგან, საკითხისადმი თანამედროვე მიდგომა მოითხოვს პარატაქსისა და ჰიპოტაქსის ინტეგრირებულად სწავლებას.

„საქართველოში ყველაზე ხანგრძლივი ისტორია ენის იზოლირებულად სწავლებას აქვს, როცა იქმნებოდა და იქმნება ისეთი სახელმძღვანელოები, რომლებიც მიზნად ისახავენ ქართული ენის ფონეტიკის, ლექსიკის, მორფოლოგიისა და სინტაქსის სწავლებას არა ტექსტთა კორპუსზე დაფუძნებით, არამედ მხოლოდ ტექსტის რომელიმე მცირე მონაკვეთის, ძირითადად, კი ერთი წინადადების ფარგლებში“ [სამსონია, 2013:13].

2013 წელს გამოცემული VII-XII კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივი გზამკვლევის თანახმად, გრამატიკის, მათ შორის პარატაქსისა და ჰიპოტაქსის იზოლირებულად სწავლებამ გამოიწვია ენობრივი საკითხების ტექსტებისაგან დაშორება. გამომდინარე იქედან, რომ აღნიშნულ გზამკვლევაში, განსხვავებით ლიტერატურისა და ხელოვნებისაგან, ენა და გრამატიკა მოაზრებულია, როგორც პირველადი მამოძღვრებელი სისტემა, ავტორები მიუთითებენ გრამატიკის საკითხების ინტეგრირებულად, ტექსტთა კორპუსთან კავშირში სწავლების საჭიროებაზე. ეს ვრცელდება პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებაზეც. მასწავლებლის ამოცანაა, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეში ენის ლატენტური ცოდნის მეხსიერებისა და შესაძლებლობების განმავითარებელი აქტივობებით შევსებას, რაც იძლევა მსჯელობის, ანალიზის, შედარებისა და აბსტრაქტული უნარების გაძლიერების საშუალებას. აქვე ირინა სამსონია და თინათინ ცერაძე გზამკვლევაში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების ეფექტურ თანამედროვე მიდგომებად ასახელებენ ჯგუფებში სწავლებას; ჯგუფებში მუშაობის მეთოდს; საერთო საკლასო მუშაობასა და დამოუკიდებელ, ინდივიდუალურ მუშაობას [სამსონია, 2013:17].

2011-2016 წლების ქართული ენისა და ლიტერატურის გზამკვლევის მიხედვით, გრამატიკის საკითხების, მათ შორის პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას უარი უნდა ითქვას ტრადიციულ მიდგომაზე, მზა მასალის სტატიკურად მიწოდებაზე და უპირატესობა მიენიჭოს თანამედროვე, ინტერაქტიურ მეთოდებს, რაც მოსწავლეს საშუალებას მისცემს დამოუკიდებლად მივიდეს გარკვეულ დასკვნებსა და შედეგებამდე:

„გაკვეთილი იმგვარად უნდა იყოს აგებული, რომ ენობრივი სისტემა მოსწავლეს მზა სახით კი არ უნდა მიეწოდოს, არამედ მან თვითონ გააკეთოს გარკვეული დასკვნები მასწავლებლის ხელმძღვანელობით ცალკეულ წინადადებასა თუ ტექსტზე მუშაობის პროცესში, რასაც თან სდევს თავად მოსწავლის სამეტყველო მოქმედება“ [სამსონია, 2013: 14]. მაგალითად, ენობრივი საკითხების ლიტერატურასთან ინტეგრირებულად სწავლების ფარგლებში მოსწავლეები მხატვრულ ტექსტებში ამოიცნობენ პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებს.

2011-2016 წლების ქართული ენისა და ლიტერატურის გზამკვლევაში უფრო ზოგად ჭრილშია განხილული სინტაქსის საკითხების სწავლების თანამედროვე მიდგომები. ამ კუთხით გაცილებით მეტი ანალიზისა და დასკვნის საფუძველს იძლევა ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის მიმდინარე გზამკვლევი, რომელიც ეფუძნება მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმას. გზამკვლევაში საკითხების ტიპოლოგია ჩაშლილია 8 სამიზნე ცნების შესაბამისად. ჩვენთვის საყურადღებო სამიზნე ცნება - „გრამატიკა“ გათვლილია ესგ-ის 9, 11 და 12 შედეგებზე [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022].

გზამკვლევის ანალიზი აჩვენებს, რომ პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლება გათვლილია ესგ-ის მე-12 შედეგზე, სინტაქსის, სიტყვების წინადადებად შეწყობა-შეკავშირების თავისებურებების ცოდნაზე. გრამატიკის საკითხების, მათ შორის, პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას ეფექტურ მიდგომად იკვეთება ტიპური კომპლექსური დავალებების გამოყენება, რომელმაც ხელი უნდა შეუწყოს მოსწავლის წინარე ცოდნისა და იმ სტრატეგიების გამოვლენას, რომელსაც მოსწავლე ეყრდნობა დავალების შესრულებისას, აგრეთვე, იმ ცვლილებების წარმოჩენას, რასაც აღსაზრდელი შეიტანდა კომპლექსურ დავალებაზე თავიდან მუშაობის შემთხვევაში.

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის მოქმედი გზამკვლევიდან ნათელი ხდება, რომ კომპლექსური დავალებები და სხვა ტიპის პრაქტიკული აქტივობები გრამატიკის საკითხების, მათ შორის, პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას, პასუხობს ფუნქციურობის პრინციპს. რთული წინადადების სწავლებისადმი თანამედროვე მიდგომებმა უნდა უზრუნველყოს გრამატიკის საკითხების კონტექსტში ფუნქციური გამოყენება, რაც ხაზს უსვამს მათ უპირატესობას ტრადიციულ მიდგომებთან მიმართებით. ამ მიზნით გათვალისწინებულია სისტემურობის პრინციპიც და სინტაქსის და მასში შემავალი პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებას წინ უსწრებს მორფოლოგიის საკითხები და სხვა უფრო მარტივი სინტაქსური კონსტრუქციები, ვიდრე რთული წინადადებაა [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022].

პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას სინტაქსის საკითხების თანმიმდევრობა განსაზღვრულია არა ტრადიციული, არამედ ფუნქციური ნიშნით. უშუალოდ პარატაქსამდე და ჰიპოტაქსამდე მოსწავლეებს აქვთ საშუალება, გაეცნონ სიტყვათა შორის სინტაქსური ურთიერთობის სახეებს; წინადადების მთავარ და არამთავარ წევრებს; წინადადების ტიპებს შინაარსისა და აგებულების მიხედვით. მოსწავლეებს სასწავლო პროგრამიდან აქვთ წინარე ცოდნა პარატაქსული და ჰიპოტაქსული კონსტრუქციების გაგებისათვის, მათ იციან წინადადების ტიპები, მარტივი, შერწყმული და რთული წინადადებების სახეები; წინადადებების შეერთების საშუალებები. მხოლოდ ამის შემდეგ აკეთებს გზამკვლევი აქცენტს რთულ წინადადებაში შემავალი პარატაქსული და ჰიპოტაქსული კონსტრუქციების; განკერძოებული სიტყვებისა და

გამოთქმების; პირდაპირი და ირიბი ნათქვამის და სხვა საკითხების შესახებ [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022].

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის გზამკვლევში გრამატიკის საკითხების, მათ შორის პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისათვის გათვალისწინებულია ორი ტიპის კომპლექსური დავალება. ესენია: ემოციების ენა და სათაურების გრამატიკა. კომპლექსური დავალებები მიმართულია იმისკენ, რომ მოსწავლემ შეძლოს გრამატიკული საკითხების შესახებ წინარე ცოდნის სინტაქსის, მათ შორის პარატაქსისა და ჰიპოტაქსის შესწავლისათვის გამოყენება. მაგალითად, 1. „დავალება ემოციების ენა“ მოსწავლისგან ითხოვს ნოდარ დუმბაძის „კორიდაში“ იმ სინტაქსური საშუალებების ამოცნობას, რომელიც გამოყენებულია ემოციების აღწერისათვის.

ასევე, კომპლექსური დავალება შეიძლება, მოსწავლისგან ითხოვდეს რთული წინადადების ტიპების გარჩევას; დამოკიდებული და მთავარი წინადადებების ერთმანეთისაგან გამიჯვნას; პარატაქსისა და ჰიპოტაქსის ამოცნობას და მათთან დაკავშირებული სინტაქსური საკითხების პრაქტიკულ ანალიზს (მაგალითად, კავშირების, მიმართებითი ნაცვალსახელებისა და მიმართებითი ზმნისართების გამოყენების თავისებურებები).

„დავალება 2. სათაურების გრამატიკა“ მოითხოვს საგაზეთო სათაურებში გამოყენებული ზმნიზედების სახეებისა და ფუნქციის ამოცნობას [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2022]. მართალია, ამ ტიპის დავალება უშუალოდ პარატაქსულ და ჰიპოტაქსურ კონსტრუქციებს არ ეხება, თუმცა ხელს უწყობს მოსწავლის მიერ წინარე ცოდნის გამოყენებას ახალი საკითხის გაგებისათვის.

გრამატიკის, მათ შორის პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებაში ბოლო წლებში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები, აქცენტი გაკეთდა ფუნქციურობისა და სისტემურობის პრინციპებით სასწავლო პროგრამის აგებაზე (კილასონია, 2019:53). გრამატიკის საკითხების სწავლებისას მნიშვნელოვანი გახდა კომუნიკაციური კომპეტენციების (წერიტი და ზეპირი კომუნიკაცია) განვითარებაზე ორიენტირება [მამაგულაშვილი, 2019:40].

ახალი სტანდარტით ხაზი გაესვა პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებაში მეთოდოლოგიური ნაწილის განსაკუთრებულ როლს, რისი დასტურიცაა პრაქტიკული დავალებების მრავალფეროვნება და თანამედროვე, ინტერაქტიური მეთოდების გამოყენება [საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, 2018]. მიუხედავად ამისა, პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას მაინც იჩენს თავს რიგი სირთულეები, რაც დაკავშირებულია რთული წინადადების სახეების, რთული თანწყობილი წინადადების ქვესახეებისა და სტრუქტურული მახასიათებლების, ჰიპოტაქსში დამოკიდებული წინადადების ადგილის, კორელაციანი და უკორელაციო რთული ქვეწყობილი წინადადებების ამოცნობასა და ერთმანეთისაგან გარჩევასთან. ამიტომაც უპირველესად საჭიროა, რომ ხელი შეეწყოს მოსწავლეებში ამ ცნებების სწორად გაგებასა და აღქმას.

მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგებმა იზრუნონ პარატაქსისა და ჰიპოტაქსის და ამ საკითხის სწავლებასთან დაკავშირებული სხვა ცნებების ცხად და ლაკონიურ ახსნა-განმარტებაზე, ასევე, პრაქტიკული მაგალითების დასახელებით, მათ შორის განსხვავებების წარმოჩენაზე. მიზანშეწონილია, რომ სწავლების თანამედროვე სტრატეგიებიდან და მიდგომებიდან აქცენტი გაკეთდეს პრაქტიკულ სავარჯიშოებზე, რომელიც გათვლილია ცოდნის შექმნაზე, ჩვევების გავარჯიშებასა და უნარების დაუფლებაზე. „პრაქტიკული სავარჯიშო - არის სწავლების ერთ-ერთი ხერხი, მიმართული პრაქტიკული უნარ-ჩვევების დაუფლებისაკენ, რომლებიც მრავალჯერადი განმეორებითა და სისტემატური ვარჯიშით მიიღწევა. ერთი და იმავე თემის გარშემო სასურველია სხვადასხვა ტიპის სავარჯიშოების შედგენა“ [დალაქიშვილი, 2016: 254].

პრაქტიკული სავარჯიშოების ფარგლებში მოსწავლეებს ჯერ უნდა დაევალოს მარტივი ამოცანების გადაჭრა, როგორცაა: რთული წინადადების სახეების (თანწყობილი და ქვეწყობილი), პარატაქსისა და ჰიპოტაქსის გარჩევა, შემდეგ კი - თანდათან შესაძლებელია მათი გართულება (რთული თანწყობილი წინადადების სახეების გარჩევა, მისი სტრუქტურული თავისებურებების ამოცნობა; კორელაციანი და უკორელაციო რთული ქვეწყობილი წინადადებების ამოცნობა). ეტაპობრივი მიდგომა მოსწავლეებს დაეხმარება პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას თავიანთი უნარების თანდათან განვითარებაში.

პრაქტიკული სავარჯიშოების მეშვეობით შესაძლებელია, რომ მასწავლებელმა წახალისოს მოსწავლეები და დაავალოს პარატაქსისა და ჰიპოტაქსის თავისებურებების ამოცნობა ტექსტებში, რაც მათ დაეხმარება ამ კონსტრუქციების შესახებ მიღებული თეორიული ცოდნის პრაქტიკულად გამოყენებაში.

პრაქტიკული სავარჯიშოები მოიტანს დადებით შედეგს იმ შემთხვევაში, თუ მათ შესრულებამდე მოსწავლეებს უკვე აქვთ გარკვეული წინარე, საბაზისო თეორიული ცოდნა პარატაქსისა და ჰიპოტაქსის შესახებ. პრაქტიკული სავარჯიშოების საშუალებით პარატაქსისა და ჰიპოტაქსის შესახებ „თეორიული მასალის გადაცემის შემდეგ მასწავლებელი ახდენს ასათვისებელი სამუშაო უნარის დემონსტრირებას აუდიტორიისთვის“ [დალაქიშვილი, 2016: 254].

წინადადებების კომბინირების სავარჯიშოები მოსწავლეებს მისცემს პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციებით მანიპულირების საშუალებას; მოკლე წინადადებებიდან რთულ და თანმიმდევრულ აზრსაცხადმდე მისვლა მოსწავლეებში ხელს უწყობს წინადადების დონეზე წერის უნარის განვითარებას.

მეტად ხელსაყრელია ლიტერატურული (მხატვრული) ტექსტების ანალიზი, რომანების, ლექსებისა და ესეების ნაწყვეტებში პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციებისა და რიტორიკული და სტილისტური მიზნებისათვის მათი გამოყენების თავისებურებების ამოცნობა.

აგრეთვე, თანატოლთა ნაწერის მიმოხილვისა და რედაქტირების აქტივობები მოსწავლეებს დაეხმარება პარატაქსული და ჰიპოტაქსური კონსტრუქციების უკეთ გაგებაში.

კრეატიული წერის სავარჯიშოები გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, ექსპერიმენტს მიმართონ და თავიანთი შემოქმედებითი წერის პროექტების საფუძველზე გამოსცადონ პარატაქსისა და ჰიპოტაქსის ექსპრესიული შესაძლებლობები.

სასარგებლოა ტექნოლოგიების ინტეგრაცია, ციფრული რესურსების ჩართვა პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლებისას. ამ მხრივ აღსანიშნავია გრამატიკის ონლაინ შემოწმება, წერის ანალიზის პროგრამა და ინტერაქტიული სავარჯიშოები. ინტერაქტიული სავარჯიშოები ითვალისწინებს სწრაფ უკუკავშირს და იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებმა მიმართონ თვითრეგულირებას. ამ გზაზე მნიშვნელოვანია, რომ პედაგოგმა გამოიყენოს ვიქტორინები, ზეპირი პრეზენტაციები და წერილობითი დავალებები იმისათვის, რომ შეაფასოს მოსწავლეების საქმიანობა და დაუბრუნოს კონსტრუქციული უკუკავშირი.

პრაქტიკული სავარჯიშოებიდან მოსწავლეებისათვის ცხადი უნდა გახდეს პარატაქსისა და ჰიპოტაქსის გამოყენების მნიშვნელობა თანამედროვე ენაში, ის, თუ როგორ უწყობს ხელს აღნიშნული კონსტრუქციები სათქმელის ცხადად და დამაჯერებლად გადმოცემას.

პარატაქსისა და ჰიპოტაქსის, ისევე, როგორც ნებისმიერ სხვა საკითხზე გაკვეთილების ჩატარებისას, უშუალოდ სწავლების აქტივობებისა და მეთოდების შერჩევასთან ერთად, არანაკლები მნიშვნელობა აქვს სათანადო სასწავლო გარემოს შექმნას. პედაგოგი უნდა ზრუნავდეს საკლასო ოთახში შექმნას ყველა მოსწავლის ინტერესებსა და საჭიროებებზე მორგებული, სწავლისათვის სანდო და კომფორტული ატმოსფერო. გამომდინარე იქიდან, რომ საკლასო ოთახში, ერთ სივრცეში თავს იყრიან განსხვავებული მისწრაფებების, მზაობისა და კომპეტენციის მქონე მოსწავლეები, მასწავლებელს აკისრია არც თუ ისე მარტივი მისია, რომ თავისი დადებითი მოლოდინებით მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ყველა მოსწავლეს, შესაძლებლობის ფარგლებში, მაღალი აკადემიური მოსწრების მიღწევაში. იგულისხმება ის, რომ პედაგოგი უნდა დაეხმაროს მოსწავლეს მოტივაციისა და კომპეტენციის ამაღლებაში, რაც აუცილებელია აკადემიური მოსწრებისათვის (მოსწრება = მოტივაცია x კომპეტენცია).

„გარკვეულწილად, რასაც ელოდები, არის ის, რასაც იღებ და ამიტომ მასწავლებელს შეუძლია გააუმჯობესოს (ან გააუარესოს) მოსწავლეთა საქმიანობა მაღალი (ან დაბალი) მოლოდინებით, რაც საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს მას“ [საფიერი&გოუერი, 2010: 269].

ძირითადად, პრაქტიკა აჩვენებს, რომ საკლასო ოთახში დაბალი მზაობისა და დაბალი კომპეტენციის ან მაღალი მზაობისა და მაღალი კომპეტენციის მქონე მოსწავლეთა რიცხვი შედარებით მცირეა, გაცილებით მეტია დაბალი კომპეტენციისა და მაღალი მოტივაციის, ან მაღალი კომპეტენციისა და დაბალი მოტივაციის მქონე მოსწავლეები. მოსწავლეებთან, რომელთაც კომპეტენცია მაღალი აქვთ, თუმცა მოტივაცია - დაბალი, მასწავლებელმა უნდა

იზრუნოს გაკვეთილის თანამედროვე მეთოდებითა და რესურსებით გამრავალფეროვნებაზე, მოსწავლეების სასწავლო პროცესში მათი მათემატიკურად ჩართვასა და მათი თვითფექტურობის გაზრდაზე.

თუ პირიქით, მოსწავლის კომპეტენცია დაბალია, მაგრამ მოტივაცია - მაღალი, მაშინ მასწავლებელმა, სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და რესურსების გამოყენებასთან ერთად, პრაქტიკული სავარჯიშოები სწორად უნდა შეარჩიოს. მოსწავლის კომპეტენციის ამაღლებისათვის საჭიროა, რომ ჯერ დაიწყოს მარტივი მაგალითებით და გზადაგზა გაართულოს სასწავლო მასალა ისე, რომ მოტივაცია არ დაეცეს. ყველაზე რთული შემთხვევაა, როცა მოსწავლეში ორივე დაბალია, მოტივაციაც და კომპეტენციაც. ამ შემთხვევაში ყველაზე ოპტიმალური გამოსავალი ინდივიდუალური მუშაობაა, რომელიც VII-XII კლასების ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ გზამკვლევში, ჯგუფებში სწავლებასთან, ჯგუფებში მუშაობასა და საერთო საკლასო მუშაობასთან ერთად, დასახელებულია ერთ-ერთ ძირითად მიდგომად თანამედროვე სწავლებაში [სამსონია, 2013:51].

ინდივიდუალური მიდგომის ფარგლებში, მასწავლებელმა მოსწავლესთან უნდა იმუშაოს ეტაპობრივად, ჯერ ერთი მიმართულებით, რომელიც უფრო მარტივად დასაძლევია და შემდგომ - მეორე მიმართულებით. თუ ეს ყველაფერი დროულადაა დანახული, გააზრებული და გადაჭრის გზები - დასახული, მაშინ შედეგიც მიიღწევა და ასეთ დროს მოსწავლეთა აკადემიური მოსწრებაც გაცილებით მაღალია.

ამრიგად, პარატაქსისა და ჰიპოტაქსის სწავლების თანამედროვე მიდგომები უნდა დაეფუძნოს დინამიკურ და ინტერაქტიურ მეთოდებს, რაც უზრუნველყოფს თეორიისა და პრაქტიკის მჭიდრო ურთიერთკავშირს. პედაგოგმა თანაბრად უნდა იზრუნოს მოსწავლეებში კომპეტენციისა და მოტივაციის ამაღლებაზე. პარატაქსისა და ჰიპოტაქსის ახსნისას თვალსაჩინოებების, ინტეგრირებული დავალებების/პრაქტიკული სავარჯიშოების, ინდუქციური მეთოდის (წესი მაგალითზე დაყრდნობით), გრამატიკის კონტექსტთან ერთად სწავლებისა და პრეზენტაცია-პრაქტიკა-პროდუქტის მეთოდების გამოყენება მასწავლებელს მისცემს საშუალებას, რომ ხელი შეუწყოს მოსწავლეებში ენობრივი კომპეტენციების, ზეპირი და წერიტი კომუნიკაციის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების უნარების განვითარებას.

ლიტერატურა:

1. დალაქიშვილი ნ., ერაძე კ., ლობჯანიძე ს., მელიქიშვილი მ., - პედაგოგიური გზამკვლევი პროფესიული განათლების მასწავლებლებისათვის. თბილისი: მასწავლებელთა პროფესიული განათლების ეროვნული ცენტრი. თბილისი, 2016.
2. კილასონია ს., - ქართულ ენაში სწავლების სტრატეგიების გამოყენების პრაქტიკის კვლევა ზმნის სწავლების მაგალითზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2019.

3. მამაგულაშვილი ნ., - სახელთა სწავლების პრაქტიკის კვლევა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებით და საბაზო საფეხურზე. ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2019.
4. მალაკელიძე ნ., მიქაძე მ., ქართული ენის სწავლების მეთოდთა, თბილისი, „მერიდიანი“, 1996.
5. სამსონია ი., ცერაძე თ. - ქართული ენა და ლიტერატურა VII-XII კლასები: საგნობრივი გზამკვლევი 2011-2016 წლების ეროვნული სასწავლო გეგმების მიხედვით. თბილისი: საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტი. თბილისი, 2013.
6. საფიერი ჯ., გოუერი რ., - გამოცდილი მასწავლებელი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. თბილისი, 2010.
7. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა (დაწყებითი და საბაზო საფეხური) 2018-2024. თბილისი, 2018.
8. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. ქართული ენა და ლიტერატურა (მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით). რესურსი II საბაზო - გზამკვლევი. თბილისი, 2022.
9. შავრეშიანი ნ., - პარატაქსულ-ჰიპოტაქსური კონსტრუქციები სვანურში. უნივერსალი. თბილისი, 2022.

Nino Gabechava

Batumi Shota Rustaveli State University

**Modern approaches to teaching parataxis and hypotaxis and
Analysis of methodological guidelines**

Abstract

For effective teaching of parataxis and hypotaxis, it is important to ensure the unity of theoretical understanding and practical application, simultaneity. In this article, the issue of teaching parataxis and hypotaxis is studied, taking into account the modern approaches outlined in methodical guides, the importance of their teaching in the development of language competences and skills was emphasized.

For the study of the issue, we have used a corpus study as a methodology, on the basis of which the distinguishing features and advantages of the modern approaches to teaching parataxis and hypotaxis will be revealed, as well as the changes introduced in new grammars. Methodical guides are taken as empirical material.

The novelty of the article is the study of modern approaches to teaching parataxis and hypotaxis at the level of methodological guides.

From modern teaching strategies and approaches, emphasis is made on: Practical and sentence combining exercises, analysis of literary (artistic) texts (recognition of parataxic and hypotactic constructions in fragments of novels, poems and essays and peculiarities of their use for rhetorical and stylistic purposes), peer writing review and editing activities, creative writing exercises and technology integration.

Teaching parataxis and hypotaxis in the modern classroom requires a dynamic and interactive approach that combines theory with practical application. By following methodological guidelines, teachers can empower students to develop their language skills, promote effective communication, critical thinking, and creative expression.

რეცენზენტი: პროფესორი მანანა მიქაძე

კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესთან დაკავშირებული ერთი გამოწვევის შესახებ

ლელა ედგვერაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: Lela.edzgeradze@atsu.edu.ge; edzgeradze9@gmail.com
<https://doi.org/10.52340/lac>

მოცემულ სტატიაში გაანალიზებულია კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის ისეთი მნიშვნელოვანი კომპონენტი, როგორცაა მასწავლებლის უკუკავშირი, მოსწავლეებთან კითხვა–პასუხის ან დისკუსიის რეჟიმში მუშაობის დროს. საგაკვეთილო დაკვირვების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მასწავლებლებს უჭირთ მოსწავლეთა მსჯელობის მართვა, ხშირად ვერ ახერხებენ მათ პასუხებზე/მოსაზრებებზე შესაბამისად რეაგირებას, არ ცდილობენ გაერკვნენ, მათი მოსაზრებით, შეუსაბამო პასუხის მიზეზებში, უმეტესწილად ამჯობინებენ არ შეამჩნიონ იგი და სხვა მოსწავლეებს სთხოვენ იმავე კითხვაზე პასუხს.

ქართულის გაკვეთილებზე ტექსტის ანალიზისა და პრობლემატიკის გააზრების დროს მასწავლებლები, მოსწავლეთა წახალისების მიზნით, ხშირად აკეთებენ განცხადებას: „თქვით რაც გინდათ, ყველა აზრი მისაღებია“. თითქოსდა ეს მითითება სრულად პასუხობს ემოციურად უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს მოთხოვნებს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს შეუფერხებლად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. თუმცა, რეალობაში ხშირად საწინააღმდეგო ეფექტს ვიღებთ. მასწავლებლები, როგორც წესი, უყურადღებოდ ტოვებენ მოსაზრებებს, რომლებიც თავად მათ მოსაზრებას არ ემთხვევა. ელოდებიან იმ ერთადერთ პასუხს, რომელიც მათ მიერ ჩაფიქრებულს შეესაბამება და, შემდეგ, უბრალოდ წყვეტენ პროცესს. არ ცდილობენ არა თუ წინა პასუხების განხილვას, არამედ არც იმას გამოკვეთენ, რატომ არის ბოლო პასუხი სწორი.

ფაქტობრივად ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმით შენიღბული ერთი სწორი პასუხის პედაგოგიკა, რომელიც მრავალმხრივ დამაზიანებელია. ამ პროცესში მოსწავლე იგნორირებულია, მისი აზრი უგულვებელყოფილია. რაც რიგ შემთხვევებში დემოტივაციას იწვევს. მაშინაც კი, როდესაც მოსწავლეები ავლენენ კითხვებზე პასუხის ან განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის სურვილს, არგუმენტებითა და კონტრ–არგუმენტებით მათი გადამოწმების გარეშე ვერ მოხდება კრიტიკული აზროვნების განვითარება. კრიტიკული აზროვნება მოსაზრებათა ეჭვქვეშ დაყენების, არგუმენტებითა და კონტრარგუმენტებით მათი გადამოწმების პროცესს გულისხმობს, ამიტომაც სასწავლო პროცესში სწორედ ყოველი გამოთქმული მოსაზრების გაანალიზება და შეფასებაა მნიშვნელოვანი. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მასწავლებლის ეფექტურ უკუკავშირს ენიჭება.

მასწავლებლის მოკლე კომენტარი, შესაბამისი კითხვები წარმოადგენს ინსტრუმენტს, კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მოსაზრებათა განხილვის პროცესი მოვაქციოთ სასწავლო პროცესის ცენტრში და მოსწავლეების მსჯელობაში წარმოჩენილი წარმატებული მომენტები გავხადოთ თვალსაჩინო.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, კრიტიკული აზროვნება

მოსწავლის კრიტიკული აზროვნების განვითარება თანამედროვე სასწავლო პროცესის უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ 6 ფუნქციურ უნარს შორის (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, კოლაბორაცია, მოქალაქეობა, ხასიათი/ნებელობა) კრიტიკული აზროვნება გვევლინება საბაზისო უნარად, რომლის გარეშეც შეუძლებელია დანარჩენი 5 კომპეტენციის განვითარება. დაკვირვების, დასკვნების ჩამოყალიბებისა და მათი შეფასების უნარის გარეშე შეუძლებელი იქნება იდეების გენერირება, ალტერნატიული პასუხების ძიება და პრობლემის გადაჭრის გზების შემოთავაზება (რომლებიც შემოქმედებითი აზროვნების კომპონენტებად მოიაზრება) ან პასუხისმგებლობის გააზრება და კონფლიქტების მართვის უნარის გამოჩენა (მოქალაქეობა).

დღეს დეკლარირებულად ყველა მასწავლებელმა კარგად იცის, რომ კრიტიკული აზროვნების განვითარებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესი მოითხოვს:

- კრიტიკული აზროვნების ხელშემწყობი გარემოს შექმნას,
- კითხვების დასმის სტრატეგიების ფლობასა და დისკუსიის წარმართვას,
- სასწავლო კურიკულუმისა და აქტივობების შესაბამისი დიზაინის უზრუნველყოფას.

მოსწავლის კრიტიკული აზროვნება ვერ განვითარდება ხელშემწყობი გარემოს გარეშე, რომელიც არის ემოციურად უსაფრთხო და ურთიერთპატივისცემით გამსჭვალული, სადაც მოსწავლეს არ აქვს წარუმეტებლობის შიში და შეცდომები არ აღიქმება დანაშაულად. ისინი განიხილება, როგორც შესაძლებლობები, რომლებიც საშუალებას გვაძლევს ჩავუღრმავდეთ დეტალებს, უფრო საფუძვლიანად გავიაზროთ საკითხი, იდეა, თემა. ამ გარემოში მოსწავლე თავისუფლად გამოთქვამს მოსაზრებებს, ავითარებს მსჯელობას, იღებს კონსტრუქციულ უკუკავშირს, რომელიც წახალისებს მის აქტიურობას. თუმცა, რეალობა ცხადყოფს, რომ თითოეული ამ კომპონენტის შინაარსის გააზრებასა და პრაქტიკაში რეალიზებასთან დაკავშირებით მრავალი აშკარა თუ ფარული გამოწვევა არსებობს.

მოცემულ სტატიაში გვინდა შევხვით კრიტიკული აზროვნების განვითარებისათვის ისეთ მნიშვნელოვან კომპონენტს, როგორც არის მასწავლებლის უკუკავშირი, მოსწავლეებთან კითხვა-პასუხის ან დისკუსიის რეჟიმში მუშაობის დროს. საგაკვეთილო დაკვირვების პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ მასწავლებლებს უჭირთ მოსწავლეთა მსჯელობის მართვა, ხშირად ვერ ახერხებენ მათ პასუხებზე/მოსაზრებებზე შესაბამისად რეაგირებას, არ ცდილობენ გაერკვნენ, მათი მოსაზრებით, შეუსაბამო პასუხის მიზეზებში, უმეტესწილად ამჯობინებენ არ შეამჩნიონ იგი და სხვა მოსწავლეებს სთხოვენ იმავე კითხვაზე პასუხს.

საგაკვეთილო პროცესში ნაკლებად შევხვდებით ჭეშმარიტად პროდუქტიულ მეყსეულ უკუკავშირს, რომელიც ბიძგს აძლევს მოსწავლეს გააცნობიეროს საკუთარი აზროვნების პროცესი, იპოვოს წარმატებული თუ წარუმატებელი მომენტები მსჯელობაში, არგუმენტაციაში, მიღებულ გადაწყვეტილებაში, უქმნის მას შესაძლებლობას თავად გაასწოროს დაშვებული

შეცდომები, უზუსტობები,... დახვეწოს და განავითაროს სააზროვნო უნარები, რაც მოსწავლეში ბადებს კმაყოფილების განცდას. შედეგად, აზროვნება მისთვის ხდება თვითმამოტივირებელი პროცესი.

სტატიამი ყურადღებას გავამახვილებთ ბოლო წლებში დამკვიდრებულ ერთ არასახარბილო პრაქტიკაზე. ქართულის გაკვეთილებზე ტექსტის ანალიზისა და პრობლემატიკის გააზრების დროს მასწავლებლები, მოსწავლეთა წახალისების მიზნით, ხშირად აკეთებენ განცხადებას: „თქვით რაც გინდათ, ყველა აზრი მისაღებია“. თითქოსდა ეს მითითება სრულად პასუხობს ემოციურად უსაფრთხო, პოზიტიური სასწავლო გარემოს მოთხოვნებს, რომელიც შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეს შეუფერხებლად გამოთქვას საკუთარი მოსაზრებები, რაც კრიტიკული აზროვნების განვითარების აუცილებელ პირობას წარმოადგენს. თუმცა, რეალობაში ხშირად საწინააღმდეგო ეფექტს ვიღებთ. მასწავლებლები, როგორც წესი, უყურადღებოდ ტოვებენ მოსაზრებებს, რომლებიც თავად მათ მოსაზრებას არ ემთხვევა. ელოდებიან იმ ერთადერთ პასუხს, რომელიც მათ მიერ ჩაფიქრებულს შეესაბამება და, შემდეგ, უბრალოდ წყვეტენ პროცესს. არ ცდილობენ არა თუ წინა პასუხების განხილვას, არამედ არც იმას გამოკვეთენ, რატომ არის ბოლო პასუხი სწორი.

ფაქტობრივად ეს არის მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების ფორმით შენიღბული ერთი სწორი პასუხის პედაგოგიკა, რომელიც მრავალმხრივ დამაზიანებელია. ფაქტობრივად ამ პროცესში მოსწავლე იგნორირებულია, მისი აზრი უგულვებელყოფილია. საკითხში გაცნობიერებული პირისთვის საშინლად დამორგუნველად და ბავშვის შეურაცხმყოფლად ჟღერს მოსწავლეთა „დაწუნებულ“ პასუხებზე შემწყნარებლური ტონით წარმოთქმული მასწავლებელთა სტერეოტიპული ფრაზა „კარგი, მისაღებია შენი პასუხი“.

სავარაუდოდ, ეს არის მიზეზი იმისა, რომ არც თუ იშვიათად მასწავლებლის ამგვარ მოწოდებას მოსწავლეები სრული ინდიფერენტულობით პასუხობენ. ამკარაა, რომ გრძნობენ ფორმალურობას და სურვილი არ აქვთ იმ პროცესში ჩაერთონ, სადაც მათი აზრი რეალურად არავის აინტერესებს. ზოგჯერ ამ დროს მასწავლებელი განსაკუთრებული „ენტუზიაზმით“ ცდილობს მოსწავლეთა გააქტიურებას, რაც, რიგ შემთხვევებში, მოსწავლეზე/მოსწავლეებზე პირდაპირი ძალადობის ელფერს იძენს. სიტუაცია, როდესაც მასწავლებელი დადუმებული კლასის წინ გაღიზიანებული ტონით მოითხოვს ნებისმიერ პასუხს, სრულიად მიუღებელია ბავშვის ინტერესებზე ორიენტირებული სწავლების თვალსაზრისით.

მაშინაც კი, როდესაც მოსწავლეები ავლენენ კითხვებზე პასუხის ან განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის სურვილს, თუ პროცესში არ არის გათვალისწინებული არგუმენტირების საჭიროება, მითითება „თქვით რაც გინდათ, ყველა აზრი მისაღებია“ მოსწავლეებს დაუფიქრებელი პასუხისაკენ უბიძგებს. ამ დროს უკეთეს შემთხვევაში ვიღებთ პასუხების მრავალფეროვნებას მრავალფეროვნებისთვის. მოსწავლე არ გრძნობს პასუხისმგებლობას, რომ მისი აზრი რაიმე არგუმენტს ეფუძნებოდეს. ეს არსებითად ეწინააღმდეგება სასწავლო პროცესისადმი წაყენებულ მოთხოვნას – ხელი შევუწყოთ მოსწავლეთა კრიტიკული აზროვნების განვითარებას: რისთვისაც აუცილებელია, მოსწავლეს მივცეთ საკუთარი მოსაზრების განმარტების, დაცვის შესაძლებლობა. არ არის გამორიცხული, რომ მისი არგუმენტირება დამაჯერებელი გამოდგეს, თავად მასწავლებელს დაანახოს ახალი შესაძლებლობები. მცდარი მოსაზრების შემთხვევაში კი, უბრალოდ მნიშვნელოვანია, მოსწავლეს გავაცნობიერებინოთ მოსაზრების შესაბამისი დასაბუთების საჭიროება; მასთან ერთად

გამოვთვალთ მცდარი, არასარწმუნო არგუმენტები, რომლებიც ვერ უძლებენ კონტრ-არგუმენტებს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ამგვარ კონტექსტში დებულება „ყველა აზრი მისაღებია“, სათანადო გააზრების გარეშე რჩება და აღიქმება, როგორც „ყველა აზრი მართებულია“. ამგვარმა რწმენამ კი შესაძლოა მნიშვნელოვანწილად დააზარალოს ბავშვის კოგნიტური და ემოციური განვითარება. გახდეს მრავალი სტრესის საფუძველი მომავალში.

ვფიქრობთ, ზემოთ აღწერილი პრობლემის საფუძველი ბავშვის ჭეშმარიტი ინტერესებისა და კრიტიკული აზროვნების განვითარების სტრატეგიების არამართებულ გაგებაში იმალება. ბავშვის ინტერესების დაცვა სრულიადაც არ გულისხმობს მისი ნებისმიერი მოსაზრების თუ სურვილის უკრიტიკოდ მიღებას. აუცილებელია სიტუაციის განსჯა მასთან ერთად და შეთანხმების მიღწევა. კრიტიკული აზროვნება კი მოსაზრებათა ეჭვქვეშ დაყენების, არგუმენტებითა და კონრარგუმენტებით მათი გადამოწმების პროცესს გულისხმობს, ამიტომაც სასწავლო პროცესში სწორედ ყოველი გამოთქმული მოსაზრების გაანალიზება და შეფასებაა მნიშვნელოვანი. ამ დროს გადამწყვეტი მნიშვნელობა სწორედ მასწავლებლის ეფექტურ უკუკავშირს ენიჭება. მასწავლებლის მოკლე კომენტარი, შესაბამისი კითხვები წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც მართავს მოსწავლეთა აზროვნებას, საშუალებას აძლევს მათ თავად აღმოაჩინონ მოსაზრებათა ძლიერი და სუსტი მხარეები.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით ფორმულირება „ყველა აზრი მისაღებია“ კრიტიკული აზროვნების განვითარების ხელშემწყობ ფუნქციას შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასში მოვიაზრებთ, რომ „ყველა აზრი მისაღებია განსახილველად“ და არაფერია სავალალო იმაში, თუ რომელიმე მოსაზრება, საბოლოოდ მართებულიად არ იქნება მიჩნეული. მნიშვნელოვანია, რომ სწორედ მოსაზრებათა განხილვის პროცესი მოვაქციოთ სასწავლო პროცესის ცენტრში და მოსწავლეების მსჯელობაში წარმოჩენილი წარმატებული მომენტები გავხადოთ თვალსაჩინო. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება დაცული ბავშვის პიროვნული ღირსება, უზრუნველყოფილი მისი ემოციური და ინტელექტუალური განვითარება.

ბოლოს დავძენთ, რომ სასწავლო გარემოს განსაკუთრებით პროდუქტიულად აქცევს მასწავლებლის უნარი აღიაროს, რომ თავადაც ყველა კითხვაზე არ აქვს მზა პასუხი, მასაც შეიძლება ჰქონდეს მოსაზრება, რომლის დასასაბუთებლად დაფიქრება ან დამატებითი ინფორმაციის მოძიება სჭირდება. გონივრული მიდგომის შემთხვევაში მასწავლებლის ავტორიტეტი ამით არ კნინდება, პირიქით, ეს აახლოებს მას მოსწავლეებთან და ქმნის ნაყოფიერი მუშაობისათვის შესაფერ გარემოს, სადაც მოსწავლეები განსაკუთრებით კომფორტულად გრძნობენ თავს.

ლიტერატურა:

1. **კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.** USAID/GEORGIA. სამოქალაქო განათლების ინსტიტუტი. USAID/GEORGIA. თბილისი 2012.
2. **მასწავლებლები კრიტიკული აზროვნებისათვის.** პროექტი – მასწავლებლის ეროვნული ჯილდო. განათლება ყველასათვის, USAID/GEORGIA. თბილისი 2019.

3. სააზროვნო უნარების განვითარების ეფექტიანი სტრატეგიები. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრი. ელექტრონული რესურსი — [extension://efaidnbmnnnibpcajpcglclefindmkaj/http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf](http://old.tpdg.ge/uploads/pdf_documents/saazrovn%20unarebi.pdf)

Lela Edzveradze
Akaki Tsereteli State University

About one challenge related to the learning process focused on critical thinking Abstract

In the article we discuss the importance of teachers feedback for the development of students critical thinking. The practice of classroom observation shows that teachers find it difficult to manage students' reasoning, often fail to respond accordingly to their answers. They do not try to find out the reasons for an inappropriate answer, mostly prefer not to notice it and ask other students to answer the same question.

In the article we will focus on one unfavorable practice established in recent years. During text analyses and understanding of problems in Georgian lessons, teachers in order to encourage students, often make statement: "Say whatever you want, all opinions are acceptable."

At first glance, this instruction responds to the requirements of an emotionally safe, positive learning environment, which allows the student to freely express their opinions and is a necessary condition for the development of critical thinking. However, in reality, we often get the opposite effect. Teachers tend to ignore opinions that do not agree with their own. They wait for the only answer that matches what they have in mind and then just stop the process. They don't try the previous answers, they don't even try to explain why the last answer is correct.

In fact, it is a one-right-answer pedagogic. In this process the student and his opinion are ignored. This in some cases causes demotivation. Even when students show a willingness to express their opinions, critical thinking cannot be developed, without validating them with arguments and counter-arguments.

Critical thinking involves the process of questioning opinions, verifying them with arguments and counter-arguments. That's why it is important to analyze and evaluate expressed opinions in the educational process. Here the effective feedback of the teacher is of crucial importance. Short comments by the teacher, relevant questions are a tool that guides students thinking. For the development of critical thinking, it is important to make the discussion the center of the learning process and to make visible the successful moments in students reasoning.

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა

სკოლა და მეტყველების კულტურის პრობლემა

მანანა მიქაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail:manana.mikadze@atsu.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac>

მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლით მოსწავლეს უმდიდრდება გონება, უმუშავდება გარკვეული შეხედულება საგნებზე, მოვლენებზე, უვითარდება ადამიანური ცხოვრებისა და მოქმედებისათვის აუცილებელი ჩვევები, ყალიბდება როგორც განათლებული ადამიანი. მეტყველების განვითარების გეგმაშეწონილად წარმართვა მოითხოვს მისი ფსიქოფიზიოლოგიური ბუნების ცოდნას. არა მხოლოდ მშობლიური ენის მასწავლებელი უნდა ერკვეოდეს ამ საკითხებში, არამედ ყველა საგნის მასწავლებელი, ვინაიდან მეტყველების განვითარებას ხელს უწყობს არა მხოლოდ დედაენის, არამედ, საერთოდ, სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების ცოდნა. მეცნიერებათა ელემენტარული საკითხების დაუფლებაც კი იმაზეა დამოკიდებული, თუ მოსწავლეს რამდენად სრულყოფილად ექნება შეთვისებული დედაენა, ის ენა, რომელზედაც აზროვნებს.

საკვანძო სიტყვები: მეტყველება და ენა, მეტყველება და აზროვნება, პრობლემური საკითხები მეტყველებაში

მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლით მოსწავლეს უმდიდრდება გონება, უმუშავდება გარკვეული შეხედულება საგნებზე, მოვლენებზე, უვითარდება ადამიანური ცხოვრებისა და მოქმედებისათვის აუცილებელი ჩვევები, ყალიბდება როგორც განათლებული ადამიანი. მეტყველების განვითარების გეგმაშეწონილად წარმართვა მოითხოვს მისი ფსიქოფიზიოლოგიური ბუნების ცოდნას. არა მხოლოდ მშობლიური ენის მასწავლებელი უნდა ერკვეოდეს ამ საკითხებში, არამედ ყველა საგნის მასწავლებელი, ვინაიდან მეტყველების განვითარებას ხელს უწყობს არა მხოლოდ დედაენის, არამედ, საერთოდ, სხვადასხვა მეცნიერების საფუძვლების ცოდნა. მეცნიერებათა ელემენტარული საკითხების დაუფლებაც კი იმაზეა დამოკიდებული, თუ მოსწავლეს რამდენად სრულყოფილად ექნება შეთვისებული დედაენა, ის ენა, რომელზედაც აზროვნებს.

ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით მეტყველების კულტურაზე მუშაობისათვის მიზნად უნდა დავისახოთ მოსწავლეთა წიგნიერების დონის ამაღლება, რისთვისაც IV–XII კლასებში ყურადღება უნდა გავამახვილოთ რამდენიმე საკითხზე:

- ა) სრულყოფილი კითხვის ჩვევის განმტკიცება;
- ბ) ზეპირი მეტყველების განვითარება;
- გ) მართლწარმოთქმისა და მართლწერის ჩვევებათა გამომუშავება-განმტკიცება;
- დ) ლექსიკის გამდიდრება;
- ე) ფონეტიკისა და გრამატიკის ცოდნის პრაქტიკულად გამოყენება;
- ვ) პუნქტუაციისა და სტილისტიკის ცოდნა-ჩვევის გამომუშავება-განმტკიცება;
- ზ) საქმის ქალაქების შედგენა;
- თ) წიგნზე მუშაობა;

ი) საჯაროდ ზეპირ გამოსვლაზე (თეზისების, გეგმების, კონსპექტების შედგენა და მათი გამოყენება მოხსენებისათვის) და სხვა.

ამ საკითხების სწორად დაგეგმვასა და წარმართვას დიდი მნიშვნელობა აქვს მოსწავლეთა მეტყველების განვითარების ორგანიზაციისათვის. სასკოლო პრაქტიკაში გამოკვეთილია, რომ მოსწავლეთა მეტყველების განვითარებისათვის წიგნიერების დონის ამაღლებისათვის თანამიმდევრული, სისტემატური მუშაობა არც თუ კარგად მიმდინარეობს. მართალია, სასკოლო პროგრამით ლიტერატურისა და ენის გაკვეთილებზე მუშაობა მიმდინარეობს, მაგრამ იშვიათია, რომ მოსწავლეები ვარჯიშობდნენ გამომტყველებით კითხვაში, ლიტერატურულ წარმოთქმაზე, გადმოსაცემი შინაარსის გეგმის შედგენაზე, წიგნიდან ან პრესიდან ციტატების ამოღებაზე, მოხსენებისათვის გეგმის შედგენაზე, თეზისებისა და კონსპექტების შედგენაზე, საქმის ქალაქების შედგენაზე.

ყველაფერი ეს სად უნდა ისწავლოს მოსწავლემ თუ არა მშობლიური ენისა და ლიტერატურის ფაკვეთილზე? და ვინ უნდა ასწავლოს თუ არა დედაენისა და ლიტერატურის მასწავლებელმა?

აზროვნება, მეტყველება და ენა, ერთმანეთთან უმჭიდროესად არის დაკავშირებული და ჩვეულებრივ სიტყვაზმარებაში მათ ზოგჯერ ერთმანეთისაგანაც კი არ ასხვავებენ, მაგრამ აზროვნების, მეტყველებისა და ენის ცნებები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მათ თავ-თავისი სპეციფიკური ნიშნები აქვთ. ამ განსხვავების ცოდნა აუცილებლად საჭიროა.

როცა ადამიანს სურს, თავისი აზრი გამოთქვას ზეპირად, ზოგჯერ მთლიანად წერს სათქმელს, შემდეგ სწავლობს მას კითხვის გზით, რათა მწყობრად, თანმიმდევრულად და ამომწურავად გადმოსცეს სათქმელი. წიგნიერი ადამიანის ზეპირი მეტყველება უმთავრესად ნაწერს ეყრდნობა, წერითი მეტყველება კი ზეპირს იშველიებს.

ამდენად, ზეპირი და წერითი მეტყველება ორგანულადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. განსაკუთრებით თვალსაჩინოა ამ კავშირის ფაქტი სწავლების პროცესში, სადაც მეცნიერებათა საფუძვლების ათვისება ძალიან ხშირად ზეპირსა და წერით მეტყველებას ერთდროულად ეყრდნობა.

მიუხედავად მათ შორის მჭიდრო კავშირისა, ზეპირი მეტყველება მაინც განსხვავდება წერილი მეტყველებისაგან. მათ შორის განმასხვავებელი ნიშნები შეიძლება ასე ჩამოვაცალიბოთ:

ა) ზეპირად სათქმელი წარმოითქმის და გაიგონება, აღიქმება აკუსტიკური შთაბეჭდილებებით; წერილობით ნათქვამი წაიკითხება გრაფიკული ნიშნების ასოების საშუალებით და აღიქმება მხედველობითი შთაბეჭდილებებით. ზეპირად თქმა ორთოეპიის საგანია და მისი ხარისხი დამოკიდებულია არა მხოლოდ მთქმელის განათლებაზე, არამედ მის (მთქმელის) პირად ანატომიურ-ფიზიოლოგიურ და ფსიქიკურ თავისებურებებზე (ნაკლოვანება-ღირსებებზე).

ბ) ბავშვი ენას იდგამს ზეპირი მეტყველებით, დასაწყისში ზეპირი მეტყველება ვითარდება პრაქტიკული გზით, გამოცდილებით. შემდეგ კი როცა ბავშვი სკოლაში იწყებს სწავლას, მეტყველების წესებს თანდათანობით საგანგებოდ სწავლობს. წერას კი სკოლაში შესვლამდე არ სწავლობს, თანაც მისი დაუფლება საგანგებო ღინისძიების – სწავლის – გარეშე ვერ ხერხდება.

გ) ზეპირი მეტყველების მსმენელი იქვე იგულისხმება. მოუბარი მსმენელს მოითხოვს. წერილობითი დოკუმენტი ანგარიშს არ უწევს იმას, წამკითხველი სად იქნება. ზეპირად ნათქვამის მოქმედების მასშტაბი ვიწროა და ხანმოკლე, ნაწერისა კი თითქმის უსაზღვროა, გამძლე და ხანგრძლივი.

დ) ზეპირი მეტყველების ემოციური ეფექტი მაღალია და თვალსაჩინო, ვიდრე წერილი მეტყველების მონაცემებისა: ზეპირი მეტყველებისას მოუბარზე უშუალოდ მოქმედებს აუდიტორია, რომელსაც შეაქვს მოუბრის ტონსა, ტემპსა და მიმართვის ფორმაში ერთგვარი ცვლილებები; უფრო ადვილად მიაქვს მთქმელს გადასაცემი მსმენელთან ჟესტის, მიმიკის დახმარებით. მოუბარს საშუალება ეძლევა თვალყური ადევნოს თქმულის გაგება-ათვისების მიმდინარეობას: კონტროლი გაუწიოს თქმის (საუბრის) ხარისხს მსმენელთა შთაბეჭდილების ანალიზის შედეგად.

ე) ზეპირად ნათქვამის შინაარსსა და ფორმას თქმის პროცესშივე აკონტოლებენ როგორც მთქმელი, ისე მსმენელები; ნაწერს კი წერის პროცესში მხოლოდ დამწერი ამოწმებს და სხვას მისი დასრულებისა და წაკითხვის შემდეგ ეძლევა შემოწმების საშუალება.

ვ) ზეპირი მეტყველება შედარებით უფრო თავისუფალია და შეუზღუდველი, ვიდრე წერილი. ზეპირი მეტყველების მსვლელობისას მთქმელი საჭირო შემთხვევაში მონოლოგს ცვლის დიალოგით, იმოწმებს მსმენელებს ნათქვამის სისწორეში, იმეორებს ფრაზებს ან იძლევა მათს შინაარსს სხვადასხვა ფორმაში, აკეთებს ლოგიკურ და ფსიქოლოგიურ პაუზებსა და მახვილებს, გამოხატავს თავის დამოკიდებულებას ნათქვამის შინაარსისადმი სათანადო ინტონაციით. ამ საშუალებებსა და ღირსებებს წერილობითი ნათქვამი მოკლებულია, სადაც ვერ ხერხდება ლოგიკური და ფსიქოლოგიური პაუზებისა და მახვილების დაცვა, ინტონაციის გამოვლენა; წერით მეტყველებაში ამ დანაკლისთა კომპენსირება მხოლოდ ნაწილობრივ ხერხდება სასვენი ნიშნების საშუალებით. მაგრამ სასვენი ნიშნები მოკლებულია იმ მდიდარ საშუალებებს

(ინტონაციას, ტემპს, ტემბრს, ჟესტს, მიმიკას), რომლებიც ზეპირ მეტყველებას ახასიათებს გადმოსაცემი შინაარსის ლოგიკური, ფსიქოლოგიური, გრამატიკული და სტილისტიკური სინამდვილის ნათელსაყოფად.

ზ) წერით მეტყველებასაც აქვს გარკვეული უპირატესობანი ზეპირ მეტყველებასთან შედარებით: ა) ნაწერი იქმნება ნელი ტემპით, დაკვირვებით. დამწერს საშუალება ეძლევა მეტი იფიქროს დასაწერის შინაარსსა და ფორმაზე, უკეთ გამართოს ფრაზა გრამატიკულად და სტილისტიკურად; ბ) ნაწერში უკეთ ვლინდება ადამიანის ცოდნა-განათლების დონე, მისი აზროვნების დონე, მეტყველების კულტურის მაჩვენებლები, ვიდრე ზეპირად ნათქვამში. სწორედ ამის გამო ხშირად ნაწერის შემოწმება-ანალიზის საფუძველზე გამოაქვთ დასკვნა დამწერის აზროვნებისა და მეტყველების დონეზე, ე.ი. ნაწერი ხდება დამწერის წიგნიერების, საერთო განათლების საზომი.

მეთოდოლოგიურ ლიტერატურაში სათანადო გაგებით არ იხმარება ტერმინები "მეტყველების განვითარება", "ენის განვითარება". ეს ორი ტერმინი სხვადასხვა შინაარსის შემცველია. ენის განვითარების საკითხი - ლინგვისტიკის საკითხია და იგი ამ მეცნიერების სხვა ზოგად პრობლემებთანაა დაკავშირებული. მეტყველების განვითარების საკითხი კი პიროვნებას შეეხება, მის მეტყველებაში ენის კანონების დაცვასა და გამოყენებას გულისხმობს. ამდენად, სწავლების მეთოდიკა მოსწავლეთა მეტყველების განვითარების საკითხებს შეისწავლის და არა ენის განვითარებისას.

სკოლის უფროსი კლასებისა და განსაკუთრებით IV–XII კლასების მოსწავლეთა ზეპირ მეტყველებას ახასიათებს გარკვეული ნაკლოვანებები, რომელთაგან აღვნიშნავთ უმთავრესს:

1) ბგერათა, სიტყვათა არამართებულად წარმოთქმა: ერთი ბგერის ნაცვლად მეორის წარმოთქმა (მოხდა- მოხთა), ბგერათაგადასმა (აღვნიშნავ- ავღვნიშნავ), ბგერათდაკარგვა (სახლში-სახში). და ა.შ.

2) სიტყვის დაბოლოებათა, წინადადების დაბოლოებათა არამკაფიოდ წარმოთქმა, დაბოლოებათა "ყლაპვა".

3) წარმოთქმის კულტურაზე არასისტემატური ზრუნვა. არის შემთხვევები, რომ მასწავლებელი არც დაწყებითსა და არც შემდგომ კლასებში ყურადღებას არ აქცევს წარმოთქმის კულტურას, უყურადღებოდ ტოვებს წარმოთქმაში დაშვებულ უხეშ შეცდომებს. ყურადღების ცენტრი გადატანილია იმაზე, თუ რას ამბობს მოსწავლე და უყურადღებოდაა დატოვებული – როგორ ამბობს, როგორ წარმოთქვამს.

4) ქართული ზეპირი მეტყველებისათვის დამახასიათებელია მახვილის, ინტონაციის, ტემპის, ტემბრის დაუცველობა; სიტყვის ბოლო მარცვლის ხელოვნურად გაგრძელება, სიტყვისა და ფრაზის მონოტონურად წარმოთქმა, კითხვითსიტყვიანი წინადადების დაბოლოების კითხის ინტონაციით წარმოთქმა და სხვ.

5) ფონეტიკური წესების მექანიკურად დასწავლა; ამ წესების პრაქტიკაში

გამოყენებაზე ნაკლები ვარჯიშობა: თეორიული და პრაქტიკული საკითხების სწავლების სუსტი კავშირი ფონეტიკის სწავლების პროცესში.

6) გრამატიკული წესების პრაქტიკაში გამოყენების სუსტი ჩვევა,

სტილისტიკური მინიმუმის დარღვევის შემთხვევები და სხვა.

7) დიალექტიზმების, ბარბარიზმების შემთხვევები, წიგნის ენის სუსტი

გავლენა და ა.შ.

წერთი მეტყველების კულტურის დონის გამორკვევა-შეფასებისათვის მნიშ-ვნელოვანია ნაწერის მოცულობა. იყო წლები, როცა საშუალო სკოლის ზედა კლასებში მტკივნეულად იდგა თხზულების ვრცლად წერის საკითხი. შეიძლება ითქვას, რომ ამ მიმართულებით, უმეტეს შემთხვევაში მდგომარეობა ამჟამად ნორმალურია.

მთავარია, მოსწავლეები შევაჩვიოთ სიტყვათა ზუსტი მნიშვნელობით ხმარებას, აზრის გადმოსაცემად შესაფერისი ლექსიკისა და გრამატიკული ფორმების შერჩევას, ფრაზის დახვეწას, სალიტერატურო ენის ნორმების და სიწმინდის დაცვას, წინადადებაში სიტყვებისა და თხზულებაში წინადადებების ლოგიკური თანამიმდევრობით დალაგებას, მეტყველების სტილზე ზრუნვას.

სკოლაში მოსწავლეებში ლიტერატურული წარმოთქმის ნორმათა დასანერგად, უწინარეს ყოვლისა, საჭიროა შემდეგი ღონისძიებების გატარება:

1) ყველა საგნის მასწავლებელი მეტყველებდეს მართლა სანიმუშოდ, მაქსიმალურად იცავდეს ლიტერატურული წარმოთქმის ნორმებს.

2) სკოლაში ორთოგრაფიულ რეჟიმთან ერთად ყურადღების ცენტრში დადგეს ორთოეპიის რეჟიმის დაცვა. მოსწავლეებს კატეგორიულად მოვთხოვთ მართებული ზეპირი მეტყველება არა მხოლოდ გაკვეთილზე – დავალების გადმოცემისას, არამედ ერთმანეთთან საუბრისას, წრეებსა და შეკრებებზე მოხსენების წაკითხვისას.

3) განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს სწორი, სწრაფი და გამომეტყველებითი კითხვის ჩვევათა გამომუშავებას, ვინაიდან სრულყოფილი კითხვის ჩვევა ორთოეპიისა და ორთოგრაფიის საფუძველია.

4) შედგეს ფონეტიკურად რთული აგებულებისა და ძნელადწარმოსათქმელ

სიტყვათა ტაბულები და გაიკრას ისინი საკლასო ოთახში.

5) მოსწავლეებმა ზეპირად ისწავლონ ლექსები და მხატვრული პროზის

ნაწყვეტები და წარმოთქვან ისინი ორთოეპიის ნორმათა დაცვით.

6) აღირიცხოს წარმოთქმაში ბგერათა დაკარგვის, დამსგავსებისა და

გადასმის ტიპობრივი შემთხვევები და ისინი თანდათანობით დაძლეულ იქნას ფონეტიკისა და მორფოლოგიის სათანადო თეორიულ მასალასთან ერთად.

7) ზეპირი გადმოცემის უნარ-ჩვევების გამოსამუშავებლად ჩატარდეს

სისტემატური ვარჯიშობა გაკვეთილზე და შინ; გადმოცემის ხარისხი შეფასდეს არა მარტო შინაარსის მიხედვით, არამედ ფორმის სიზუსტისა და გამართულობის მიხედვით (პაუზების, მახვილების, ინტონაციის, ტემპის, ტემბრის დაცვა; გრამატიკული კანონებისა და წესების დაცვა).

მეტყველების კულტურის ასამაღლებლად საჭიროა პოეტური და პროზაული ნაწარმოებებიდან ადგილების ზეპირად დასწავლა, ზოგიერთი ნაწარმოებიდან ადგილების გასცენურება და როლებში წაკითხვა, რაც მოსწავლეებს ადვილად შეათვისებინებს ახალ სიტყვებსა და გამოთქმებს, წინადადების ბუნებრივ კონსტრუქციებს, ეუფლებიან წინადადებათა მართებულად წარმოთქმის ტექნიკას, მოხდენილ მეტყველების სტილს. ლექსიკური მარაგის გასამდიდრებლად მნიშვნელოვანია კლასგარეშე საკითხავი სხვადასხვა ჟანრის მასალა. სალექსიკონო მუშაობა, როგორც მეტყველების გამდიდრების საშუალება და სავარჯიშოთა ჩვენს მიერ შემუშავებული სისტემა.

მეტყველება, როგორც ფსიქიკის აქტივობა, დაკავშირებულია სხვა ფსიქიკური ფუნქციების (ყურადღების, მეხსიერების, ნებელობის, შეგრძნების, აღქმის, წარმოდგენის, წარმოსახვის, აზროვნებისა და სხვ.) ნორმალურ მოქმედებასა და ჰარმონიულ განვითარებაზე. ამიტომ სკოლასთან ერთად მშობელმაც უნდა იზრუნოს თავისი შვილის ფსიქიკის მთლიან განვითარებაზე და არა რომელიმე მისი ფუნქციის განვითარებაზე, ვინაიდან მიზანია არა ცალმხრივი, არამედ ყოველმხრივი აღზრდა-განვითარება, მთლიანი პიროვნების ფორმირება, ისეთი პიროვნებისა, რომელსაც დაამშვენებს აზროვნებისა და მეტყველების მაღალი კულტურა.

ლიტერატურა:

1. ვალ. რამიშვილი, მოწაფეთა წიგნიერების დონის ამაღლების საკითხები (IV–VIII კლასები), თბ., 1975.
2. ვალ რამიშვილი, მეტყველების განვითარების ზოგიერთი საკითხი საშუალო სკოლაში, თბ., 1952.
3. ლ. თავართქილაძე, მეტყველების განვითარების მეთოდის საკითხები, თბ., 1986
4. მ. მიქაძე, მორფოლოგიისა და სტილისტიკის საკითხების სწავლება საშუალო სკოლაში, ქუთაისი, 1999.
5. მ. მიქაძე, მეტყველების კულტურის გაუმჯობესებისათვის სკოლაში, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი“ ენა და კულტურა“ , #23, 2020, გვ. 223-229. <https://enadakultura.com>

Manana Mikadze

Akaki Tsereteli State University

Improvement speech culture in school

Abstract

A thorough study of the native language learner umdidrdeba mind, umushadeba certain view of things, events, and actions necessary for developing human life habits, is being developed as an educated person. Speech Development orderly manner requires knowledge of the psychophysiological nature. Native language teachers not only to resolve these issues, but also to teachers of all subjects, as the speech not only contributes to the development of the mother tongue, but in general, the knowledge of different skills. Mastered in elementary science issues will depend on how the student will have learned how perfectly the mother tongue, the language you are thinking.

Key Words: Speech and Language, Speech and thinking, problematic issues in speech.

რეცენზენტი: პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ სწავლების საკითხისათვის საშუალო საფეხურის მე-11 კლასში

თამარ ღვინიაიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: t.gvinianidze@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac>

თანამედროვე სკოლის საშუალო საფეხურზე რვა საათი ეთმობა დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ შესწავლას. საგაკვეთილო მასალის განაწილებაში მასწავლებელი შეზღუდული არ არის, ამდენად, ჩვენს სტატიაში წარმოდგენილი რეკომენდაციები საორიენტაციო ხასიათისაა და უდაოდ დაეხმარება სიტყვიერების მასწავლებლებს ქართველი კლასიკოსის მოთხრობის მოსწავლეებამდე მიტანაში.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ ტრაგიკომიკური მოთხრობაა, ტრაგიკულია და კომიკურის გამოკვეთილი სინდრომებით. სწორედ აქედან უნდა ამოვიღეთ ნაწარმოების იდეის გასახსნელად. ისტორიული სინამდვილს რეალისტური ასახვით დავით კლდიაშვილმა ნათლად დაგვანახა, რომ სამრეწველო კაპიტალიზმის აღმავლობამ შეცვალა ქვეყნის სოციალური ფონი, გაამძაფრა კლასობრივი წინააღმდეგობები, როგორც ქალაქად, ისე სოფლად. რეალისტმა მწერალმა იუმორით ასახა აზნაურული წოდების ყოფის ტრაგიზმი და კომიზმი და დაგვანახა, რომ არ არსებობს მისი არც მორალური და არც ფიზიკური გადარჩენის პერსპექტივა. ეს წოდება განწირულია დასაღუპავად.

სამანიშვილის დედინაცვლის“ სწავლებისას პედაგოგმა ტრადიციულ „სამანიშვილის ულთან ერთად უნდა გამოიყენოს თანამედროვე მეთოდები და სტრატეგიები და მეცნიერული ცოდნის მოპოვების გარდა ხელი შეუწყოს მოსწავლეთა დამოუკიდებელი აზროვნების განვითარებას.

საკვანძო სიტყვები: დავით კლდიაშვილის, „სამანიშვილის დედინაცვალი“

საშუალო საფეხურის მე-11 კლასის პირველ სემესტრში ვემშვიდობებით მე-19 საუკუნეს და ვიწყებთ დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ შესწავლას. მოთხრობას სასწავლო პროგრამით ეთმობა რვა საათი. აქედან, ხუთი საათი გამოყოფილია ტექსტზე მუშაობისათვის, ორი საათი- იდეურ-მხატვრულ ანალიზის, ერთიც- წერით დავალებისათვის.

პედაგოგიკაში დამკვიდრებულ ძირითად მეთოდებთან ერთად თანამედროვე სკოლა იყენებს ახალ მეთოდებსა და სტრატეგიებს. „სამანიშვილის დედინაცვლის“ სწავლებისას

ინდუქციური, დედუქციური, საუბრისა და თხრობის მეთოდების გარდა, მასწავლებელმა უნდა გამოიყენოს დისკუსიის, დებატების, თანამშრომლობითი სწავლების, პრობლემებზე დაფუძნებული, გონებრივი იერიშის, ჯგუფური მუშაობის და სხვა მეთოდები. მათ გვერდით ვსახავთ კოგნიტურ სტრატეგიებს, რომელთა მეშვეობითაც მოსწავლე მოიპოვებს ცოდნას, დაიმახსოვრებს და ისწავლის შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას.

„სამანიშვილის დედინაცვალი“ 12 თავისგან შედგება. ტექსტზე მუშაობისთვის გამოყოფილი ხუთი საათი ასე შეიძლება გავანაწილოთ: I - მოთხრობის I-III თავები, II გაკვეთილი: IV-VI თავები, III გაკვეთილი- VII-IX თავები, IV- X-XII თავები, V გაკვეთილი - წაკითხული და კომენტარებული თავების ძირითადი პრობლემატიკაზე, პერსონაჟთა ქცევასა და ხასიათებზე, მხატვრულ მეტყველებაზე, იმერულ გარემოსა და სიუჟეტის განვითარების საფეხურებზე დაკვირვების მასალების ანალიზი. VI-VII გაკვეთილები დაეთმობა იდეურ-მხატვრულ ანალიზს და წარიმართება შემდეგი გეგმის მიხედვით: 1. მწერლის მსოფლმხედველობა, შემოქმედებითი მეთოდი, სტილი, მოთხრობის თემატურ-პრობლემატური საფუძველი, მხატვრული ხერხები, მწერლისა და პერსონაჟების მეტყველება, ჟანრობრივი თავისებურებები, იდეა. VIII გაკვეთილი დაეთმობა წერით სამუშაოს.

ცალკეული თავების კომენტარებისას მოსწავლეები უნდა გავარკვიოთ ნაწარმოებში ასახული მოვლენების არსში, დავაკვიროთ პერსონაჟთა ქცევაზე, ხასიათსა და მეტყველებაზე, გარემოზე, რომელშიაც მათ უხდებათ ცხოვრება, მხატვრულ თავისებურებებზე.

მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით კლასში დამუშავდება შემდეგი ეპიზოდები: ბეკინა სამანიშვილის ოჯახის ეკონომიკური საფუძველი, პლატონ სამანიშვილისა და ივანე გვერდევანიძის დიალოგი, პლატონისა და კირილეს მოგზაურობა (ადგილები შერჩევით), სტუმრობა ჯიმშერ სალობერიძის ოჯახში, პლატონისა და არისტოს საუბარი, ბრეგაძეების ოჯახი, პლატონის სიზმარი. დანარჩენ ეპიზოდებს მოსწავლეები ამუშავებენ შინ.

კლასში ტექსტის კომენტარება შეიძლება წარმართოთ შემდეგი გეგმის მიხედვით: აზნაურთა ეკონომიკური მდგომარეობის ამსახველი მომენტები, მოქმედ პირთა დამახასიათებელი ადგილები, პოეტური მეტყველების ნიმუშები, მწერლისა და პერსონაჟთა მეტყველება. სიუჟეტის განვითარების საფეხურები და სხვ.

სახლში ტექსტის სხვა ნაწილების დამუშავებისას მოსწავლეები აგრძელებენ ზემოთ დასახელებულ სამუშაოებს.

ტექსტზე მუშაობის დასრულების შემდეგ მოსწავლეები არკვევენ მწერლის მსოფლმხედველობას, შემოქმედებით მეთოდს, მოთხრობის თემატურ-პრობლემატურ საფუძველს, ახასიათებენ პერსონაჟებს. აღინიშნება, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლები საქართველოს ისტორიის მნიშვნელოვანი პერიოდია. სამრეწველო კაპიტალიზმის მძლავრმა აღმავლობამ და პროლეტარიატის ჩამოყალიბებამ ძირფესვიანად შეცვალა ქვეყნის სოციალური ფონი, გაამძაფრა სოციალური წინააღმდეგობები როგორც ქალაქად, ისე სოფლად. განსაკუთრებით შევიწროებულ მდგომარეობაში აღმოჩნდა თავადაზნაურული კლასი, რომელმაც ქეიფსა და დროსტარებაში გაფლანგა ქონება და უკიდურეს სიღარიბესა და

და უმწეო მდგომარეობაში ჩავარდა. მწერლის მსოფლმხედველობის გასარკვევად მოსწავლეებმა უნდა ეძიონ პასუხი კითხვაზე, როგორ შეაფასა დავით კლდიაშვილმა არსებული სოციალური ვითარება? პასუხი ერთია-სწორად შეაფასა, რადგან მან შეძლო გაჩანაგებული აზნაურის ფსიგოლოგიური მდგომარეობის ოსტატურად გადმოცემა და გვიჩვენა, რომ ამ

წოდებას მხოლოდ იურიდიული პრივილეგიებით არ შეუძლია გაუძლოს უღმობელი ეკონომიკური ძალის შემოტევას. ახალი ცხოვრება მას არ აძლევს არსებობის საშუალებას და მისი დაღუპვა გარდაუვალია. ლოგიკურად ისმება მეორე კითხვა: რა წარმოადგენს მწერლის მხატვრულ პრინციპს, შემოქმედებით მეთოდს? პასუხი - დ.კლდიაშვილის შემოქმედებითი მეთოდი რეალიზმია, რადგან იგი კარგად იცნობდა იმ გარემოს, რომელსაც ასახავდა და იმ ადამიანებს, რომელთაც ხატავდა. როგორც რეალისტი, მწერალი ისტორიულ სინამდვილეზე მოგვითხრობს. მაშ, რა არის „სამანიშვილის დედინაცვლის თემა“? პასუხი: ისტორიული სინამდვილის შედეგად ზედმეტ ადამიანებად ქცეული და დაღუპვის გზაზე დამდგარი აზნაურული წოდების ცხოვრება. თემის გამოყოფის შემდეგ მოსწავლეები მიდიან აზრამდე, რომ ნაწარმოებში ძირითადია აზნაურული წოდების არსებობის პრობლემა. გამოიყოფა პრობლემატური საკითხები: 1. რამ გამოიწვია აზნაურთა ეკონომიკური გადატაკება, იდეური, მორალური და ფსიქოლოგიური დაცემა 2. არის თუ არა ამ წოდების გადარჩენის რაიმე პერსპექტივა. პრობლემისა და პრობლემატური საკითხების გამოკვეთის შემდეგ მოსწავლეები მუშაობენ პერსონაჟთა დახასიათებაზე, რაც მათი ემოციებისა და შეხედულებების გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. მოსწავლეები სახე-პერსონაჟებს აღიქვამენ იმის მიხედვით, თუ რა რეაქციას იწვევენ ისინი მათში. გაკვეთილის მსვლელობაში საპოლემიკო მომენტების შეტანით, დიკუსიის წარმართვით, შევქმნით სიტუაციებს, რომლებიც დაეხმარება მოსწავლეებს ტექსტზე მუშაობის დროს შეკრებილი მასალის დალაგებასა და პერსონაჟების დახასიათებაში. ყურადღება მახვილდება დახასიათების საშუალებებზე. 1. მწერალი იყენებს პირდაპირი დახასიათების ხერხს. თვითონ ახასიათებს ბეკინას, პლატონს, კირილეს, არისტოს, ჯიმშერ სალობერიძეს. 2. ერთი მოქმედი პირი ახასიათებს მეორეს. მაგ.: პლატონი - კირილეს, კირილე-დარიკოს, ბალდავამე - არისტოს; 3. პერსონაჟი თვითონ იხასიათებს საკუთარ თავს. მაგ.: კირილე და არისტო ლაპარაკობენ საკუთარ თავზე.

მწერალი იყენებს არაპირდაპირი დახასიათების ხერხსაც. მაგ.: კირილეს საქციელი შაფათაძის ქორწილში და ჯიმშერ სალობერიძის ოჯახში საუკეთესო მასალაა მისი ხასიათის გახსნისათვის. ამ საქმეს ხელს უწყობს პერსონაჟების დიალოგიც. კლასში სასურველია დავახასიათოთ პლატონ სამანიშვილი, არისტო ქვაშავიძე, ან კირილე მიმინოშვილი მოსწავლეთა სურვილისამებრ.

პლატონ სამანიშვილის დახასიათების ნიმუში.

პლატონ სამანიშვილი, შვილი ბეკინასი არ ჰგავდა არც „გადაპრანჭულ“ მამას და არც სხვა უქნარა აზნაურებს. მას, ცხოვრების იოლი გზა არ აურჩევია “ იგი გულმოდგინედ ურტყამდა თოხს მიწას“. არ იყო ზარმაცი და ტრაბახა. “თავის ცოტაზედ კმაყოფილი... მცირედიდაც ბედნიერი“, მადლობას სწირავდა მამაზეციერს, ოთხი შვილის ლუკმის გამყოფი რომ არ მოუვლინა ქვეყანაზე. მაგრამ, მწერლის თქმით, “ბედნიერება, რაგვარიც არ უნდა იყოს, ვის შერჩენია ბოლომდის, რომ სამანიშვილებისას ფეხი მოედგა მჭიდროდ? ან კი რა საფიქრებელი იყო, რომ ასე ცოტათი შემოტყუებული ბედნიერება ისევ ცოტა მიზეზითვე არ გამოეცლებოდა, სუსტ საფუძველზე დამყარებული კმაყოფილება არ მოესპობოდათ!..“

სამწუხაროდ გარდაიცვალა ბეკინას მეუღლე, მარიკა, რომლის გარდაცვალება პლატონისათვის თავისთავად სამწუხარო იყო, მაგრამ ყველაზე მეტად მას ის აჯავრებდა, რომ შეიძლებოდა ჭარმაგ ბეკინას ცოლის შერთვის სურვილი გასჩენოდა და ქალს თან ლუკმის გამყოფი მოჰყოლოდა, რადგან ერთი ზედმეტი წევრის დამატება თავდაყირა დაამხოდა

ყველაფერს, ააფორიაქებდა საფუძველგამოცლილ ყოფას აზნაურისა. ბეკინას ოჯახს საწყენად პლატონის ცოლის, მელანოს ხშირი შვილოსნობაც ჰყოფნიდა. აკი ათქმევინა მწერალმა: “ცუდი დრო მოვიდა, ერთობ ცუდი დრო! ..ხალხიც მომრავლდა... ჩხუბით თუ გაიწმინდება ცოტაზე მაინც ქვეყანა, თვარა...” ნამეტან უსაშველობაში“ ჩავარდნილი პლატონი შიშით შეჰყურებს ხვალინდელ დღეს და გრძნობს, რომ მომავალი კარგს არაფერს უქადის...მამასთან შედარებით დაკვირვებულმა შვილმა ერთი შეხედვით ალლო აულო ახალ ცხოვრებას და აზნაურის ცხოვრებისათვის შეუფერებელ იარაღს -თოხს მოჰკიდა ხელი. თანაც ამბობს, ღმერთს ჯაფისთვის ვყავართ გაჩენილიო, რითაც იგი მოთხრობის სხვა პერსონაჟებისაგან გამონაკლისს წარმოადგენს.

მომავლის შიშით, მოსალოდნელი მოზიარის გაჩენით დამფრთხალი პლატონი გულმდუღარედ მიმართავს ბეკინას: „მღუპავ,მამა?...დანას მიყრი ყელში?...ბატონო,შვილი რომ გეყლოს,შვილი...მაშინ? ოჯახის გაყოფის შიშმა საწყალ აზნაურს სამარცხვინო საქციელი ჩაადენინა,მაშვლად დაუდგა საკუთარ მამას, შემდეგ კი ბოროტების გზაზეც დააყენა, დედინაცვლის მოკვლა გადაწყვიტა. ბევრი იწვალა პლატონმა და,ბოლოს, აზნაურ არიტო ქვაშავიძის დახმარებით,ბეკინას ბრეგამის ქვრივი,ორნაქმრევი და ორივე ქმრის ხელში უშვილო ელენე შერთო, იმის იმედით, რომ დედინაცვალს შვილი არ მიეცემოდა. მაგრამ, გულდამშვიდებით ყოფნა მას დიდხანს არ ეწერა. ქალს, მალე ფეხმძიმობა დაეტყო. ეჭვის სისწორეში დარწმუნებული პლატონი გამხეცდა, წონასწორობა დაკარგა და მოსაკლავად მივარდა ფეხმძიმე დედინაცვალს. ბუნებით წყნარი პლატონი „ახლა სწორედ მხეცი იყო, შეუბრალებელი, სისხლისმსმელი...“

პლატონის მოქმედება, ქცევა, ყოველი სიტყვა სოციოლოგიურ ბრძმედზეა გატარებული და ცხოვრებისეული ყოფიერებით სუნთქავს. მისი სიზმარი ეპოქის დახასიათებაა. მოთხრობის ყველაზე ძლიერი სურათია, მწერალი კი ბრწყინვალე ფსიქოლოგია.იგი კლასიკოსისათვის დამახასიათებელი ოსტატობით ხატავს თავისი პერსონაჟის ფსიქოლოგიურ პორტრეტს.

პლატონის უბედურება არ არის პირადული.იგი ზოგადია,დამახასიათებელი მთელი წოდებისათვის.ამდენად,უმცროსი სამანიშვილი ტიპური სახეა მაშინდელი აზნაურული წოდებისა.

მეშვიდე გაკვეთილზე განვიხილავთ მოთხრობის სიუჟეტს მწერლისა და ნაწარმოების ენას, მხატვრულ კომპონენტებს,ჟანრობრივ თავისებურებებს,გამოვეყოფთ მოთხრობის იდეას.

გაკვეთილის მიზანია დაცემისა და განადგურების მისული აზნაურული წოდების ცხოვრების ეკონომიკური და სულიერი ტრაგედიის შეფასების განსაზღვრა და ამ მიზნით მწერლის მიერ გამოყენებული მხატვრული საშუალებების ანალიზი, ტრაგიკული და კომიკური მოთხრობაში. ტრადიციასა და ეკონომიკურ მდგომარეობას შორის წინააღმდეგობების ჩვენება, კლდიაშვილისეული იუმორი. იდეის გახსნა. „სამანიშვილის დედინაცვლის“ კომპოზიციური ანალიზი სიუჟეტის საფეხურების გამოკვეთით უნდა დავიწყოთ.

ე ქ ს კ ო ზ ი ც ი ა: ბეკინას ოჯახის მდგომარეობის აღწერა მოქმედების დაწყებამდე.

კ ვ ა ნ ძ ი ს შ ე კ ვ რ ა: გარდაიცვალა ბეკინას მეუღლე. გარკვეული დროის გასვლის შემდეგ მოხუცს გაუჩნდა მეორე ცოლის შერთვის სურვილი. პლატონი კატეგორიული წინააღმდეგია. ჩნდება ოჯახის გაყოფის საფრთხე,რომლის თავიდან ასაცილებლად საჭირო ხდება მოქმედება. ინასკვება კვანძი.

მ ო ქ მ ე დ ე ბ ი ს გ ა ნ ვ ი თ ა რ ე ბ ა: პლატონი გადაწყვეტს მაშვლად დაუდგეს მამას. მეზობლიდან ნათხოვარ ჯაგლაგზე ამხედრებული პლატონი გაუდგება გზას ორნაქმრევი,

უშვილო დედინაცვლის საძებნელად. გზად გადაეყრება ადვოკატ ივანე გვერდევანიძეს, რომლისგანაც შეიტყობს, რომ სოფელ ქვედურეთში ცხოვრობს ასეთი ქვრივი.

დის ოჯახში მისულ პლატონს ურჩევენ წავიდეს კირილეს მამიდასთან, რომელსაც უთუოდ ეცოდინება ამ ქვრივის ამბავი. კირილესა და პლატონის მოგზაურობა ჩართული ეპიზოდია ჯიმშერ სალობერიძის ოჯახში პლატონი გაიცნობს აზნაურ არისტო ქვაშავიძეს. კირილეს მეშვეობით არისტო შეიტყობს, რომ პლატონი სადედინაცვლოს ეძებს და სიტყვას ჩამოუგდებს ბრეგამის ქვრივზე, რომელიც მისი მამიდაა. ისინი მიდიან ელენეს სანახავად. პლატონს მოეწონება ქვრივი, რომელსაც არისტოს დახმარებით მოიტაცებს და მიგვრის მამას. სიამოვნებასა და ერთმანეთის სიყვარულში მიდის ცხოვრება სამანიშვილების ოჯახში, სანამ, ერთ დღეს, მელანო „შემზარავ, ჭკუაზემეშლელ“ ამბავს არ ამცნობს პლატონს.

დაძაბული მდგომარეობა: პლატონს არ სურს დაიჯეროს მელანოს ნათქვამი და აკვირდება დედინაცვალს. შემდეგ ნახავს უცნაურ სიზმარს. ელენე ფეხმძიმედაა და მოითხოვს ქონების გაყოფას. „შუაზე, შუაზე“, ესმის პლატონს, რომელიც განწირული ხმით ყვირის: „შეიცადეთ, შეიცადეთ გაჩერდით, ნუ ჩქარობთ... ეგებ მკვდარი დაიბადოს. შესდექით. ეგებ ღმერთმა სიცოცხლე არ აღირსოს... გაჩერდით თქვე ოხრებო, ნუ შვებით მაგას!“. პლატონის სიზმარი ერთგვარი წინათგრძნობაა, რომელიც კიდევ უფრო ძაბავს მოქმედებას. პლატონი იმედს არ კარგავს, რომ დედინაცვალს მუცელი მოეშლება, მაგრამ დრო გადიოდა და „საზარელი არსება ზრდაში შედიოდა. ეს გარემოება შეშლილივით ხდიდა პლატონს“.

კულმინაცია: პლატონმა სრულიად დაკარგა გონება, გაჭირვეულდა და უცნაური წინადადებით მივიდა მამასთან. მისგან უარი მიიღო და დედინაცვალს მუცელში წიხლის ჩარტყმა მოუნდომა. რომ არა ბეკინა, პლატონი მეორე მცდელობაზე მიაღწევდა მიზანს.

მოქმედების დაღმავლობა: ამ დღიდან პლატონი მხეცად იქცა, დღისით სადღაც დაეხეტებოდა. შინ მხოლოდ დაწოლის დროს მოდიოდა. მელანოსაც აღარ ელაპარაკებოდა, ბეკინა ძალიან განიცდიდა შექმნილ მდგომარეობას და ღმერთს ევედრებოდა, ელენეს გოგო აყოლო.

კვანძის გახსნა: სამანიშვილების ოჯახს უკანასკნელი იმედიც მოესპო. ელენეს ვაჟი ეყოლა.

ბოლო ამბავი: მამა-შვილი გაიყარნენ. ბეკინა უსაზღვროდ წუხდა მომხდარიე გამო. ხუთი წლის შემდეგ იგი გარდაიცვალა.

საბრალო ელენე თავისი ვაჟით ხშირად იდგა მოსამართლის კართან და გულდამწვარი უამბობდა ყველას, რომ პლატონმა აღარც ღობე შეარჩინა და აღარც ადგილი. ნაწარმოების ენისა და მხატვრული საშუალებების ანალიზის დაწყებამდე მოსწავლეებს შევახსენებთ რა არის სტილი და რომ ყველა მწერალს თავისი სტილი აქვს. დავით კლდიაშვილის სტილისთვის დამახასიათებელია ინდივიდუალური სახეების დასახატავად ყოფითი დეტალების გამოყენება. ეს დეტალები კი ყოველთვის ტიპურია.

მწერალს ოსტატურად აქვს დაჭერილი იმერელი კაცის საუბრის ყველა მომენტი. მისი მოთხრობის პერსონაჟებმა იციან, რომ იმერული ზრდილობის ნორმების თანახმად არ შეიძლება პირდაპირ საქმეზე დაიწყო საუბარი. ამიტომ ისინი ხშირად იყენებენ პაუზებს, რითაც ხაზს უსვამენ სიტუაციის უხერხულობას.

„სამანიშვილის დედინაცვალში“ დავით კლდიაშვილი ხშირად მიუთითებს პლატონის „გამხდარ, ფერდებგამოზეკილ“ ცხენზე“, რომელიც მეზობლისაგან ითხოვა. თავმოყვარე

აზნაური ცდილობს, სხვას არ მოახვედროს თვალში სიღარიბე და ამ მიზნით თავის „ბედაურზეც“ კი შეჯდა, ოღონდ ივანე გვერდევანიძის თვალში საკუთარი ღირსება არ დაემცირებინა. სიძის ჭიშკრამდეც ამხედრებული მივიდა.

მწერალი ყველა წვრილმანს ამჩნევს, რითაც კიდევ უფრო ამძაფრებს აზნაურთა ყოფის ამსახველ ფაქტებს. იგი აგრეთვე იყენებს ორიგინალურ იუმორისტულ ეპითეტებს. მაგ.: გადაპრანჭული ბეკინა, თემოებამობუსკული, ჯახრაკი ცხენი, ყიჭინა აზნაურები, გაწიწმატებული, აპილპილებული პლატონი, მოყანყალე და მოყიალე კირილე და სხვ. მოთხრობაში გვხვდება შედარებები, მეტაფორებები, დამაკნინებელი ხატოვანი გამოთქმები და ანდაზები. მაგ.: ენა ჩაიკვნიტა, ცეცხლი შემომომეკიდა, გაიფრუტუნა პლატონმა, საქნარი მოლეული ჯობია, წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო, კარგის ღმერთიც კარგი მწყალობელიაო და სხვ.

მოთხრობის პერსონაჟები ხშირად იყენებენ წყევლას, რაც მეტყველებაში განმტკიცებული მიმართვაა და კომიკურ შთაბეჭდილებას ქმნის. მაგ.: მაგათ კი დავასხი თავსლაფი, ამოგივარდა ოჯახი, თქვენ შეგაჩვენოთ დამბადებელმა; გაფხრეწვა, გაგლეჯა, არ დარჩენა ყველასი; შენი ოჯახი დაიქცა და სხვ.

ნაწარმოების ენის, მწერლის სტილისა და მხატვრული ენის კომპონენტების ანალიზის შემდეგ უნდა გაიმართოს დისკუსია მოთხრობის ჟანრობრივი თავისებურების შესახებ. მკვლევარები „სამანიშვილის დედინაცვალს“ ტრაგიკომიკურ მოთხრობად თვლიან. ბუნებრივია, უნდა გაირკვეს რას ეწოდება ტრაგიკომიკური. შეიძლება თუ არა ტრაგიკომიკური იყოს დრამატულის გარდა სხვა ნაწარმოები? კომიკური სასაცილოს ნიშნავს. ასეთი შეიძლება იყოს მოვლენა, მოქმედება ან ადამიანი. მხატვრულ ლიტერატურაში კომიკური წარმოდგენს სინამდვილესთან ადამიანის დამოკიდებულების თავისებურ სახეობას, სინამდვილის უარყოფითი მხარეების სასაცილოდ წარმოსახვას, ხოლო თვით სიცილი გვევლინება, როგორც ასახული მოვლენის შეფასება. კომიკური ყველა ჟანრის ნაწარმოებში შეიძლება გამოვლინდეს.

ტრაგიკულის განსაზღვრება შეუძლებელია ტრაგედიის განმარტების გარეშე. მოსწავლეებს მივაწოდებთ ტრაგედიისა და ტრაგიკულის განმარტებას. ტრაგიკული არის მძიმე ტანჯვა, გამოუვალი მდგომარეობა, ბრძოლა, რომელიც კატასტროფით მთავრდება. „სამანიშვილის დედინაცვალში“ თანაბრადაა წარმოდგენილი როგორც კომიკურის, ისე ტრაგიკულის ელემენტები. სასაცილოა პლატონი თავისი მიზნით - მოძებნოს ორნაქმრევი, უშვილო ქვრივი და თავიდან აიცილოს გამყოფის გაჩენის საშიშროება, მაგრამ მისი ბედი საბოლოოდ ტრაგიკულია და იგი თანაგრძნობასა და სიბრაღულს იწვევს. პლატონის ანტიპოდია კირილე მიმინოშვილი. მისი მოქმედების ამსახველი ყველა სცენა კომიკურია, მაგრამ ის ფაქტი, რომ კუდაბზიკა აზნაური სოფლიდან სოფელში დახეტიალობს, ლოთი და ჩხუბისთავია, ოჯახის დარდი არა აქვს და მხოლოდ სიამოვნებასა და გართობაზე ფიქრობს, რაც თურმე გვაროვნობით მოდგამს, სწორედ რომ სამწუხაროა. სასაცილოა სახეზე სასიამოვნო ღიმილმოფენილი ბეკინა, რომელსაც „ძალიან ეამა გულში ისიც, რომ ქალის მოტაცება სჭირდებოდა!..“ მაგრამ რაოდენი ტრაგიზმი იმალება ამ ღიმილსა და ბეკინას საბედისწერო ქორწინების მიღმა?! იმაზე სამწუხარო რა უნდა იყოს, რომ ადამიანები ეკონომიკურ მდგომარეობას იქამდე მიუყვანია ბუნების აუცილებელ კანონს, გამრავლებას, ეწინააღმდეგებიან და ქვეყნის გაწმენდას „ჩხუბით“, ანუ ომით, ითხოვენ.

დავით კლდიაშვილი მიუთითებს აზნაურთა სილატაკის აშკარა ფაქტებზე, მაგრამ გვიჩვენებს მათი დაფარვის ცდებსაც. მისი პერსონაჟები ყოველნაირად ცდილობენ შეალამაზონ და უკეთეს ფერებში დაანახონ სხვას თავისი მდგომარეობა. მოთხრობის საფუძვლიანი ანალიზის შემდეგ მოსწავლეები მიდიან დასკვნამდე, რომ ცხოვრების ფაქტიურ ვითარებას, მოვლენათა რეალურ მიმდინარეობასა და მოქმედ პირთა მიზნებს შორის შეუსაბამობაა, ამიტომ კომიკური სიტუაცია მოთხრობის ფინალში კიდევ უფრო ნელდება, ამბავი მარცხით მთავრდება და „ამდენად, მოქმედების ფინალი ტრაგიკულია.

ნაწარმოებში აშკარადაა გამოკვეთილი ტრაგიკულისა და კომიკურისათვის დამახასიათებელი იძულების ფაქტორი. ამის საუკეთესო მაგალითია პლატონის გადაწყვეტილება მაშვლად დაუდგეს საკუთარ მამას, თანაბრად სასაცილო და სამწუხაროა მიზნის მისაღწევად მის მიერ გადადგმული ყველა ნაბიჯი.

დავით კლდიაშვილმა დაგვანახა, რომ საჭირო იყო სოციალურ-ეკონომიკური ტრაგედია, რათა აზნაურული წოდების მდგომარეობის კომიკურობა და ტრაგიკულობა გამომჟღავნებულიყო. მწერალს ეცოდება ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანები, მაგრამ, რადგან მან განაჩენი გამოუტანა მათ, განაჩენი საბოლოო განადგურებისა, აღარ გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ სიმპათიაზე ვილაპარაკოთ. აზნაურთათვის დამახასიათებელი ადამიანური თვისებები მეტნაკლებად ყოველგვარ საზოგადოებაში შეიძლება გამოვლინდეს. დავით კლდიაშვილის იუმორში სიცილს იწვევს მიზნის განხორციელების და პრეტენზიების შეუსაბამობა. მწერალმა იუმორის საშუალებით ასახა აზნაურული წოდების ყოფის კომიზმი და, ფაქტიურად, უფრო მკაცრი ხასიათი მისცა ამ ადამიანების ცხოვრების შეფასებას, ვიდრე თვითონ ფიქრობდა.

დადგა დრო, როცა პასუხი უნდა გაეცეს კითხვებს: 1. რამ გამოიწვია აზნაურული წოდების ეკონომიკური გალატაკება, იდეური, მორალური და ფსიქოლოგიური დაცემა?

2. არის თუ არა ამ წოდების ფიზიკური გადარ ჩენის რაიმე პერსპექტივა?

გაკეთდება დასკვნა: სამრეწველო კაპიტალიზმის აღმავლობამ და პროლეტარული მოძრაობის განვითარებამ ძირფესვიანად შეცვალა ქვეყნის სოციალური ფონი, გაამძაფრა კლასობრივი წინააღმდეგობები ქალაქად და სოფლად, ღრმა ცვლილებები გამოიწვია საზოგადოებრივ აზროვნებაში. შედეგად, ცხოვრების ახალ ტალღას აყოლილმა თავადაზნაურობამ დაიწყო მიწების გაყიდვა, სამუშაო ძალა-ყმა- კი უკვე დაკარგული ჰქონდათ. უსახსრობამ აიძულა ეს ადამიანები ერთმანეთის მოტყუებითა და „გაცუცურაკებით“ ერჩინათ თავი. ეკონომიკურად და მორალურად გალატაკებული აზნაურობა მხოლოდ ფიზიკური გადარჩენისათვის იბრძვის, მაგრამ მათ ჭიდილს ცხოვრებასთან აზრი არ აქვს. ამ წოდების საქმე წასულია. წყალწაღებულს ხავსზე მოჭიდება ვეღარ უშველის, რადგან განწირულია დასალუპავად. ეს არის მოთხრობის ი დ ე ა.

ჩატარებული მუშაობის შემაჯამებელი სავარაუდო კითხვებია: 1. რა მიზნით მიმართავს დავით კლდიაშვილი იმერული ყოფის დამახასიათებელ დეტალებს და პერსონაჟთა

მეტყველების თავისებურებებს; 2. რატომ არის „სამანიშვილის დედინაცვალი“ ტრაგიკომიკური მოთხრობა? 3. რა პოზიცია უჭირავს მწერალს აზნაურული წოდების სასიცოცხლო ძალების შეფასებისას? 4. მაღლდება თუ არა კლდიაშვილის იუმორი სატირამდე? თუ მიგაჩნიათ, რომ კი, დაასაბუთეთ!

საშინაო დავალების თემატიკაში მასწავლებელი თავისუფალია.

ლიტერატურა:

1. ეროვნული სასწავლო გეგმა.თბილისი.2022
2. ინასარიძე, ნაჭყებია. ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების თანამედროვე მეთოდები.თბილისი,2006.
3. კიკნაძე გრ., ლიტერატურის თეორიისა და ისტორიის საკითხები.თბილისი,1978.
4. კლდიაშვილი დ.,მოთხრობები და პიესები.თბილისი.,1947.
5. ლიტერატურის თეორიის საფუძვლები მ.დუდუცავას რედაქციით.თბილისი,1977.
6. მახარაძე ვლ.,ლიტერატურის თეორიის სწავლება სკოლაში.თბილისი,1972.
7. სწავლებისა და სწავლის ახალი მიდგომები.საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო.თბილისი,2005.
8. ჯინჯიხაძე ჯ.,თანამედროვე პედაგოგიური ტექნოლოგიები.თბილისი,2012.

Tamar Gvinianidze

Akaki Tsereteli State University

Teaching Kldiashvilis' novel "Samanishvili Stepmother at school

Abstract

In modern school, eight hours are devoted to the study of David Kldiashvili's "Samanishvili's Stepmother". The teacher is not limited in the distribution of the lesson material, therefore, the recommendations presented in our article are of an indicative nature and will undoubtedly help teachers of vocabulary to bring the story of the Georgian classic to pupils.

"Samanishvili's Stepmother" is a tragicomic story with distinct syndromes of the tragic and comic. It is from here that we have to come out to open the idea of the work. With a realistic depiction of the historical reality, David Kldiashvili clearly showed us that the rise of industrial capitalism changed the social background of the country, intensified class contradictions, both in the city and in the countryside.

The realist writer portrayed with humor the tragedy and comedy of being a noble rank and showed us that there is no prospect of its moral or physical survival. This rank is doomed to perish.

While teaching "Samanishvili's Stepmother" *teacher must use all the strategies of studying and help the pupils to promote the development of independent thinking of students.*

Key words: David Kldiashvili, Samanishvili's Stepmother.

რეკენზენტი: პროფესორი ლუდმილა ბრანბიტე

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების B1 დონისთვის საჭირო მოთხოვნები და აღწერილობა

ნანა შავთვალაძე

საქართველოს უნივერსიტეტი
e-mail: n.shavtvaldaze@ug.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac>

უდავოა, რომ ენების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR-Common European Framework Reference) ენათა დონის დასადგენად ზუსტი წარმმართველია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ენებს, რომლებიც ისწავლება როგორც უცხო ენა, როგორც მეორე ენა. ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი ინსტრუმენტები გადამწყვეტ როლს თამაშობს ასეთი ტიპის ენათა სწავლებაში. უპირველესად ენის სწავლებისას მნიშვნელობა ისევ იმ ოთხ მთავარ უნარს - კითხვა, წერა, ლაპარაკი, მოსმენა - ენიჭება. კომუნიკაციური მიდგომა განმსაზღვრელია და მის ირგვლივ ენათა შედგენილობის მიხედვით დგინდება საჭირო გრამატიკული ჩარჩოები, დონის მიხედვით გაწერილი თემები კი თავისი ლექსიკით, ფრაზებითა და კომპოზიტების საშუალებით ლაგდება დონის მოთხოვნისა და შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით.

გაიყოს ან დანაწევრდეს ქვედონეებად, ანუ თითოეულ დონეს ჰქონდეს ზედა და ქვედა ზღვარი. ხანდახან ზედა დონე + პლიუსი ნიშნითაცაა ასახული. ამ საკითხის ისტორიას უკვე გავეცანით წინა სტატიაში და ახლა ჩვენთვის საინტერესოა, როგორია მიდგომა, შიგთავსი, მიზანი, გრამატიკული ბადე, ტექსტების ტიპი, ტექსტების კონსტრუქცია შემდგომ დონეზე.

CEFR აერთიანებს ყველა ამ მიღწევას, რომლებიც მან შეიმუშავა უცხო ენების დაუფლების აღწერილობის, კომპეტენციისა და ქვეკომპეტენციის ტიპების მიხედვით. CEFR-ში მითითებული სპეციფიკაციები შესაძლოა ძალიან ზოგადი იყოს, მაგრამ მათი გამოყენების - ველი ფართო. დესკრიპტორები აკონტროლებენ თითოეული უნარის პროგრესულად დაუფლებას, რომელიც ფასდება გაწერილი სკალით.

სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, მასწავლებლებისთვის, სხვა პროფესიონალებისთვის ეს ყველაფერი საინტერესო და სიახლის მომცველია. ჩვენთვის საყურადღებოა, რომ ქართულის, როგორც უცხო ენის B1 დონის სახელმძღვანელო არ გვაქვს ბევრი. ორგანიზაცია „სემიტა.ენის სკოლა“ უკვე 2008 წლიდან წარადგენს საზოგადოებისთვის B1 დონის სერიას და ახლახან გამოვიდა მესამე გამოცემა - „ბილიკი 2 სახელმძღვანელო“. საყურადღებოა მისი აგებულება, შიდასტრუქტურა და თუ როგორ წარმოიჩნდება მასში ეს მახასიათებლები.

საკვანძო სიტყვები: მეორე ენა, კომუნიკაციური მიდგომა

უდავოა, რომ ენების საერთო ევროპული ჩარჩო (CEFR-Common European Framework Reference) ენათა დონის დასადგენად ზუსტი წარმმართველია. ეს განსაკუთრებით ეხება იმ ენებს, რომლებიც ისწავლება როგორც უცხო ენა, როგორც მეორე ენა. ევროპის საბჭოს მიერ დადგენილი ინსტრუმენტები გადამწყვეტ როლს თამაშობს ასეთი ტიპის ენათა სწავლებაში. უპირველესად ენის სწავლებისას მნიშვნელობა ისევ იმ ოთხ მთავარ უნარს - კითხვა, წერა, ლაპარაკი, მოსმენა - ენიჭება. კომუნიკაციური მიდგომა განმსაზღვრელია და მის ირგვლივ ენათა შედგენილობის მიხედვით დგინდება საჭირო გრამატიკული ჩარჩოები, დონის მიხედვით გაწერილი თემები კი თავისი ლექსიკით, ფრაზებითა და კომპოზიციების საშუალებით ლაგდება დონის მოთხოვნისა და შესასრულებელი ვალდებულების მიხედვით.

გამოყენების ველი ფართოა. დესკრიპტორები აკონტროლებენ თითოეული უნარის პროგრესულად დაუფლებას, რომელიც ფასდება გაწერილი სკალით. სახელმძღვანელოების ავტორებისთვის, მასწავლებლებისთვის, ტესტის შემდგენლებისთვის სხვა პროფესიონალებისთვის ეს ყველაფერი საინტერესოა, სიახლის მომცველია. ჩვენთვის საყურადღებოა B1 დონის სახელმძღვანელო, მისი აგებულება და შიდასტრუქტურა და თუ როგორ წარმოიხდება მასში დონის შესაფერისი მახასიათებლები, რადგან A1 და A2 დონეებზე უკვე ვისაუბრეთ.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, გავერკვეთ, სად მთავრდება A1, A2 და სად იწყება B1 დონე ჩვენი ენის სისტემიდან გამომდინარე. რა უნდა შედიოდეს მასში და რას უნდა მოიცავდეს B1 დონე, თუმცა ეს განსაზღვრულია ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობაში. თითქოს ყველაფერი გასაგებია, არსებობს CEFR – ის ენების საერთო ევროპული ჩარჩო, ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, მაგრამ მაინც ბევრი საკითხია შესაჯერებელი, გასაანალიზებელი სწავლების, სახელმძღვანელოების შედგენისა და დონის დასადგენი ტესტის შედგენის დროს. კონკრეტულად რას უნდა მოიცავდეს B1 დონე, რა უნდა შედიოდეს მასში, რა ტიპის გრამატიკულ ფორმატს უნდა ფარავდეს შემსწავლელი, როგორ მეტყველებდეს და როგორი დონის წერილობით მოთხოვნას უნდა აკმაყოფილებდეს. ეს ყველაფერი ჩამოწერილი და გაწერილია ზოგადად, როგორც ვთქვით, საერთო ევროპულ ჩარჩოში, ენის დონეების ზოგად აღწერილობაში და ასევე ქართული ენის სამმართველოს მიერ წარმოდგენილ ვებგვერდზე (www.geofl.ge), მაგრამ კონკრეტულად თითოეული ენის სპეციფიკიდან გამომდინარე მაინც დგინდება სხვადასხვა საკითხი, კონკრეტული ამოცანა, ენის ფუნქციის, სტრუქტურის მიხედვით მიდგომების გამოყენების არეს განსაზღვრა.

ოთხი უნარი განმაპირობებელია, ამ ოთხი უნარიდან სწავლებისას წინ ყოველთვის მოდის კომუნიკაციური უნარი - ის მაინც უპირატესია, რადგან ენა ადამიანთა შორის ურთიერთობისას უმნიშვნელოვანესია. თუ ა1 და ა 2 ენის ფლობის ელემენტარული დონეს ასახავს, უკვე B1 დამოუკიდებლად ფლობის დონეაა ჩათვლილი B2 დონესთან ერთად. + პლიუსი დონე კი რომელიმე დონის გაძლიერებულ მასალად ფასდება.

საინტერესო ფაქტია მოყვანილი (<https://rm.coe.int/16805c3896>) შვეიცარიის კვლევითი პროექტის შესახებ, როცა გამოავლინეს კრიტერიუმის დონე A2-ისთვის და კრიტერიუმის დონე B1-ისთვის. აღმოჩნდა, ის იყო აღწერილი იყო, როგორც „პლუს დონე“. იგივე იყო B1 და B2 (B1+) და B2 და C1 (B2+) შორის. ეს „პლუს დონეები“ ხასიათდებოდა უფრო ძლიერი შესრულებით იმავე

მახასიათებლებთან მიმართებაში. B1 დონის კონცეფცია ძალიან სასარგებლოა, რადგან ვიწრო დონეები საშუალებას აძლევს შემსწავლელებს თვალნათლივ დაინახონ წინსვლა.

B1 ზღვრული დონეა (www.geofl.ge), ბარიერის დონეა და სახელმძღვანელო CEFR-ის მიხედვით, ორი განსაკუთრებული მახასიათებლით: ურთიერთქმედების შენარჩუნება და ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემებთან ყოჩაღად გამკლავება. ურთიერთქმედების შენარჩუნება - რისი გაკეთებაც სურს შემსწავლელს, უნდა შეძლოს. მაგალითად, მეგობრებთან საუბრისას პირადი შეხედულებებისა და მოსაზრებების გამოთქმა მეგობრებთან არაფორმალურ დისკუსიაში; გასაგებად გამოხატოს მთავარი აზრი, რომლის თქმაც სურს; გააგრძელოს საუბარი, არ შეუშინდეს გრამატიკულ შეცდომებს და ლექსიკის არცოდნას, იპოვოს ადვილი გზები აზრის გადმოსაცემად.

აგრეთვე, უნდა შეძლოს ყოველდღიურ ცხოვრებაში პრობლემების ყოჩაღად მოგვარება, უმეტეს სიტუაციებთან გამკლავება, რომლებიც შეიძლება წარმოიშვას მოგზაურობის, რეალურად ქუჩაში ხეტიალისას; წინასწარ მომზადების გარეშე შეძლოს საუბრები ნაცნობ თემებზე; საჩივრის განაცხადის გაკეთებაც (CEFR).

B1 დონე ენის დამოუკიდებლად ფლობას განსაზღვრავს. ეს მართლაც არის ენის ფლობის ის დონე, როდესაც შემსწავლელს შეუძლია საუბარში უფრო აქტიურად მონაწილეობა და საკუთარი თავის შედარებით თავდაჯერებულად წარდგენა.

სწავლებისთვის უმთავრესია კომუნიკაციური კომპეტენციები როგორც ზრდასრულ, ასევე მოზარდ შემსწავლელთათვის; განმსაზღვრელია ტექსტის ტიპები; ტექსტები თანამედროვე მეთოდოლოგიური ხედვით მიიჩნევა, რომ უნდა იყოს ავთენტური, ანუ რეალური. ძალიან რთულია B1 დონეზე არსებული, რეალური, ცოცხალი ლექსიკის მთლიანად აღქმა. ერთი და იმავე სიტყვის, ფრაზის დამახსოვრება, ათვისება ხდება მხოლოდ ოცდათხუთმეტჯერ გაგონილი სხვადასხვა სიტუაციაში. ეს, რა თქმა უნდა, დამოკიდებულია შემსწავლელის ენობრივ ინტუიციასა და აღქმაზეც.

ტექსტები, რომლებიც მიზნობრივად გათვლილია კონკრეტული გრამატიკული თუ ლექსიკური მასალის ათვისებაზე, კარგად მუშაობს. ვფიქრობთ, ასეთი გაჯერებული, გამზადებული მოდელი სტუდენტს ეხმარება შეიქმნას წარმოდგენა აღნიშნულ თემაზე, სიტუაციაზე, გაიაქტიუროს სამეტყველო ბაზა და შემდეგ მიზნობრივად გამოიყენოს. ავთენტური ტექსტების გამოყენებაც აუცილებელია სწავლების ფორმატში, რადგან ისინი ავითარებენ - აზრის გაგებასა და მოსმენილის აღქმას - ამ უნარს.

ქართული ენის, როგორც უცხო ენის შესწავლას ბევრმა მეცნიერმა მოჰკიდა ხელი, ამ საშვილიშვილო საქმეს. დაიწერა სახელმძღვანელოები და მათი ძირითადი საფუძველი სწორედ „ქართული ენის დონეების აღწერილობა“ გახლდათ. სერია „ბილიკი“ (www.lsgeorgia.com), რომელიც მოიცავს დონეების მიხედვით სახელმძღვანელოებს, ეყრდნობა იმავე აღწერილობას, თუმცა პირველი დონის წიგნი (A1 და A2) გამოიცა 2005 წელს, აქ გათვალისწინებულია თავად ევროპული ჩარჩო, მაგრამ შემდეგი დონეებისთვის ძალიან ხელსაყრელი იყო ამ აღწერილობის გამოყენება. ამჯერად, B1 დონის სახელმძღვანელო პირველად 2008 წელს გამოიცა და ახლახან, 2023 წლის 30 ნოემბერში, გამოვიდა მესამე გამოცემა - „ბილიკი II - სახელმძღვანელო“.

სერია „ბილიკში“ მეთოდური მიდგომები სისტემურია, თემატურადაა გაწერილი საკითხები და ლოგიკური ჯაჭვით მიჰყვება გრამატიკა - ლექსიკის საკითხები. სიხშირის დადგენა უპირატესია. გამოყენებულია როგორც კომუნიკაციური, ასევე ნაწილობრივ გრამატიკულ-მთარგმნელობითი მიდგომა. ოცდახუთწლიანი გამოცდილება და ქართული ენის სირთულე გვაძლევს იმპულსს, რომ ახსნილი და შესასწავლი მასალა B1 დონეზე იყოს ზედმიწევნით გასაგები. ჩვენი შემსწავლელები, მათ ნასწავლი და მხოლოდ ნაცნობი ლექსიკა ხვდებათ, ანუ რასაც გავცემთ, იმავეს ვითხოვთ უკან დასაბრუნებლად; პროდუცირების ლექსიკასა და ფრაზებზე აქტიურად ვამუშაოთ, რეცეფციას კი თავად გამოიმუშავენ. მომდევო დონის დაუფლებისას კი აქტიურად ვიყენებთ როგორც პროდუცირების, ასევე - რეცეფციისთვის საჭირო ლექსიკას კითხვისა და მოსმენის სავარჯიშოებში.

ევროჩარჩოს მიხედვით B1 დონის აღწერილობაში დადასტურებულია, რომ ინგლისური ენისთვის საკმარისია 300 საათი სწავლება, რომ შემსწავლელმა მიაღწიოს ინგლისური ენის B1 დონეს (CEFR).

სერია „ბილიკი“ აგებულია მეთოდური ჩარჩოს მიხედვით, გათვალისწინებულია ენის სწავლების თანამედროვე მეთოდები, სტრატეგიები, გამოყენებულია პრინციპი - მარტივიდან რთულსკენ. მას უკვე აქვს A1.A2.B1.B2. სახელმძღვანელოები მოსასმენი მასალასთან ერთად. თითოეული დონე შედგება: სახელმძღვანელოს (მოსასმენი მასალით), სამუშაო რვეულისა და საკითხავი მასალისაგან. აგრეთვე, დაწერილია C1. დონის სახელმძღვანელო, რომელსაც დაბეჭდვამდე რამდენიმე სტუდენტი გამოცდის, გამოთქვამს თავის აზრს, დაეხმარებიან სახელმძღვანელოს დახვეწასა და სრულყოფაში.

ფაქტობრივად, CEFR -ისა და „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგად აღწერილობას“ მისდევს სახელმძღვანელოების სერია „ბილიკი“. ყველა დონე ეყრდნობა ოთხ უნარს: მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა. სახელმძღვანელოში გააქტიურებულია ყველა ტიპის ტექსტი; თემატურადაა მიწოდებულია ლექსიკა; ფრაზები; მოსასმენი დიალოგები; გრამატიკა; საჭირო ცხრილები მასალის უკეთ და მარტივად აღსაქმელად.

ბილიკი B1 -ის სახელმძღვანელო შედგება შემდეგი თექვსმეტი კარისგან: ყოფილხართ საქართველოში? ერთი ოჯახის ცხოვრება; ავეჯი; ტანსაცმელი; შინაური ცხოველები; მუზეუმები; ერთი დღე; საკანცელარო ნივთები; შეკვეთები; სასტუმროს დაჯავშნა; მანქანის შეკეთება; ზღვაზე; აბრები და საგზაო ნიშნები; ტრადიციული სუვენირები; თავის მოწესრიგება; ხასიათები და უნარები.

სახელმძღვანელოს ახლავს ოთხი ტესტი; ყოველი ოთხი კარის შემდეგ მოცემულია ტესტი, რომელიც ამოწმებს შემსწავლელის ლექსიკისა და გრამატიკის ცოდნას კონკრეტული ოთხი თავისა. ტესტებს ახლავს პასუხები. ლექსიკისა და ფრაზების ცოდნა მყარდება „საკითხავი მასალით“, რომელშიც გააქტიურებულია თითოეული კარში წარმოდგენილი ლექსიკა დიალოგების სახით.

ბილიკი B1-ის სახელმძღვანელო ფარავს შემდეგ გრამატიკულ კატეგორიებს:

უარყოფითი ნაცვალსახელი: არაფერი/ვერაფერი/ნურაფერი

განუსაზღვრელობითი ნაცვალსახელი: ვინმე, რამე...

დაბოლოება:-ობით, - ებული,

თანდებული: -გან, -ვით, -გამო, -გარდა, მიხედვით, ნაცვლად, მაგივრად

სუფიქსი: -ულ, - ინდელ, -იან

პრეფიქს-სუფიქსი: უ-ო

ზმნები: I, II და III ჯგუფი: თამაში, ცხოვრება, სწავლა, ლაპარაკი, მუშაობა, კეთება, ყიდვა, სიმღერა, მომზადება, დაპატიჟება, გატარება, წერა, ნადირობა, წაღება, წაყვანა, მოტანა, მოყვანა, მოვლა, დარეკვა, გაუთოება, გარეცხვა, დალაგება, გადახდა, ნდობა, ყოლა, ქონა, სიყვარული, მოწონება, გონება, შეძლება, სიხარული, დაფასება, შეგროვება, პოვნა, მძებნა, დატკობა, დამშვიდობება, გაბრაზება, მომსახურება, გათბობა, დაინტერესება, ადგომა, დაჯდომა, დაწოლა, დაწყობა, დამთავრება, დაბრუნება, დაძინება, გაღვიძება, გადაღება, დაბეჭდვა, გაჭედვა, გაფუჭება, თარგმნა, მოსმენა, ყურება, შეკვეთა, შეტყობინება, ჩვენება, მოხერხება, დაგვიანება, დატოვება, დაჯავშნა, გაკეთება, გაგიჟება, დამშვიდება, გამწვანება, რთულება, გამარტივება, გაფართოება, დავიწროება, აწითლება, გაღარიბება, გამდიდრება, ჭორაობა, ეჭვიანობა, კეკლუცობა, გრძნობა, ხუმრობა, ნერვიულობა, სინანული, სიჩქარე, წვალება, ქირაობა, გაგება, მიღება, გარეცხვა, გახეხვა, გაპარსვა, შეკვრა, ჩაცმა, წასმა, გახდა, დასხმა, სიცილი, ღიმილი, ტირილი, ჩივილი.

გვარი: მოქმედებითი, ვნებითი.

ზმნიზედა თანდებულის ფუნქციით: ქვეშ

უარყოფითი ნაწილაკი: არც....., არც, აღარ, ვეღარ, ნულარ

მწკრივები: I თურმეობითი I/III/IV ჯგუფის ზმნებთან, უწყვეტელი II ჯგუფის ზმნებთან

კავშირი: ვინც, რაც, რომელიც, თუ, ან, ან...ან, სადაც, რომ

ნაწილაკი: უნდა, იქნებ, ნუ, ხომ, ხომ არ

რთული წინადადება: ადგილის გარემოებითი დამოკიდებული წინადადებით, განსაზღვრებითი დამოკიდებული წინადადებით, მიზეზის/მიზნის დამოკიდებული წინადადებით.

ამგვარად, B1 დონის უცხო ენის შესწავლისას ჩვენ მიმოვიხილეთ ევროპული ჩარჩოს (CEFR), „ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობისა“ და ენის ფლობის მიხედვით; ასევე, წარმოგიდგინეთ სერია „ბილიკის“ B1 დონის შედგენილობა, რომელსაც შემსწავლელი ამ დონეზე გაჰყავს. ჩვენი გამოცდილება დადასტურებულია ევროპასა და აშშ დიპლომატიურ ცენტრებში შემსწავლელის მიერ მითითებულ დონეზე წარმატებით ჩაბარებული გამოცდებით.

ლიტერატურა:

ბრძანება 46/ნ (2019 წ. 6 მარტი) საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის სტანდარტები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ქართული ენის სამმართველო

<http://www.geofl.ge/lego/doneebiLevel.php?parent=56>

ქართული ენის ფლობის დონეების ზოგადი აღწერილობა, საქართველოს მთავრობის 2020 წლის 30 ივნისის №394-ე დადგენილება: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4908418?publication=0>

შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „მოსწავლის წიგნი“ მოსასმენი მასალით. მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2023 (2019, 2014, 2012, 2006).

შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“. სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „სამუშაო რვეული“, მესამე გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2023 (2017, 2011).

შავთვალაძე ნ., სახელმძღვანელო „ქართული ენა ინგლისურენოვანთათვის“, სერია „ბილიკი“. დონე II, B1. „ქართული დიალოგები“. საკითხავი მასალა. პირველი გამოცემა. გამომცემლობა „ფორმა“. 2014.

<https://www.coe.int/en/web/common-european-framework-reference-languages/level-descriptions>

<https://rm.coe.int/georgian-reference-level-descriptions-a1-a2-b1-b2-cefr/168077b6f5>

Nana Shavtvaladze
University of Georgia

Requirements and Description for Teaching Georgian as a Foreign Language at the B1 Level

Abstract

There is no doubt that the Common European Framework Reference (CEFR) serves as a precise guide for assessing language proficiency levels, particularly for languages taught as foreign or second languages. Instruments devised by the Council of Europe play a decisive role in the instruction of such languages. Emphasis is primarily placed on the four essential language skills: reading, writing, speaking, and listening, with a communicative approach being paramount. Surrounding this approach, grammatical frameworks are established, aligning with the linguistic composition, and topics are organized at various levels, incorporating vocabulary, phrases, and compositions in accordance with the respective level's requirements and obligations.

The six levels of the language assessment system - A1, A2, B1, B2, C1, C2 - can be subdivided, with each level having both an upper and lower limit. Occasionally, the upper level is denoted by a + plus sign. We have already delved into the history of this topic in the previous article, and now we are keen to understand the approach, content, purpose, grammatical structure, types of texts, and test construction at the subsequent level.

The CEFR consolidates all these advancements, developed based on the description of foreign language acquisition, types of competence, and sub-competence. The specifications outlined in the CEFR may be quite general, but their application field is extensive. Descriptors monitor the progressive mastery of each skill, evaluated on a scale.

For authors, teachers, and other professionals, all of this is interesting and innovative. It's noteworthy for us that there aren't many B1 level textbooks for Georgian as a foreign language. Since 2008, the organization "Semita Language School" has been introducing the B1 level series to the public, and recently, the third edition - "Biliki 2 Student's Book" - was released. Its construction, internal structure, and how these features manifest within it are noteworthy.

რეკენზენტი: პროფესორი მანანა მიქაძე

პედაგოგიკა Pedagogical Sciences

საგანმანათლებლო კვლევები და მათი როლი
განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში

ნატო ბერიძე, სვეტლანა ადამია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

E-mail: natoberidze28@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac>

წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები და საუბარია მათ როლზე სწავლა-სწავლების გაუმჯობესების მიმართულებით. აღნიშნული კვლევები საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მიღწევების, შედეგების ანალიზის, განათლების სისტემაში არსებული საჭიროებების, თანამედროვე გამოწვევებისთვის მზადყოფნის ქმედითი ინსტრუმენტია. შესაბამისად კვლევის შედეგების ანალიზი და მათი მიზანმიმართულად გამოყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

კვლევითი უნარ-ჩვევები არაა მოწყვეტილი მასწავლებლის ყოველდღიურ საქმიანობასაც, 21-ე საუკუნის მასწავლებლის საკლასო ოთახი ისედაც არის მიგნებებისა და აღმოჩენების საინტერესო სივრცე, პედაგოგები ხომ საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვებას, ხშირად დაუგეგმავად, მაგრამ მაინც ყოველდღიურად ახორციელებენ.

მკვლევარი მასწავლებელი, ეს არის პიროვნება, რომელიც ყოველდღიურად აკვირდება, უსმენს მოსწავლეს და ცდილობს ხელი შეუწყოს ისეთი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) ავლენს პოზიტიურ და შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობით უნარებს.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო კვლევა, სწავლების ხარისხი, მკვლევარი მასწავლებელი.

თანამედროვე განათლების სისტემა ზოგადი განათლების მიმართულებით ახორციელებს არაერთ რეფორმას, რომელთა მიზანია ზოგადი განათლების ხარისხის გაუმჯობესება და XXI საუკუნის უნარ-ჩვევებით აღჭურვილი მოქალაქის აღზრდა. ეროვნული სასწავლო მიზნებიდან გამომდინარე ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვალდებულებაა: „შეუქმნას

მოსწავლეს პირობები ინფორმაციის მოპოვების, იმ უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების გასავითარებლად, რომლებიც მთელი ცხოვრების განმავლობაში დასჭირდება“ [ზგემი].

ტექნოლოგიური რევოლუციის ფონზე ადამიანისთვის მისაწვდომია დიდი მოცულობისა და სხვადასხვა შინაარსის ინფორმაცია, შესაბამისად, მისი ეფექტიანად გამოყენების უნარი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, მოსწავლეს უნდა შეეძლოს არა მხოლოდ ინფორმაციის მოპოვება, არამედ მისი შეფასებაც შინაარსის, ხარისხისა და დანიშნულების მიხედვით, ამ უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში კი სკოლის როლი განუზომლად დიდია.

ბოლო რამდენიმე წელია, რაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა არაფორმალური განათლების ელემენტების შემოტანასა და დამკვიდრებას ფორმალურ განათლებაში. საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევები ცალსახად მიუთითებს პროექტებით სწავლების დადებით როლზე, რაც აისახება მოსწავლეთა მოტივაციასა და ჩართულობაზე.

სწავლა-სწავლების პროცესი წარმოდგენილია იზოლირებულად, ჩაკეტილ საკლასო სივრცეში. თანამედროვე ტექნოლოგიებმა და გაციფრულების ეპოქამ მკაფიოდ დაანახა საგანმანათლებლო სისტემის ყველა რგოლს საერთაშორისო და ადგილობრივი კვლევების შედეგების ანალიზისა და ინტერვენციების განხორციელების აუცილებლობა. სწავლა ცოცხალი პროცესია, მასწავლებელს ყოველდღიურად უწევს დააკვირდეს საკუთარ პედაგოგიურ საქმიანობას და დასვას კითხვები: **რას ვასწავლი? როგორ ვასწავლი? რამდენად მივაღწიე დასახულ მიზანს? რა და რატომ გაუჭირდა ჩემს მოსწავლეს?** სადაც ჩნდება კითხვები, იქ ჩნდება სასკოლო კვლევების აუცილებლობა, რომლის მთავარი მიზანია სასწავლო გარემოსა და სწავლა-სწავლების პროცესის ხარისხის გაუმჯობესება. საგანმანათლებლო კვლევების აუცილებლობაზე არა მხოლოდ ჩვენს ქვეყანაში, არამედ მსოფლიოს წამყვან ქვეყნებშიც მიუთითებენ. სწორედ ამ მიზნით ჩვენი ქვეყანა 2006 წლიდან მოყოლებული ჩართულია არარერთ საერთაშორისო კვლევაში:

✓ წიგნიერების საერთაშორისო კვლევა (**PIRLS**) / **Progress in International Reading Literacy Study**, რომელიც მიზნად ისახავს 9-10 წლის მოზარდთა კითხვის უნარის შეფასებასა და იმ ფაქტორების კვლევას, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლეთა წიგნიერებაზე;

✓ მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების კვლევა (**TIMSS**) / (**TIMSS – Trends in International Mathematics and Science Study**), რომლის ფარგლებში ხდება 9-10 და 13-14 წლის მოზარდების ცოდნის შეფასება მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში და იმ ფაქტორების კვლევა, რომლებიც გავლენას ახდენს მათემატიკისა და საბუნებისმეტყველო საგნების სწავლისა და სწავლების პროცესზე;

✓ მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამა (**PISA**) / **Programme for International Student Assessment**, რომელიც მიზნად ისახავს, შეაფასოს 15 წლის მოზარდების მიერ სკოლაში შეძენილი ცოდნა და უნარები სამ სფეროში: კითხვა, მათემატიკა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებები. ეს ის ასაკია, როცა მოსწავლეებს თითქმის დასრულებული აქვთ სავალდებულო განათლების კურსი. შესაბამისად, **PISA** ამოწმებს მათ მზაობას,

გაუმკლავდნენ ყოველდღიურ გამოწვევებს იმ ცოდნისა და უნარების გამოყენებით, რაც მათ სკოლაში მიიღეს.¹

აღნიშნული კვლევები საგანმანათლებლო სივრცეში არსებული მიღწევების, შედეგების ანალიზის, განათლების სისტემაში არსებული საჭიროებების, თანამედროვე გამოწვევებისთვის მზადყოფნის კმედითი ინსტრუმენტი. შესაბამისად, კვლევის შედეგების ანალიზი და მათი მიზანმიმართულად გამოყენება სასწავლო პროცესის ხარისხის გაუმჯობესების საუკეთესო საშუალებაა.

საგანმანათლებლო პოლიტიკისა და კვლევების ასოციაციის მკვლევარი, ია კუტალაძე, ნაშრომში „საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში“ მიმოიხილავს რა ზემოაღნიშნულ კვლევებს, სვამს კითხვას: **რატომ არის ჩვენი განათლების სისტემისთვის მნიშვნელოვანი საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობა და გამოცდილების გაზიარება?** ჩვენ ვიზიარებთ მკვლევრის მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ საერთაშორისო თუ ზოგადად პედაგოგიური კვლევების ანალიზი გვიჩვენებს რა არის დასახვეწი თუ შესაცვლელი სწავლების პროცესში, რაზე უნდა გამახვილდეს განსაკუთრებული ყურადღება და რატომ? ამგვარი კვლევები მნიშვნელოვანია განათლების რეფორმის (და არამხოლოდ) მონიტორინგისთვისაც. ეს კვლევები ტარდება გარკვეული პერიოდულობით, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ დინამიკაში მოხდეს პროცესზე დაკვირვება. საერთაშორისო თუ ადგილობრივი „კროსკულტურული შედარებითი კვლევის შედეგების ანალიზი და რეკომენდაციები საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მაღალი განათლების მიღწევის საუკეთესო წინაპირობაა“ [კუტალაძე, 2012: 7].

გლობალური კვლევები, თავის მხრივ, საფუძველი შეიძლება გახდეს პედაგოგიური პრაქტიკის კვლევების, რომელთა ფოკუსი და მასშტაბურობა ბევრად უფრო ვიწროა და ხშირ შემთხვევაში, შემოიფარგლება ერთი კლასის, სკოლის, თემის საჭიროებების განსაზღვრითა და კვლევით. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, მასწავლებელს უნდა ჰქონდეს: ზოგადი განათლების სისტემის ფართო ხედვა. ეცნობოდეს ზოგადად განათლების სფეროში და სასკოლო სისტემებში მიმდინარე მოვლენებს, თანამედროვე პროფესიულ ლიტერატურას და საგანმანათლებლო კვლევებს ადგილობრივ, ეროვნულ და გლობალურ დონეზე. მიღებულ გამოცდილებას იყენებდეს საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში და, ასევე, უზიარებდეს კოლეგებს.²

ზემოაღნიშნული დოკუმენტით, წამყვანი და მენტორი მასწავლებლის კომპეტენციათაგან ერთ-ერთია კვლევითი კომპეტენციების ფლობა, ტერმინი კვლევა თუ მკვლევარი მასწავლებელი თავდაპირველად თითქოს ერთგვარ პროტესტს იწვევდა ამ პროფესიის წარმომადგენლებში, ვინაიდან კვლევა სამეცნიერო მოღვაწე-ობასთან ასოცირდებოდა, თუმცა დღეს, საბედნიეროდ, მასწავლებელთა აზრი ამ საკითხთან დაკავშირებით შეიცვალა, რადგან მათმა უმრავლესობამ გააცნობიერა, რომ პედაგოგიური პრაქტიკის კვლევა არ მოითხოვს სამეცნიერო კვლევით

¹ საერთაშორისო კვლევების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე.

² მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი

კომპეტენციებს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბაზისო კვლევითი უნარები არ უნდა გააჩნდეს მას. მკვლევარ მასწავლებელს უნდა შეეძლოს საჭიროებების იდენტიფიცირება, რანჟირება, საკვლევო თემის გამოკვეთა, მიზნისა და ამოცანების განსაზღვრა, სწორი მეთოდოლოგიის შერჩევა (რაოდენობრივი, თვისობრივი), მთლიან პროცესზე დაკვირვების დღიურის წარმოება, მიღებული შედეგების ანალიზი და შეფასება, შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვა და სამიზნე აუდიტორიისთვის გაზიარება.

კვლევითი უნარ-ჩვევები არაა მოწყვეტილი მასწავლებლის ყოველდღიურობას, XXI საუკუნის მასწავლებლის საკლასო ოთახი ისედაც არის მიგნებებისა და აღმოჩენების საინტერესო სივრცე, პედაგოგები ხომ საკუთარ საქმიანობაზე დაკვირვებას, ხშირად დაუგეგმავად, მაგრამ მაინც ყოველდღიურად ახორციელებენ.

მკვლევარი მასწავლებელი, არის პიროვნება, რომელიც ყოველდღიურად აკვირ-დება, უსმენს მოსწავლეს და ცდილობს ხელი შეუწყოს ისეთი სასწავლო გარემოს ჩამოყალიბებას, რომელშიც სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლი (მოსწავლე, მასწავლებელი, მშობელი) ავლენს პოზიტიურ და შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლო-ბით უნარებს.

ლიტერატურა:

1. ორგანული კანონი ზოგადი განათლების შესახებ;
2. ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები;
3. მასწავლებლის პროფესიული სტანდარტი;
4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმა;
5. ია კუტალაძე, საერთაშორისო საგანმანათლებლო კვლევები საქართველოში, თბილისი 2012;
6. ლუის კოფენი, ლოურენს მანიონი, ქეით მორისონი, კვლევის მეთოდები განათლებაში, მეექვსე გამოცემა;
7. <https://naec.ge/#/ge/post/1499>
8. <https://naec.ge/#/ge/post/1496>
9. <https://naec.ge/#/ge/post/1497>

Nato Beridze, Svetlana Adamia
Batumi Shota Rustaveli State University

Educational research and their role in improving the quality of education

Abstract

The article reviews international educational studies and talks about their role in improving teaching and learning. The mentioned studies are an effective tool for the analysis of the achievements in the educational space, the needs in the education system, and the readiness for modern challenges. Therefore, analysis of research results and their purposeful use is the best way to improve the quality of the educational process.

Research skills are not separated from a teacher's daily activities, the XXI century teacher's classroom is already an interesting space for findings and discoveries, teachers observe their own activities, often unplanned, but still daily.

A research teacher is a person who daily observes, listens to the pupils and tries to facilitate the formation of such a learning environment in which all links of the school community (pupils, teacher, parents) demonstrate positive and result-oriented cooperation skills.

Key words: educational research, teaching quality, research teacher.

რეცენზენტი: პროფესორი ვიქტორ იზბულე

მუსიკალური თამაშობები სკოლამდელთათვის

მაგდა თხილავა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: magda.tkhilavai@atsu.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac>

დიდია მშობლის როლი ბავშვის მუსიკალურ განვითარებაში. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ პატარების მიერ ფერების, საგნის ფორმების, რიცხვებისა და ა. შ. სწავლას, ამიტომ ბავშვის მუსიკალური განვითარება უკანა პლანზე გადადის. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის მუსიკალურ განვითარებაზე ადრეული ასაკიდან ვიზუალურად, რაც ხელს უწყობს ბავშვის სმენის, რიტმის გრძნობის, წარმოსახვის, ყურადღების და ემოციური სფეროს განვითარებას.

მუსიკის მოსმენას დიდი წვლილი შეაქვს ბავშვის პიროვნების, მათ შორის მისი ემოციური სფეროს განვითარებაში. გავაცნოთ პატარას სხვადასხვა ჟანრისა და ხასიათის მუსიკა, ვისაუბროთ იმაზე, თუ რა განწყობის გადმოცემა სურდა ნაწარმოების ავტორს. მუსიკა გადმოგვცემს უამრავ ემოციას, სხვადასხვა გრძნობას, განცდას, აღწერს ბუნების მოვლენას...

მუსიკალური თამაშები სკოლამდელი ასაკის ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას მოსწონს, რომელთა დახმარებით მათ უვითარდებათ სმენა, რიტმის გრძნობა, ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, ემოციურობა. სასურველია, ბავშვებმა მუსიკალური თამაშები ითამაშონ მთელ ოჯახთან ერთად, მოუსმინონ მუსიკას ერთად, განიხილონ შთაბეჭდილებები. ეს არ არის მხოლოდ სახალისო, არამედ ძალიან სასარგებლოცაა

საკვანძო სიტყვები: ბავშვის მუსიკალური განვითარება, ემოციური სფერო

ბავშვის ადრეულ ასაკში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მუსიკალურ განვითარებას. მუსიკა დადებითად მოქმედებს ბავშვის განვითარების სხვადასხვა სფეროზე. მუსიკალური ნაწარმოების მოსმენის დროს ბავშვი ემოციურად რეაგირებს მასზე. მუსიკა თანატოლებთან კომუნიკაციის ერთ–ერთი საუკეთესო საშუალებაა. მუსიკალური თამაშები ხელს უწყობს შემოქმედებით აქტივობასა და ინტელექტუალურ განვითარებას, მასწავლებლისა და ბავშვების თანამშრომლობას, პოზიტიური გარემოს შექმნას. სკოლამდელი ასაკი, ექსპერტთა აზრით, სინთეზური პერიოდია ბავშვის სხვადასხვა მუსიკალური შესაძლებლობის ფორმირებისთვის. როგორც მეცნიერები ასაბუთებენ, ყველა ბავშვი დაბადებიდანვე ბუნებრივად მუსიკალურია, მხოლოდ უფროსებზე და მოკიდებული, როგორ შეძლებენ პატარები თავიანთი ნიჭის რეალიზებას.

მუსიკალურ შესაძლებლობებს ბავშვი ადრეულ ასაკში ავლენს. ამიტომ ბავშვის მუსიკალურ განვითარებაზე ზრუნვა ადრე დაწყების აუცილებლობაზე მიუთითებს. დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს ბავშვის მუსიკალური და სენსორული შესაძლებლობების ფორმირებას. მუსიკალური და დიდაქტიკური თამაშების საფუძველზე უნდა მოხდეს პატარების მუსიკალურ და სენსორულ განვითარებაზე მუშაობა. ამისათვის საჭიროა განვითარების გზების სწორად დასახვა.

მუსიკას განსაკუთრებული როლი აქვს საზოგადოებაში. ძველად სამედიცინო ცენტრები მუსიკით მკურნალობდნენ ნერვულ აშლილობებს, გულისა და სისხლძარღვთა სისტემის დაავადებებს, მუსიკა ყოველთვის ახდენდა გავლენას ადამიანის ინტელექტუალურ განვითარებასა და ემოციურ კეთილდღეობაზე.

დიდია მშობლის როლი ბავშვის მუსიკალურ განვითარებაში. ისინი დიდ ყურადღებას აქცევენ პატარების მიერ ფერების, საგნის ფორმების, რიცხვებისა და ა. შ. სწავლას, ამიტომ ბავშვის მუსიკალური განვითარება უკანა პლანზე გადადის. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის მუსიკალურ განვითარებაზე ადრეული ასაკიდან ვიზრუნოთ, რაც ხელს უწყობს ბავშვის სმენის, რიტმის გრძნობის, წარმოსახვის, ყურადღების და ემოციური სფეროს განვითარებას.

საჭიროა ბავშვებს გავაცნოთ სხვადასხვა საბავშვო მუსიკალური ინსტრუმენტი: ქსილოფონი, ტამბური, დრამი, ზარი, კოვზები, სამკუთხედი, გიტარა, საყვირი, და ა.შ. რაც უფრო მეტ ინსტრუმენტს შევავროვებთ თვალსაჩინო მასალად, მით უფრო საინტერესო იქნება ბავშვისთვის თამაში. მოვათავსოთ არსებული მუსიკალური ინსტრუმენტები ბავშვის მხედველობის არეში. ნება დავრთოთ მას ითამაშოს ამ ინსტრუმენტებით, მოუსმინოს მათ და გაიგოს თითოეული მათგანის ჟღერადობა. ამის შემდეგ, ვთხოვთ პატარას დახუჭოს თვალები ან მოშორდეს ინსტრუმენტებს და თავად ჩვენ დავუკრათ საკრავები. ბავშვი ტემბრის გაგონებით უნდა მიხვდეს რა ინსტრუმენტი ჟღერს. შემდეგ შეგვიძლია როლები შევცვალოთ. ეს თამაში შეიძლება განვახორციელოთ წლინახევრის ბავშვებთანაც, მხოლოდ ბევრი საკრავი არ უნდა იყოს.

მუსიკალური ინსტრუმენტების ნაცვლად შეგვიძლია გამოვიყენოთ საყოფაცხოვრებო ნივთები და იმპროვიზირებული მასალები. მაგალითად, ქილებსა და ჭიქებზე დაკაკუნება, ღილების ხმაური, პოლიეთილენის შრიალი და ა.შ. საინტერესო თამაშია – „გამოიცანი რომელი გასაღებია ან რომელი რეგისტრია“. ბავშვმა ჟღერადობით, ბგერის სიმაღლის მიხედვით, უნდა გამოიცნოს მაღალია ბგერა თუ დაბალი. ამ დროს სასურველია გამზადებული გვექონდეს ცხოველთა და ფრინველთა გამოსახულებები, რომლებსაც ბავშვები ჟღერადობის შესაბამისად მიაკრავენ ვიოლინოს ან ბანის გასაღებზე. მაგალითად, ჩიტს და წრუწუნას წებოს გამოყენებით ვიოლინოს გასაღებთან დასვამენ, დათვს, დინოზავრს და სპილოს – ბანის გასაღებთან და ა. შ. ასე ხელს შეუწყობთ ადრეულ ასაკშივე სმენითი აღქმისა და ვიზუალურ-ფიგურული აზროვნების განვითარებას. ასეთი თამაშით მუსიკის გაკვეთილი ბავშვისთვის ბევრად უფრო საინტერესო გახდება, ამ გზით, შეგვიძლია შევასწავლოთ „მაღალი“ და „დაბალი“ ბგერის ცნებები.

მუსიკის მოსმენას დიდი წვლილი შეაქვს ბავშვის პიროვნების, მათ შორის მისი ემოციური სფეროს განვითარებაში. გავაცნოთ პატარას სხვადასხვა ჟანრისა და ხასიათის მუსიკა, ვისაუბროთ იმაზე, თუ რა განწყობის გადმოცემა სურდა ნაწარმოების ავტორს. მუსიკა გადმოგვცემს უამრავ ემოციას, სხვადასხვა გრძნობას, განცდას, აღწერს ბუნების მოვლენას...

ბავშვს რომ განუვითარდეთ რიტმის გრძნობა და ვასწავლოთ სწრაფი და ნელი ტემპების გარჩევა, წინასწარ უნდა მოვამზადოთ ბავშვისთვის შესაბამისი კომპოზიციები. შევასრულოთ სხვადასხვა მოძრაობები ტემპის მიხედვით. მაგალითად, ნელ მუსიკაზე - ვსეირნობთ, თავს ვაქნევთ, რბილად ვატრიალებთ ხელებს, სწრაფ მუსიკაზე - ტაშს ვუკრავთ, დავრბივართ, ვხტებით. კიდევ უფრო საინტერესო და სახალისო იქნება, თუ ერთ ნაწარმოებში გამოყენებულია ცვალებადი ტემპები.

საინტერესო თამაშია – „ხმამალა და ჩუმი“. ეს თამაში წინა თამაშის მსგავსია, რომლითაც ბავშვს შეუძლია ისწავლოს მუსიკის ხმოვანების სიძლიერის გარჩევა. ამ მუსიკალური თამაშის ერთ-ერთი ვერსია შეიძლება ასეთი იყოს: მასწავლებელი უკრავს, ბავშვმა უნდა ირბინოს ფეხის ხმამალა დარტყმით ან მუსიკის შესაბამისად, იაროს ფეხის წვერებზე ჩუმი, მშვიდად. თუ ბევრი ბავშვია, გავანაწილოთ როლები, მოვიწვიოთ კატა და თავგი სათამაშოდ. სანამ „ატას“ სძინავს ჩუმ და წყნარ მუსიკას ვასრულებთ, „თაგვები“ იპარებიან მისკენ და როგორც კი ხმამალა მუსიკა დაიწყება, „კატა“ იღვიძებს და ცდილობს „თაგვებს“ დაეწიოს და დაიჭიროს.

დაახლოებით 2,5 წლიდან შეგვიძლია დავიწყოთ პატარა მუსიკალური სპექტაკლების თამაში ჩვენს პატარებთან ერთად. მთავარი იდეა ის არის, რომ მასწავლებელი კითხულობს ზღაპარს, ხოლო ბავშვი (უფროსის დახმარებით) ტექსტის შესაბამისად ახმოვანებს შესაფერისი ხმის ტემბრით.

„ადგილზე გაყინვა“ პოპულარული მუსიკალური თამაშია, რომელიც სკოლამდელ ასაკშივე კარგად ავითარებს ყურადღებას და რეაქციის სიჩქარეს. მაგალითად, სანამ მასწავლებელი უკრავს ინსტრუმენტზე, ბავშვები მხიარულობენ, დარბიან დარბაზში, ხტუნავენ. როდესაც მუსიკა შეჩერდება, ბავშვმა, უფროსთან ერთად, უნდა შეძლოს გაყინვა და სცადოს რაიმე ფიგურის წარმოსახვით გამოსახვა.

მუსიკალური თამაშები სკოლამდელი ასაკის ბავშვების აბსოლუტურ უმრავლესობას მოსწონს, რომელთა დახმარებით მათ უვითარდებათ სმენა, რიტმის გრძნობა, ყურადღება, მეხსიერება, წარმოსახვა, ემოციურობა. სასურველია, ბავშვებმა მუსიკალური თამაშები ითამაშონ მთელ ოჯახთან ერთად, მოუსმინონ მუსიკას ერთად, განიხილონ შთაბეჭდილებები. ეს არ არის მხოლოდ სახალისო, არამედ ძალიან სასარგებლოცაა.

თამაშში ბავშვის გონებრივი პროცესები უფრო ეფექტურად ვითარდება, ვიდრე სხვა ტიპის აქტივობებში, ამიტომ თამაშზე დაყრდნობა არის ყველაზე მნიშვნელოვანი გზა ბავშვების აქტივობაში ჩართვისთვის. თამაში ხელს უწყობს ცოდნის შექმნას, აძლევს პატარებს სხვებთან კომუნიკაციის საშუალებას, აჩვენებს მათ ბუნებასთან ურთიერთობას...

მუსიკალური თამაშის მიზანია განუვითაროს ბავშვებს მუსიკალური ინტელექტი, რიტმისა და მეტრის გრძობა, მუსიკალური მეხსიერება, სმენა, სასიმღერო ხმა. მუსიკალური თამაშები ხელს უწყობს შესწავლილი მასალის სწრაფ დამახსოვრებას, სწავლის ინტენსივობას და ბავშვების ემანსიპაციას, კომპლექსებისგან თავის დაღწევას.

ლიტერატურა:

1. თამაში სწავლისა და განვითარებისთვის. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, გაეროს ბავშვთა ფონდი. თბილისი, 2015
2. ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების სახელმწიფო სტანდარტები. გაეროს ბავშვთა ფონდი და განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. თბილისი, 2018.

Magda Tkhilava

Musical games for preschoolers

Abstract

The role of parents in the musical development of a child is great. They pay a lot of attention to colors, object shapes, numbers, etc. Sh. learning, therefore the child's musical development is pushed into the background. It is important to take care of a child's musical development from an early age, which contributes to the development of the child's hearing, sense of rhythm, imagination, attention and emotional sphere.

Listening to music greatly contributes to the development of a child's personality, including his emotional sphere. Let's introduce the baby to music of different genres and character, talk about what mood the author of the piece wanted to convey. Music conveys a lot of emotions, different feelings, feelings, describes natural phenomena...

Musical games are liked by the vast majority of preschool children, with the help of which they develop hearing, sense of rhythm, attention, memory, imagination, emotionality. It is desirable for children to play musical games with the whole family, listen to music together, discuss impressions. It is not only fun, but also very useful.

Key words: child;s musical development, emotional sphere

რეცენზენტი: პროფესორი რუსუდან ლორთქიფანიძე

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო - სააღმზრდელო პროცესი და ბავშვთა უფლებების დაცვა

მარეხი ნიკოლაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: marekh.nikoladze@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac>

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება - ეს არის ფილოსოფია ან განათლებისადმი მიდგომა, რომელიც შექმნილია თითოეული მოსწავლის მოთხოვნილებების ინდივიდუალურად დასაკმაყოფილებლად. სტატიაში ნამდვილად მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მასწავლებლები და მოსწავლეები ერთობლივად მუშაობენ სასწავლო გეგმის ან გზის შესაქმნელად, რომელიც საუკეთესოდ შეესაბამება თითოეული ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებებს. მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოში მასწავლებელი ცდილობს შექმნას გარემო, რომელიც ინდივიდუალურია თითოეული მოსწავლის სასწავლო საჭიროებისთვის. მასწავლებელი მოქმედებს, როგორც თითოეული მოსწავლის სასწავლო გამოცდილების არქიტექტორი. სტატიაში განხილულია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომის კავშირი ბავშვთა უფლებებთან და როგორი ისტორიული კონტექტი აქვს მას.

საკვანძო სიტყვები: მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება, ისტორიული კონტექტი

ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის განმარტებით ლექსიკონში¹ - მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება (LCE) არის განათლების მიდგომა, რომელიც ფოკუსირდება მოსწავლეების საჭიროებებზე, შესაძლებლობებზე, ინტერესებზე და სწავლის სტილზე. ეს განსხვავდება მასწავლებელზე ფოკუსირებული მიდგომისაგან, სადაც მასწავლებელს აქვს ლიდერის აქტიური როლი, ხოლო მოსწავლეს კი პასიური მიმღების როლი. მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლის დროს მოსწავლე არის აქტიური თავისი სწავლის პროცესში, ხოლო მასწავლებელი გეზის, მიმართულების მიმცემი.

გარდა იმისა, რომ 1989 წელს მიღებული ბავშვის უფლებათა კონვენცია 28-ე მუხლით არეგულირებს ბავშვებისათვის განათლების მიღების აუცილებლობას მონაწილე სახელმწიფოების მხრიდან, 29-ე მუხლში აქცენტირებულია, რომ განათლება ისე უნდა იყოს მიწოდებული, რომ მიმართული იყოს „ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური

¹ <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=16641>

უნარების სრული განვითარებისაკენ“ (UNICEF, 2017). გარდა ამისა აქცენტირებულია თანასწორობისა და მეგობრულობის სულისკვეთებით ბავშვის აღჭურვა.

ძველი საგანმანათლებლო პროგრამები და სტანდარტები გათვლილი იყო მეტწილად ეგრეთწოდებულ „საშუალო მოსწავლეზე“. ეს იმას ნიშნავდა, რომ საშუალო აკადემიური მოსწრების მოსწავლეს უნდა შესძლებოდა სტანდარტის მოთხოვნების შესრულება. ასეთი მიდგომა გულისხმობდა იმას, რომ მოსწავლეების ნაწილი ვერ შეასრულებდა სტანდარტს და, შესაბამისად, საგანმანათლებლო სივრცის გარეთ ხვდებოდნენ. ძველი საგანმანათლებლო პროგრამები ასევე პრაქტიკულად განათლების გარეშე ტოვებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდა მოქალაქეებს და, შესაბამისად, გზას უკეტავდა მათ შემდგომი განვითარებისათვის. ეროვნული სასწავლო გეგმა ორიენტირებულია უკლებლივ ყველა მოსწავლეზე. სტანდარტში მოცემული ყველა შედეგი მიღწევადია თითოეული მოსწავლისათვის. სხვა საქმეა, რომ ყველა მოსწავლე, საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, სხვადასხვაგვარი ხარისხით მიაღწევს ამ შედეგებს.

მოსწავლეზე ორიენტირებულ განათლებას (LCE) აქვს ისტორიული ფესვები, რომელიც ვრცელდება სოკრატეს დროიდან (ძვ. წ. 400 წ.), მაგრამ ეს იყო მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20 საუკუნის დასაწყისის კონტინენტური ფილოსოფოსების გავლენა, რომლებმაც ექვემდებარებინა ბავშვობის ბუნება და პროცესი თუ, როგორ უნდა მიიღონ ბავშვებმა განათლება. ეს გავლენა გავრცელდა ჩრდილოეთ ამერიკასა და დიდ ბრიტანეთში. კიდევ ერთი მთავარი გავლენიანი მოაზროვნე და მწერალი, რომელიც დაინტერესდა ამ თემით მე-20 საუკუნის დასაწყისში იყო ამერიკელი ფილოსოფოსი და განმანათლებლის ჯონ დიუი (1916). ჯონ დიუი „პროგრესულ“ პედაგოგიკას უკავშირებდა მოსწავლეებში დემოკრატიული უნარებისა და განწყობების განვითარებას. უფრო ახლო წარსულში, ბრაზილიელმა პაულო ფრეირემ (1972 წ.) ხელი შეუწყო ზრდასრულთა განათლების საერთაშორისო ლანდშაფტის ჩამოყალიბებას, განსაკუთრებით მისი ცნებით სინდისიერების შესახებ. მან ეს დაუკავშირა წიგნიერების პედაგოგიკას, რომელიც ხელს უწყობს სტატუს კვოს კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებას, როგორც განათლების გაბატონებული „საბანკო“ მოდელის ანტიდოტს, რომელიც დაფუძნებულია მასწავლებლისგან მოსწავლეზე ცოდნის დეპონირებაზე. ასევე, LCE-ის მდიდარ ლიტერატურულ საფუძველში წვლილი შეიტანეს, ისეთმა მწერლებმა, როგორებიც არიან ვიგოტსკი (1978) და ბრუნერი (1966), რომლებსაც სწავლა ესმით კონსტრუქტივისტურ პარადიგმაში - ანუ ცოდნა, როგორც მოსწავლეთა და მასწავლებლების მიერ ერთობლივად აგებული, მასწავლებლებთან ერთად, რომლებიც თამაშობენ სოციალურ, ინტერპერსონალურ და დამხმარე და არა მთელი კლასის დამრიგებლის როლს.

LCE იქცა „გარდამავალ პოლიტიკად“ იმით, რომ ის გადავიდა მთელ მსოფლიოში და გაიდა ფესვები სხვადასხვა კონტექსტში. მისი, როგორც იდეის წარმოშობა ძველ საბერძნეთში სოკრატემდე მიდის, სოკრატესული დიალოგის კვლევის მეთოდით. ინგლისში მისი ბავშვზე ორიენტირებული ვერსია იყო განათლების პოლიტიკის რეფორმის ნაწილი 1960-იანი წლების

ბოლოს; ის ასევე ცენტრალური იყო პროგრესული მოძრაობისთვის აშშ-ში და გამოიხატა ევროპაში ისეთი სპეციალიზებული მიდგომებით, როგორცაა მონტესორისა და შტაინერის სკოლა.

მაგალითად, იუნესკოს ასოცირებული სკოლების პროექტის ქსელი, რომელიც მოიცავს დაახლოებით 8500 სკოლას საერთაშორისო დონეზე, ხელს უწყობს ხარისხიანი განათლების შემდეგ „არსებით განზომილებებს“:

1. განათლების შინაარსის გაუმჯობესება მისი უფრო აქტუალობით და სათანადოდ ფორმირების ხარჯზე.

2. სასწავლო პროცესის გაღრმავება, რომლის დროსაც მოსწავლეები არიან მთავარი აქტორები და მასწავლებლები ფასილიტატორები

3. ცხოვრებისეული უნარებისა და კომპეტენციების განვითარება, რაც ბავშვებსა და ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს მიაღწიონ წარმატებას გამოწვევებისა და შესაძლებლობების სწრაფად ცვლელად სამყაროში.

4. შემოქმედებითობისა და წარმოსახვის ხაზგასმა და ასევე მრავალი ნიჭის განვითარება, რომელიც თითოეულ მოსწავლეს აქვს

5. კურსორკულარული და ინტერდისციპლინარული მიდგომების დანერგვა, ასევე გუნდური სწავლება და, შესაბამისად, განათლების ჰოლისტიკური მიდგომის ხელშეწყობა

6. სკოლის კლიმატის გაუმჯობესება

7. დემოკრატიული პრინციპების განმტკიცება (UNESCO, 2008)

იმისათვის, რომ ადამიანებმა ისწავლონ ეფექტურად, აუცილებელია მონაწილეობითი სწავლებისა და სწავლის ტექნიკა, მათ შორის მოსწავლეზე ორიენტირებული მეთოდოლოგიები. ბავშვზე ორიენტირებული მეთოდები უნდა ეხებოდეს მთელი ადამიანის საჭიროებებს, უნარებს, რომლებიც აუცილებელია გადარჩენისთვის, ინდივიდუალური განვითარებისთვის, სოციალური ინტერაქციისა და აკადემიური მიღწევისათვის.

იმის მტკიცება, რომ LCE ძირეულად შეუფერებელია კულტურულად და რესურსების კონტექსტის თვალსაზრისით განვითარებადი სამყაროს ბევრ ნაწილში. თუმცა, არსებობს მთელი რიგი მტკიცებულებები და უფლებებზე დაფუძნებული არგუმენტები, რომლებიც კითხვის ნიშნებს აყენებენ ამ დასკვნის წინააღმდეგ. უმეტეს მასალაში მოცემულია წარმატების ისტორიები და მასწავლებლებისა და მოსწავლეების ენთუზიაზმი LCE-ს მიმართ, როდესაც პროცესის განხორციელება კარგად არის მართული (Khamis & Sammons, 2007; Hardman et al., 2009). თუ LCE არის მიდგომა, რომელიც პატივს სცემს მოსწავლეთა უფლებებს, როგორც ამას იუნესკოს და სხვა სააგენტოების კვლევები ამტკიცებს, მაშინ მისი განხორციელების ძალისხმევა უნდა გაგრძელდეს. როგორც მეცნიერთა უმეტესობა თანხმდება მიდგომის დანერგვისას კონტექსტს აქვს მნიშვნელობა, მაგრამ კონტექსტი არ არის ყველაფერი.

ლიტერატურა:

Schweisfuth, M.(2013), Learner-Centred Education in Interantional Perspective. Journal of international and Comparative Education, 1-8.

NESCO (2008). First Collection of Good Practices for Quality Education. Retrieved arch 29, 2011, from UNESDOC Digital Library.

UNICEF. (2017), ბავშვის უფლებების კონცეფცია.თბილისი:იუნისეფი.

Marekhi Nikoladze

Akaki Tsereteli State University

Student-centered educational process and protection of children's rights**Abstract**

Student-centered learning is a philosophy or approach to education designed to meet the individual needs of each student. In a truly student-centered learning environment, teachers and students work together to create a curriculum or pathway that best suits the needs of each individual student. In a learner-centered learning environment, the teacher strives to create an environment that is individualized to each student's learning needs. The teacher acts as the architect of each student's learning experience. The article discusses the connection of the student-centered approach with children's rights and what kind of historical context it has.

რეცენზენტი: პროფესორი ლიალია კიროვა

ზოგიერთი არანეიროპედაგოგიკური პრაქტიკის შესახებ ადრეულ და დაწყებით განათლებაში

ბაკურ ონიანი, ირინე გოგიბერიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: bakur.oniani@atsu.edu.ge;
irine.gogiberidze@atsu.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac>

ჩვენი განათლების სისტემის სხვადასხვა საფეხურზე დაჩქარებული ტემპით მიდის ბევრი ინოვაციის დანერგვა, რომელთაგან ბევრ მიდგომას ნეიროპედაგოგიკური საფუძვლები აქვს, თუმცა ზოგიერთი პრაქტიკა ან საერთოდ მოკლებულია ამ კომპონენტს, ან სათანადოდ არ ითვალისწინებს მას.

არასწორად დაგეგმილი სწავლება ამნელებს მაღალ სააზროვნო დონეების მიღწევას, დიდია გაუაზრებელი ცოდნის წილი, რაც კონსტრუქტივისტულ პროცესში ნაკლებად სასარგებლო კომპონენტია.

ირღვევა სწავლა-სწავლების პრინციპები. მოსწავლე არ არის ცოდნის აქტიური შემქმნელი, ცოდნა უფრო მეტად დეკლარაციული და ნაკლებად ფუნქციურია.

ტვინის თავისებურებები გენეტიკურად დეტერმინირებული და ინდივიდუალურია. დიდ მნიშვნელობას იძენს სწორი მიდგომები ადრეულ განათლებაში. საჭირო ხდება სწავლების დიფერენცირება მოსწავლის საჭიროებების, სწავლის სტილის, მეთოდოლოგიის და სხვა მიმართულებით. რაც ამნელებს მოსწავლის საჭიროებებზე მორგებული მიდგომების შეთავაზებას.

საკვანძო სიტყვები: ნეიროპედაგოგიკა, არეული განათლება, მეთოდი, ენდორფინი, სწავლება.

დასწავლის ნერვულ-მოლეკულური მექანიზმების ახსნამ, მეხსიერების ბიოქიმიური საფუძვლების შესწავლამ ახალი შესაძლებლობები შექმნა სწავლების ტექნოლოგიებში. სწავლების დაგეგმვის დროს სულ უფრო მეტად ხდება ნეიროფიზიოლოგიის, ბიოქიმიის,

ენდოკრინოლოგიის ბავშვის ტვინის განვითარების თავისებურებების, კვების, ჯანმრთელობის, ემოციების, ენდორფინების მნიშვნელობის, დასვენების, ფიზიკური და გონებრივი დატვირთვების ნორმების გათვალისწინება. პედაგოგიკაში სწრაფად ვითარდება ახალი მიმართულება - ნეიროპედაგოგიკა, რომელიც სწავლების ამოცანების გადაჭრისას ეყრდნობა აღნიშნულ სფეროში მეცნიერებების მიღწევებს.

ადრეული განათლება ქმნის საფუძვლებს მომდევნო (სასკოლო) ეტაპისათვის. 2017 წელს დამტკიცდა სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული რამდენიმე სტანდარტი, მაგრამ სხვადასხვა გამოწვევის (პერსონალის კვალიფიკაცია, მეთოდოლოგია, რესურსები და სხვა) გათვალისწინებით, არის რისკები ამ საფეხურის სწავლების მიზნების მიღწევის თვალსაზრისით. ნეიროპედაგოგიკა გულისხმობს ტვინის განვითარების თავისებურებების აუცილებელ გათვალისწინებას სწავლების დაგეგმვის დროს. განვითარების და ახალი უნარების შექმნისათვის საფუძვლების შექმნა ადამიანის ტვინში გარკვეულ კანონზომიერებებს ექვემდებარება. ტვინის ნეირონებს შორის სინაპსური კავშირები ქმნის მეხსიერების, ყურადღების კონტროლის, აზროვნების და სხვა უნარების საფუძვლებს. ნერვული კავშირები ძალზე სწრაფად ვითარდება 5 წლამდე ასაკში. ეს ფენომენი ცნობილია ტვინის განვითარებითი პლასტიურობით. ადრეულმა განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ტვინის განვითარებითი პლასტიურობით განპირობებული შესაძლებლობების გამოყენებას. „გამოიყენე, თორემ დაკარგავ“ - გამოუყენებელი სინაპსური კავშირების დიდი ნაწილი წლების შემდეგ ქრება. ამავდროულად ადრე ასაკიდან ბავშვის გონებრივი და ფიზიკური გადატვირთვა არის ხელოვნური ჩარევა მის ბუნებრივ განვითარებაში. ხშირად მშობლები ადრეული განათლების სივრცის მიღმა ტვირთავენ პატარებს სასწავლო აქტივობებით, იზრდება ხელოვნური ფაქტორების როლი ბავშვის განვითარებაში, რამაც შეიძლება ზედაპირული განვითარება და ნორმებთან შედარებით ჩამორჩენა გამოიწვიოს [1]. ამასთან ინტენსიური სწავლება მეთოდების არარელევანტური შერჩევის პირობებში, როდესაც იგნორირებულია ბავშვის ინტერესები და შესაძლებლობები, ემუქრება ბავშვის ემოციურ სტაბილურობას და მის დამოკიდებულებას სწავლისადმი.

ბოლო წლებში საქართველოში რამდენჯერმე გადაიხედა მინიმალური სასკოლო ასაკი, სკოლაში უასაკო ბავშვების შეყვანის პრაქტიკა ჩვენში კარგა ხნის დამკვიდრებულია, რაც მთლად ნეიროპედაგოგიკურ მიდგომად ვერ ჩაითვლება. თუნდაც ერთი წლით განსხვავებული ასაკის პირველკლასელები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან წინარე ცოდნით, ნატიფი მოტორული, ყურადღების კონცენტრაციის უნარებით, სოციალური, კოგნიტური განვითარებით. 7 წლის ბავშვისათვის გათვალისწინებული ფიზიკური და გონებრივი დატვირთვები შეიძლება დამღლევი აღმოჩნდეს 1 წლით უმცროსი თანაკლასელებისათვის. ზოგადად ბავშვის

დამოკიდებულებას სწავლისადმი, მნიშვნელოვნად განსაზღვრავს მისი წარმატებები სწავლების ამ ეტაპზე. ასეთი ასაკობრივი განსხვავებები ხელს არ უწყობს მოზარდობის ასაკში თანაკლასელებს შორის მაღალი სტატუსის მოპოვებაში. პირველ კლასში მოსწავლეთა შორის მკვეთრი ასაკობრივი განსხვავებებით ინიცირდება მნიშვნელოვანი სირთულები სწავლებაში. ასაკით განსხვავებული ბავშვები განსხვავდებიან აზროვნების მოდელით და უნარით, საჭირო ხდება სწავლების დიფერენცირება სხვადასხვა მიმართულებით, რისი მიღწევაც საკმაოდ რთულია მიზეზთა გამო. სტრატეგიები, რომლებიც გამოიყენება პრეოპერატიულად მოაზროვნე ბავშვებთან, რელევანტური ვერ არის კონკრეტულოპერატიულ სტადიაზე მყოფი ბავშვებისათვის. მასწავლებლისთვის რთული ხდება მეთოდების ადაპტაცია ასეთი გარემოებებით შექმნილ სიტუაციებთან. 5-6 წლის ბავშვების განვითარებისათვის ადრეული განათლების სივრცე უფრო შესაფერისი გარემოა [2]. ასეთი სირთულები ხშირად ჩნდება სწავლებაში, როცა იგნორირებულია ბავშვის განვითარების თავისებურებები. სწავლების დაგეგმვის დროს, აღნიშნული და სხვა გარემოებები სწავლისადმი სასურველი დამოკიდებულებების ჩამოყალიბების ხელშემწყობ ფაქტორად ვერ განიხილება. ამ პრობლემების შერბილებაში დიდი როლი უნდა ითამაშოს ადრეულმა განათლებამ.

ჩვენს სკოლებში საკმაოდ ფეხმოკიდებული, არასწორი მიდგომაა სპორტის და ფიზიკური აქტივობის მნიშვნელობის არგათვალისწინება. ბავშვები სულ უფრო მეტ დროს ატარებენ კომპიუტერთან. ხშირად სწორად არ იგეგმება (ან არ ტარდება) სპორტის გაკვეთილები. ყველაზე მეტად ასეთი პრაქტიკა დაწყებით საფეხურზე ხდება. ფიზიკური აქტივობა ხელს უწყობს გულსისხლძარღვთა სისტემის, სუნთქვის, კუნთოვანი და სხვა სისტემების განვითარებას, აუმჯობესებს ორგანიზმის ჟანგბადით მომარაგებას, ენერგეტიკულ ცვლას. ავითარებს მოტორიკას და კოორდინაციას. აღსანიშნავია, რომ ფიზიკური ვარჯიშის შემდეგ სისხლში იმატებს ენდორფინების დონე, რაც პირდაპირ აისახება ემოციებსა და განწყობაზე. სწავლების ტექნოლოგიებში ფიზიკური და გონებრივი დატვირთვების სწორი ბალანსი ნეიროპედაგოგიკის პრინციპებით გათვალისწინებული სწორი მიდგომაა.

ტვინის ფუნქციონირება ენერგიას მოითხოვს. ეს ორგანო, რომლის მასა მთელი სხეულის მასის 2%-ს შეადგენს, მთელი გლუკოზის დაახლოებით 25%-ს მოიხმარს [3]. გონებრივი მუშაობის დროს ტვინი მკვეთრად ზრდის ენერგიის მოხმარებას. ფიზიკურად და გონებრივად დატვირთული მოზარდისათვის, რომლის ორგანიზმი ძალიან ინტენსიურად შენდება, კრიტიკულად მნიშვნელოვანი ხდება სრულფასოვანი კვება. გონებრივი მუშაობა ორგანიზმისათვის ენერგეტიკულად „ხარჯიანია“, ამიტომ ენერგიის დეფიციტის დროს ენერგიას ორგანიზმი პირველ რიგში აკლებს აზროვნების პროცესს. ბავშვებისა და მოზარდებისათვის

კვების ნორმების სწორად შერჩევა და დაცვა დიდ მნიშვნელობას იძენს, მისი დარღვევა ხშირად ხდება სოციალურ-ეკონომიკური მიზეზების გამო.

სწავლა-სწავლების შედეგებზე ცალსახად უარყოფითად აისახება მომატებული სტრესული ფონი საზოგადოებაში. სასწავლო სივრციდან უნდა გამოირიცხოს ძლიერი სტრესი. ძლიერი სტრესის შედეგად წარმოქმნილი ზოგიერთი ჰორმონი მედიატორი ბლოკავს მეხსიერებას. ტვინის მოქმედება ითრგუნება შიშის, მუქარის, სტრესის პირობებში. თუმცა მსუბუქი სტრესი მოტივაციისათვის სასურველად არის მიჩნეული[4].

დამახსოვრების ნეიროფიზიოლოგიური საფუძვლების გათვალისწინებით სწავლების ტექნოლოგიებში დიდი მნიშვნელობა აქვს ენდორფინების გენერაციის ხელშეწყობას. მეხსიერებასთან დაკავშირებულ ტვინის ცენტრებში ნეირონებს შორის მდგრად სინაპსურ კავშირებს უზრუნველყოფენ ენდორფინები ისინი ასრულებენ ნეირომედიატორების როლს მეხსიერების ნერვულ წრედებში. ენდორფინებით გამყარებულ ნერვულ წრედებში ინფორმაცია ხანგრძლივად ინახება. ჩვენში ინერგება მსოფლიოში ერთ-ერთი წარმატებული განათლების მოდელი - ფინეთის მოდელი. ფინეთი 5 წელია მსოფლიოში პირველ ადგილზეა ბედნიერების ინდექსით. ბედნიერების ინდექსი არის გაეროს კვლევა, რომელიც შეისწავლის გლობალურ ბედნიერებას, მდგრადობას და კეთილდღეობას მსოფლიოს 156 ქვეყანაში და აფასებს მათ იმის მიხედვით, თუ რამდენად ბედნიერად გრძნობს თავს ამ ქვეყნის მოსახლეობა (შედარებისათვის საქართველოს 2019 წლის მონაცემებით ბედნიერების ინდექსით მსოფლიოში 119-ე ადგილზე იყო, 2021 წელს კი 108-ზე) [5]. ჩვენი განათლების სფეროში ფინური მოდელის ადაპტირების ჯერჯერობით მოკრძალებული შედეგების ერთ-ერთ მიზეზად სოციალურ ეკონომიკური პრობლემები მოიაზრება. ამ ასაკის ბავშვებთან მუშაობისას ჯერ კიდევ არსებობს ყველაფრის გაკონტროლების პრაქტიკა. ტვინის განვითარება სტიმულირდება თავისუფლების პირობებში და ფერხდება იძულების და ზეწოლის პირობებში.

ხშირად მშობლები ხელს არ უწყობენ სწორ მიდგომებს, ამზადებენ რა შვილებს ადრეული განათლების სივრცის მიღმა მათი მიდრეკილებების და საჭიროებების არგათვალისწინებით.

შევეცადეთ, აგვეწერა ზოგიერთი ის რისკი და შედეგი, რომლებიც მოსალონდელია დაწყებით და სკოლამდელ განათლებაში, როცა სწავლების ტექნოლოგიებში ჯეროვნად არ არის გათვალისწინებული ამ ასაკის ბავშვის განვითარების თავისებურებები და ძირითადი ნეიროპედაგოგიკური პრინციპები.

ლიტერატურა

1. Смирнова Е. Д., Детская психология. М. 2003.
2. ონიანი ბ., განვითარების და სწავლის ზოგიერთი თავისებურება 5-6 წლის ბავშვებში, საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი „ინტელექტი“. გვ. 47. 2014.
3. <https://hebr.com> Механизми и принципы работы памяти головного мозга человека.
4. ნეფარიძე თ., ნეიროპედაგოგიკა - სწავლების არსებული მეთოდების ვალიდაცია და ახალი მიდგომების დანერგვის პერსპექტივები. Mastsavlebeli.ge. 2014.
5. <https://ka.wikipedia.org/wiki>

Bakur Oniani, Irine Gogiberidze

Akaki Tsereteli State University

About some non-neuropedagogical practices in early and elementary education

Abstract

At various levels of our education system, many innovations are being introduced at an accelerated pace, many of which have non-neuropedagogical foundations, although some practices either lack thin component altogether or do not adequately consider it.

Incorrectly planned teaching makes it difficult to reach high thinking levels, there is a large share of immature knowledge, which is a less useful component in the constructivist process.

The principles of teaching and learning are violated. The student is not an active creator of knowledge, knowledge is more declarative and less functional.

Features of the brain are genetically determined and individual. The right approaches in early education are of great importance. It is necessary to differentiate teaching according to student's needs, learning style, methodology and other directions, which makes it difficult to offer approaches tailored to learner needs.

Key words: neuropedagogy, messy education, method, endorphin, teaching

რეცენზენტი: პროფესორი ლუდმილა დაცევიჩი

საბავშვო ბაღისა და ოჯახის ერთობლივი საქმიანობა
სკოლამდელელებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირების მიზნით

ნინო ორჯონიკიძე, მაია ახვლედიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლალი აბდალაძე

ზუგდიდის შოთა მესხიას სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი

Nino.orjonikidze@atsu.edu.ge

maia.akhvlediani@atsu.edu.ge

abdaladzelali@gmail.com

<https://doi.org/10.52340/lac>

სკოლამდელი ასაკი გადამწყვეტია ბავშვის ფიზიკური და ფსიქიკური საფუძვლების ფორმირებისათვის. ბოლო დროის არასახარბიელო ეკოლოგიური და სოციალური პირობების ფონზე საბავშვო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა არასაკმარისადაა მომზადებული სკოლაში სწავლისათვის - ფიზიკური და ფსიქიკური თვალსაზრისით. ასეთ ბავშვებში კი იზრდება წარუმატებლობის შფოთვისითი მოლოდინის დონე, რაც ქცევის ანტისოციალური ფორმების წინაპირობაა. აუცილებელია მჭიდრო ურთიერთობა ორ სოციალურ ინსტიტუტს - საბავშვო ბაღსა და ოჯახს შორის. მშობლები და მასწავლებლები უნდა გაერთიანდნენ ბავშვთა დაცვის, მათი ემოციური კომფორტის, საინტერესო და შინაარსიანი ცხოვრების უზრუნველსაყოფად, რისთვისაც აუცილებელია განათლების ერთიანი მოთხოვნების არსებობა, როგორც სკოლამდელ დაწესებულებებში, ასევე ოჯახებშიც, რაც გულისხმობს: ერთიანობას; მუშაობის სისტემატურობასა და თანამიმდევრულობას; ინდივიდუალურ მიდგომას თითოეული ბავშვისა და ოჯახის მიმართ; მასწავლებლებთან და მშობლებს შორის ურთიერთდობასა და ურთიერთდახმარებას. საჭიროა მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცება ოჯახში და მშობლების ბაღში. შესამუშავებელია მასწავლებლებისა და მშობლების ინდივიდუალური მუშაობის ინოვაციური ფორმები.

საკვანძო სიტყვები: ინფორმირებულობა, ურთიერთდახმარება, განვითარების პერსპექტივა, ემოციური მდგომარეობა, სისტემატურობა, ჯანმრთელობის კულტურა.

საზოგადოების დღევანდელი მდგომარეობა, მისი განვითარების ტემპები ახალ, უფრო მაღალ მოთხოვნებს აყენებს ადამიანისა და მისი ჯანმრთელობის წინაშე. თანამედროვე ადამიანი

განათლებულ პიროვნებად ვერ ჩაითვლება, თუკი არ ფლობს ჯანმრთელობის კულტურას. ჯანმრთელობა არ არის მხოლოდ დაავადების არარსებობა; ეს არის ოპტიმალური შრომისუნარიანობის, ემოციური ტონუსის მდგომარეობა, რომელიც ხელს უწყობს მომავლისთვის ფუნდამენტის შექმნას.

სკოლამდელი ასაკი გადამწყვეტია ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის საფუძვლის ფორმირებაში. სწორედ ამ პერიოდში ხდება ორგანოების ინტენსიური განვითარება და სხეულის ფუნქციური სისტემის ფორმირება, ყალიბდება პიროვნების ძირითადი თვისებები და ხასიათი. ამჟამად, არასახარბიელო ეკოლოგიური და სოციალური პირობების ფონზე ჯანმრთელობის მდგომარეობა უარესდება. საბავშვო ბაღის კურსდამთავრებულთა უმეტესობა სკოლაში სწავლისთვის ფსიქოფიზიკური და სოციალური ჯანმრთელობის თვალსაზრისით არასაკმარისად მომზადებული მოდის.

სამეცნიერო კვლევების შედეგები მოწმობს, რომ ბოლო წლებში ბავშვთა ჯანმრთელობის გაუარესების ტენდენცია მდგრადი გახდა. იზრდება საჭმლის მომწელებელი ორგანოების, საყრდენ-მამოძრავებელი სისტემის დარღვევების მქონე ბავშვების რიცხვი (სქოლიოზი, შარდსასქესო სისტემის, ენდოკრინული სისტემის და სხვ. დარღვევები). ბაღიდან სკოლაში მოსულმა ბავშვებმა იციან კითხვა, თვლა, თუმცა ღარიბი სენსორული გამოცდილება, ხელების სუსტად განვითარებული მოტორიკა აქვთ; ბევრ მათგანს არა აქვთ გამომუშავებული ისეთი აუცილებელი ფიზიკური თვისებები, როგორცაა: ძალისხმევის დამაბვა ჯანმრთელობისთვის ზიანის მიყენების გარეშე, საკუთარი ემოციური მდგომარეობის ელემენტარული კორექტირება, ერთი აქტივობიდან მეორეზე გადასვლა, ანუ ის ინდიკატორები, რომლებიც მჭიდროდ არის დაკავშირებული თვითაღზრდასთან.

სუსტი ჯანმრთელობის მქონე ბავშვებში იზრდება წარუმატებლობის შფოთვითი მოლოდინის დონე, რაც ამძიმებს ქცევით და ნეიროფსიქოლოგიურ ანომალიებს, ეს კი, თავის მხრივ, იწვევს ქცევის ანტისოციალურ ფორმებს. ასეთი ბავშვები სწრაფად იღლებიან; ხდება მათი ფუნქციური შესაძლებლობების დაქვეითება, რაც უარყოფითად აისახება არა მხოლოდ სკოლამდელთა ჯანმრთელობაზე, არამედ მათი შემდგომი განვითარების პერსპექტივებზე.

უდავოა, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვის განვითარების, სწავლისა და აღზრდისთვის ხელსაყრელი პირობები შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს მჭიდრო ურთიერთქმედება ორ სოციალურ ინსტიტუტს - საბავშვო ბაღსა და ოჯახს შორის.

სანამ მასწავლებლები მშობლებს ადანაშაულებენ ცუდი აღზრდის გამო, ხოლო მშობლები მასწავლებლებს თავიანთი შვილების წარუმატებლობის მიზეზად თვლიან, აღზრდის შედეგები ვერ იქნება ეფექტური. თუ მშობლები და მასწავლებლები გააერთიანებენ ძალისხმევას და უზრუნველყოფენ ბავშვის დაცვას, ემოციურ კომფორტს, საინტერესო და შინაარსობრივ ცხოვრებას საბავშვო ბაღში და სახლში, მაშინ თამამად იქნება შესაძლებელი იმის თქმა, რომ ბავშვის ცხოვრებაში მომხდარი ცვლილებები, მის სასარგებლოდ არის, მაგრამ თუ მშობლები

შეწყვეტენ აქტიურ მონაწილეობას იმ სირთულეების გადაჭრაში, რომლებსაც მათი შვილები აწყდებიან, მაშინ მომავალში მათ შეიძლება შეექმნათ სამწუხარო შედეგები, რაც გავლენას მოახდენს ბავშვის პიროვნების განვითარებაზე.

სკოლამდელი დაწესებულება მნიშვნელოვან როლს ასრულებს ბავშვის განვითარებაში. აქ ის იღებს დაწყებით განათლებას, იძენს სხვა ბავშვებთან და უფროსებთან ურთიერთობის და საკუთარი საქმიანობის ორგანიზების უნარს. თუმცა, რამდენად ეფექტურად აითვისებს ბავშვი ამ უნარებს, დამოკიდებულია ოჯახის დამოკიდებულებაზე სკოლამდელი დაწესებულების მიმართ.

მშობლების ინტერესის მიუხედავად შვილების ჯანმრთელობის შენარჩუნების მიმართ, ისინი ხშირად ვერ ახერხებენ მრავალი საკითხისა და წარმოქმნილი პრობლემის კომპეტენტურად გადაჭრას, მით უფრო, რომ ბევრი ბავშვი დროის უმეტეს ნაწილს საბავშვო ბაღში ატარებს. ამიტომ სკოლამდელი საგანმანათლებლო დაწესებულება მნიშვნელოვან დახმარებას უწევს ოჯახს სკოლამდელი ასაკის ბავშვების ფიზიკური და ფსიქოლოგიური ჯანმრთელობის შენარჩუნებასა და განმტკიცებაში.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მასწავლებლებისა და მშობლების თანამედროვე საქმიანობას ბავშვის ჯანმრთელობის შენარჩუნებისა და განმტკიცების, ჯანსაღი ცხოვრების წესის, ჰიგიენური და ფიზიკური კულტურის საფუძვლების ჩამოყალიბების მიზნით, არა მხოლოდ პედაგოგიური, არამედ სოციალურ მნიშვნელობა აქვს, რადგან ბავშვების ჯანმრთელობა - ქვეყნის მომავალი, მისი ეროვნული უსაფრთხოების საფუძველია.

სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებაში საბავშვო ბაღი წარმოადგენს ერთგვარ ცენტრს, რომელიც კომპლექსურად წარმართავს ძალისხმევას ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციის, ოჯახური კულტურის აღზრდისა და მშობლებში ცოდნის, უნარებისა და შესაძლებლობების განვითარებისთვის.

როგორც აღვნიშნეთ, ბავშვების ჯანმრთელობის მაჩვენებლების დადებითი დინამიკის უზრუნველყოფა და მათი ორიენტაცია ჯანსაღი ცხოვრების წესზე შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ განხორციელდება ფიზიკულ-გამაჯანსაღებელი მუშაობის უწყვეტობა სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში და ოჯახში, მშობლებისა და მასწავლებლების ერთობლივი მიზანმიმართული ძალისხმევით.

აქედან გამომდინარე, ძალზე მნიშვნელოვანია განათლების ერთიანი მოთხოვნების არსებობა, როგორც სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ასევე ოჯახში.

აღზრდელებისა და ოჯახების მიზანი უნდა იყოს ერთიანი საგანმანათლებლო, აღზრდელობითი და გამაჯანსაღებელი სივრცის - „საბავშვო ბაღი - ოჯახი“ - შექმნა. ამ მიზნის მისაღწევად მასწავლებლებსა და მშობლებს შორის მაქსიმალური ურთიერთქმედების მისაღწევად აუცილებელია შემდეგი პრობლემების გადაჭრა:

– ჯანსაღი ცხოვრების წესის ჩამოყალიბების, შენარჩუნებისა და განმტკიცების სფეროში მშობლების ცოდნის დონის ამაღლება სისტემატური პედაგოგიური და სამედიცინო განათლების მეშვეობით;

– აღსაზრდელთა მშობლების ინტერესის ამაღლება შვილებთან ერთად ფიზიკულტურულ და გამაჯანსაღებელ აქტივობებში მონაწილეობისადმი;

– ოჯახში პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, ჯანსაღი ცხოვრების წესის მიმართ.

სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და ოჯახებს შორის ერთობლივი მუშაობის პრინციპები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

1. ერთიანობა - გულისხმობს აღზრდელისა და მშობლების ორიენტაციას ჯანმრთელი ბავშვის აღზრდაზე: მშობლები იცნობენ ბავშვის ფიზიკური განვითარების მიზნით საბავშვო ბაღის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებს, მათ შინაარსს, მეთოდებსა და ტექნიკას, ხოლო მასწავლებელი იყენებს ოჯახის საუკეთესო გამოცდილებას ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობის მხრივ.

2. მუშაობის სისტემატურობა და თანამიმდევრულობა - აისახება გრძელვადიან დაგეგმარებაში მთელი წლის განმავლობაში და მოცემულ ჯგუფში ბავშვის ყოფნის მთელი პერიოდის განმავლობაში.

3. ინდივიდუალური მიდგომა თითოეული ბავშვისა და თითოეული ოჯახის მიმართ - ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების დონის, მშობლების ინფორმირებულობის ხარისხის გათვალისწინებით.

4. მასწავლებელსა და მშობელს შორის ურთიერთნდობა და ურთიერთდახმარება - გულისხმობს არა მხოლოდ პოზიტიურ კრიტიკას, არამედ მასწავლებლის ავტორიტეტის განმტკიცებას ოჯახში, ხოლო მშობლებისას - ბაღში.

მოსწავლეთა ოჯახებთან წარმატებული ურთიერთობისთვის, სკოლამდელი აღზრდის მასწავლებლები ჰარმონიულად უთავსებენ ერთმანეთს სხვადასხვა ტრადიციულ (ინდივიდუალური საუბრები, კითხვარები, მშობელთა კრებები, ზეპირი კონსულტაციები და სხვ.) და ინოვაციურ ფორმებს, რომლებიც გულისხმობენ მშობლების აქტიურ პოზიციას, პარტნიორობას პედაგოგებთან, ინიციატიურობას თანამშრომლობის პროცესში, მიღებული ცოდნის გამოყენებას ოჯახურ გარემოში.

მასწავლებლებისა და მშობლების ინდივიდუალური მუშაობის ინოვაციურ ფორმებს შორის შეიძლება გამოყენებულ იქნას, მაგალითად, აქცია „ჩვენი ოჯახის ჯანსაღი ცხოვრების წესი“ (საოჯახო პლაკატების მოფიქრება და დამზადება თემაზე „ბედნიერი დასვენების დღე ჩვენს ოჯახში“), „ჯანმრთელი ოჯახის საიდუმლოებები“ (ჯანსაღი კერძების მომზადება ოჯახური რეცეპტების მიხედვით).

მშობლებთან მუშაობის კოლექტიურ ფორმებად შეიძლება განხილულ იქნას: ღია კარის დღეები (მშობლებს შეუძლიათ დაესწრონ ნებისმიერ გაკვეთილს, მიიღონ მონაწილეობა იმ დღეს სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში გამართულ ნებისმიერ ღონისძიებაში). ზოგიერთ ბაღში წარმატებით ბრუნდება და ტრადიციად იქცევა შაბათ-კვირის ლაშქრობებისა და ექსკურსიების ორგანიზება.

სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებისა და ოჯახის ერთიანობა ბავშვებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირების საკითხებში მიიღწევა იმ შემთხვევაში, თუკი აღზრდელობითი მუშაობის მიზნები და ამოცანები კარგად ესმით არა მხოლოდ აღზრდელებს, პედაგოგებს, არამედ მშობლებსაც; როდესაც ოჯახი იცნობს საბავშვო ბაღში ფიზიკური აღზრდისა და გამაჯანსაღებელი მუშაობის ძირითად შინაარსს, მეთოდებსა და ტექნიკას. ხოლო მასწავლებლები იყენებენ ჯანსაღი ცხოვრების წესის საუკეთესო ოჯახურ გამოცდილებას.

ლიტერატურა:

1. Вавилова Е.Н. Развитие основных движений у детей 3-7 лет. Система работы. – М., 2007.
2. Здоровьесберегающие технологии в ДОУ: методич. пособие. – М, ТИЦ Сфера, 2007.
3. Марков Т.А., / ред.– Детский сад и семья М.: Просвещение, 1986.
4. Рунова М.А. Двигательная активность ребенка в детском саду: Пособие для педагогов дошкольных учреждений. – М.: Мозайка-Синтез, 2000.
5. ბაგა-ბაღი საღმრთელ პედაგოგის სახელმძღვანელო.
<https://www.interbusiness.edu.ge/storage/books/2914315c631d86bbabfb7c6c22b428cc.pdf>
6. სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიების სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში.
<https://mamamake.ru/ka/fashion/tehnologii-zdorovesberezheniya-v-dou-byt-zdorovym-zdorovo/>
7. ჯანმრთელობის დაცვის ტექნოლოგიები სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებაში: „ჯანმრთელობა მშვენიერია!“ ჯანმრთელობის დაზოგვის ტექნოლოგიები საბავშვო ბაღის პედაგოგიურ პროცესში. დეკლარაცია ჯანმრთელობის დაზოგვის შესახებ.
<https://mamamake.ru/ka/fashion/tehnologii-zdorovesberezheniya-v-dou-byt-zdorovym-zdorovo/>

Nino Orjonikidze , Maia Akhvlediani

Akaki Tsereteli State University

Lali Abdaladze

Shota Meskhia State Teaching University of Zugdidi

Kindergarten and family joint activities

In order to form a healthy lifestyle in preschools

Abstract

Preschool age is crucial for the formation of the child's physical and mental foundations. Against the backdrop of recent unfavorable environmental and social conditions, the majority of children's institution graduates are insufficiently prepared for schooling—physically and mentally. In such children, the level of anxious expectation of failure increases, which is a prerequisite for antisocial forms of behavior. It is necessary to have a close relationship between two social institutions: kindergarten and family. Parents and teachers should unite to ensure the protection of children, their emotional comfort, and an interesting and meaningful life, for which it is necessary to have uniform educational requirements, both in preschool institutions and in families, which implies: unity; the systematicity and consistency of work; an individual approach to each child and family; mutual trust and mutual support between teachers and parents. It is necessary to strengthen the authority of the teacher in the family and in the kindergarten of parents. Innovative forms of individual work by teachers and parents should be developed.

Key words: awareness, mutual support, development perspective, emotional state, systematicity, health culture.

რეცენზენტი: პროფესორი ოლგა გუსევა

თამაში, როგორც სკოლამდელთა აქტივობის ძირითადი ფორმა

ნინო ჭოხონელიძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: nino.chokhanelidze @atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac>

თამაში ქცევის ისეთი ფორმაა, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება და მისი აქტივობის გამოვლენის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს. ეს თავისებურება ბავშვობისა და ზრდასრულობის ასაკში სხვადასხვაგვარად ვლინდება. თამაში თვითგამოხატვის მნიშვნელოვანი საშუალებაა. ის არის პირველი აქტივობა, რომელიც განსაკუთრებულ როლს ასრულებს ბავშვის პიროვნების ფორმირებაში. თამაშის დროს ბავშვი არ გრძნობს თავს ზრდასრული ადამიანის გავლენის ობიექტად, არამედ არის საქმიანობის სრულფასოვანი სუბიექტი.

ფსიქოლოგები დიდი ხანია სწავლობენ ბავშვებისა და მოზრდილების თამაშებს. იკვლევენ მათ ფუნქციებს და კონკრეტულ შინაარსს, ადარებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს. თამაშის საშუალებით ბავშვები ვითარდებიან ფიზიკურად, კოგნიტურად და ემოციურ - სოციალურად. თამაში ხელს უწყობს მეტყველების და კომუნიკაციური უნარების განვითარებას. თამაშს ახასიათებს დადებითი ემოციები, იმპროვიზაცია, სიხალისე, სპონტანურობა და თანამშრომლობა. ესაა პროცესი, რომელიც ბავშვს ანიჭებს სიამოვნებას და სიხარულს, უღვიძებს ცნობისმოყვარეობას. თამაშში ყალიბდება ბავშვის პიროვნების ყველა ასპექტი, მნიშვნელოვანად იცვლება მისი ფსიქიკა, ამზადებს მას განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე გადასასვლელად.

თამაში ხელს უწყობს გრძნობების განვითარებას და ქცევის ფორმირებას. „თამაში ბავშვისთვის სამყაროს შემეცნების, თვითგამოხატვისა და ურთიერთობის საშუალებაა. ბავშვი აქტიურად სწავლობს კეთებით. ის სწავლობს გარემოს აღმოჩენით, პროცესში აქტიურად ჩართვით. მისთვის უპირატესია არა მზა ცოდნა და ინფორმაციის მიღება, არამედ სამყაროს საკუთარი ამოცდილებით შემეცნება“.

საკვანძო სიტყვები: თამაში, აქტივობა, პიროვნების ფორმირება.

თამაში ქცევის ისეთი ფორმაა, რომელიც ადამიანს მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვება და მისი აქტივობის გამოვლენის ერთ-ერთ თავისებურებას წარმოადგენს. ეს თავისებურება ბავშვობისა და ზრდასრულობის ასაკში სხვადასხვაგვარად ვლინდება. თამაში თვითგამოხატვის

მნიშვნელოვანი საშუალებაა, რომელიც ეხმარება ბავშვს სწავლასა და განვითარებაში. თამაში განსაკუთრებულ როლს ასრულებს ბავშვის პიროვნების ფორმირებაში. თამაში ავითარებს სხვადასხვა სახის აქტივობას, რომლებიც შემდეგ იძენს დამოუკიდებელ მნიშვნელობას. თამაშის დროს ბავშვი არ გრძნობს თავს ზრდასრული ადამიანის გავლენის ობიექტად, არამედ არის საქმიანობის სრულფასოვანი სუბიექტი. ბავშვობისა და მოზრდილობის ასაკში „თამაშის შინაარსი ფანტაზიის გადამუშავებულს, გარდაქმნილს პროდუქციას წარმოადგენს იმისას, რაც ბავშვს ნახული ან გაგონილი აქვს, და არა თავისუფალი ფანტაზიის დამოუკიდებელ ნაყოფს“ [უზნაძე 1964: 607-608].

ფსიქოლოგები დიდი ხანია სწავლობენ ბავშვებისა და მოზრდილების თამაშებს. იკვლევენ მათ ფუნქციებს და კონკრეტულ შინაარსს, ადარებენ სხვადასხვა ტიპის აქტივობებს. თამაშის საშუალებით ბავშვები ვითარდებიან ფიზიკურად, კოგნიტურად და ემოციურ - სოციალურად. თამაში ხელს უწყობს მეტყველების და კომუნიკაციური უნარების განვითარებას, წიგნიერების და ციფრული უნარების ადრეულ ასაკში ფორმირებას. თამაში აუმჯობესებს მეხსიერებას, დიდ გავლენას ახდენს თვითშემეცნების და თვითრეგულირების სტიმულირებაში. ბავშვები უკეთესად სწავლობენ, როცა შინაგანად არიან მოტივირებული და უფრო მეტს სწავლობენ, როცა სწავლის პროცესი სასიამოვნოა. თამაშს ახასიათებს დადებითი ემოციები, იმპროვიზაცია, სიხალისე, სპონტანურობა და თანამშრომლობა. ესაა პროცესი, რომელიც უღვიძებს ბავშვს ცნობისმოყვარეობას და მოაქვს სიამოვნება და სიხარული. სკოლამდელი ასაკის ბავშვები თამაშში წყვეტენ პრობლემებს, ატარებენ ექსპერიმენტებს, ფიქრობენ და სწავლობენ. კვლევები ადასტურებს, რომ თამაში ყველაფერს ცვლის, მათ შორის ბავშვის განვითარების გზას და შედეგებს.

მარია მონტესორის მიაჩნდა, რომ თამაში ბავშვის საქმეა და ბავშვს თამაშით შეუძლია ისწავლოს და გაიზარდოს. მონტესორიმ შენიშნა, რომ ბავშვები უპირატესობას ანიჭებდნენ რეალობაზე დაფუძნებულ თამაშს და ასევე უფრო მეტად უყვართ თამაში, როდესაც იყენებდნენ რეალურ მასალებს, რომლებიც რეალურ შედეგებს იწვევს. მან ასევე აღმოაჩინა, რომ ბავშვებს უყვართ უფროსების მიბაძვა. ბავშვს სურვილი უჩნდება, გაეცნოს უფროსების სამყაროს, ამასთან მას არ გააჩნია ამისათვის აუცილებელი ცოდნა და უნარი. აქედან გამომდინარე, ბავშვი უფროსების სამყაროს ითვისებს მისთვის მისაღწევი ფორმით - თამაშით. თამაში ხომ ცხოვრების „ანარეკლია“. აქ ყველაფერი არის „თითქოს“, მაგრამ ამ პირობით გარემოში, რომელიც ბავშვის ფანტაზიით არის შექმნილი, ბევრი რეალობაა. მათ შორის თამაშის მონაწილეთა ქმედებები, მათი გრძნობები და გამოცდილება ნამდვილი და გულწრფელია. „ბავშვს თამაში უყვარს, აინტერესებს. იგი გატაცებით თამაშობს. ამას კი, მისი სწორი ორგანიზაციის პირობებში, დიდი აღზრდელითი და შემეცნებითი მნიშვნელობა აქვს. თამაში არის ადამიანის ქცევის ისეთი ფორმა, რომელიც ახლოსაა სწავლასთან, შრომასთან, საზოგადოებრივ საქმიანობასთან და მისთვის მოსამზადებელ საფეხურს წარმოადგენს. უფრო სწორად რომ ვთქვათ, ბავშვისთვის

თამაში იგივეა, რაც მოზრდილი ადამიანისათვის შრომა. ამიტომ მშობლებმა და აღმზრდელებმა უნდა წახალისონ ბავშვის თამაში მოძრაობითი აქტივობებით“ [ყოლბაია 2011: 221].

სკოლამდელ ასაკში ბავშვები სხვადასხვა ტიპის თამაშებს ირჩევენ. ეს იქნება წარმოსახვითი როლური თამაშები, წესებიანი თამაშები თუ კომპიუტერული თამაშები. ბავშვის ზრდასთან ერთად იცვლება თამაშის ფორმები. ადრეული ასაკის ბავშვები თამაშის დროს არ ისახავენ მიზანს, არ ადგენენ თამაშის წესებს. 5-6 წლის ასაკის ბავშვების თამაშებს აქვს მიზანი, თავადვე ადგენენ თამაშის წესებს, თანამშრომლობენ ერთმანეთთან. ამ თამაშებში სკოლამდელი ასაკის ბავშვები როლებში ამრავლებენ ყველაფერს, რასაც ირგვლივ უფროსების ცხოვრებასა და საქმიანობაში ხედავენ. „სკოლამდელ ასაკში ქცევის წამყვან ფორმას წარმოადგენს თამაში. თამაში წამყვანი ხდება არა იმიტომ, რომ თანამედროვე ბავშვი, როგორც წესი, დროის უმეტეს ნაწილს გასართობ თამაშობებში ატარებს და სავსებით არ არის ჩართული უფროსების შრომით საქმიანობაში. თამაში იწვევს თვისობრივ ცვლილებებს ბავშვის ფსიქიკაში. იქმნება სასწავლო საქმიანობის საფუძვლები, რომლებიც წამყვანი ხდება სასკოლო ასაკში“ [მალრაძე 1998 : 82].

სკოლამდელთა ინტელექტუალური შესაძლებლობების განვითარებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს დიდაქტიკურ თამაშს, რომელიც არის სწავლის საშუალება და ეხმარება ბავშვს ცოდნის ათვისებასა და განმტკიცებაში, ასევე შემეცნებითი საქმიანობის ხერხების დაუფლებაში. დიდაქტიკური თამაში არის მრავალმხრივი, რთული პედაგოგიური ფენომენი, რომელიც ეფექტურად ზრდის ბავშვის ინტერესს საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართ. დიდაქტიკური თამაშის საშუალებით ბავშვები საინტერესოდ ახდენენ, ავრცელებენ, ამოწმებენ და აყალიბებენ თავიანთ გამოცდილებას და შესაძლებლობებს, ხოლო მიღებული ცოდნა, გამოცდილება და შთაბეჭდილებები გამოიხატება და გამოიყენება ახალ საგანმანათლებლო სიტუაციებში. დიდაქტიკური თამაშის საშუალებით სკოლამდელები სწავლობენ კლასიფიკაციას, შედარებას და განზოგადებას, უვითარდებთ სივრცითი აზროვნება და წარმოსახვა, საკუთარი თავის და სხვების მიმართ პატივისცემის გრძნობა. თუ გვინდა, რომ ბავშვები გაიზარდონ ჰარმონიულად განვითარებულნი, აუცილებელია ვასწავლოთ მათ არა მხოლოდ დიდაქტიკური თამაში, არამედ ვისწავლოთ მათთან ერთად თამაში.

ამრიგად, ბავშვები სამყაროს თამაშის საშუალებით ეცნობიან. განვითარების ადრეულ ეტაპზე ნებისმიერი ფორმით, თამაში ხელს უწყობს ბავშვის მრავალმხრივ განვითარებას. აღმზრდელებსა და მშობლებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ სკოლამდელი ასაკის ბავშვების ჰოლისტურ განვითარებას სხვადასხვა ტიპის სათამაშო აქტივობების ჩართვით მათ ცხოვრებაში. რადგან სათამაშო აქტივობის ფარგლებში ფორმირებას იწყებს საგანმანათლებლო აქტივობა, რომელიც შემდგომში წამყვანი ხდება ბავშვის განვითარებაში. ასევე, თამაში ხელს უწყობს გრძნობების განვითარებას და ქცევის ფორმირებას. თამაში ბავშვს პრობლემების გადაჭრის, თვითშეფასების ამაღლების, საკუთარი თავის შეცნობის, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების განვითარების საშუალებას აძლევს. „თამაში ბავშვისთვის სამყაროს შემეცნების, თვითგამოხატვისა და ურთიერთობის საშუალებაა. ბავშვი აქტიურად სწავლობს

კეთებით. ის სწავლობს გარემოს აღმოჩენით, პროცესში აქტიურად ჩართვით. მისთვის უპირატესია არა მზა ცოდნა და ინფორმაციის მიღება, არამედ სამყაროს საკუთარი გამოცდილებით შექმნება“ [www.unicef.org]

ლიტერატურა:

1. **ბასილაძე ი., ძოწენიძე ქ., ჭოხონელიძე ნ.** - განათლების, სწავლა/სწავლებისა და აღზრდის საკითხები (შესავალი თანამედროვე პედაგოგიკურ აზროვნებაში). ქუთაისი, 2021
2. **დოლიძე ხ., ცინცაძე ნ.**, ბაგა-ბაღის აღზრდელ-პედაგოგის სახელმძღვანელო, თბილისი, 2015
3. **მადრაძე მ.**, თამაშის ფსიქოლოგია. ქუთაისი, 1995.
4. **ყოლბაია მ.**, თამაში, პრაქტიკული ფსიქოლოგია (კრებული). თბილისი, 2011.
5. **უზნაძე დ.**, შრომები, ტ. III – IV, თბილისი, 1964
6. **ჭოხონელიძე ნ.**, მარია მონტესორის პედაგოგიური იდეები და თანამედროვეობა, ქუთაისი, 2020
7. www.unicef.org

Nino Tchokhanelidze

Akaki Tsereteli State University, Assistant Professor

Play as the main form of preschool activity

Abstract

Play is a form of behavior that follows a person throughout his life and is one of the features of his activity. This feature manifests itself in different ways in childhood and adulthood. Play is an important means of self-expression. It is the first activity that plays a special role in the formation of a child's personality. During the game, the child does not feel like an object of an adult's influence, but is a full-fledged subject of activity.

Psychologists have been studying the games of children and adults for a long time. They examine their functions and specific content, comparing different types of activities. Through play, children develop physically, cognitively and emotionally - socially. The game helps to develop speech and communication skills. The game is characterized by positive emotions, improvisation, cheerfulness, spontaneity and cooperation. This is a process that gives the child pleasure and joy, awakens curiosity. In the game, all aspects of the child's personality are formed, his psyche changes significantly, preparing him to move to a new, higher level of development.

The game contributes to the development of feelings and the formation of behavior. "Play is a way for a child to learn about the world, express himself and communicate. A child actively learns by doing. He learns by discovering the environment, actively engaging in the process. For him, it is preferable not to receive ready knowledge and information, but to get to know the world through his own experience.

რეცენზენტი: პროფესორი ლ. ეკბეშევა

ფსიქოლოგია Psychology

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების
მშობლების ჩართულობით სწავლის ხარისხის გაუმჯობესება

იაგორ ბალანჩივაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
e-mail: iagor.balanchivadze@atsu.edu.ge
<https://doi.org/10.52340/lac>

განათლების სფეროს ერთ-ერთი გამოწვევა არის მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა. მშობლების მხარდამჭერი პოზიციიდან ყოფნა ეხმარება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ დანახვასა, და რაც მთავარია, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში.

კვლევის მიზნად დავისახეთ დავადგინოთ მიზეზები რის გამოც ვერ ან არ ხდება მშობელთა ჩართვა სასწავლო პროცესში. კვლევის მთავარი კითხვაა: როგორ გავაუმჯობესო სსსმ მოსწავლეების მშობლების ჩართულობით სწავლის ხარისხი.

დიაგოსტიკის ეტაპზე კვლევის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოვიყენეთ კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები: ანკეტირება მასწავლებლებთან, სიღრმისეული ინტერვიუ მშობელთან, მოსწავლეთა დიაგნოსტიკა ქართულ ენაში.

კვლევის მიგნებები: მშობლებთან სიღრმისეული ინტერვიუს დროს, ძირითადად იკვეთება კომუნიკაციის პრობლემა (პრობლემა 1) ინფორმაციის ნაკლებობა, სტრატეგიების ცოდნის ნაკლებობა, როგორ გახდეს მხარდამჭერი მშობელი. მოსწავლეების შეფასების დროს კი იკვეთება სხვადასხვა სახის სირთულე კითხვასა და თხრობაში (პრობლემა 2).

კვლევის შედეგების შეფასების შემდეგ დავგეგმეთ და განვახორციელეთ ინტერვენციები ორი მიმართულებით: ინტერვენციები მოსწავლეებისათვის კითხვის უნარის განსავითარებლად და ინტერვენციები მშობლებისათვის, რათა თავად შეძლონ ჩაერთონ შვილის სასწავლო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. შესაბამისად დაიძლიოს კომუნიკაციის სირთულეები სკოლასა და მშობლებს შორის.

დიაგნოსტიკის შემდეგ დაგეგმილი ინტერვენციების განხორციელებისას ჩავატარეთ შუალედური კვლევა, რომელმაც დაგვანახა ინტერვენციის დადებითი შედეგები და განვაგრძეთ ინტერვენცია მოსწავლეებთან და მშობლებთან, ბოლოს ისევ ჩავატარეთ შეფასება.

მშობლების ჩართვით სსსმ მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესება უწყვეტი პროცესია, მოითხოვს უფრო მეტ დროს ვიდრე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან. მშობლებთან რეგულარული ინფორმაციის გაცვლა და მათთვის მიდგომების და სტრატეგიების გაზიარება გამოიწვევს მათ მოტივაციას, დაინტერესებას შვილის სასკოლო შედეგების გაუმჯობესებაში მიღოს მონაწილეობა.

კითხვის უნარის განსავითარებლად კი სსსმ მოსწავლეებთან საჭიროა რეგულარული მუშაობის დაგეგმვა. განხორციელებული ინტერვენციების შედეგად შევძელით პრობლემის შემსუბუქება.

საკვანძო სიტყვები: მშობელთა ჩართულობა, დიაგოსტიკა, სიღმისეული ინტერვიუ, ინტერვენცია, გაუმჯობესება, მოტივაცია, სტრატეგია

განათლების სფეროს ერთ-ერთი გამოწვევა არის მშობლის სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის უზრუნველყოფა. მშობლის აქტიური ჩართვა მნიშვნელოვანია სასკოლო განათლებაში, განსაკუთრებით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის. მშობლების მხარდამჭერი პოზიციიდან ყოფნა ეხმარება მოსწავლეებს საკუთარი შესაძლებლობების უკეთ დანახვასა, და რაც მთავარია, სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაში. მშობელთა ჩართულობით სწავლის ხარისხის გაუმჯობესების უამრავი ფაქტორი არსებობს, როგორც არის მშობლებთან ეფექტური კომუნიკაცია, ინფორმაციის გაცნობა, გაცვლა და უკუკავშირი.

საკითხი მართლაც აქტუალურია. ამდენად, კვლევის მიზნად დავისახეთ, დავადგინოთ მიზეზები, რის გამოც ვერ ან არ ხდება მშობელთა ჩართვა სასწავლო პროცესში. დავადგინოთ, რა როლს ასრულებს სსსმ მოსწავლის მშობელი ბავშვის სწავლაში, როგორ ეხმარება ცხოვრებისათვის დამოუკიდებელი უნარების შეძენაში, რამდენად მნიშვნელოვანია სსსმ მოსწავლის მშობლის დახმარება ბავშვის განვითარებისათვის. კვლევის ამოცანაა არსებული ლიტერატურის გაცნობა, კვლევის ინსტრუმენტების შემუშავება, მონაცემების ანალიზი, ინტერვენციების დაგეგმვა, მათი განხორციელება, დასკვნების გამოტანა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მთავარი კითხვაა: როგორ გავაუმჯობესო სსსმ მოსწავლეების მშობლების ჩართულობით სწავლის ხარისხი. ქვეკითხვებია: რა ფაქტორები უშლის ხელს სსსმ მოსწავლეების მშობლების ჩართულობას? რა შედეგი მოაქვს სსსმ მოსწავლეების მშობლების ეფექტიან ჩართულობას?

დიაგოსტიკის ეტაპზე კვლევის შედეგების სანდოობის უზრუნველსაყოფად გამოვიყენეთ კვლევის თვისობრივი და რაოდენობრივი მეთოდები: **ანკეტირება მასწავლებლებთან, მიზანი:** დავადგინო რა ფაქტორები უწყობს, ან პირიქით უშლის ხელს მშობელს იყოს ჩართული შვილის სასწავლო პროცესში, რა როლს თამაშობს სსსმ მოსწავლის მშობელი ბავშვის

განვითარებასა და განათლებაში. **სიღრმისეული ინტერვიუ მშობელთან, მიზანი:** დავადგინო შვილის სასწავლო პროცესში მშობელთა ჩართულობის ხელშემწყობი და ხელშემშლელი ფაქტორები. რა როლს თამაშობს სსსმ მოსწავლის მშობელი ბავშვის განვითარებასა და განათლებაში. **მოსწავლეთა დიაგნოსტიკა ქართულ ენაში, მიზანი:** დავადგინო რა სირთულებები აქვთ მოსწავლეებს კითხვაში, წერასა და თხრობაში. რომელი კლასისათვის შესაბამისი დონის დაძლევა შეუძლიათ და რა უნდა გავაკეთოთ ამ სირთულებების დასაძლევად.


კვლევის მიგნებები: მშობლებთან სიღრმისეული ინტერვიუს დროს, ძირითადად იკვეთება კომუნიკაციის პრობლემა (პრობლემა 1) ინფორმაციის ნაკლებობა, სტრატეგიების ცოდნის ნაკლებობა, როგორ გახდეს მხარდამჭერი მშობელი, ასევე სოციალური ფონი. სკოლაში ვიზიტი არ ან ვერ ხერხდება ხშირად დროის სიმცირის გამო, შესაბამისად ვერ ხერხდება შვილის შესახებ პროგრესის ან რეგრესის შესახებ ინფორმაციის მიღება. საშინაო დავალებზე დახმარება უმეტეს მშობლებს არ შეუძლია, ზოგისთვის დროის არ ქონაა მიზეზი, ზოგისთვის სირთულეა სტრატეგიები, როგორ დაეხმაროს შვილს საშინაო დავალების შესრულებაში, მშობლები აცნობიერებენ საკუთარ როლს შვილის განვითარებაში და მზად არიან თანამშრომლობაზე, ცნობიერებისა და ცოდნის ამაღლებაზე რათა მეტად ჩაერთონ შვილის სასწავლო პროცესში.

მოსწავლეების შეფასების დროს კი იკვეთება სხვადასხვა სახის სირთულე, წერაში, კითხვასა და თხრობაში (პრობლემა 2). კვლევის შედეგების გაანალიზებამ დაგვანახა რა მიმართულებით უნდა დაგვეგეგმა და განგვეხორციელებინა ინტერვენციები რათა მოგვეხდინა პრობლემის აღმოფხვრა ან შემსუბუქება.


კვლევის შედეგების შეფასების შემდეგ დავგეგმეთ და განვახორციელეთ ინტერვენციები ორი მიმართულებით: ინტერვენციები მოსწავლეებისათვის კითხვის უნარის განსავითარებლად და ინტერვენციები მშობლებისათვის, რათა თავად შეძლონ ჩაერთონ შვილის სასწავლო პროცესში და სასკოლო ცხოვრებაში. რათა დაიძლიოს კომუნიკაციის სირთულებები სკოლასა და მშობლებს შორის.

კითხვის უნარის განსავითარებლად გამოვიყენე „მთლიანობითი კითხვის მეთოდი“; „მარცვალთა მწკრივი“; საყვარელი ზღაპრის გმირის აპლიკაციის შექმნა და ა. შ. მშობლების სკოლასთან კომუნიკაციის გასაუმჯობესებლად ხშირი და პოზიტიური კავშირი დავამყარეთ მშობლებთან. თვეში ერთხელ ვიწვევდით სკოლაში და ვაცნობდით შვილის მიღწევებს. მასწავლებლები მშობლებს წინასწარ აცნობდნენ იმ ტექსტებს, რომლებსაც მომავალ თვეში დაამუშავებდნენ. მშობლები უკეთესად ეხმარებოდნენ სირთულებების დაძლევაში.

დიაგნოსტიკის შემდეგ დაგაგემილი ინტერვენციების განხორციელებისას ჩავატარეთ შუალედური კვლევა, რომელმაც დაგვანახა ინტერვენციის შედეგები და განვავრძეთ ინტერვენცია მოსწავლეებთან და მშობლებთან, ბოლოს ისევ ჩავატარეთ შეფასება, შედეგებია ასეთია:



მსგავსად განვხორციელეთ მეორე პრობლემის დროს კითხვის უნარის განხორციელებაზე, შედეგები ასეთია:



მშობლების ჩართვით სსსმ მოსწავლეების სწავლის ხარისხის გაუმჯობესება უწყვეტი პროცესია, მოითხოვს უფრო მეტ დროს ვიდრე ტიპური განვითარების მქონე მოსწავლეებთან.

მშობლებთან რეგულარული ინფორმაციის გაცვლა და მათთვის მიდგომების და სტრატეგიების გაზიარება გამოიწვევს მათ მოტივაციას, დაინტერესებას შვილის სასკოლო შედეგების გაუმჯობესებაში მიღოს მონაწილეობა,

კითხვის უნარის განსავითარებლად კი სსსმ მოსწავლეებთან რეგულარული მუშაობა საჭირო და შეუძლებელია სრულად ეს სირთულე ამ ერთი კვლევის ფარგლებში აღმოიფხვრას თუმცა კვლევამ აჩვენა, რომ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების შედეგად შევძელით პრობლემის შემსუბუქება.

ლიტერატურა:

1. ბაგრატიონი-გრუზინსკი მ., ტყემელაშვილი შ., ქურციკიძე ლ. - ინკლუზიური განათლების გზამკვლევი, ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, თბილისი 2021 წ.
2. ბალანჩივაძე ი., საინფორმაციო ტექსტის გაგება-გააზრების უნარის განვითარება მე-3 კლასში, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათა განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, # 28, 2022, გვ. 153-158.
3. ისაკაძე თ, ლომიძე ნ. - განმავითარებელი აქტივობების კრებული სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის, გზამკვლელი მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, თბილისი, 2020 წ.
4. ტყემელაშვილი შ. - სწავლისა და სწავლების სტრატეგიების გამოყენება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან, თბილისი 2021წ.
5. ქურციკიძე ლ., კუბლაშვილი ბ. - სპეციალური მასწავლებლის პორტფოლიო. თბილისი, 2021 წ.

Igor Balanchivadze

Akaki Tseretli State University

Improving the quality of learning with the involment of parents of pupils with special educational needs

Abstract

One of the challenges in the field of education is to ensure parental involment in school life. Parental support helps pupils with special edicational needs better see their own abilities, and most importantly, improve the wuality of their studies.

The aim of the study was to determine the reasons why parents cannot or do not involve themselves in the educational process. The main research question is: how to improve the wuality of learning of these pupils with the involvment of their parents.

In order to ensure the reliability of the research results at the diagnostic stage, we used qualitative and wuantitative research methodfs: questionnaires wht teachers, , with parents, diagnostic of pupils in the Georgian Language.

Findings of the research: during the in-depth interview with the parents, the communication problem (problem1) is mainly identified: lack of information, lack of knowledge of atrategies, how to

become a supportive parent. During the evaluation of the pupils, different types of difficulties in reading and narration are observed (problem2).

After evaluating the research results, we planned and implemented interventions in two directions: interventions for pupils to develop reading skills and interventions for parents to be able to involve themselves in their child's learning process and school life. Accordingly, communication difficulties between school and parents should be overcome. As a result of the implemented interventions, we were able to alleviate the problem.

Key words: parental involvement, diagnosis, indepth interview, intervention, improvement, motivation, strategy.

რეცენზენტი: პროფესორი ტიმოთე ხოლუმენკო

ჟურნალისტიკა Journalistic

სიმართლისმთქმელობის პრინციპი ჟურნალისტიკაში

ნათია ჯიქია, ნუნუ ჩარკვიანი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

e-mail: natia.jikia@atsu.edu.ge

Nunu.charkviani@atsu.edu.ge

<https://doi.org/10.52340/lac>

ჭეშმარიტება და სიმართლე ჟურნალისტურ სფეროში სხვადასხვა სიბრტყეზე მდებარეობს, სიმართლე არის ნაწილი პოტენციური სიმართლისა, რომელიც ჟურნალისტის წინაშე მთელი სისავსით იშლება. ჟურნალისტის პირად აღლოსა და ინტუიციაზე, პროფესიულ ყნოსვაზეა დამოკიდებული ის, თუ როგორ მოგვაწოდებს ის პოტენციურ სიმართლეს, როგორ და რა ხერხით შეაკოწიწებს, რა ფაქტებს შეარჩევს საილუსტრაციოდ და რამდენად აღსაქმელი იქნება მის მიერ გადმოცემული ჭეშმარიტება. ეს უკვე წმინდა პროფესიული შემოქმედების, ჟურნალისტური ხელოვნების სფეროა. სიმართლე ანუ ჭეშმარიტება - ეს ერთ-ერთი პოსტულატია ჟურნალისტურ მოღვაწეობაში. ჟურნალისტური ეთიკის ირგვლივ არსებულ მთელ ლიტერატურაში სიმართლე - ჭეშმარიტება არის თემა, რომელზეც ყოველთვის ხაზგასმით საუბრობენ და მუდმივად ყურადღების ცენტრშია. თუმცა მედალს ორი მხარე აქვს და უნდა ითქვას ისიც, რომ არსებობენ ჟურნალისტები, რომლებიც არ ღებულობენ საკუთარ თავზე პასუხისმგებლობას, რომ იყონ ჭეშმარიტების ერთგულნი. სწორედ, ამ ტენდენციის თავიდან ასაცილებლად და იმისათვის, რომ ჟურნალისტიკა ემსახურებოდეს სიმართლისმთქმელობას, მსოფლიოს ჟურნალისტთა ასოციაციები, გაერთიანებები, კერძო რედაქციები თუ სახელმწიფო დოტაციაზე მყოფი საინფორმაციო საშუალებები თავისი ეთიკური კოდექსის უმთავრეს მოთხოვნად ჭეშმარიტების სამსახურს მიიჩნევენ. არის კი ჭეშმარიტება სიმართლის ტოლი? რას ვგულისხმობთ საზოგადოდ ამ ტერმინის მიღმა? შეიძლება ამბავი აუცილებლად იყოს მართალი, თუკი რაიმე მოვლენის შემადგენელი ფაქტები არის სიმართლე და შეეფერება ჭეშმარიტებას? შეუძლია თუ არა ჟურნალისტს, რომ გადასცეს სიმართლე, როგორც სასამართლო მოწმემ? უგულვებელყოფს თუ არა ჟურნალისტი ტექსტში წყაროს სახელს, მის ვინაობას? ციტირებს თუ არა იგი კონტექსტის გარეშე, გადმოსცემს თუ არა ის მტკიცებულებას პერიფრაზით? არის თუ არა ეს სწორი ციტირება? განეკუთვნება თუ არა სიმართლეს ის, რაც უკვე ითქვა? თუ ის ასევე მოგვითხრობს იმასაც რაც არ თქმულა? არის თუ არა ჭეშმარიტება მთელი სიმართლე ან ნაწილი სიმართლისა? არსებობს თუ

არა ჭეშმარიტება ფაქტის ჭეშმარიტების მიღმა? აი, ყველა ის საკითხი, რომელიც გვანტერესებს ჩვენ, როგორც მეცნიერ მკვლევარებს.

საკვანძო სიტყვები: სიმართლე, პოტენციური სიმართლე

გაზეთის რედაქტორთა ამერიკული ორგანიზაცია - Society of Newspaper Editors (SNF) და მისი გაზეთი „ჟურნალიზმის ქვემეხები“ მკვეთრად მიჯნავენ ინფორმაციულ რეპორტაჟსა და შეხედულებას ერთმანეთისაგან. ამასთან, უპრიანი იქნებოდა გაგვეხსენებინა მასობრივი ჟურნალისტიკის გავრცელებული ლოზუნგი, რომელიც XX საუკუნის 30-იან წლებში ცნობილ სარეკლამო სლოგანად იქცა: „შეხედულება არ არის ფაქტი“ („News not views“).

ამერიკის პროფესიონალ ჟურნალისტთა ასოციაციამ - „სიგმა დელტა ჩიმი“ – (Sigma Delta Chi) 1987 წელს მიიღო 16 პუნქტიანი კოდექსი, რომლის მე-8 პუნქტად გამოტანილია ასეთი მტკიცებულება: „ჭეშმარიტება არის ჩვენი წარმატების ულტიმატუმი და ჟურნალისტთა მოვალეობაა სიმართლის სამსახური“. იმავე კოდექსის მე-12 მუხლი უფრო აკონკრეტებს ზემოაღნიშნული ქვეპუნქტის შინაარსსა და მნიშვნელობას: „სათანადო პრაქტიკა იძლევა ნათელ კონტრასტს საინფორმაციო გადაცემებსა და შეხედულებათა შთაბეჭდილებებს შორის, საინფორმაციო გადაცემები უნდა იყოს თავისუფალი გავლენისა და შეხედულებებისაგან, რათა ასახოს საკითხის ყველა მხარე. ამერიკის მასმედიის თვალში „ვამინგტონ პოსტი“ თავის ეთიკურ პრინციპებში ჭეშმარიტების პრინციპს ასეთი სახით ეხმაურება: „გაზეთი ვალდებულია მიაწოდოს საზოგადოებას მთელი სიმართლე იმ ზომით, რისი ათვისებაც მას შეუძლია ძირითად წამყვან მოვლენებზე ამერიკასა და მსოფლიოში“ [B. Мисеев, 2002:5].

რუსი თეორეტიკოსი ლაზუტინა წერს: „დავიცვათ ხალხის უფლება, რომ იცოდნენ სიმართლე, თანადროულად მივაწოდოთ მათ მაქსიმალურად ობიექტური და სამართლიანი ინფორმაცია რეალობაზე, ზუსტად გავმიჯნოთ შეტყობინება შეხედულებებისაგან, ხელი არ შევუშალოთ საზოგადოებრივად მნიშვნელოვანი მონაცემების გავრცელებას“ [B. И. Лазутина, 2003:215].

მსგავსი ტენდენცია იკვეთება ვისკონსინ-ოშკოშის უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტის პროფესორის, ამერიკელი რედაქტორის ვინსენტ ფილაკის წიგნიდან „კონვენციური ჟურნალისტიკა“, სადაც ავტორი მიუთითებს: „ჟურნალისტებს შეუძლიათ აღმოფხვრან უარყოფითი საზოგადოებრივი დამოკიდებულებები სიზუსტის, გამჭვირვალობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით. ანონიმური წყაროები უნდა გამოიყენონ მხოლოდ სხვა უკიდურეს შემთხვევებში, როცა სხვა გზით ვერ მოხერხდება ინფორმაციის მოპოვება“ [ვ. ფ. ფილაკი, 2023:245]

იმ ფილოსოფიური შეხედულებით, რომელსაც მისურის უნივერსიტეტის პროფესორი ჯონ მერილი ავითარებს, ჭეშმარიტება ჟურნალისტიკაში 5 საფეხურს მოიცავს და ამათგან

ჟურნალისტს მხოლოდ 3 მათგანის აღქმა შეუძლია. ეს დონეებია: პოტენციური ჭეშმარიტება, შეკოწიწებული და აღქმული სიმართლე [J. Merrill, 1997:23].

ჭეშმარიტების პირველი დონეა ტრანსცენდენტრალური ჭეშმარიტება. არც ერთ გონიერ არსებას არ შეუძლია ამ დონემდე ამაღლება, რადგან ის ჰუმანური არსების ცნობიერების მიღმაა. ეს არის ჭეშმარიტება თავისი ყოვლისმომცველი ბუნებით, ანუ უფალი ღმერთი. მეორე დონე ჭეშმარიტებისა არის პოტენციური ჭეშმარიტება, რომელიც შედგება ტრანსცენდენტრალური ჭეშმარიტების ცალკეული ასპექტებისაგან და მისი აღქმა ადამიანს შეუძლია. ასევე შეუძლია დაუქვემდებაროს ის კვლევა-ძიებას. მასში ბოლომდე ჩაწვდომა კი ჟურნალისტს მაინც არ ძალუძს. მესამე დონე არის შეკოწიწებული სიმართლე - ეს არის პოტენციური სიმართლის ნაწილი, ეს არის ნაწილი ჭეშმარიტებისა, რომელსაც ჟურნალისტი ღებულობს (მიაღწევს, გრძნობს), რაც გადმოიცემა კიდევაც შენიშვნებში, დიქტოფონში ან ფირზე. ესაა მშრალი, გაუშალაშინებელი, დაუმუშავებელი მასალა ამბისათვის. გადმოცემული ჭეშმარიტება - ესაა იმ შეგროვებული ჭეშმარიტების ნაწილი, რომელსაც ჟურნალისტი ფაქტიურად გადმოსცემს. ეს არის ჭეშმარიტების ის ფორმა, რომელიც მზა პროდუქციის სახით მიეწოდება ინფორმაციის მომხმარებელს. ამ სიმართლის გაკონტროლება შედის ჟურნალისტის კომპენტენციაში. რამდენად პროფესიონალია რეპორტიორი, იმდენად კარგად გადმოსცემს იგი სიმართლის დიდ ნაწილს. მეხუთე დონე ჭეშმარიტებისა არის აუდიტორიის მიერ აღქმული სიმართლე, რომელიც არ ექვემდებარება რეპორტიორის კონტროლს, რადგან წარმოადგენს სიმართლის იმ ნაწილს, ან მთელ სიმართლეს, რომელსაც აღიქვამს ინფორმაციის მიმღები, ეს კი დამოკიდებულია მის ინტელექტუალურ შესაძლებლობებზე.

ფილოსოფოსთა ანალიზი საჭიროებს ახსნა-განმარტებას. სრული ჭეშმარიტება არის ის, რომ მთელი ჭეშმარიტების აღქმა ჟურნალისტს არ შეუძლია. ამისთვის არსებობს ორი მკაფიო ლოგიკური მიზეზი: ოპერატიულობისა და ლაკონურობის ფაქტორი. ჟურნალისტს შეუძლია იყოს მოვლენათა ეპიცენტრში, მაგრამ მას არ შეუძლია გააშუქოს იგი მისი მოხდენისთანავე, დინამიკაში. „სარკისებური გამომსახველობა, ზუსტი ასლი, უტყუარი, შეიძლება (ჰიპოთეტიურად) მდგომარეობს სწორედ იმ მოკლე დროის მონაკვეთზე, როცა ხდება მოვლენა, „დგება ფაქტი“. მაგრამ ეს არის დაუჯერებელი, ასეთი გამოხმაურება უბრალოდ, არ არსებობს, ჟურნალისტი ყოველთვის წერს ან იტყობინება „შემდგომ“, რამდენიმე დროის შემდგომ. დილის გაზეთები იქმნება წინა დღის მოვლენებზე. ყოველკვირეულები ათავსებენ წინა კვირის მოვლენათა მიმოხილვას ცინცხალი ინფორმაციების გვერდიგვერდ [M. И. Шостак, 2003:16-18].

სიმართლისმთქმელობა ის უმთავრესი ღირებულებაა, ის უმთავრესი ფუნდამენტია, რომელზედაც ჟურნალისტიკის პირამიდა უნდა აიგოს.

ლიტერატურა:

1. ვ.ფ. ფილაკი, „კონვერგენტული ჟურნალიტიკა: შესავალი, წერა და პროდიუსირება მედიაში“, გამომცემლობა „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“, ბათუმი, 2023. 245 გვ.
2. ჯიქია ნ., რეცენზია - ანატიკური ჟურნალისტური ჟანრის ჭრილში, ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათ განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, # 28, 2021, გვ.172-176.
3. ჯიქია ნ., კორესპოდენცია და ინფორმაციული შენიშვნა (შეპირისპირებითი დახასიათება), ჰუმანიტარულ და პედაგოგიკურ მეცნიერებათ განვითარების ფონდის სამეცნიერო რეფერირებადი ჟურნალი „ენა და კულტურა“, # 25, 2021, გვ. 200-203.
4. В. И. Лазутина, „Творческие Основы Журналистской Деятельности“ Аспект-ПРЕСС ,Москва 2003 (215);
5. В. Мисеев, „Журналистика и Журналисты“, Киев, ДАКОР, 2002 (65);
6. J. Merrill, “Philosophical foundations to journalistic ethics, Columbia, University of missouri, Pluto Press, 1997., გვ. 23
7. М. И. Шостак, „Репортер – Професионализм и Этика“, 2003, Москва Изд. Рип-Холдинг, გვ. 16-18

Natia Jikia, Nunu Charkviani

Akaki Tsereteli State university

The Principle of Truthfulness in Journalism

Abstract

Truth and truth are located on different planes in the journalistic field, the truth is a part of the poetic truth, which unfolds in its entirety in front of the journalist. It depends on the journalist's personal perception and intuition, professional sense of smell, how he will provide it with the potential truth, how and in what way he will touch it, what facts he will choose for illustration, and how perceptible the truth he conveys will be. This is already a field of pure professional creativity, journalistic art.

Truth – this is one of the postulates in journalistic work. In all the literature surrounding journalistic ethics, truth is a topic that is always emphasized and constantly at the center of attention. However, there are two sides to the coin, and it must be said that there are journalists who do not take responsibility for being faithful to the truth. Precisely, in order to avoid this tendency and for journalism to serve the truth, the world's associations of journalists, Unions, private editorial offices, or state-subsidized news media consider the service of truth as the main requirement of their ethical code. Is the truth equal to the truth? What do we collectively mean by this term? Can a story necessarily be true if the facts constituting an event are true and fit to be true? Can a journalist, to convey the truth, as a court

witness? Does the journalistic journalist ignore the name of the source in the text, his identity? Does he quote out of context, does he paraphrase evidence? Is this the correct quote? Does it belong to the truth what has already been said? Or does he also tell us what was not said? Is the truth the whole truth or part of the truth? Is there truth behind the facts? Can a journalist tell the truth, the whole truth and nothing but the truth, as a court witness? – These are all the issues that interest us as scientific researchers.

რეცენზენტი: პროფესორი პეტრე ჟოლნეროვიჩი

შინაარსი

ენათმეცნიერება

ციური ახვლედიანი

თანამედროვე ფრანგული სასაუბრო ენის თავისებურებანი.....9

თამარ გრიგალაშვილი

ქართული კოგნიტური მეტაფორის რეალიზაციის თავისებურებები.....13

Zyubina Irina

Political Discourse as a Subject of Research in Linguistics18

თამარ მახარობლიძე

თვისების გამომხატველი ფორმები ქართულ ჟესტურ ენაში23

რამაზ სვანიძე

კორონაიმორის მულტიმოდალური ანალიზის შესახებ.....29

ნინო ფხაკაძე

წინადადების საინფორმაციო სტრუქტურის ფორმირების სინტაქსური

საშუალებები პოლიტიკურ დისკურსში.....35

მარიამ ჩიქოვანი

სიღრმისეული კონტამინაცია - პერსონაჟის შინაგანი მეტყველების მხატვრული

ტრანსფორმაციის აუცილებელი პირობა.....41

ლიტერატურა და ლიტერატურის თეორია

Literature and Literary Theory

გურანდა გობიანი

ჰექსამეტრული სურათ-ხატი ლიტერატურაში

(ინგა ბახტაძის „თვალთა მიღმა“).....48

Yelena Etaryan

Fiktives und Faktisches im Roman von Robert Menasse „Die Hauptstadt“56

ეკა ვარდოშვილი

ლირიკული თანხვედრანი მსოფლიო პოეზიაში62

ნანა კუპრაძე

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი „გოჩი“71

ნიშნინიძე რუსუდან

ლექსების გარდა78

Tamar Osidze

The Problem of Homelessness in Three Short Stories by D. H. Lawrence84

ნანა ფრუიძე

აკაკი წერეთლის კიდევ ერთი უცნობი თხზულება.....93

სწავლების მეთოდიკა

ნინო გაბეჩავა

პარატექსისა და ჰიპოტექსის სწავლების თანამედროვე მიდგომები და

მეთოდური გზამკვლევის ანალიზი.....100

ლელა ებგვერაძე

კრიტიკულ აზროვნებაზე ორიენტირებული სასწავლო პროცესთან
დაკავშირებული ერთი გამოწვევის შესახებ109

მანანა მიქაძე

სკოლა და მეტყველების კულტურის პრობლემა.....114

თამარ ღვინიაძე

დავით კლდიაშვილის „სამანიშვილის დედინაცვლის“ სწავლების
საკითხისათვის საშუალო საფეხურის მე-11 კლასში.....121

ნანა შავთვალაძე

ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების B1 დონისთვის
საჭირო მოთხოვნები და აღწერილობა129

პედაგოგიკა**ნატო ბერიძე, სვეტლანა ადამია**

საგანმანათლებლო კვლევები და მათი როლი
განათლების ხარისხის გაუმჯობესებაში.....135

მაგდა თხილავა

მუსიკალური თამაშობები სკოლამდელთათვის.....140

მარეხი ნიკოლაძე

მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო -
საადმინისტრაციო პროცესი და ბავშვთა უფლებების დაცვა144

ბაკურ ონიანი, ირინე გოგიბერიძე

ზოგიერთი არანეიროპედაგოგიკური პრაქტიკის შესახებ
ადრეულ და დაწყებით განათლებაში148

ნინო ორჯონიკიძე, მათა ახვლედიანი ლალი აბდალაძე

საბავშვო ბაღისა და ოჯახის ერთობლივი საქმიანობა
სკოლამდელებში ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირების მიზნით.....153

ნინო ჭოხონელიძე

თამაში, როგორც სკოლამდელთა აქტივობის ძირითადი ფორმა159

ფსიქოლოგია

იაგორ ბალანჩივაძე

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების
მშობლების ჩართულობით სწავლის ხარისხის გაუმჯობესება163

ჟურნალისტიკა

ნათია ჯიქია, ნუნუ ჩარკვიანი

სიმართლისმთქმელობის პრინციპი ჟურნალისტიკაში.....169

C o n t e s t**Linguistic****Tsiuri Akhvlediani**

Peculiarities of the modern French colloquial language12

Tamar Griogalashvili

Peculiarities of Realization of Georgian Cognitive metaphor17

Ирина Зубина

Политический дискурс как предмет исследования в лингвистике22

Tamar Makharoblidze

Expressive forms of quality in Georgian Sign Language (GESL).....28

Ramaz Svanidze

On the multimodal analysis of corona humor34

Nino Pkhakadze

Syntactic Means of sSentence Information Structure Formation in Political Discourse40

Chikovani Mariam

Deep contamination – an ideal vehicle for the artistic transformation of character’s inner speech47

Literature and Literaru Theory**Guranda Gobiani**

Hexametric Images in Literature

("Behind the Eyes" by Inga Bakhtadze)54

Helen Etaryan

Fact and fiction in Robert Menasse's novel "The Capital City"61

Eka Vardoshvili

Lyrical coincidences in the world poetry70

Nana Kupradze

Vazha-Pshavela's literary fairy tale "Gochi"76

Rusudan Nishnianidze

Except for the Poems...82

თამარ ოსიძე

უსახლკარობის პრობლემა დ.კ.ლოურენსის სამ მოთხრობაში.....92

Nana Pruidze

One more unknown writing of Akaki Tsereteli.....98

Methodology of Teaching**Nino Gabechava**

Modern approaches to teaching parataxis and hypotaxis and

Analysis of methodological guidelines.....108

Lela Edzgeradze

About one challenge related to the learning process focused on critical thinking.....113

Manana Mikadze

Improvement speech culture in school120

Tamar Gvinianidze

Teaching Kldiashvilis' novel "SamaniShvili Stepmother at school128

Nana Shavtvaladze

Requirements and Description for Teaching Georgian as a Foreign Language at the B1 Level134

Pedagogic**Nato Beridze, Svetlana Adamia**

Educational research and their role in improving the quality of education128

Magda Tkhilava

Musical games for preschoolers143

Marekhi Nikoladze

Student-centered educational process and protection of children's rights.....147

Bakur Oniani, Irine Gogiberidze

About some non-neuropedagogical practices in early and elementary education152

Nino Orjonikidze , Maia Akhvlediani Lali Abdaladze

Kindergarten and family joint activities

In order to form a healthy lifestyle in preschools158

Nino Tchokhonelidze

Play as the main form of preschool activity162

Psychology**Iagor Balanchivadze**

Improving the quality of learning with the involment of parents of

pupils with special educational needs167

Journalistic**Natia Jikia, Nunu Charkviani**

The Principle of Truthfulness in Journalism172